კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ქეთევან ტყეშელაშვილი

მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

მედიაეთიკა და სასამართლო ხელისუფლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ხათუნა კაჭარავა**

პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,

თბილისი, საქართველო, 2024 წელი

განაცხადი

როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომში გამოყენებული მასალა ციტირებული და დამოწმებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო ნაშრომის სტანდარტის შესაბამისად.

ქეთევან ტყეშელაშვილი

28.05.2024

ანოტაცია

ნაშრომში ,,მედიაეთიკა და სასამართლო ხელისუფლება“ განხილული იქნება მესამე და ,,მეოთხე“ ხელისუფლებების როლი და მნიშვნელობა; ჟურნალისტისა და მოსამართლის პროფესიული ეთიკური სტანდარტები, საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არეგულირებს მათ შორის ურთიერთობებს; სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტის განსაკუთრებული მნიშვნელობა და მისი როლი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში; გამოხატვის თავისუფლების საკითხი სასამართლოსა და მედიაში.

ჟურნალისტიკა, როგორც პროფესია, მოიცავს სხვადასხვა ფუნქციებსა და ვალდებულებებს. ის განსაზღვრავს საზოგადოებრივ აზრს, ზრახვებსა და სურვილებს. ჟურნალისტიკას აქვს საზოგადოების მართვის უდიდესი ბერკეტები. შესაბამისად, ,,მეოთხე“ ხელისუფლების წარმომადგენლებს განსაკუთრებული ვალდებულება ეკისრებათ საზოგადოების წინაშე. კერძოდ, ეს არის მიზეზი იმისა, რომ მათ უნდა ჰქონდეთ საფუძვლიანი ცოდნა პროფესიული ეთიკის ნორმების შესახებ და უნდა დაიცვან ისინი. ეთიკური ნორმები ჟურნალისტურ საქმიანობას საკმაოდ გამჭვირვალეს ხდის და მათზე ნდობას უზრუნველყოფს. არანაკლებ საინტერესოა სამართლებრივი ეთიკური სტანდარტები და ის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არეგულირებს ამ ორ ,,ხელისუფლებას“ შორის ურთიერთობებს.

ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ, თუ რა ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ჟურნალისტის მიერ მომზადებულ სიუჟეტებს სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. განხილული იქნება არაერთი კონკრეტული ფაქტი, სადაც მკაფიოდ დადასტურდება, რამდენად დადებითი ან უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს საზოგადოებაზე მსგავსი სახით მომზადებულმა მასალამ. ვიმსჯელებთ, თუ რამდენად იქნება შესაძლებელი, ერთმანეთის ინტერესების ხელყოფის გარეშე, ადამიანის უფლებათა დაცვა.

მედიასამართლის საკითხი თანამედროვე განვითარების ყველა ეტაპზე იმდენად დიდია, რომ ადამიანები ზოგჯერ ვერც კი აცნობიერებენ, თუ რა მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ინფორმაციის მიღების და გადაცემის პროცესთან. თითოეულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, დაცული იყოს მასში მონაწილე მხარეების სამართლებრივი ასპექტები. მედიის მხრიდან სავალდებულოა სიზუსტის, ობიექტურობისა და ინფორმაციის გასაგებ ენაზე მიწოდების ფორმები. დაუშვებელია, მედიამ არ მისცეს მსმენელს, მაყურებელს თუ მკითხველს საკუთარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა და ინფორმაცია მოგვაწოდოს როგორც ამბის გადმოცემის სუბიექტურმა მხარემ.

მედიის ეთიკური კოდექსი თვითრეგულირების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს. ის, ზოგადად, ხელს უწყობს პროფესიული მორალის, ზნეობრივი ნორმების, უმაღლესი სტანდარტების დაცვას ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელების პერიოდში და, თეორიული სამეცნიერო ცოდნის გარდა, მოიცავს პრაქტიკულ რეკომენდაციებსაც. ეთიკური ჟურნალისტიკა აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს ზნეობრივი

ღირებულებების დაცვას. ამიტომ თითოეულ ჟურნალისტს კარგად უნდა ჰქონდეს გათვითცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობები, რომელთა შესრულებას კოდექსი ავალდებულებს. ეთიკური კოდექსის დანიშნულებაა, გავლენა მოახდინოს მედიის წარმომადგენელთა საკომუნიკაციო საშუალებებზე და ქცევაზე, მაქსიმალურად დახვეწოს და დანერგოს პროფესიული სტანდარტები. კოდექსის ფუნქციაა ასევე, პროფესიული სოლიდარობისა და ღირსების მაღალი სტანდარტების დანერგვა. უნდა ითქვას ისიც, რომ ეთიკურ კოდექსს იურიდიული უფლებამოსილება არ გააჩნია და ნაკლებად ითვალისწინებს სანქციებსა და რაიმე სადამსჯელო ზომების გატარებას იმ ჟურნალისტთა მიმართ, რომლებიც არღვევენ კოდექსის დებულებებს.

თავის მხრივ, მოსამართლეს დიდი პასუხისმგებლობა ენიჭება მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში. მას ნებისმიერ მომენტში, იქნება ეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება თუ სხვა საქმიანობის განხორციელება, უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია. მოსამართლე, მის პროფესიულ თუ პიროვნულ თვისებებთან ერთად, წარმოადგენს საზოგადოებაში სასამართლოსადმი ნდობის და სასამართლო ავტორიტეტის განმტკიცების მნიშვნელოვან საფუძველს. ამიტომაცაა, რომ მისი ნებისმიერი ქცევა და ქმედება, საჯაროდ გამოთქმული აზრი თუ განცხადება პირდაპირ გავლენას ახდენს მართლმსაჯულების იმიჯსა და რეპუტაციაზე, ვინაიდან საზოგადოებაც ერთ კონკრეტულ მოსამართლეზე დაკვირვებით მიღებულ შთაბეჭდილებას მთლიანად სისტემაზე განაზოგადებს.

ყველა ქვეყანაში ეთიკური კოდექსი განსაზღვრავს ჟურნალისტური მისიის არსს და იმას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს პროფესიული ეთიკა. ის ერთგვარად ეხმარება ჟურნალისტს, სწორად გამოიმუშავოს ზნეობრივი რეფლექსები. მეორე მხრივ, კოდექსი წარმოადგენს კრიტერიუმების ნაკრებს იმისათვის, რომელთა მიხედვით უნდა მოხდეს ჟურნალისტის მოღვაწეობის შეფასება.

გარდა ამისა, თავისუფალ, ჯანსაღ კრიტიკასა და ღია დისკუსიაზე დაყრდნობით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უფლების ღირსეულად შეთავსება და დაცვა ორმაგად მნიშვნელოვანია, რადგან საზოგადოების ნდობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ წარმოადგენს ქვეყანაში სტაბილურობის გარანტიას, რაშიც მედიის როლი უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტია.

Annotation

In the following report ''Media Ethics and Judiciary" will discuss the role and importance of the third and ''fourth governments"; on the professional ethical standards of a journalist and a judge, what legal framework regulates the relationship between them; the special importance of the institution of speaker-judge and its role in shaping public opinion; on freedom of expression in the court and media.

Journalism as a profession includes various functions and obligations. It determines public opinion, intentions and desires. Journalism has the greatest leverage in managing society. Accordingly, the representatives of the "fourth government" have a special obligation to the society. In particular, this is the reason why they should have a thorough knowledge of the norms of professional ethics and should follow them. Ethical norms make journalistic activities quite transparent and ensure trust in them. Equally interesting are the legal and ethical standards and the legal framework that regulates the relations between these two "governments".

In the paper, we will pay special attention to the impact that the stories prepared by the journalist can have on the formation of public opinion towards the judiciary. A number of specific facts will be discussed, where it will be clearly confirmed how much positive or negative impact the material prepared in a similar way can have on the society. We will discuss how far it will be possible to protect human rights without interfering with each other's interests.

The role of media law at all stages of modern development is so great that people sometimes do not even realize how closely they are connected with the process of receiving and transmitting information. In each case, it is important to protect the legal aspects of the parties involved in it. Forms of accuracy, objectivity and providing information in understandable language are mandatory from the side of the media. It is unacceptable for the media not to give listeners, viewers, or readers the opportunity to draw their own conclusions and provide information as the subjective side of the story.

The ethical code of the media represents one of the mechanisms of self-regulation. It generally promotes the observance of professional morals, moral norms, and the highest standards during the implementation of journalistic activities, and in addition to theoretical scientific knowledge, it also includes practical recommendations. Ethical journalism must be based on the protection of moral values. Therefore, each journalist should have a well-versed professional responsibilities, the fulfillment of which is obliged by the Code. The purpose of the Code of Ethics is to influence the means of communication and behavior of media representatives and to improve and implement professional standards as much as possible. The function of the Code is also implementation of professional solidarity and dignity on the high standards. It must be said that the Code of Ethics does not have legal authority and takes less into account imposing sanctions and any punitive measures to those journalists who violate the provisions of the Code.

In turn, the judge has the great responsibility in the administration of justice. At any moment, whether it is the performance of official duties or the implementation of

other activities, he bears the greatest responsibility. The judge, together with his professional and personal qualities, is an important basis for society's trust in the court and strengthening the judiciary. That is why any of his behavior and actions, publicly expressed opinion or statement directly affects the image and reputation of a judge, since society also generalizes the impression received when observing one particular judge to the entire system.

In all countries, ethical codes define the essence of the journalistic mission and how professional ethics should be implemented. In a way, it helps the journalist to develop moral reflexes correctly. On the other hand, the Code represents a set of criteria, according to which the work of a journalist should be evaluated.

In addition, the protection of the rights of mass media based on free, sound criticism and open discussion will be presented, as public trust in the judiciary is a guarantee of stability in the country, in which the role of the media is crucial and decisive.

სარჩევი

შესავალი 8

თავი I. პროფესიული ეთიკის რაობა 47

1.1. მედიაეთიკა 47

1.2. იურიდიული ეთიკა - მოსამართლეთა პროფესიული საქმიანობა 55

1.3. მორალური კრიტერიუმები და პროფესიული ეთიკა 62

თავი II. საქართველოს სასამართლო სისტემა და სპიკერ-მოსამართლის უფლებამოსილება საზოგადოებასთან ურთიერთობაში 66

2.1. საქართველოს სასამართლო სისტემის ზოგადი მიმოხილვა 66

2.2. სპიკერ-მოსამართლის ფუნქცია, პროფესიული და ეთიკური სტანდარტები 67

2.3. პრესსამსახურისა და სპიკერ-მოსამართლის ურთიერთობა 71

2.4. მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების ფარგლები და მოსამართლის მიერ სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე აზრის საჯაროდ გამოხატვა 81

თავი III. მიუკერძოებლობა, როგორც ეთიკური ვალდებულება ჟურნალისტისა და მოსამართლის პროფესიაში 89

3.1. მედიის სამართლებრივი ბაზა 89

3.2. მედიაეთიკისა და მედიასამართლის დილემები 99

თავი IV. ინტერესთა კონფლიქტის პრობლემა ჟურნალისტისა და მოსამართლის პროფესიაში - კვლევის შედეგები 111

დასკვნა 177

ბიბლიოგრაფია 181

შესავალი

თემის აქტუალურობა

სამართლის უზენაესობით მართულ სახელმწიფოში უპირველესია სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის მიღების, მოძიებისა და გავრცელების უფლება, იქნება ეს ზეპირად, წერილობით თუ პრესისა და გამოხატვის სხვა საშუალებებით. სიტყვისა და აზრის თავისუფლება, თავის მხრივ, გულისხმობს განსაკუთრებულ მოვალეობასა და პასუხისმგებლობას და მოიცავს პიროვნებისა და ღირსების, პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების პატივისცემას, ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობას, ჰუმანურ დამოკიდებულებას შეფასებისა და კრიტიკის დროს, რაც ემსახურება საზოგადოების ინტერესს.

ეთიკა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულება, რომლის დაცვა აუცილებელია ყველა პროფესიის ადამიანებისათვის.

იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც მედიის, ასევე სასამართლო ხელისუფლების წამომადგენლებს განსაზღვრული აქვთ თავიანთი პროფესიული ეთიკის წესები, საკითხი ორმაგ აქტუალობას იძენს. საინტერესოა, როგორ ასრულებს მედია სასამართლოს საკითხების გაშუქებისას მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მედიას განსაკუთრებული როლი აკისრია საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. მას აქვს უნარი, მის მიერ გადმოცემული ინფორმაციით, შექმნას საზოგადოებრივი აზრი ან ზემოქმედება მოახდინოს მასზე. მედიას გააჩნია ,,ძალაუფლება“, საზოგადოებას მიაწოდოს ობიექტური და გადამოწმებული ინფორმაცია მართლმსაჯულების განხორციელების თაობაზე. თუკი მედია იქნება უარყოფითი დამოკიდებულების გამომხატველი და მიკერძოებული კონკრეტული საკითხების გაშუქების დროს, მსგავსი მიდგომა აუცილებლად უარყოფითვე დამოკიდებულებას გამოიწვევს საზოგადოებაში. უფრო მეტიც, ეს შესაძლოა სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობის დაკარგვის საფუძველიც კი გახდეს. მედიის,

როგორც ე.წ. ,,მეოთხე ხელისუფლების“ არსი, ყველაზე ნათლად იკვეთება მისი ზემოქმედების განხორციელების ასპექტში.

მოგეხსენებათ, სასამართლოდან ერთი მხარე ყოველთვის უკმაყოფილო მიდის და, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდია მართლმსაჯულების ორგანოზე განაწყენებულთა რაოდენობა. ეს ბუნებრივია და გასაგები, მაგრამ, ხშირად, საზოგადოებაში ნეგატიური აზრის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს, მასმედიის მხრიდან, საკითხის არაობიექტური გაშუქება კონკრეტული პირების ინტერესების სასარგებლოდ, რომლებიც აკნინებენ სასამართლოს და, სამწუხაროდ, ამას დიდი ხალისით იტაცებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. მოსამართლეს კი არ აქვს კომენტარის გაკეთების უფლება და ასეთ დროს, მისი მხრიდან დუმილი, ხშირ შემთხვევაში, არასწორად აღიქმება, რადგან ეთიკის წესები ადგენს გარკვეულ ჩარჩოებს მოსამართლის მიერ გამოხატვის თავისუფლების სარგებლობისათვის.

ეს იქნება მესამე და ,,მეოთხე“ ხელისუფლებების როლისა და პროფესიულ ეთიკაზე დაყრდნობით მომზადებული, თანამედროვე მაგალითებით განხილული და გადმოცემული თემატიკის კვლევა და ანალიზი.

აქ საყურადღებოა და ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს, თუ რა რეგულაციებია დასაცავი მედიისა და სასამართლო ხელისუფლებას შორის ურთიერთობის დროს, როგორი ფორმითა და სტანდარტებით უნდა მომზადდეს და გაშუქდეს სასამართლო თემატიკა, სად უნდა გადიოდეს ზღვარი ჟურნალისტურ ეთიკას, პროფესიონალიზმსა და ,,სენსაციას“ შორის, როგორი მიდგომებია საჭირო პროფესიული სტანდარტების გამოყენებისა და გაშუქების დროს.

საკვლევი პრობლემა

მედიაეთიკის საკითხები მკვლევრებისთვის ყოველთვის ინტერესის საგანს წარმოადგენს, რადგან ჟურნალისტების მიერ მომზადებული მასალა ვერ ჩაითვლება სრულყოფილად, თუ მასში არ იქნება გათვალისწინებული ეთიკური რეგულაციები. ჩვენი კვლევის პრობლემა ეთიკის ყველაზე

რთულსა და საპასუხისმგებლო სეგმენტს, მედიისა და სასამართლო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების, ეთიკური დილემების და არსებული ეთიკური თუ სამართლებრივი რეგულაციების შესწავლას და გაანალიზებას ეხება.

კვლევის პერიოდში დიდძალი სამეცნიერო თეორიების, საკანონმდებლო ბაზის, მედიაში არსებული მასალების შესწავლის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ მესამე და „მეოთხე" ხელისუფლებას შორის კონსენსუსი ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. შესამჩნევია აღნიშნულ ,,ორ ხელისუფლებას" შორის დისკუსიის დეფიციტი, რაც **საკვლევი პრობლემის** განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

მედიაეთიკისა და სასამართლო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ არსებული ცოდნის მოძიება, შეფასება, სინთეზირება, მთავარი სირთულეებისა და ხარვეზების გამოვლენა ჟურნალისტთა პროფესიონალიზმის ამაღლებისა და სასამართლო ხელისუფლების დისკრედიტაციის დაძლევის მნიშვნელოვანი საფუძველია.

საკვლევი პრობლემა ძირითადად თეორიული და პრაქტიკული ხასიათისაა. ნაშრომში გამოკვეთილია თეორიული ნაწილი, რომელიც მედიაეთიკისა და მედიასამართლის მიმართულებით ცოდნის გაფართოებას ისახავს მიზნად; ასევე შესწავლილია არაერთი პრაქტიკული მაგალითი, რომელსაც გავყავართ საკვლევ პრობლემებამდე. ამდენად, კვლევიდან გამომდინარე მიღებული დასკვნები და შედეგები გამოადგებათ პრაქტიკულ საქმიანობაში როგორც მედიის, ასევე სამართლის სფეროს წარმომადგენლებსაც. შესაბამისად, ნაშრომს პრაქტიკული ღირებულებაც გააჩნია.

მიზნები და ამოცანები

საკვლევი თემის მიზანია განვსაზღვროთ მედიაეთიკისა და სასამართლო ხელისუფლების ურთიერთობის სტანდარტები. ამისათვის დავისახეთ ამოცანად შეგვესწავლა არაერთი სიუჟეტი და პუბლიკაცია, რომელშიც დარღვეულია, ან პირიქით, სრულყოფილად არის დაცული მედიაეთიკის სტანდარტები. ამასთან, ჩვენი მიზანი იყო გაგვეანალიზებინა სასამართლოს დამოკიდებულება მედიისადმი და რამდენად იცავდა თავად სასამართლო ხელისუფლება (კანონიდან გამომდინარე) მედიისადმი პროფესიულ ეთიკას.

სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი, დემოკრატიულ საზოგადოებაში დამკვიდრდეს სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების განმხორციელებელი ორგანო და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა გარანტი.

შესაბამისად, კვლევის მიზნის მისაღწევად, ფორმულირებულია ამოცანები:

1. პროფესიული ეთიკის, მედიაეთიკის, იურიდიული ეთიკის ცნებების დეფინიცია, არსებული ნორმატიული, სამართლებრივი ბაზების ეთიკური სტანდარტების შესწავლა და მიმოხილვა, მოსამართლეთა პროფესიული საქმიანობის, მორალური კრიტერიუმებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების ანალიზი;
2. სასამართლო საკითხების გაშუქების თავისებურების და მედიის გავლენის გამოკვეთა საზოგადობაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებზე;
3. ჟურნალისტისა და მოსამართლის პროფესიაში მედიაეთიკისა და მედიასამართლის დილემებისა და ინტერესთა კონფლიქტის პრობლემების განხილვა. არსებული პრაქტიკული მაგალითების

საფუძველზე, დადგინდეს ეთიკური პრინციპების გამოყენება ორივე პროფესიაში;

4. პროფესიული ეთიკური კანონების დაცვის გამოყენებით სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ამაღლება და განმტკიცება.

საგანი და ობიექტი

კვლევის საგანია - მედიაეთიკა, როგორც სამართლებრივი რეგულირების ალტერნატივა; მედიაეთიკის და სასამართლო ხელისუფლების ურთიერთმიმართების დილემა საქართველოსა და დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკაში.

კვლევის ობიექტია - მესამე (სასამართლო) და ,,მეოთხე" (მედიის) ხელისუფლების ეთიკური და ფაქტობრივი ურთიერთობის ფორმები, ემპირიული მასალა სამაუწყებლო მედიიდან (ტელევიზია, პრესა, სააგენტო, ინტერნეტრესურსები).

საკვლევი კითხვები

1. რა პროფესიული ეთიკის სტანდარტები აქვს მედიას და სასამართლო ხელისუფლებას?
2. როგორია მედიის გამოხატვის თავისუფლების ფორმები და ნორმები და რაში მდგომარეობს მედიასამართლისა და მედიაეთიკის დილემები?
3. როგორია მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების ფარგლები და რა როლს თამაშობს ის პროფესიული ეთიკის დარეგულირების პროცესში?
4. როგორ იკვეთება ინტერესთა კონფლიქტის პრობლემა ჟურნალისტისა და მოსამართლის პროფესიებში?

ჰიპოთეზა

ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში: არაერთი ჟურნალისტი არაკვალიფიციურ სიუჟეტებს ამზადებს სასამართლო თემატიკაზე, რაც ნეგატიურ საზოგადოებრივ აზრს აყალიბებს სასამართლო სისტემის (მოსამართლეების) შესახებ, აკნინებს ინსტიტუტის დამოუკიდებლობას და ზიანს აყენებს ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესს. გვხვდება შემთხვევები, როცა სასამართლოც, კანონიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით არღვევს ჟურნალისტთა უფლებებს, რაც აუცილებლად დასარეგულირებელია, როგორც საკანონმდებლო, ასევე, თვითრეგულირების ფარგლებში.

თემის შესწავლის მდგომარეობა

საკვალიფიკაციო ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა თეორიულ ნაშრომებს და კვლევების შედეგებს. განხილული იქნება, თუ რატომ არის აუცილებელი ჟურნალისტებისათვის ეთიკური სტანდარტების დაცვა და რა გავლენას ახდენს მსგავსი სახით მომზადებული ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებაზე.

თანამედროვე ჟურნალისტიკის ტენდენციებიდან გამომდინარე, ჟურნალისტებს მეტი პასუხიმგებლობა ენიჭებათ ინფორმაციის მოპოვებისა და გადაცემის დროს. პროფესიული მოვალეობის შესრულებისას მედიის წარმომადგენლები, პირველ რიგში, უნდა აცნობიერებდნენ ეთიკის საკითხებისადმი უპირატესობას. მათ სწორად უნდა ესმოდეთ, თუ რაოდენ დიდი მისია და ანგარიშვალდებულება გააჩნიათ მოქალაქეთა წინაშე, რასაც თან მოსდევს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება ამა თუ იმ საკითხთან მიმართებით.

ავტორთა ჯგუფის მიერ გამოცემული წიგნი - ,,ჟურნალისტიკა“ პირველი გამოცემაა, სადაც სხვა მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით, საუბარია, ზოგადად, ამ პროფესიის წარმომადგენელთა მოვალეობებზე,

პასუხისმგებლობებსა და ეთიკურ სტანდარტებთან დაკავშირებით. ჟურნალისტიკის ძირითადი ცნებებისა და პრინციპების ახსნა-განმარტების გაცნობით, ნებისმიერ მათგანს სწორად ჩამოუყალიბდება აზრი საკუთარი პროფესიის ფუნდამენტური ღირებულებებისა და ეთიკური ნორმების გამოყენების შესახებ. წიგნში აღნიშნულია, რომ მედია უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებას, ვინაიდან ის სოციალური კონტროლის ერთგვარ ინსტრუმენტსაც წარმოადგენს და უნდა შეასრულოს ,,საზოგადოებრივი გუშაგის სასიცოცხლოდ აუცილებელი როლი“ და ,,გაავრცელოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ინფორმაცია“. (ავტორთა ჯგუფი, 2017)

მედიის ეთიკური კოდექსები, ამა თუ იმ ფორმით, დაინერგა კომუნიკაციების პრაქტიკულად ყველა სფეროში. მანამდე ჟურნალისტიკაში არსებული ეს წესები ეტაპობრივად ჩამოყალიბდა ეთიკურ სტანდარტებად, რომლებმაც მოიცვა თითქმის ყველა სფერო. თანამედროვე პროცესების სწრაფმა განვითარებამ და მიმდინარე ტექნიკურმა სიახლეებმა კი დიდი გავლენა მოახდინა როგორც მედიაზე, ისე მთელ საზოგადოებაზე.

მკვლევართა ჯგუფი, როდესაც ეხებიან მედიის თვითრეგულირების საკითხებს საქართველოში, გამოყოფენ აირექსის კვლევას ამ მიმართულებით და აღნიშნავენ, რომ საზოგადოებაში არ არსებობს მოთხოვნა ეთიკურ და პროფესიულ ჟურნალიზმზე. თავად მედია და საზოგადოებაც ნაკლებად არის დაინტერესებული, მოახდინოს თვითრეგულირების ინსტიტუციონალიზება. ზოგიერთმა დაგმო კიდეც ის, როგორც ცენზურის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. პროფესიული სტანდარტები მედიაში დღეს შეზღუდვად უფრო არის მიჩნეული, ვიდრე პროფესიონალიზმის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად. (ავტორთა ჯგუფი, 2017)

საქართველოში მედიის თვითრეგულირების პროცესის ჩამოყალიბება ამჟამადაც მიმდინარეობს და, სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ჟურნალისტური ეთიკის პრობლემატიკის საკითხების განხილვა კვლავაც აქტუალურია.

უმაღლესი პროფესიული სტანდარტი მიიღწევა თვითრეგულირების მექანიზმებით, სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობის მინიმუმამდე გამოყენებით. სიტყვის თავისუფლება და ჟურნალისტური ეთიკა ისეთივე განუყოფელ ცნებებს წარმოადგენენ, როგორც თავისუფლება და პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა გარკვეულწილად ზღუდავს თავისუფლებას, ხოლო ჟურნალისტურ საქმიანობაში კი თავისუფლებას ზღუდავს პროფესიონალიზმი, რომელიც თავის მხრივ პასუხისმგებლობის ტოლფასია.

პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი ემერიტუსი კლოდ-ჟან ბერტრანი მიიჩნევს, რომ მედიაეთიკა მოიცავს პროფესიონალების მიერ შემუშავებული პრინციპებისა და წესების ერთობლიობას. სასურველია, ამ ნორმების შემუშავება მოხდეს მომხმარებელთან თანამშრომლობის გზით, რათა უკეთ ემსახუროს, თუ მოსახლეობის ყველა ჯგუფს არა, უმეტესობას მაინც. იმისათვის, რომ მედიამ შეინარჩუნოს პრესტიჟი და დამოუკიდებლობა, მან ღრმად უნდა გააცნობიეროს თავისი უპირველესი მოვალეობა - უზრუნველყოს კარგი საზოგადოებრივი სამსახური. (ბერტრანი, 2004)

მედიაეთიკა ჟურნალისტთა ვალდებულებებზე მსჯელობაა. ეს მოვალეობები მოიცავს მედიის წარმომადგენელთა როგორც ადამიანურ, ასევე პროფესიულ უფლებებს. ეს უფლებები ნაწილობრივ გარანტირებულია კანონმდებლობით, ნაწილობრივ ასახულია ამა თუ იმ კოდექსში, რომლის მიხედვით ჟურნალისტებს ყველაზე მეტად მოეთხოვებათ იყვნენ ანგარიშვალდებულნი სწორედ საზოგადოების წინაშე.

ბერტრანი იხსენებს იმ პერიოდსაც, როცა მედიაეთიკის ხსენებაზეც კი პროფესიონალები ბრაზმორეული შენიშვნებით რეაგირებდნენ. მისი თქმით, მედიაეთიკის მიმართ ინტერესის ახალი ტალღა იუნესკოს, ევროსაბჭოს, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის, პრესის საერთაშორისო ინსტიტუტის ეგიდით, ჯერ კიდევ, 1970-იან წლებში აგორდა, რაც

განპირობებული იყო სამოციანი წლების საყოველთაო საპროტესტო დემონსტრაციებით. (ბერტრანი, 2004)

ბერტრანის აზრით, ეთიკისთვის მთავარ დაბრკოლებას ჟურნალისტური ტრადიციები წარმოადგენს. სიზარმაცე, ბიუროკრატიული უგრძნობლობა, სუსტი წარმოსახვა ქმნის რუტინას, როცა, ძირითადად, ერთი და იგივე სფეროები შუქდება; ყურადღება ერთსა და იმავე მოვლენებს ექცევა; ქვეყნდება პრესრელიზები; ერთი და იმავე ექსპერტების მცირე ჯგუფი იძლევა კონსულტაციებს, ნაკლები ყურადღება ეთმობა საუკეთესო, მაგრამ ნაკლებად ცნობილ წყაროებს, მაგალითად, სპეციალიზებულ ჟურნალებსა და მოაზროვნე სპეციალისტებს.

ეთიკას და მედიის ანგარიშვალდებულების სისტემებს რამდენიმე მიზანი აქვთ: მედია უკეთ ემსახუროს საზოგადოებას; აღადგინოს მედიის პრესტიჟი მოსახლეობის თვალში; სხვადასხვა საშუალებით დაიცვან სიტყვისა და პრესის თავისუფლება; შესძინოს პროფესიას ის დამოუკიდებლობა, რაც დემოკრატიის დამკვიდრებასა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესებაში მის როლს განაპირობებს.

ჯ.ა. ჯაქსა და მ.ს. პრიჩარდის განსაზღვრებით, ეთიკა ჩვენი ცხოვრების წესს შეეხება. იგი განიხილავს, რა არის სწორი და მცდარი, სამართლიანი და უსამართლო, კეთილი და ბოროტი, კარგი და ცუდი, პასუხსაგები და არაპასუხსაგები. (უილკოქსი, დ.ლ., კამერონი, გ.ტ.,, 2011). დენის ლ. უილკოქსი და გლენ ტ. კამერონი მიიჩნევენ, რომ ადამიანის ქცევა არა მხოლოდ მისი ცნობიერებით იზომება, არამედ საზოგადოების, პროფესიული ჯგუფისა და ამ ადამიანის დამქირავებლის მიერ დაწესებული ნორმებითაც. რთულია იმის დადგენა, რა არის ეთიკური, რადგან ადამიანებს ,,კარგისა“ და ,,ცუდის“ განსხვავებული სტანდარტები და აღქმა აქვთ. ავტორები გამოყოფენ საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიონალებს, რომელთაც რასაკვირველია, მძიმედ აწევთ ეთიკური გადაწყვეტილებების ტვირთი. მათ მხედველობაში უნდა მიიღონ და გაითვალისწინონ: 1.საზოგადოებრივი ინტერესი, 2. დამსაქმებლის კერძო ინტერესი,

3.საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიის სტანდარტები და 4.თავიანთი პროფესიული ღირებულებები. რეალობაში კი, სწორი ეთიკური გადაწყვეტილებების მიღება ხშირად კომპლექსური პროცესია, რომელშიც მრავალი ფაქტორის გადაწყვეტილება ხდება საჭირო.

დეფლორი/დენისი აღნიშნავს, რომ ეთიკა არის ,,სწორი" საქციელი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს განსხვავებულ ადამიანებს განსხვავებულად ესმით. ამიტომ მედიაეთიკას სერიოზული ყურადღების მიქცევა სჭირდება, განსაკუთრებით იმ საზოგადოებაში, სადაც მოთხოვნილება ეთიკაზე ყველა სფეროში მაღალია. (დეფლორი, მ., დენისი, ე., 2009)

ავტორები მიიჩნევენ, რომ მედიის ეთიკა არ წარმოადგენს ბუნდოვან ცნებას, რადგან საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში თავად საზოგადოებაც ხდება პროცესის თანამონაწილეც, დამკვირვებელიც და კრიტიკოსიც. ეს ყოველდღიურობა კი წარმოშობს კონკრეტულ ეთიკურ პრობლემებს. ეთიკური დილემები ვლინდება მედიაკონტენტის მიმართულებითაც. რა თქმა უნდა, აქვე იგულისხმება თვითონ მედიის თანამშრომლების ქცევის საკითხებიც.

დეფლორი/დენისის განმარტებით, მედიის ეთიკა სამ საკითხს მოიცავს: ა) რეპორტაჟების მომზადებისა და სხვა საქმიანობის დროს სიზუსტისა და სამართლიანობის დაცვას; ბ) რეპორტიორების ქცევას, განსაკუთრებით, წყაროსთან მიმართებაში; გ) ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას.

ამიტომ, მედიის ეთიკის სტანდარტული კოდექსის ჩამოყალიბება მეტად რთულ საკითხს წარმოადგენს. სიძნელეა ის, რომ ეთიკის კოდექსებისა და წესების უმეტესობა ზოგადი ხასიათისაა და ყველა ვითარებას არ შეესაბამება.

სასამართლო ხელისუფლებისა და მედიის ურთიერთობების თეორიული თუ პრაქტიკული ანალიზის პროცესში განსაკუთრებული დახმარება აღმოგვიჩინა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2014 წელს გამოცემულმა სახელმძღვანელომ - „მედია და სამართალი" - ავტორები -

დევიდ კოლერი, ლიი ლევინი, დევიდ არდია, დეილ კოჰენი, მარი-როუზ პარანდრე. (Kohler, D., Levine L., Andria, D., Cohen D., Papandrea, M-R. , 2014) ავტორებს შესწავლილი აქვთ სასამართლო ხელისუფლებისა და მედიალანდშაფტის ერთიანობა, მედიისა და კანონის ურთიერთკავშირი; განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტებზე, რომელსაც ჟურნალისტები და მოსამართლეები აწყდებიან ყოველდღიურ საქმიანობაში. ავტორებს გაანალიზებული აქვთ ფუნდამენტური დეფინიციური და კონსტიტუციური საკითხები; ახსნილი აქვთ, როგორ განვსაზღვროთ მედია 21-ე საუკუნეში; განსაკუთრებით საინტერესოა კვლევა, რომელიც შეეხება ინფორმაციის შეგროვებასა და მათ კანონიერ გავრცელებას.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა კიდევ ერთი თეორიული სახელმძღვანელო - 2013 წელს გამოცემული „მედიის გავლენების კვლევა იურისპრუდენციაზე“ - მილი სინგისა და ომ პრაშაკ სინგის თანაავტორობით. (Singh, M., Singh,P.O. , 2013)

წიგნში გაანალიზებულია მედიისა და სასამართლოს ურთიერთობის ურთულესი პროცესი. სახელმძღვანელოში მედია წარმოდგენილია, როგორც საზოგადოების უპირველესი მეთვალყურე; სასამართლო ხელისუფლება კი, როგორც ადამიანთა უმთავრესი დამცველი ნებისმიერი სახის უსამართლობისაგან. ავტორთა აზრით, დემოკრატიულ გარემოში ორივე ინსტიტუტი მუშაობს ადამიანთა უფლებების მხარდასაჭერად; გაანალიზებულია, რომ მედია და სასამართლო განუყოფელი ინსტიტუტებია იმ განვითარებულ სახელმწიფოებში, სადაც ადამიანთა უფლებები პრიორიტეტულია.

მედიის პროფესიულ საქმიანობასთან აქტიურადაა დაკავშირებული მედიასამართალი. მათი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას გამოიკვეთა, რომ აუცილებელია, დამკვიდრდეს და მოწესრიგდეს სამართლებრივი რეგულირების ნორმები. ამ საკითხთან მიმართებაში თამარ ალფაიძე თავის სახელმძღვანელოში ,,მედია სამართალი“ აღნიშნავს, რომ ,,მედია საშუალებების მოღვაწეობის პროცესში წარმოშობილ

საზოგადოებრივ ურთიერთობათა არსი და თავისებურებანი აუცილებლად მოითხოვენ სამართლებრივ რეგულირებას, რამაც განაპირობა სამართლის ახალი კომპლექსური დარგის - მედია სამართლის წარმოშობა. მედია სამართალში იურისპრუდენცია და ჟურნალისტიკა მჭიდროდ გადაეჯაჭვა ერთმანეთს, შეავსეს ერთმანეთი და შექმნეს სამართლებრივ ნორმათა მწყობრი სისტემა. მედია სამართალი შეიძლება დავახასიათოთ როგორც კანონმდებლობის და სამართლის დარგი, როგორც მეცნიერება და სასწავლო დისციპლინა“. (ალფაიძე, 2008)

მედიის დეფინიციასა და მისი საქმიანობის მნიშვნელოვან ასპექტებს ეხება ავტორთა ჯგუფის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო, სახელწოდებით - ,,მედიასამართალი“. ეს შედარებით ახალი გამოცემაა და დღემდე სხვა თანამედროვე ლიტერატურა მედიასამართლის მიმართულებით არ გვხვდება. ავტორები მიიჩნევენ, რომ ,,მედიასამართალი, როგორც სამართლის დარგი, ინტერდისციპლინურ დარგად უნდა იქნეს მიჩნეული“ და ,,მედია სამართლის ძირითად პრინციპებზე საუბრისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნეს მის მთავარ როლზე თანამედროვე, ყოველდღიურ ცხოვრებაში. მედიასამართლის უმთავრესი პრინციპების მხოლოდ ჩამოთვლა არ შეიძლება აღნიშნული სფეროს სრულყოფილად დახასიათების წინაპირობა გახდეს. პრინციპებში მოიაზრება როგორც მედია საშუალების მიერ საქმიანობის განხორციელების სამართლებრივ დონეზე მოწესრიგება, ისე - მისი ფუნქციონირების მნიშვნელობა დემოკრატიულ სახელმწიფოში“. (ჯორბენაძე, 2014)

თვალსაჩინოებისათვის ასევე წარმოგიდგენთ ერთ ქართულ და ორ უცხოენოვან სტატიას, რომელთა განხილვა და პარალელების გავლება ქართულ რეალობასთან ძალიან საინტერესო სინთეზს მოგვცემს.

საყურადღებოა, სამართლის დოქტორის, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორის, თამარ ლალიაშვილის სტატია: ,,სასამართლოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობა და მისი უზრუნველყოფა“. (ლალიაშვილი თ., 2021) სტატია მიზნად ისახავს მკითხველს გააცნოს სასამართლოს

დამოუკიდებლობის ორი სახე: სასამართლოს ინსტიტუციური და ინდივიდუალური დამოუკიდებლობა, მათი ურთიერთმიმართება, სასამართლოს, როგორც ინსტიტუციური, ასევე ინდივიდუალური დამოუკიდებლობის დღეს არსებული პრობლემატური საკითხები და შესთავაზოს მათი გადაჭრის გზები. დამოუკიდებლობა ნიშნავს არა მხოლოდ პროფესიული, ღირებულებითი შეხედულებების სისტემას სასამართლო ფუნქციების განხორციელებისას, არამედ, აგრეთვე, ხელისუფლების სხვა შტოებთან, განსაკუთრებით, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებით გარკვეულ სტატუსს, რომელიც ობიექტურ პირობებსა თუ გარანტიებზეა დამყარებული.

განსაკუთრებულად საყურადღებოა სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხი საზოგადოებასთან მიმართებაში. სასამართლოს განაჩენები შეიძლება გაკრიტიკდეს. პროცესის დროს მედიის მიერ განხორციელებული კრიტიკა მიმდინარე პროცესზე დასაშვებია, მაგრამ, ამასთანავე კანონით უნდა იქნეს დაცული სასამართლოს დამოუკიდებლობა როგორც მედიის, ასევე დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოების ნაწილის ზემოქმედებისაგან.

კანონის უზენაესობის დამკვიდრების მთავარ კრიტერიუმს კი წარმოადგენს არა მხოლოდ ის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა, არამედ სასამართლო ასევე უნდა წარმოჩნდეს დამოუკიდებლად, რათა მოიპოვოს და განამტკიცოს საზოგადოების ნდობა.

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, ავტორი სწორად წარმოაჩენს სტატიის ძირითად ასპექტებს, რაც ნაშრომის ძლიერ მხარედ უნდა ჩაითვალოს. პუბლიკაცია სადისერტაციო ნაშრომისთვის მისაღებია, ვინაიდან როგორც ინსტიტუტის - სასამართლოს, ისე პროფესიის - მოსამართლის დამოუკიდებლობის საკითხი სახელმწიფოს უმთავრესი ფუნდამენტია, რაც კავშირშია ეთიკასთან და მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელების პრინციპებთან.

სტატიაში ''Media Ethics and Media Law: The Transformation of Moral Obligation into Legal Principle" (Drechsel, 2012) განსაკუთრებით საყურადღებოა სტატიის პირველი თავი, სადაც მიმოხილულია საზღვარგარეთული სასამართლოს პრაქტიკა და საინტერესო სასამართლო დავები. რა შემთხვევაში შეიძლება დაარღვიოს ესა თუ ის კანონი ჟურნალისტმა და რა ითვლება დარღვევად მათ პრაქტიკულ საქმიანობაში. ეს სრულიად განსხვავებული მიდგომებია და ძალიან საინტერესო იქნება პარალელების გავლება საქართველოსთან მიმართებაში. ავტორის აზრით, მთავარია პრესამ ტოლერანტულობასთან მიახლოებულად მიიღოს ეთიკური საჯარო სტანდარტი და სცადოს მისი პრაქტიკაში გამოყენება. სტატიაში მოყვანილია აშშ უზანესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთ-ერთ საქმეზე, სადაც ჟურნალისტმა დაარღვია კანონი, რომელიც წყაროს კონფიდენციალურობის დაცვას ეხებოდა და რითაც არ შეასრულა მისი გაუთქმელობის დაპირება. სასამართლომ თავად დააკისრა ჟურნალისტს პასუხისმგებლობა კანონსა და ეთიკას შორის საზღვრების დარღვევაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ჟურნალისტს ეკისრება მნიშვნელოვანი ვალდებულება და მისი ჯეროვნად შესრულება, რადგან დიდია, თავად საზოგადოების მხრიდანაც, მედიის მიმართ მოლოდინი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ჟურნალისტებმა არ უნდა დაარღვიონ ელემენტარული მორალური შეხედულებები.

გერმანელი ავტორი სტატიისა ,,მედიაეთიკა და მედიის ხარისხი" (Schicha, 2003) ერთ ქვეთავში საუბრობს იმ ნორმატიულ მოთხოვნებზე, რაც დადგენილი აქვთ გერმანელ ჟურნალისტებს თავიანთ საქმიანობაში. ნაშრომი უფრო მეცნიერული ხასიათისაა, რომელშიც ასევე საუბარია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ინდივიდუალურ ეთიკას, ასევე საჯარო და ინსტიტუციურ ეთიკას. მკვლევარი მომოიხილავს მედიაეთიკის საფეხურებს გერმანიის მაგალითზე და აღნიშნავს, რომ აუცილებელია, თითოეულმა მათგანმა დაიცვას მედიაეთიკის ხარისხის კრიტერიუმები, რომლებიც შემუშავებულია გერმანიის პრესის საბჭოს მიერ. გარდა ამისა,

ირკვევა, რომ იმაზე ორიენტირება, რომ ჟურნალსტმა დაიცვას ეთიკის იდეალური სტანდარტები, გერმანიის პრაქტიკაში თითქმის შეუძლებელი ყოფილა, რადგან იდეალურ და პრაქტიკულ ნორმებს შორის თანხმობის მიღწევა თითქმის ყველა მათგანისათვის დიდ სირთულეს წარმოადგენს. გერმანული მაგალითის მიხედვით, შესაძლოა, პარალელები მოიძებნოს საქართველოში დღეისთვის არსებულ მედიაგარემოსთან, თუ რამდენად იცავენ ჟურნალისტები მედიაეთიკის სტანდარტებს და რა ხარისხით მიეწოდება ინფორმაციები საზოგადოებას.

როდესაც ვსაუბრობთ იურიდიული პროფესიების შესახებ, ამ მხრივ, აუცილებლად უნდა დასახელდეს ავტორთა ჯგუფის მიერ საქართველოში დაბეჭდილი უახლესი გამოცემა სახელწოდებით ,,იურიდიული ეთიკა“. აქ განსაკუთრებით საინტერესოა წიგნის მეორე კარი, სადაც საუბარია მოსამართლეთა პროფესიული ეთიკის შესახებ. როგორც მედიამ, ისე საზოგადოებამ კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ ,,დამოუკიდებელი სასამართლოს/მოსამართლეების გარეშე შეუძლებელია, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სათანადოდ უზრუნველყოფა. ამიტომ, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა არის არა თვითმიზანი ან კონკრეტული მოსამართლის პრივილეგია, არამედ, იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საჯარო ინტერესს - მოსამართლეებს მიეცეთ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განსაზღვრისა და დაცვის ფუნქციის ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობა“. (ავტორთა ჯგუფი, 2021) და კიდევ, უნდა იცოდნენ ასევე, რომ ,,მოსამართლის შინაგანი თავისუფლება - ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობა - ეს არის ქვაკუთხედი, რომელზეც დგას მართლმსაჯულება და ყველა სხვა სუბიექტი უნდა მოერიდოს ისეთ საკითხებთან შეხებას, რომელიც შეიძლება, თუნდაც მოჩვენებით, დაკავშირებული უნდა იყოს მოსამართლის შინაგანი დამოუკიდებლობის შეზღუდვასთან“. (ავტორთა ჯგუფი, 2021)

როგორც ვნახეთ, უცხოელი და ქართველი მედია მკვლევრების თვალსაზრისები მედიაეთიკის სტანდარტებთან დაკავშირებით

განსხვავებულია, თუმცა ყველა თანხმდება იმაზე, რომ მედიამ, აუცილებლად, ეთიკურად და პროფესიული პასუხისმგებლობით უნდა გააშუქოს საზოგადოებისათვის საინტერესო და აქტუალური მოვლენები.

ქართველი მკვლევრების აზრი უცხოელი კოლეგებისგან განსხვავებულია, რადგან ასახავს ქართული რეალობის ძალიან მტკივნეულ და სენსიტიურ მიდგომას მედიაეთიკის საკითხისადმი. შესაბამისად, საქართველოში, ამ მხრივ, კიდევ ბევრია სამუშაო და დასახვეწია ეთიკური ნორმები, სტანდარტები და რეგულაციები.

მიუხედავად იმისა, რომ თავად სიტყვა ,,ეთიკა" ეტიმოლოგიურადაც ქცევასთან ასოცირდება, ქცევა - ინდივიდუალურობასთან, ინდივიდუალურობა კი კონკრეტულ სიტუაციაში, შესაბამისად მოქცევას, ერთგვარად დაუწერელ კანონადაც მოიაზრება, ეს არ უნდა აძლევდეს ჟურნალისტს იმის უფლებას, რომ მოიქცეს ეთიკური ნორმების დარღვევით.

კვლევის თეორიული საფუძვლები

მედია განსაკუთრებულ გავლენას ახდენს საზოგადოების ცნობიერებასა და ქცევაზე. ეს პროცესი ასახულია მედიის თეორიებშიც. განვიხილოთ ჩვენი ნაშრომისთვის რელევანტური თეორიული საფუძვლები.

ვინაიდან ნაშრომი ორ მიმართულებას მოიცავს, ამიტომ კვლევის მეთოდები მრავალფეროვანია.

სოციალურ-კოგნიტური თეორია

სოციალურ-კოგნიტური თეორია (cognitio - ლათინ. ცოდნა, შემეცნება), რომელსაც საფუძველი ამერიკელმა ფსიქოლოგმა და სოციოლოგმა ალბერტ ბანდურამ ჩაუყარა, მედიაზემოქმედების სხვა თეორიების ბაზის თეორიას წარმოადგენს. ავტორი ცნობილია მის მიერ გამოცემული წიგნით, სახელწოდებით ,,ქცევის მოდიფიკაციის პრინციპები",

რომელიც 1979 წლისათვის 1215 ნაშრომში იყო ციტირებული და რიც გამოც ,,ციტირების კლასიკად“ მიიჩნიეს. სოციალური დასწავლის იგივე სოციალური კოგნიტივიზმის თეორია ხსნის ქცევას სამმაგი ურთიერთქმედების პროცესის, კერძოდ, კოგნიტური ფაქტორების, ქცევითი ფაქტორების და გარემო ფაქტორების პროცესის შესწავლით.

სოციალურ-კოგნიტური თეორიის ძირითადი ელემენტებია – დასწავლა დაკვირვების მეშვეობით და მოდელირება. პიროვნებას შეუძლია, დაისწავლოს სხვა ინდივიდის ქმედება და მათზე დაკვირვებით შედეგებზე ორიენტირება, ხოლო მოდელირება მოიცავს ქცევის უკვე ათვისებული მოდელების დამახსოვრებასა და განმეორებას.

თეორიის მიხედვით, სწავლა განვითარებასთან ერთად ეფუძნება არა მხოლოდ პირადი გამოცდილების შეძენის პროცესს, არამედ, უმეტესად, სხვა ადამიანთა ქცევაზე დაკვირვებასა და მოდელირებას. ეს უნარი ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას სხვების მაგალითზე განჭვრიტონ ქცევის შესაძლო შედეგები, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასასურველი შეცდომები. ადამიანს, რომელსაც აკვირდებიან, მოდელს უწოდებენ, ხოლო მოდელზე დაკვირვების გზით ადამიანის მიერ გარკვეული მოქმედებების ან ქცევის ათვისების პროცესს - მოდელირებას. მოდელირების თეორიის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს განსხვავება ათვისებასა და შესრულებას შორის.

დაკვირვების შედეგად, ხდება ახალი გამოცდილების შეძენა, მაგრამ მისი ქცევაში რეალიზაციის ალბათობა იზრდება მაშინ, როცა ეს ქცევა წახალისებულია. მიუხედავად იმისა, რომ სწავლა დაკვირვების გზით, ძალიან ძლიერ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ავტომატურად ხდება და ჩვენ გვაქვს ვალდებულება ბრმად მივბაძოთ სხვა ადამიანებს.

კულტივაციის ჰიპოთეზა

იმ მაყურებლებისათვის, რომლებიც ხშირად უყურებენ ტელევიზორს, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, მათთვის სამყაროს აღქმა ეკრანზე ნანახი რეალობის მოდელთანაა დაახლოებული. ტელევიზიის სიმბოლური სამყარო რეალობისაგან ძალიან განსხვავებულია და ამ საკითხის შესწავლას მეცნიერები უკვე განსაკუთრებული ინტერესით უდგებიან. სატელევიზიო ინფორმაციის ხანგრძლივი დოზით მომხმარებლები ტელეეკრანიდან მოწოდებული ,,სინამდვილის“ ,,ფორმის კულტივირებას ახდენენ“. (ავტორთა ჯგუფი, 2017)

კულტივაციის ჰიპოთეზის მიხედვით, ,,ტელეგადაცემების ყურებისას ხდება სხვადასხვა კატეგორიის უნიფიკაცია, რამდენადაც ყველა იღებს ერთი ტიპის სტრუქტურირებულ ინფორმაციას. ამ საერთო სტრუქტურული მოდელების ხანგრძლივი ზემოქმედება იწვევს მოვლენას, რომელსაც მეცნიერებმა უწოდეს მეინსტრიმინგი (გაბატონებული ტენდენცია). მეინსტრიმინგის კონცეფციით ივარაუდება, რომ ცალკეულ კულტურათა ფარგლებში არსებობს რწმენების, შეხედულებების, ღირებულებებისა და ჩვეულებების დომინანტური კომპლექსები და ტელეგადაცემათა უმრავლესობა წარმოაჩენს და ინახავს ამ ღირებულებებს“ . (ავტორთა ჯგუფი, 2017)

ინოვაციათა დიფუზიის თეორია

მასობრივი კომუნიკაციის სფეროს ასევე მიეკუთვნება ინოვაციათა დიფუზიის (diffusion - ლათინ. გავრცელება, გადინება, გაფანტვა) თეორია, რომელიც ემყარება ფრანგი მეცნიერის გაბრიელ ტარდის თეორიულ ნაშრომებს. მან 1903 წელს ჩამოაყალიბა ინოვაციათა მიღების კანონზომიერების ამსახველი კონცეფცია და შემოიღო საზოგადოებრივი აზრის ლიდერობის ცნება. ამ თეორიის შესაბამისად, ინოვაცია საზოგადოებაში გადაიცემა განსაზღვრული მოდელის მიხედვით.

გადაცემისა და აღქმის თავისებურებებიდან გამომდინარე, გამოკვეთილია ადამიანთა ხუთი კატეგორია: ნოვატორები (რომლებიც პირველები არიან ინოვაციის აღქმის პროცესში), ადრეული მიმდევრები (რომლებიც ინოვაციას ნოვატორების პარალელურად აღიქვამენ), ადრეული უმრავლესობა (პირველი მასობრივი ჯგუფი), გვიანი უმრავლესობა (ფრთხილები და სკეპტიკოსები, რომლებიც ელოდებიან, თუ როდის მიიღებს ინოვაციას საზოგადოების უმრავლესობა) და ჩამორჩენილები (რომლებიც სულ ბოლოს სახელდებიან მიმღებებად). აქედან განსაკუთრებით ჭარბობს მიმდევრების ჯგუფის რაოდენობა. ინოვაციათა დიფუზიის მთელი პროცესი ოთხი საკვანძო ეტაპისაგან შედგება: ინოვაციის გაცნობა, ინოვაციის ღირსებებში დარწმუნება და შეფასება, ინოვაციის მიღება-არმიღების გადაწყვეტილება და მიღებულ გადაწყვეტილებათა მართებულობის დამტკიცება.

გამოყენების და კმაყოფილების თეორია

ამ თეორიის თანახმად, აუდიტორიის წევრთა შორის განასხვავებენ მედიის ინფორმაციის ინდივიდუალურ მოხმარებასა და მასზე ინდივიდუალურ რეაქციას. ასევე ეს თეორია განიხილავს მედიამომხმარებლის მოტივებსა და ქცევებს, თუ როგორ და რა მიზნით იყენებენ ისინი მედიას. მომხმარებლები, თავიანთი ინდივიდუალური სურვილების დასაკმაყოფილებლად, აქტიურად იყენებენ მათთვის საინტერესო და მისაღებ სატელევიზიო არხებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თეორიასთან დაკავშირებული კვლევის ცალკეული დებულებები და პრინციპები, ინდივიდუალიზებულობის გამო, კრიტიკის საგნადაც კი იქცა, რადგან მათი განზოგადება ძნელი იყო.

დარწმუნების ეფექტი

დარწმუნების, როგორც მედიის ზემოქმედების შესწავლა, პოლიტოლოგ ჰაროლდ ლასუელის სახელთანაა დაკავშირებული. მან აღმოაჩინა, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს პროპაგანდის ზეგავლენის ქვეშ მოექცა აუდიტორია, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს გამოარკვია, რომ ზეგავლენის ეფექტი დამოკიდებული იყო ბევრ ფაქტორზე, რომელთაც შეეძლოთ მისი შესუსტება. ,,აღმოჩნდა, რომ დარწმუნების წარმატებული პროცესი მოიცავს სამ ეტაპს: 1. მომხმარებლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ შესაბამის მედიაგზავნილს; 2. მომხმარებლებმა უნდა გაიგონ გზავნილის შინაარსი; 3. მომხმარებლები უნდა დაეთანხმონ გზავნილის შინაარსს". (ავტორთა ჯგუფი, 2017)

დარწმუნების თეორია განსაზღვრავს, თუ როგორია ალბათობა იმისა, როდესაც ადამიანები იყენებენ კოგნიტურ პროცესებს მიწოდებული ინფორმაციისა და შეტყობინების დეტალურობას გადამუშავების დროს. დარწმუნების ეს მოდელი ერთმანეთისაგან განასხვავებს ცენტრალურ და პერიფერიულ პროცესებს. ცენტრალური პროცესის შედეგად ადამიანები ზედმიწევნით იაზრებენ დამარწმუნებელი კომუნიკაციის პროცესში მიწოდებული ინფორმაციის სემანტიკურ შინაარსს, ხოლო დამოკიდებულებებს იცვლიან მიწოდებული არგუმენტების სიძლიერის მიხედვით. ამის საპირისპიროს წარმოადგენს პერიფერიული პროცესები, სადაც ადამიანები სერიოზულად არ ეკიდებიან შეტყობინებას და რეაგირებენ მხოლოდ სიტუაციის ზედაპირულ მანიშნებლებზე (მაგალითად, როგორიცაა ინფორმაციის წყაროს ფიზიკური მომხიბვლელობა ანდა დამოკიდებულებების შეცვლა მხოლოდ მეგობრის გავლენის გამო). არგუმენტის დამაჯერებლობის თვალსაზრისით, ყურადღება უნდა მიექცეს ინფორმაციის წყაროს სანდოობას, ზემოქმედების სახეს, არგუმენტების თანმიმდევრულობას, ასევე აუდიტორიის წარმომადგენელთა ინდივიდუალურ პიროვნულ თვისებებს.

ერთ-ერთი პირველი, ვინც მედიის ზემოქმედების შესწავლა დაიწყო და შემოიღო ცნებები – ორსაფეხურიანი კომუნიკაცია და აზრის ლიდერი, იყო ამერიკელი სოციოლოგი პოლ ლაზარსფელდი. მან დაწმუნების პროცესი გადმოსცა ინფორმაციის არაპირდაპირი ზემოქმედების მოდელის საშუალებით, როდესაც მედია ახდენს ზეგავლენას აზრის ლიდერებზე, ხოლო ისინი კი პიროვნებებს შორის კომუნიკაციის საფუძველზე, გავლენას ახდენენ საზოგადოების სხვა წევრებზე. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მკვლევრების აზრით, დარწმუნება ერთ-ერთ ყველაზე რთულ პროცესს წარმოადგენს.

სამართლის მიმართულებით რელევანტური თეორიები:

ნორმატიული თეორია

იგი დაკავშირებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფუქნციონირების შესწავლასთან ან რეკომენდაციების გაცემასთან, როცა საჭირო ხდება განსაზღვრული სოციალური ღირებულებების დაცვა ან მიღწევა. ასეთი თეორია, ძირითადად, მომდინარეობს მოცემული საზოგადოების ფართო სოციალური ფილოსოფიიდან ან იდეოლოგიიდან. ამ სახის თეორია მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ის განსაზღვრულ როლს ასრულებს მედიაინსტიტუციების ფორმირებასა და, ამასთანავე, ლეგიტიმაციაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიმართ მოლოდინებზე, რომლებიც მედიის მიმართ სხვა სოციალურ აქტორებს და საკუთრივ მედიის აუდიტორიას აქვს. მედიის სფეროში შესრულებული კვლევების დიდი ნაწილი სტიმულირებული იყო მედიის ფუნქციონირების სოციალური და კულტურული ნორმების გამოყენების სურვილით. საზოგადეობის ნორმატიული თეორიები, მედიასთან მიმართებაში, ასახულია მათ კანონებში, წესებში, მედიის პოლიტიკაში, ეთიკის კოდექსებში და საზოგადოებრივი დისკუსიების

შინაარსში. თუმცა მედიის ნორმატიული თეორია, თავისთავად, არ არის „ობიექტური“, მისი შესწავლა სოციალური მეცნიერებების კვლევის „ობიექტური“ მეთოდებით არის შესაძლებელი. (McQuail, 1992)

ოპერაციული თეორია

მედიის შესახებ სწავლების ნაირსახეობა შეიძლება აღვწეროთ როგორც ოპერაციული თეორია, რადგანაც იგი შეეხება და შეისწავლის პრაქტიკულ იდეებს, რომლებიც ერთადაა თავმოყრილი და გამოყენებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფუნქციონირების დროს. ანალოგიური პრაქტიკული სიბრძნე ძალიან ბევრ ორგანიზაციულ და პროფესიულ სტრუქტურას აქვს. მედიის შემთხვევაში, ეს თეორია ემსახურება ფუნდამენტური ამოცანების გადაწყვეტას, კერძოდ, როგორ უნდა შეირჩეს ახალი ამბავი, როგორ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია აუდიტორიას, როგორ უნდა ჩაეტიოს იმ ფარგლებში, რომელსაც მას საზოგადოება უწესებს და ეფექტურად შეარჩიოს საზოგადოებასთან და წყაროებთან ურთიერთობის ხერხები. ზოგიერთ შემთხვევაში, ოპერაციული თეორია კვეთს ნორმატიულ თეორიას, მაგალითად, ჟურნალისტური ეთიკისა და პრაქტიკული კოდექსების შემთხვევაში. ამგვარი ცოდნა იმსახურებს თეორიის სახელწოდებას, რადგანაც იგი, როგორც წესი, ორგანიზებული და თანმიმდევრულია მაშინაც კი, როცა იგი იშვიათად არის კოდირებული, მაინც გავლენიან ფაქტორად მიიჩნევა ქცევაზე ზემოქმედების თვალსაზრისით. იგი პირველად გამოჩნდა კვლევებში კომუნიკატორებისა და მათი ორგანიზაციების შესახებ (მაგ., ელიოტის, Elliott, 1972; თაჩმენის, Tuchman, 1978; თანსტოლის, Tunstall, 1993). კაცმა (Katz (1977)) მედიაპროდუქციის მკვლევრის როლი შეადარა მუსიკის თეორეტიკოსის ან მეცნიერების ფილოსოფოსის როლს, რომელსაც ისეთი კანონზომიერებების დანახვა შეუძლია, რომელთა ცოდნაც მუსიკოსს თუ მეცნიერს არც კი სჭირდება.

საღი აზრის თეორია

არსებობს მედიის მოხმარების ყოველდღიური, იგივე საღი აზრის თეორია, რომელიც ასახავს იმ ცოდნას, რომელიც თითოეულ ჩვენგანს დაუგროვდა მედიასთან ურთიერთობის საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ეს თეორია საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ, რა ხდება ჩვენს ირგვლივ; მოვარგოთ ინფორმაციის ესა თუ ის საშუალება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას; გავიგოთ, როგორ სურდა მედიაშინაარსის შემქმნელს „წაგვეკითხა“ მისი შეტყობინება და როგორ გვსურს ჩვენ მისი წაკითხვა. იცოდეთ, რა განსხვავებაა ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებს შორის, სხვადასხვა მედიაჟანრებს შორის და კიდევ ბევრი სხვა რამ. ამგვარ „თეორიას“ საფუძვლად უდევს უნარი, გავაკეთოთ თანმიმდევრული არჩევანი, გამოვიმუშაოთ და დავხვეწოთ გემოვნება, შევიქმნათ ცხოვრების სტილი და იდენტობები როგორც მედიის მომხმარებლებმა. ის ასევე ხელს უწყობს კრიტიკულ ანალიზსა და განსჯას. ყველაფერი ეს კი, თავის მხრივ, აყალიბებს წარმოდგენას იმის შესახებ, სინამდვილეში რას სთავაზობს მედია თავის აუდიტორიას და როგორ აწესებს იგი მიმართულებებისა და შეზღუდვების მთელ არეალს მედიის მიერ გავლენის მოსაპოვებლად. მაგალითად, ეს შესაძლებლობას გვაძლევს, გავარჩიოთ „რეალობა“ და „გამონაგონი“, წავიკითხოთ სტრიქონებს შორის ან დავინახოთ, რა იმალება რეკლამის და სხვა სახის პროპაგანდის დამარწმუნებელი მიზნებისა და ტექნიკის მიღმა; წინააღმდეგობა გავუწიოთ ბევრ პოტენციურად საზიანო იმპულსს, რომლითაც, როგორც ამბობენ, მედია პროვოცირებს. საღი აზრის თეორიის ქმედითობა შეიძლება დავინახოთ მედიის გამოყენების ნორმებში, რომელთაც ბევრი აღიარებს და იყენებს. მასმედიის მიერ შემენილი სოციალური განმარტებები არც თეორეტიკოსთა ნააზრევიდან მომდინარეობს, არც კანონმდებლობიდან და არც თავად მედიის პროდიუსერებზეა დამოკიდებული. ისინი წარმოიშობა აუდიტორიების გამოცდილებიდან და პრაქტიკიდან დროთა განმავლობაში. მედიის

ისტორია და მისი სამომავლო პერსპექტივა უფრო მეტად არის დამოკიდებული თეორიის ამ არცთუ მკაფიო განშტოებაზე, ვიდრე სხვა ნებისმიერზე.

სამართლიანობის თეორია

არისტოტელეს, პლატონის მოსწავლეს, პედაგოგის მსგავსად სჯეროდა, რომ საგნის არსი ზოგადში, ფორმაში ჩანს. არისტოტელეს მიხედვით, პლატონისაგან განსხვავებით, ზოგადის დანახვა უნდა მოხდეს არა საგანს მიღმა, არამედ თავად საგანში. გონება საგანს შეიცნობს ინდივიდუალურად, პერსონიფიცირებული აღქმის საშუალებით, გონებაში არაფერი მოიპოვება ისეთი, რაც მანამდე არ შეგვიგრძვნია. შემეცნების ამ თეორიაში ცენტრალურ ადგილს იკავებს არა აბსოლუტიზირებული იდეა, არამედ ცალკეული საგნის აღმქმელი სუბიექტი.

არისტოტელე ადამიანს აღიქვამდა საზოგადოების ნაწილად. სწორედ აქედან გამომდინარე მან ჩამოაყალიბა გონებაზე დაფუძნებული სათნოების მოძღვრება: სათნოება მას მიაჩნდა ბუნებით სამართლიან ქმედებად, რომელიც მიმართულია ადამიანის, როგორც საზოგადოების ნაწილის სრულყოფისაკენ (და არა აბსოლუტიზირებული იდეის განხორციელებისაკენ, როგორც ამას პლატონი ასწავლიდა, ასევე არც ინდივიდის განხორციელებისაკენ, როგორც ეს თანამედროვე მიდგომებშია).

სახელმწიფო განისაზღვრება ადამიანითა და ზომიერებით და აგებულია მოქალაქეთა ერთობით, რომელიც ეყრდნობა ადამიანის სოციალურ ბუნებას. ასევე ემსახურება არსებობისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფას და ადამიანთა ზნეობრივ ცხოვრებას. იგი ფორმირდება პოზიტიური სამართლით, რომელსაც ყოველი პოლისი თავად ადგენს, ამიტომ ყოველი პოლისი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. დაუწერელი სამართლით კი ვალდებულების მატარებელია სინდისი. როგორც დაწერილი, ისე დაუწერელი სამართალი ეფუძნება ბუნებას, რადგან

თავისუფალთა და თანასწორთა ინდივიდუალური პოლისიც ბუნებითი ხასიათისაა. პოლისის შიგნით სამართალი აწესრიგებს ურთიერთობებს მოქალაქეთა შორის, ასევე მოქალაქეთა და საზოგადოებას შორის. მისი მთავარი საზომი სამართლიანობაა. ეს არის ადამიანთაშორისი ურთიერთობების სათნოებაც. სამართლიანი ადამიანი მოქმედებს თანასწორობის იდეით, იგი ამ იდეის მატარებელიც და გამზიარებელიცაა. განსხვავდება სამართლიანობის ორი ფორმა: ცალკეულ მოქალაქეთა შორის მთავარია მიმოცვლითი სამართლიანობა, სადაც ვალდებულების შესრულება საპასუხო შესრულებას უნდა შეესაბამებოდეს, ზიანის ანაზღაურება – ზიანს. ამის საწინააღმდეგოა განაწილებითი სამართლიანობა. იგი მხედველობაში იღებს ერთიან საზოგადოებას და მოითხოვს ყველასთვის თანაზომიერ წილს, მაგრამ გეომეტრიულად. იგი ყველას ანიჭებს იმას, რაც მისთვის აუცილებელია საჭიროებებიდან გამომდინარე.

ნორმატივიზმის თეორია

იძლევა კანონმდებლობის სისტემის შექმნისა და სრულყოფის საშუალებას; უზრუნველყოფს კანონიერების განსაზღვრულ რეჟიმს; ხელს უწყობს სამართალზე, მოქალაქეთა მართლშეგნების ფორმალურ-ლოგიკურ საფუძველზე, ,,ნორმატიული“ წარმოდგენის ფორმირებას; უზრუნველყოფს სამართლის ფორმალურ განსაზღვრას, რაც აფიქსირებს სუბიექტების უფლებებსა და მოვალეობებს, სახელმწიფო იძულების ზომებსა და საშუალებებს.

ნორმატივიზმის თეორია იგივე სამართლის ,,წმინდა“ თეორიაა, რომლის დამაარსებელია ავსტრიელი სამართლის ფილოსოფოსი ჰანს კელზენი. კელზენის მიხედვით, იურიდიული მეცნიერების ,,სიწმინდე“ მისგან იდეოლოგიური ასპექტების გამორიცხვას ნიშნავს. თეორიის შესწავლის საგანს კი წარმოადგენს საკანონმდებლო ნორმები, მათი ელემენტები, მათი ურთიერთდამოკიდებულება, მართლწესრიგი, მისი

სტრუქტურა. თეორიის მიზანია, პირველ რიგში, მოსამართლე და შემდგომ ყველა იურისტი ,,აღჭურვოს“ საკუთარი ქვეყნის პოზიტიური სამართლის გაგებითა და აღწერილობით. ასეთი თეორია თავის ცნებებს გამოიმუშავებს მხოლოდ პოზიტიური საკანონმდებლო ნორმების შინაარსიდან გამომდინარე. კელზენი მკვეთრად უპირისპირებს ერთმანეთს არსობისა და ჯერარსობის მეცნიერებებს. მისი თქმით, ,,სამართალი არის ადამიანთა ურთიერთობის ნორმატიული წესი, ე.ი. ადამიანის ქცევის მარეგულირებელი ნორმების სისტემა“. (დავითაშვილი, 2015)

ნორმატივიზმის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი მტკიცებით, სამართალი მიეკუთვნება არა ,,არსობის“, არამედ ,,ჯერარსობის“ სფეროს, ე.ი სამართალი ის კი არ არის, რაც არსებობს, არამედ ის, რაც უნდა არსებობდეს. ,,არსობა“ და ,,ჯერარსობა“ ორი განსხვავებული ცნებაა და მათ შორის დამოკიდებულება ყოველთვის ერთნაირი არ არის. მსჯელობა ,,არის“ და ,,უნდა იყოს“ ერთმანეთს გამორიცხავს.

კელზენი მიიჩნევს, რომ ბუნებითი კანონები გამოხატავს რეალობას, იმას რაც არის, იურიდიული ნორმები კი მხოლოდ იმას გამოხატავს, რაც უნდა იყოს. ნორმატივიზმის მეცნიერული მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ სამართლის პირველ ელემენტად აღიარებულია ნორმა. სამართალი წარმოადგენს არამარტო ნორმას, წარმოადგენს აგრეთვე გარკვეულ ღირებულებას. სამართალი წარმოადგენს ღირებულებას სწორედ იმიტომ, რომ ის არის ნორმა - ასეთია ნორმატივიზმის ფორმულა. რეალურ ასპექტში ეს არის ,,წმინდა“ და ცარიელი ფორმა სავალდებულო ქცევისა, რომელსაც გააჩნია იმპერატიულ-მბრძანებლური სტატუსი და თვითნებური პოზიტიურ-სამართლებრივი შინაარსი.

არგუმენტაციის თეორია

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თანამედროვე თეორიაა, რომელსაც იყენებენ პრაქტიკოსი იურისტები და რომელიც აყალიბებს

განსხვავებულ მიმართულებებს, როგორებიცაა: ლოგიკური დასაბუთების (მტკიცების) თეორია, რაციონალური დისკურსი, რიტორიკული თეორია და სხვა. ამიტომაც არ არის იგი ერთგვაროვანი მიმდინარეობა. თეორია, ძირითადად, გავრცელებულია გერმანულენოვან ქვეყნებში, საფუძველი არისტოტელემ ჩაუყარა, ხოლო თანამედროვეობაში თეორია უკავშირდება შტეფან ტოლმინის და პერელმანის სახელს. ,,იურიდიული არგუმენტაციის უმნიშვნელოვანესი თეორიებია ნილ მაკკორმიკის იურიდიულ გადაწყვეტილებათა დასაბუთების თეორია, ალექსანდრე პეჩენიკის ტრანსფორმაციის თეორია, რობერტ ალექსის იურიდიული არგუმენტაციის პროცედურული თეორია, აარნიოს იურიდიული ინტერპრეტაციის მართლზომიერების თეორია“. (ხუბუა, 2015)

სასამართლო გადაწყვეტილება არ არის მოსამართლის თვითნებური გადაწყვეტილება - ეს არის კანონზე დაფუძნებული და ამავე დროს არგუმენტაციის საშუალებით რაციონალურად დასაბუთებადი გადაწყვეტილება, იმავდროულად, დასაბუთებულიც. ამდენად, არგუმენტაცია დასრულებულად ვერ ჩაითვლება მხოლოდ განმარტების შედეგების წარმოებით. მასში ასახული უნდა იყოს განმარტების შედეგების დასაბუთებასაც. ამიტომ არგუმენტირების საკითხს – ანუ არგუმენტაციის თეორიას – თანამედროვე იურიდიული მეთოდოლოგიისათვის დიდი მნიშვნელობა გააჩნია. კლასიკური განმარტებით, არგუმენტაციის თეორია შეეხება თავად პასუხის ძიების მომენტს. შესაბამისად, არგუმენტაცია შესაძლებელია, განიმარტოს როგორც პროცესი და როგორც შედეგი.

უტილიტარიზმის თეორია

უტილიტარიზმი, როგორც ეთიკური თეორია, არის ისეთი მსოფლმხედველობა, რომელიც მორალურად კარგსა და ცუდს განასხვავებს იმის მიხედვით, თუ რამდენად სიკეთისა და ბედნიერების მომტანია ესა თუ ის ქმედება შედეგობრივად. შესაბამისად, აღნიშნულ კონცეფციაში ყოველი

ქმედების ღირებულება განისაზღვრება შედეგით, რომელიც ასევე დაკავშირებულია გრძნობებთან.

ამ თეორიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს იერემია ბენტამმა და ჯონ სტიუარტ მილმა. ბენტამისთვის სამართლიანობა არის ,,მაქსიმალურად დიდი კეთილდღეობა მაქსიმალურად ბევრი ადამიანისთვის". უტილიტარიზმის თანახმად, საყოველთაო კეთილდღეობის იდეას ანიჭებენ უპირატესობას ინდივიდუალურ მოთხოვნილებასთან მიმართებაში. უტილიტარისტების აზრით, ადამიანი ესწრაფვის სიხარულს და ბედნიერებას. შესაბამისად, სამართლიანია ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც ამ გრძნობების ,,გამრავლებას" ემსახურება. ბედნიერი უნდა იყოს ადამიანთა უმრავლესობა, თუმცა რას გულისხმობენ ამ უმრავლესობაში დაკონკრეტებული არ არის. ადამიანისათვის მინიჭებული სიხარულის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია არა ყველანაირი სიტუაცია, არამედ ის, რომელიც უკეთეს ადამიანურ შესაძლებლობებზეა გათვლილი.

ბენტამის თეორიას აკრიტიკებდნენ კრიტიკოსები, რადგან იგი უპირისპირდება დეონტოლოგიურ ეთიკას (რომელიც მოქმედების შედეგს ამ მოქმედებების მორალური ღირებულების განმსაზღვრელ ფაქტორად არ თვლის), პრაგმატულ ეთიკას და ღირსების ეთიკას (რომელიც აქცენტს ახდენს პიროვნებაზე). უტილიტარიზმის თანახმად, საყოველთაო კეთილდღეობა ინდივიდუალურ მოთხოვნილებაზე მაღლა დგას.

უტილიტარიზმს გააჩნია თავისი დადებითი მხარე, მაგალითად, ის ფაქტი, რომ შედეგზეა ორიენტირებული, თუმცა მას, ისევე, როგორც სხვა ეთიკურ თეორიებს, გააჩნია უარყოფითი, სუსტი მხარეც, კერძოდ, შეგვიძლია მივუთითოთ იმ დამოკიდებულებაზე, თითქოსდა, შედეგები პროგნოზირებადი და განსაზღვრადია, როდესაც ეს ობიექტურად ასე არ არის. ამასთანავე, უტილიტარიზმი შესაძლოა დემოკრატიულ საზოგადოებაში საფრთხეს წარმოადგენდეს ლიბერალურ ღირებულებებთან მიმართებით, რაც გამოიხატება ინდივიდუალური უფლებების შეზღუდვაში.

სამართლის ფსიქოლოგიური თეორია

ამ თეორიის ღირსებაა, რომ თეორია ყურადღებას ამახვილებს სამართლებრივი სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს - ფსიქოლოგიურ მხარეზე. შეუძლებელია, მოამზადო და გამოსცე კანონი, საზოგადოების სამართლებრივი კულტურისა და ცნობიერების დონის შესწავლის გარეშე. არ შეიძლება კანონის გამოყენება ინდივიდის ფსიქოლოგიური თავისებურებების გაუთვალისწინებლადაც. სამართლის ფსიქოლოგიური თეორია სამართლის საფუძვლებს ეძიებს ირაციონალურ სფეროებში - გრძნობებში, ინსტიქტებში, არაცნობიერ იმპულსებში და ემოციებში, რომლებიც ამ თეორიის მიხედვით, პირველადნი არიან გონების მიმართ და წარმმართველი ადგილი უკავიათ. პოზიტიური - თუ ემოცია წარმოიშვა რაიმე ავტორიტეტის (მაგ., სახელმწიფოს) ზეგავლენით. ინტუიციური - თუ ემოცია წარმოიშვა ავტორიტეტის გარეშე და თავიდანვე არსებობდა საზოგადოებაში. არეგულირებს ადამიანის ქცევას და ამიტომ იგი არის რეალური, მოქმედი სამართალი. თეორიის ფუძემდებელია ლევ პეტრაჟიცკი. მე-20 საუკუნის დასაწყისში არა მარტო რუსულ, არამედ ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა მისი ნაშრომი ,,სამართლისა და სახელმწიფოს თეორიები ზნეობრიობის თეორიების მიმართებაში“.

სამართლის ფსიქოლოგიურ თეორიაში სამართალი გამოხატულია როგორც ფსიქიკის პროდუქტი. ის გამჯდარია თვით ადამიანის ხასიათსა და მის განცდებში. თეორიის ფუძემდებელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ეთიკურ ემოციებს - განცდებს, რომლებიც წარმოიქმნება განსაზღვრულ ქცევებზე წარმოდგენების შედეგად. ეთიკური ემოციები ადამიანთა ქცევას სავალდებულო ხასიათს ანიჭებენ. თავის მხრივ, ემოციებს ჰყოფდა ორ ჯგუფად - მორალურად და სამართლებრივად. პეტრაჟეცკის განმარტებით, სამართალი არის ეთიკური განცდები და ემოციები, რომლებიც ატარებს ატრიბუტულ ხასიათს.

კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია

სოციალური მეცნიერებებისათვის დამახასიათებელია ურთიერთკავშირი თეორიებსა და მეცნიერულ კვლევებს შორის. მეცნიერებმა სასურველია ჩაატარონ ემპირიული კვლევები, რათა შეამოწმონ ესა თუ ის თეორიული მოსაზრება, რომელთა საფუძველზე, უნდა დაიდოს შესაბამისი პროფესიული დასკვნა. ამ დასკვნების საფუძველზე კი, საზოგადოებას ექმნება სწორად ჩამოყალიბებული აზრი მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს და, ზოგადად, სახელმწიფო ინსტიტუციების შესახებ.

მიზნების და ამოცანების შესაბამისად, გამოყენებულ იქნა კვლევის სხვადასხვა მეთოდი. სოციალური კვლევის მეთოდებს მეცნიერები ყოფენ ორ ძირითად მიმართულებად: რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებად. ჩვენი ნაშრომისათვის რელევანტურია **თვისებრივი კვლევის** გამოყენება, რადგან იგი ინტერდისციპლინარულია და ფართოდ გამოიყენება თითქმის ყველა სოციალურ მეცნიერებაში. სწორედ ამ კვლევისთვის დამახასიათებელ ,,ბუნებრივ“ პირობებში მოხდა, როგორც მესამე, ისე ,,მეოთხე“ ხელისუფლების წარმომადგენლებთან სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება. ამ ინტერვიუების ჩატარებით, საშუალება მოგვეცა, დაგვენახა და აღგვეღწერა ის რეალობა, რაც სასამართლოსა და მედიის წარმომადგენლების წარმოჩენით, დღეს ყველაზე სამსჯელოა და პრობლემატურია. აქ განსაკუთრებულად გამოსაყოფია მკვლევრისათვის საჭირო და აუცილებელი ეთიკური პასუხისმგებლობის საკითხიც, რომლის გარეშე, მას და კვლევის სუბიექტებს შორის არსებული ნდობის დიდი ფაქტორით არის განპირობებული.

ინტერვიუ ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმაა. გამოყოფენ მის სამ სახეობას: სტრუქტურირებულს, ნაწილობრივ სტრუქტურირებულს და არასტურქტურირებულ ინტერვიუებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გამოყენებულ იქნა

,,სიღრმისეული ინტერვიუ“, რომელიც ინტერვიუს განსხვავებულ ტიპს წარმოადგენს და **ე.წ. ნაწილობრივ სტუქტურირებულ** სახეობას მიეკუთვნება. ამ მეთოდის წამყვან სპეციალისტად კი რობერტ ვაისს მიიჩნევენ, რომელიც თავად ამავე მეთოდს ,,თვისებრივ ინტერვიუს“ უწოდებს. (ზურაბიშვილი, 2006) გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულ იქნა ინტერვიუს ორი ფაზა: **პრეინტერვიუ** (კონტაქტის დამყარება რესპონდენტთან) და **კერძოდ ინტერვიუ** (კითხვა-პასუხის გაცვლის პროცესი ინტერვიუერსა და რესპონდენტს შორის. ასეთ დროს მკვლევრის მიერ ხდება მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება). რობერტ ვაისის თქმით: ,,იყო კარგი ინტერვიუერი, ნიშნავს იცოდე, თუ რა სახის ინფორმაციაა საჭირო კვლევისათვის და შეგწევდეს უნარი, დაეხმარო რესპონდენტს მოგვცეს ეს ინფორმაცია“. (ზურაბიშვილი, 2006) სიღრმისეული ინტერვიუს დროს გამოყენებულ იქნა **,,ღია“ შეკითხვები** (Open-ended Question), რომელშიც არ იყო მითითებული პასუხების შესაძლო ალტერნატიული პასუხები, რაც რესპონდენტების აზრის გამოხატვის თავისუფლად გადმოცემას უწყობდა ხელს.

მოსამართლეებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუს დროს გამოყენებულ იქნა ერთ-ერთი სპეციფიკური სახეობა **ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ.** მათ აღწერეს საკუთარი პრაქტიკიდან და ცხოვრებისეული მაგალითებიდან გამომდინარე ისეთი ფაქტები, რომლებზეც საუბარი იყო ჟურნალისტების მიერ მომზადებულ სიუჟეტებში. თუმცა სიღრმისეული ინტერვიუსაგან განსხვავებით, ეს უკვე **არასტრუქტურირებული ინტერვიუს** ფორმაა.

თვისებრივი კვლევისას გამოყენებულ იქნა **შინაარსის ანალიზი (კონტენტანალიზი)**. ბერდი და ბარბერი იყო ის ორი მეცნიერი, რომელთაც პირველად გამოიყენეს თვისებრივი კონტენტანალიზი პრაქტიკაში. თავიანთი არგუმენტების განსამტკიცებლად, ისინი მიმართავდნენ სხვა ავტორების ტექსტების ნაწყვეტებს, აკეთებდნენ ჩანაწერების ინტერპრეტაციას და არ იკვლევდნენ დოკუმენტებს რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით. ,,უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ,

კონტენტანალიზი წარმოადგენს მედიური და კომუნიკაციური დისკუსიის შემადგენელი ცალკეული, ვერბალური თუ არავერბალური, განსაზღვრული შინაარსის მქონე სტიმულების რაოდენობრივ და თვისობრივ ანალიზს: მათი გამოყენების სიხშირესა და გამოყენების კონტექსტს". (ტორაძე, მ., მაისაშვილი, ხ.,, 2019) მისი გამოყენება უფრო ფართოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მოხდა, მაგ პერიოდისათვის გამოცემულ გაზეთებსა და რადიოებში პროპაგანდის შესწავლის მიზნით, ხოლო 1952 წელს ბერნარდ ბერელსონის ნაშრომში ,,კონტენტანალიზი საკომუნიკაციო კვლევებში" აღინიშნა, რომ ამ ტექნიკამ მკვლევრებში დიდი აღიარება მოიპოვა.

შინაარსის ანალიზი წერილობითი მონაცემების, მათი ძირითადი შინაარსისა და მოწოდებული ცნობის - შეჯამებასა და წარდგენას გულისხმობს. უფრო ზუსტად, კონტენტანალიზი განისაზღვრება როგორც წერილობითი მონაცემების შინაარსის დეტალური ანალიზის, შესწავლისა და დასაბუთების ზუსტი და თანმიმდევრული პროცედურების ერთობლიობა. კონტენტანალიზისას ხდება მოცემული ტექსტის გაანალიზება, მოცულობის შემცირება, გარჩევა და შეჯამებული სახით წარმოდგენა. აღნიშნული ხორციელდება წინასწარ არსებული კატეგორიებისა და ტექსტზე მუშაობის პროცესში გამოკვეთილი თემების საშუალებით და მიზნად ისახავს თეორიის განზოგადებას ან შემოწმებას. ნაშრომში გამოყენებულია როგორც სატელევიზიო სიუჟეტების, ასევე ბეჭდური მედიის და სააგენტოების მიერ მოწოდებული ინფორმაციების კონტენტანალიზი.

კონტენტანალიზი მოიცავს **შერჩევის მეთოდსაც**. თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სიღრმისეული ინტერვიუებისათვის შეირჩნენ მესამე და ,,მეოთხე" ხელისუფლების წარმომადგენლები, მოსამართლეები, რომლებსაც ჟურნალისტებთან ურთიერთობის გამოცდილება ჰქონდათ, ასევე, ის ჟურნალისტები და საინფორმაციო სამსახურის წარმომადგენლები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მასალების მოპოვებასა და შემდგომ სატელევიზიო ეთერში გაშუქებაზე.

გარდა ამისა, მოხდა **საინფორმაციო წყაროების და შინაარსის შერჩევაც (სასამართლო თემატიკიდან გამომდინარე).** მოხდა **ანალიზის ერთეულის შერჩევაც** არხების სპეციფიკურობიდან გამომდინარე. ეს ერთეული კონტენტანალიზის უმცირესი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი ელემენტია. რა თქმა უნდა, აქ აქცენტი სამართალზე და ორივე პროფესიის წარმომადგენელთა ეთიკაზე გაკეთდა.

შერჩევაში ორ ძირითად სახეობას მოიაზრებენ: ალბათურს და არაალბათურს. ნაშრომში გამოყენებული იქნა **არაალბათური მეთოდის მიზნობრივი ანუ შეფასებითი შერჩევა**, სადაც მკვლევარი ორიენტირებულია მოვლენების ახსნასა და პრობლემის სიღრმისეულ ანალიზზე. დამეთანხმებით, რომ კვლევაში მონაწილე მოსამართლეების სიღრმისეული ინტერვიუების ჩაწერა უპრეცედენტო მოვლენაა და აქამდე არავის ჰქონია შესაძლებლობა, მსგავსი რამ განეხორციელებინა. სწორედ მიზნობრივი შერჩევა გამოიყენება მაშინ, როცა მსგავსი მოვლენა ,,უნიკალურ შემთხვევად" სახელდება.

შემთხვევის ანალიზი (case study) - კონკრეტული მაგალითის შესწავლა მედიის სხვა კვლევებისაგან სისტემურად განსხვავებული კომპლექსური მეთოდია. ეს არის თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი ფორმა და კვლევითი სტრატეგია, რომელიც ცალკეული შემთხვევისა და სიტუაციის ემპირიულად შესწავლას ახდენს სხვადასხვა წყაროების გამოყენებით. შემთხვევის შესწავლა, გამოძიების სიღრმისეული მეთოდის უზრუნველყოფა სხვადასხვა წყაროების გამოყენებით და ერთი შემთხვევის ან მრავალი შემთხვევის მრავალმხრივი გაგების გენერირების მცდელობა რეალურ ცხოვრებაში არის მიღებული, მართებული კვლევის მიდგომა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთათვის. შემთხვევის შესწავლა პირველად, როგორც კვლევის მიდგომა, გამოჩნდა ჩიკაგოს სოციოლოგიის სკოლის ცნობილ ცხოვრების ისტორიებში 1920-იან და 1930-იან წლებში, მაგრამ საქმის შესწავლა ძირითადად განიხილებოდა როგორც კვლევის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, ვიდრე ცალკეული კვლევის მიდგომა, ხოლო 1970-იანი

წლებიდან დონალდ კემპბელის შემდგომი ნაწერები გზას უხსნის ინტერესების აღორძინებას საქმის შესწავლის, როგორც კვლევის მეთოდოლოგიის მიმართ და, საბოლოოდ, იინის უწყვეტი მუშაობით, განახლდა ამ მეთოდოლოგიის სიღრმისეული შესწავლა. უფრო მოგვიანებით, პლატმა აჩვენა, რომ მხოლოდ 1990 წლიდან საქმის შესწავლა იყო მეთოდოლოგიური ძირითადი ნაწილის ნაწილი. იინის ნამუშევრებმა განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა საქმის შესწავლის მიდგომის განსაზღვრაში. მან განსაზღვრა საქმის შესწავლა, როგორც ემპირიული კვლევა, რომელიც „იკვლევს თანამედროვე ფენომენს სიღრმისეულად და მის რეალურ კონტექსტში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფენომენს და კონტექსტს შორის საზღვრები აშკარად არ არის აშკარა“ (Yin, 2009) ეს განმარტება ხაზს უსვამს შემთხვევის შესწავლას, როგორც კვლევის მიდგომას, რომლის ინტენსიური აქცენტი კეთდება ერთ ფენომენზე რეალური ცხოვრების კონტექსტში.

ნაშრომში გამოყენებულია შემთხვევის ანალიზის კვლევისათვის აუცილებელი მახასიათებლები: **დეტალურობა** (როდესაც ანალიზი ფოკუსირდება ერთ კონკრეტულ მოვლენაზე), **აღწერითობა** (როცა შედეგი დეტალურად აღწერს მის მიერ შესასწავლელ თემას) და **ევრისტიკულობა** (როდესაც ანალიზი ეხმარება ადამიანებს, გაიგონ, თუ რა არის შესწავლის საგანი). არსებობს სამი სახის თვისებრივი შემთხვევის შესწავლა: აღწერილობითი, საძიებო და განმარტებითი. ნაშრომში გამოყენებულია **აღწერილობითი შემთხვევის შესწავლა**, რომელიც უზრუნველყოფს საკითხის სრულ აღწერას.

ბესიმ აღმოაჩინა, რომ არა მხოლოდ თეორიის ძიება და თეორიის ტესტირება, არამედ ,,ამბის მოყოლაც შეიძლება იყოს როლი, რომელსაც შეუძლია შეასრულოს შემთხვევის შესწავლა მის მიერ მოწოდებული მექანიზმით“. (ბესი, 1999) ის ასევე ამტკიცებდა, რომ მიდგომას შეუძლია სიტუაციის შეფასება.

სხვადასხვა მიზნების თვალსაზრისით, შემთხვევის შესწავლას მკვლევრები ახორციელებენ საქმის შესწავლის სამი ძირითადი ტიპის მიხედვით: შინაგანი, ინსტრუმენტული და კოლექტიური ფორმებით. ნაშრომში გამოყენებულია **კოლექტიური შემთხვევის შესწავლა**, რომელიც გულისხმობს მრავალი შემთხვევის შესწავლას კონკრეტული ფენომენის უფრო ფართო გაგების გენერირების მიზნით. ნაშრომში ასევე გამოყენებულია შემთხვევების შესწავლის ორივე ფორმა. ის შეიძლება იყოს როგორც **„ერთდროული, ასევე თანმიმდევრული“.** (Stake, 1995)

ამდენად, მკვლევარს შეუძლია, აირჩიოს ყველაზე შესაფერისი მეთოდი, თუნდაც ერთზე მეტი მეთოდი, შემთხვევის შესწავლისას. იგი ხაზს უსვამს საქმის შესწავლის ერთ მნიშვნელოვან ასპექტს, რომ ის არის პროგრამული და არა პარადიგმატული, რაც გულისხმობს მეთოდოლოგიურ მოქნილობას საქმის შესწავლის განხორციელებისას.

შედარებითი ანალიზი - შედარება არის ორი ან მეტი ობიექტის ყურადღების მიქცევა მათი ურთიერთობების გასარკვევად, ან მათი განსხვავებების, ან მსგავსების გასათვალისწინებლად. შედარებითი მეთოდი მოიცავს კვლევის სხვა ობიექტებთან მთლიანად ან ნაწილობრივ პარალელების დამყარებას, მსგავსებებისა და განსხვავებების ანალიზს. შედარების პროცესში, მსგავსების იდენტიფიცირება საშუალებას გვაძლევს, მოვახდინოთ ახალი კონცეფციის ორგანიზება და დაკავშირება არსებულ ცოდნასთან, ხოლო განსხვავებების დადგენა ან მათი დაპირისპირება საშუალებას გვაძლევს, განვასხვავოთ ახალი კონცეფცია სხვა მსგავსისგან. ეს არის ორი ან მეტი კვლევის ობიექტის (ფენომენები, ობიექტები, იდეები, შედეგები და ა.შ.) შედარების მეთოდი. ასეთი ანალიზის შედეგად, კლასიფიკაციის მიზნით, ვლინდება შედარებული ობიექტების დადებითი და უარყოფითი მხარეები. შედარება არის ერთ-ერთი უმარტივესი გზა, რომლითაც ადამიანი სწავლობს მის გარშემო არსებულ სამყაროს. მისი არსი კი არის შედარებული ობიექტების დადებითი და უარყოფითი მხარეების დადგენა. შედარებითი ანალიზი უნივერსალურია, ეხება კვლევის ზოგად

მეცნიერულ მეთოდებს. ეს საშუალებას გაძლევთ, ხაზი გაუსვათ გაანალიზებული ობიექტების საერთო მახასიათებლებს, დაადგინოთ კონკრეტული ობიექტების განმასხვავებელი ნიშნები ყველა გაანალიზებული ობიექტისთვის საერთოდან. განხილული მეთოდის უარყოფითი მხარეა ის, რომ ყველა მიღებული შედეგი შესაძლებელია ეჭვქვეშ დადგეს მათი სუბიექტურობიდან გამომდინარე: ის, რაც ერთი ადამიანისთვის განსხვავებაა, მეორისთვის ან შეუმჩნეველია, ან საერთოდ არ არის გამორჩეული თვისება.

შედარების მეთოდი ნაშრომში გამოყენებულია ეთიკის სხვადასხვა კოდექსებთან და ჩატარებულ კველევებთან მიმართებით. შედარებულია ისეთი ელემენტების იდენტიფიცირება, რომლებიც შეიძლება სხვებთან შედარდეს სხვადასხვა ელემენტებით, რამდენად არის შედარება თანაბარ, მსგავს ან ძალიან განსხვავებულს შორის. თუ უფრო ახლოს ან უფრო შორს არიან, რომლებთანაც შეიძლება მათი შედარება. კანონმდებლობის, კოდექსების შესწავლა, ისევე როგორც მათი შედარება სხვა სახელმწიფოების გამოცდილებასთან, საშუალებას იძლევა, მიიღოთ პროფესიული გამოცდილება და ეფექტურად იქნეს გამოყენებული პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. ნაშრომში ასევე გამოყენებულია შედარებითი მეთოდის **აღწერითი** (რომელიც თავდაპირველად იკვლევს ობიექტის სტრუქტურას და შემდეგ თანდათან გადადის ფუნქციების და მიზნების ანალიზზე) და **გამოყენებითი** (რომელიც სწავლობს ობიექტების აქტივობის შედეგს) ფორმები **კონტექსტზე და** სპეციფიკურ **სეგმენტაციაზე** (სეგმენტაცია, როგორც შედარებითი ანალიზის ერთ-ერთი მეთოდი, მოიცავს არა მხოლოდ კონკრეტული ობიექტის ან ფენომენის ცალკეული ელემენტების მახასიათებლების შესწავლას, არამედ, მთლიანობაში, მისი ფუნქციონირებისა და განვითარების ბუნებისა და ტენდენციების შესწავლას) დაყრდნობით. რაც შეეხება შედარებითი მეთოდის ტიპოლოგიას, ნაშრომში გამოყენებული იქნა კვლევის მოცულობის მიხედვით: **მაკრო** და **მიკრო შედარება**, ხოლო მიზნების მიხედვით, **პრაქტიკული (ან ფუნქციონალური)**

და **თეორიული (ან სამეცნიერო)** კვლევა. ასევე **ასინქრონირებული შედარებაც** (სხვადასხვა დროის მონაკვეთში ჩატარებული კვლევები).

კვლევებისას წარმოდგენილი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება, შემდგომში გათვალისწინება დაგვეხმარება, შესასწავლი საკითხი წარმოჩნდეს მრავალფეროვნად და საინტერესოდ, რათა არა მხოლოდ სამეცნიერო საზოგადოებამ, არამედ, ზოგადად, თემით დაინტერესებულმა მკითხველმაც შეძლოს საკითხების სწორად გაგება და სიღრმისეულად აღქმა.

მეთოდოლოგიური ცნობიერება მარტივი რამ ჩანს. ეს არის მაშინ, როდესაც მეთოდის პრაქტიკოსმა იცის, რომ იყენებს მეთოდს. მაგრამ ის ასევე მოითხოვს მეთოდოლოგიურ დახვეწილობას - მეთოდის ცოდნას და იმის ცოდნას, თუ რატომ არის ის სხვაზე სასურველი ნებისმიერ სიტუაციაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეთოდოლოგიური ცნობიერება გულისხმობს მეთოდოლოგიური ვარიანტების გააზრებას და, მათ შორის, შეგნებულად არჩევის უნარს.

ამგვარად, მეთოდოლოგიურად გაცნობიერებული კვლევა მკაფიო იქნება მისი მეთოდოლოგიური არჩევანის შესახებ და როგორც მეთოდი ინსტიტუციონალიზდება, მისი სიცხადეც დროთა განმავლობაში გაიზრდება.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ევროინტეგრაციის გზაზე უპირველესია სასამართლო ხელისუფლებისა და მედიის სამართლებრივი, პროფესიული სტანდარტების, ეთიკის რეგულაციების შესწავლა, ვინაიდან სწორედ ამ ორ ინსტიტუტზე დგას, უპირველესად, სახელმწიფოს ევროპეიზაციის პროცესი.

ნაშრომში განხილულია სასამართლო ხელისუფლებისა და მედიის წარმომადგენელთა ურთიერთობა, მათი პროფესიული სტანდარტები და სამართლებრივი რეგულაციები. აღსანიშნავია, რომ მესამე და ,,მეოთხე“

ხელისუფლების წარმომადგენელები ხშირად არსებულ ეთიკურ სტანდარტებს არ იყენებენ, შესაბამისად, იქმნება დილემები და გადაცდომები, რაც, პირველ რიგში, საზოგადოებაში სასამართლო სისტემის რეპუტაციასა და ავტორიტეტს აზიანებს. ვინაიდან მედიას აქვს ,,ძალაუფლება" საზოგადოებას ობიექტური, ზუსტი, დაბალანსებული და მიუკერძოებელი ინფორმაცია მიაწოდოს მართლმსაჯულების საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით, ამიტომ, მნიშვნელოვანია, ჩამოყალიბდეს მესამე და ,,მეოთხე" ხელისუფლებას შორის საქმიანი ურთიერთობები კონსტრუქციული დიალოგის გამოყენებით.

ნაშრომის **მეცნიერულ სიახლედ მივიჩნევთ იმ გარემოებას, რომ საკვალიფიკაციო ნაშრომი ერთ-ერთი პირველი კვლევაა, რომელშიც შესწავლილია რამდენად ობიექტურად, ეთიკური კანონმდებლობის დაცვით, მედიასამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით, პროფესიონალიზმით ახერხებს მედია სასამართლოში მიმდინარე მოვლენებისა და სამართლებრივი საკითხების გაშუქებას.**

ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე წარმოჩინდა სასამართლო ხელისუფლებისა და მედიის ეთიკური დილემები, მოხდა ეთიკური გადაცდომების სიღრმისეული გაანალიზება და გამოიკვეთა გარკვეული შედეგების მიღწევის აუცილებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კვლევები და სახელმძღვანელოები მედიაეთიკისა და მედიასამართლის მიმართულებით, ასევე შემუშავებულია ეთიკური სტანდარტები სასამართლო ხელისუფლების ეთიკურ რეგულაციებთან დაკავშირებით, წარმოდგენილ ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა იმ ეთიკურ სტანდარტებზე, რომლის მიხედვითაც სასურველია იხელმძღვანელონ მედიის წარმომადგენლებმა სასამართლო თემატიკის გაშუქების დროს. ამასთანავე, რეკომენდებულია როგორ უნდა დაიცვან ,,მეოთხე" ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჟურნალისტური ეთიკა მეტი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით, რათა თავიდან იქნეს არიდებული დროებითი

,,სენსაციური მასალებით“ საზოგადოებრივი აზრის შექმნა, რაც ზიანს მიაყენებს, როგორც თანამედროვე მედიის რეპუტაციას, ასევე ეჭვქვეშ დააყენებს სასამართლო ხელისუფლების პრესტიჟს და მნიშვნელოვნად შეაფერხებს დემოკრატიული პროცესების განვითარებას.

ნაშრომის თეორიული/პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევის შედეგები, დაინტერესებულ პირთათვის, თეორიულად საინტერესო და პრაქტიკულად გამოსადეგი იქნება, რადგან მასში განხილულია მაგალითები უახლესი წარსულიდან და ყველასთვის ნათელი გახდება, თუ რამდენად საჭირო და აუცილებელია ჩვენი თანამედროვეობისათვის მესამე და ,,მეოთხე“ ხელისუფლების პროფესიების პატივისცემა და ურთიერთპატივისცემა, რაც მომავალში ქვეყნის ინსტიტუტებისადმი საზოგადოების მხრიდან გამოიწვევს ნდობის ამაღლებას და ჯეროვან დაფასებას.

კვლევის დროს განხილული მაგალითები ხელს შეუწყობს ჟურნალისტებს სწორად მიაწოდონ საზოგადოებას სამართლებრივ თემატიკაზე შექმნილი მასალები, ასევე დაეხმარება სასამართლოს დაარეგულიროს ურთიერთობა მედიასთან; ამასთან, ჩვენი პროფესიით დაინტერესებულ მომავალ კოლეგებს საშუალება მიეცემათ პრაქტიკულად გამოიყენონ გამოკვლეული და მიწოდებული თემატიკა მომავალ საქმიანობაში, გაითვალისწინონ რეკომენდაციები.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან (204 წყარო). დისერტაცია არის 197 გვერდი

თავი I. პროფესიული ეთიკის რაობა

1.1. მედიაეთიკა

პროფესიული ეთიკის საკითხების განხილვა თანამედროვე ეპოქაში მნიშვნელოვანია და აქტუალური. მაშინაც კი, როდესაც ხელისუფლებასა და საზოგადოებას განსხვავებული მიდგომები გააჩნიათ მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, ეთიკური შემთხვევების მიმართ მათი დამოკიდებულება ერთგვაროვანია. სწორედ ეთიკური პრინციპები და ღირებულებები ქმნიან იმ პირობით მოცემულობას, რომლის თანახმადაც, განისაზღვრება, თუ რა ქმედება შეიძლება ჩაითვალოს კვალიფიციურად ჟურნალისტური მოვალეობის შესრულების დროს. ეთიკა ერთ-ერთი ძირითადი ღირებულებაა, რომლის დაცვაც განსხვავებული პროფესიის ადამიანებს ერთნაირი პროფესიონალიზმით მოეთხოვებათ. პროფესიული ეთიკა (როგორც ეთიკის ნაირსახეობა), მასში შემავალი პრინციპებისა და სტანდარტების ერთობლიობით, მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს სწორი მმართველობითი ქცევის დასამკვიდრებლად.

თავდაპირველად, საზოგადოების მორალური ურთიერთობების მნიშვნელობაზე არისტოტელემ ისაუბრა. ეთიკის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება ფილოსოფოს ,,ნიკომაქეს ეთიკასთანაა“ დაკავშირებული. ძველად ეთიკას ფილოსოფიის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებდნენ, ხოლო თანამედროვეობაში მეცნიერები მას ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიასთან ერთად განიხილავენ.

სიტყვა ,,ეთიკა“ შეიძლება განისაზღვროს, როგორც საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტებს შორის გარკვეული ყოფაქცევის ნორმები. იგი შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოებრივი შეგნების ერთ-ერთ ფორმად, რომელიც ადამიანის ცნობიერებას გარკვეულ კანონებს უწესებს, ხოლო ამ კანონების შესრულება–არშესრულებას თავად ადამიანი ინდივიდუალურად წყვეტს. (,,მართლმსაჯულება და კანონი", 2002)

ეთიკა საზოგადოებრივი მეცნიერებაა და ფილოსოფიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომლის შესწავლის საგანია ადამიანის ზნეობა. ტერმინი ,,ეთიკა“ ძველბერძნული ეტიმოლოგიისაა, რომელიც მომდინარეობს სიტყვიდან ,,ეთოს“, რაც ჩვევასა და ჩვეულებას ნიშნავს. ძველი ბერძენი ფილოსოფოსების (არისტოტელე, სოკრატე, პლატონი) დაინტერესება ეთიკის საკითხებით შემთხვევითობას არ წარმოადგენდა, რადგან, როგორც მეცნიერება ეთიკა - ფილოსოფიური დისციპლინაა. ზნეობრივი საკითხების შესწავლისას ისინი თავიანთ ფილოსოფიურ სისტემებს ეთიკური მოძღვრებების მიხედვით აყალიბებდნენ. მათ შორისაა არისტოტელეს ,,დიდი ეთიკა“ და ,,ნიკომაქეს ეთიკა“. ამ დროიდან მოყოლებული, ეთიკა ცდილობს ზნეობის მეცნიერულად გააზრებასა და დამკვიდრებას, სადაც ტერმინი ,,ზნეობა“ მხოლოდ ადამიანურ ფასეულობებთანაა დაკავშირებული. ,,ზნეობა წარმოადგენს ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობას, რომლებიც აწესრიგებენ და არეგულირებენ ადამიანის ცხოვრებას. იგი არის საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ადამიანის რეგულაცია“. (ბანძელაძე, 1966)

ზნეობა მოიცავს ადამიანთა მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროს, რომელთაც გააჩნიათ საყოველთაო მნიშვნელობის ნორმები და პრინციპები და რომელთა არეალი ვრცელდება მთელ საზოგადოებაზე. ეთიკა იყენებს და ეყრდნობა იმ თეორიულ ბაზას, რაც ფილოსოფიის მიმართულებაა ამ კუთხით, რადგან ფილოსოფიაში გაცემულია პასუხები იმ ფუნდამენტურ შეკითხვაზე, რაც კავშირშია ადამიანის ყოფიერების არსთან. ,,თავისუფლება კი წარმოადგენს ეთიკის ხერხემალს, რომლის გარშემოც თავს იყრიან ზნეობის პრინციპები და კატეგორიები. ამრიგად, ეთიკა ფილოსოფიური ანალიზის საფუძველზე, შეისწავლის ადამიანური ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს - ზნეობას“. (ბაძაღუა, 2018)

რაც შეეხება საქართველოს ისტორიულ მონაცემებს, ქართული ეთიკური აზროვნების ჩამოყალიბებას პეტრე იბერის სახელს უკავშირებენ,

ხოლო სულხან–საბა ორბელიანის ,,სიტყვის კონამ“ და ,,სიბრძნე-სიცრუისამ“ ეთიკასთან მიმართებაში გადმოგვცა ძირითადი განმარტებები. უკვე მე-20 საუკუნეში ეთიკისა და ფილოსოფიის საკითხებში ფუნდამენტური კვლევები განახორციელეს გამოჩენილმა მეცნიერებმა, როგორებიც არიან: შალვა ნუცუბიძე, სერგი დანელია, მოსე გოგიბერიძე, დიმიტრი უზნაძე, კოტე ბაქრაძე, სავლე წერეთელი, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კათედრის დაარსებას და ,,ეთიკის“ სახელმძღვანელოს გამოცემა პროფესორ გელა ბანძელაძის სახელთანაა დაკავშირებული.

ეთიკურობა და ზნეობრიობა ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. ის მოიცავს სოციალური ყოფიერების, მოქმედებისა და საქმიანობის ყველა მიმართულებას. ზოგადად, ეთიკა ზოგადადამიანურია და ეხება ჟურნალისტსაც, პოლიტიკოსსაც, მოსამართლესაც და ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელს, რომელთა საქმიანობა ეთიკურ ასპექტებზე უნდა იყოს დამყარებული. პროფესიული ეთიკა გარკვეული ზღვრის დაცვასაც მოითხოვს. შესაბამისად, პროფესიული ეთიკის კოდექსების საფუძველი ზოგადსაკაცობრიო ნორმებია, რომელთა უმთავრესი მიზანი, საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას, ადამიანის უფლებათა დაცვაა. მათი გათვალისწინება ხელს უწყობს როგორც თავად პროფესიის, ისე საზოგადოების განვითარებას და მისი ჰუმანური ღირებულებების გაძლიერებასა და განმტკიცებას.

დღეს, როდესაც მედია საზოგადოებაზე უდიდეს გავლენას ახდენს, ჟურნალისტიკა პროფესიული ეთიკის გარეშე რთული წარმოსადგენია, პროფესიულ-ეთიკური ნორმების დაცვა ნებისმიერ საქმიანობაშია აუცილებელი, მაგრამ ჟურნალისტიკაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან, თუ ჟურნალისტი, მედიაორგანიზაცია ან, ზოგადად, მედია მორალურ-ზნეობრივ ნორმებს არ იცავს, ეს აუცილებლად აისახება საზოგადოებასა და მის განვითარებაზე. (,,მართლმსაჯულება და კანონი", 2002)

პროფესიული ეთიკა ეფუძნება ზოგადი ზნეობრივი პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობას სხვადასხვა პროფესიების თავისებურებებთან ერთად. ,,პროფესიული ეთიკა არის გარკვეული პროფესიის წარმომადგენლების ქცევის წესებისა და ნორმების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს როგორც მათი სამსახურებრივი საქმიანობის, ასევე არასამსახურებრივი ყოფის ზნეობრივ ხასიათს". (ბაძაღუა, 2018)

პროფესიული ეთიკა მნიშვნელოვანია იმ პროფესიული საქმიანობის განვითარებისათვის, რომლის წარმომადგენლებსაც ევალებათ საზოგადოების ინტერესების დაცვა. პროფესიული ეთიკა გარკვეული სოციალური ჯგუფის ქცევების ერთობლიობაცაა, რაც განაპირობებს ზნეობრივ ხასიათსაც. მედიასტანდარტები და ეთიკა ისეთივე ძველია, როგორც ჟურნალისტის პროფესია. თუმცა საუკუნეების განმავლობაში მედიის განვითარებასთან ერთად, სტანდარტებიც იცვლებოდა და ჟურნალისტებიც მუდმივად ვალდებული იყვნენ ახალი ეთიკური სტანდარტები გაეზიარებინათ. პროფესიული ეთიკური ნორმები ეტაპობრივად ყალიბდებოდა.

ყველა მედია ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს ისეთი დოკუმენტი, რომლის ცოდნაც და დაცვაც სავალდებულო უნდა იყოს თითოეული თანამშრომლისათვის. გარდა ამისა, ასევე არსებობს საერთაშორისო ჟურნალისტური ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ეთიკური სტანდარტებიც, რაც ხელმისაწვდომია ამ სფეროში დასაქმებულთათვის.

პროფესიული სტანდარტები შესაძლოა, მცირედით განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ რა ტიპისაა მედიაორგანიზაცია - ბეჭდვითი, სამაუწყებლო თუ ონლაინ მედია. ,,ტონი ბერმანი, CBS News-ის ყოფილი რედაქტორი წერს: ,,ყველა მედია ორგანიზაციას აქვს თავისი ნდობის ხარისხი და რეპუტაცია, რომელსაც ის ეყრდნობა". (კვინტრაძე, 2012) ნდობისა და რეპუტაციის მოპოვება კი ნებისმიერი მედიისათვის უმნიშვნელოვანესია. ეთიკური სტანდარტების დაცვა მათ ეხმარება, სწორად

მიიღონ გადაწყვეტილებები ნებისმიერ რთულ სიტუაციაში, რომელშიც ისინი აღმოჩნდებიან ხოლმე.

The Society of Professional Journalists ერთ-ერთი გავლენიანი ამერიკული ორგანიზაციაა, რომელიც ათასობით ამ პროფესიის ადამიანს აერთიანებს, მის მიერ გამოცემული ეთიკის სახელმძღვანელოს პრეამბულაში წერია: ,,საზოგადოების ინფორმირებულობა არის სამართლიანობის და დემოკრატიის საფუძველი ქვეყანაში. ჟურნალისტის მოვალეობაა, ეძებოს სიმართლე და საზოგადოებას შესთავაზოს მრავალმხრივი ინფორმაცია. კეთილსინდისიერი ჟურნალისტები ემსახურებიან საზოგადოებას პატიოსნად და საფუძვლიანად. პროფესიული ერთობა არის ჟურნალისტური ნდობის ქვაკუთხედი". (კვინტრაძე, 2012)

სხვა პროფესიული ეთიკის მსგავსად, ჟურნალისტურ ეთიკასაც გააჩნია თავისი ზნეობრივი ნორმები. მედიის წარმომადგენლებმა აუცილებლად უნდა დაიცვან პროფესიული ეთიკის წესები და უნდა იცოდნენ ამ წესების მიხედვით თუ რისი გაკეთების უფლება აქვთ და რისი - არა. ჟურნალისტური ეთიკის ნორმებია: ობიექტურად გააშუქონ მოვლენები; უზრუნველყონ მოქალაქეთა ზუსტი ინფორმაციის მიღების უფლება; ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც შესაძლოა, საზიანო იყოს სხვადასხვა პირისთვის, უნდა დასაბუთდეს არგუმენტირებული ფაქტებით; დაიცვან წყაროს არგამხელის შეთანხმება; არ გამოიყენონ პროფესიული საქმიანობა რაიმე მოგების მიღებისათვის; არ მიჩქმალონ ისეთი ქმედება, რაც იმსახურებს კრიტიკას; პატივი უნდა სცენ პიროვნების პირად ცხოვრებასა და ღირსებას საერთაშორისო და სახელმწიფო ნორმების შესაბამისად; პატივი უნდა სცენ საზოგადოებრივ ინტერესებსა და მორალს; პატივი უნდა სცენ ადამიანთა უფლებების დაცვას საყოველთაო დეკლარაციის თანახმად.

ჟურნალისტიკა თავისუფალი პროფესიაა, რომლის როლი თანამედროვეობაში თითქმის შეუფასებელია. იგი ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელების ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი თითქოს თავისთავად

იგულისხმება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რეგულაციებით, თუმცა საქართველოს კანონმდებლობაში ჟურნალისტის სტატუსი განსაზღვრული არ არის. თუ მასმედიის მუშაობაში ძირითადია საზოგადოებისათვის უახლესი, ობიექტური და სრული ინფორმაციის მიწოდება, ჟურნალისტისათვის აუცილებელია - მოიძიოს, მიიღოს, დაამუშაოს და გაავრცელოს ინფორმაცია. სწორედ ეს ძირითადი უფლება ფიგურირებს ჟურნალისტის სამართლებრივ სტატუსსა და პროფესიულ საქმიანობაში.

თავდაპირველად, საქართველოში ჟურნალისტის სტატუსის სამართლებრივ კონსტრუქციას წარმოადგენდა 1991 წლის 10 აგვისტოს მიღებული კანონი ,,პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ", რომელიც ძალადაკარგულად ცნო ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონმა. 2003 წლის 14-15 მაისს საქართველოში, ევროსაბჭოს ეგიდით, მოეწყო სემინარი თემაზე ,,მედიის თვითრეგულირების მექანიზმის ჩამოყალიბება საქართველოში", სადაც ქართული მასმედიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს სახელწოდებით: ,,მედიის პროფესიული სტანდარტი". ჟურნალისტური ეთიკის პრინციპებზე მუშაობა ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა. 2006 წლიდან ასევე ძალაში შევიდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი, რომელიც მნიშვნელოვანი დოკუმენტია ამ მიმართულებით. ,,ეძებოს სიმართლე" - ესაა ჟურნალისტური კოდექსების პირველი უმნიშვნელოვანესი ნორმა. პროფესიული ეთიკა მოუწოდებს ,,მეოთხე ხელისუფლების" წარმომადგენელს მხოლოდ სიმართლე შეატყობინოს საზოგადოებას, არ მოახდინოს ფაქტების ინტერპრეტაცია, დამახინჯება და ბოლომდე შეინარჩუნოს სიზუსტე და ობიექტურობა. ობიექტურობის შენარჩუნება ჟურნალისტისა და მედია ორგანიზაციის პროფესიონალიზმის მაჩვენებელია. ეთიკური სტანდარტები მოუწოდებს ჟურნალისტს, თავი შეიკავოს საკუთარი მოსაზრებებისა და შეფასებების გავრცელებისაგან. ე.წ. ოქროს ხაზის გავლება ფაქტსა და

შეფასებას შორის ახალი ამბების ჟურნალისტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს. სიმართლის და მოვლენების სწორად აღწერა კი ყველა ჟურნალისტის ღირსების საქმეა. უზუსტობებისა და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში, ჟურნალისტი რისკის ქვეშ აყენებს არა მხოლოდ საკუთარ, არამედ იმ მედიასაშუალების მიმართ ნდობის საკითხსაც, რომელსაც ის წარმოადგენს. ძირითადად, უზუსტობა გამოწვეულია არა წყაროთი, არამედ ჟურნალისტის დაუდევარი დამოკიდებულებით. პატარა შეცდომებიც კი საზიანოდ აისახება მათ მიმართ გამოცხადებულ ნდობაზე. მედიის განსჯა ხდება მისი შეცდომების და არა ასობით ღირსეული ნამუშევრის მიხედვით.

რა თქმა უნდა, ჟურნალისტის მხრიდან, არ უნდა მოხდეს ყველა წყაროს ეჭვქვეშ დაყენება, მაგრამ მან ყოველთვის უნდა მოძებნოს დრო დოკუმენტაციის გადასამოწმებლად, ასევე, სხვა წყაროებს უნდა მისცეს საშუალება, რეაგირება მოახდინონ გამოთქმულ კომენტარებსა და განცხადებებზე. ჟურნალისტის მიერ მომზადებული მასალა ყოველთვის უნდა იყოს დაბალანსებული. მნიშვნელოვანია, განვასხვავოთ სხვადასხვა ტიპის შეცდომები: ობიექტური შეცდომა (უდავო შეცდომები), ძირითადად, ფაქტობრივი შეცდომები სახელებთან, ადგილებთან და თარიღებთან დაკავშირებით. ეს შეცდომები, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გასწორდეს.

მაიამის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორის, პოლ სტეინლის აზრით, პროფესიული ჟურნალისტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი სტანდარტები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ,,სიზუსტე უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ოპერატიულობა; სამართლიანობა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე სენსაცია; მოვლენების ყოველმხრივ გაწონასწორებული ასახვა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ეკრანზე ეფექტურად გამოჩენა“. (კინწურაშვილი, 2004)

ეთიკის კოდექსების ეტაპობრივი ცვლილება იწვევს მედიის ცვლილებასა და განახლებას. ტექნოლოგიურმა პროგრესმა ჟურნალისტიკა ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად პროფესიად აქცია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შესაძლოა, ვერც ერთმა ეთიკის კოდექსმა ვერ გასცეს

პასუხი ყველა იმ შეკითხვას, რაც თანამედროვეობიდან გამომდინარეობს, რადგან რეპორტიორები და რედაქტორები ყოველდღიურად დგანან კიდევ უფრო ახალი ეთიკური დილემებისა და გამოწვევების წინაშე. მიუხედავად მრავალფეროვნებისა, სხვადასხვა ეთიკის კოდექსები ბევრ რამეში ჰგავს ერთმანეთს. ზოგადად, ნებისმიერი კოდექსისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ორი პრინციპის დაცვა: ეს არის სიტყვის თავისუფლება და ჟურნალისტის პროფესიონალიზმი. მაგალითად, ირლანდიის ჟურნალისტთა ეროვნული კავშირის ქცევის წესის პირველი მუხლის თანახმად, „ჟურნალისტი მოვალეა, შეინარჩუნოს მაღალი პროფესიული და ეთიკური სტანდარტები“. ბელგიის „ჟურნალისტური პრინციპების კოდექსი“, პირველივე მუხლით, პრესის თავისუფლებას იცავს: „პრესის თავისუფლება სიტყვის თავისუფლების მთავარი გარანტიაა, რომლის გარეშე სხვა ძირითადი სამოქალაქო უფლებების დაცვა შეუძლებელია“. (კინწურაშვილი, 2004) ჩეხეთის „ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსის“ პირველი მუხლი ასე იკითხება: „მოქალაქეთა უფლებაა, ფლობდნენ დროულ, ზუსტ და დაუმანხიჯებელ ინფორმაციას. თავიანთი მოღვაწეობით, ჟურნალისტები ამ უფლებას რეალობად აქცევენ.“ ამიტომ, მათ მთლიანად უნდა აიღონ პასუხისხმგებლობა საზოგადოებისთვის დროული, ამომწურავი, ზუსტი და დაუმახინჯებელი ინფორმაციის მიწოდებაზე. მოქალაქეს უფლება აქვს, იცოდეს ობიექტური რეალობა“. (სუბარი, 2003)

პროფესიული სტანდარტი მედიას ასევე ავალდებულებს, იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ობიექტური. ეთიკის კოდექსი ჟურნალისტებს მოუწოდებს, იყვნენ პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი საკუთარი აუდიტორიის წინაშე. ვფიქრობ, ჟურნალისტს არც შეცდომის საჯაროდ გასწორების უნდა შერცხვეს. ეთიკური ნორმები ავალდებულებს მედიის წარმომადგენლებს, პატივისცემით მოეკიდონ თავიანთ რესპოდენტებს და ნებისმიერ ადამიანს, ვისთანაც ურთიერთობა აქვთ.

1.2. იურიდიული ეთიკა - მოსამართლეთა პროფესიული საქმიანობა

ეთიკა მორალური პრინციპებისა და ღირებულებების ერთობლიობაა, რომელიც განსაზღვრავს ქცევის ზოგად წესს და არეგულირებს პროფესიას, მათ შორის, იურიდიულ პროფესიას. ეს არის წესი, რომელიც განსაზღვრავს შესაფერის ქცევას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. არ არსებობს ერთიანი აღქმა, რა შეიძლება ჩაითვალოს ეთიკურად შესაფერის ქცევად. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვითრეგულირებადმა პროფესიებმა განსაზღვრონ და გაწერონ ის სტანდარტები, რომლებიც ერთიანი იქნება ამ პროფესიის თითოეული წევრისათვის. სხვა შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება ამ პროფესიის წარმომადგენლების დამოუკიდებლობის შენარჩუნება და პროფესიული განვითარება. (,,მართლმსაჯულება და კანონი", 2002) ნებისმიერი პროფესიის მსგავსად, ეთიკასაც გააჩნია კატეგორიათა საკუთარი სისტემა, რომელიც ადამიანის მიერ გარე სამყაროს ათვისების ზოგად და არსებით მხარეებსაც მოიცავს. ეთიკის კატეგორიები შესაძლოა, შეფასდეს სხვადასხვა თვალსაზრისით (კარგი ან ცუდი), ასევე, შესაძლოა, მოიცავდეს შეფასების ფორმებსაც ნებისმიერი ადამიანის თვალთახედვით (მოვალეობის გრძნობის, პატიოსნების, პასუხისმგებლიანობის, სამართლიანობისა თუ წესრიგიანობის მიხედვით). ეთიკის კატეგორიები, რომლებიც, ზოგადად, ბუნებაში არსებობენ, შინაარსით ობიექტურია, თუმცა ფორმით მაინც სუბიექტური ხასიათისაა. ეს სუბიექტურობა კი დამოკიდებულია სხვადასხვა საინტერესო ფაქტორებზე: პიროვნების განვითარებაზე, მის ზნეობრივ კულტურასა და მის ცხოვრებისეულ წეს-ჩვეულებებზე.

საზოგადოდ, ეთიკის აღიარებულ კატეგორიათაგან განსაკუთრებით გამოვყოფდი ყველაზე მნიშვნელოვან კატეგორიას. ეს გახლავთ სამართლიანობა და უსამართლობა, რაც უშუალოდაა დაკავშირებული მოსამართლის პროფესიულ საქმიანობასთან.

სამართლიანობა, როგორც ეთიკური კატეგორია, აღნიშნავს მოვლენათა ისეთ მდგომარეობას, ,,რომელიც განიხილება, როგორც საჭირო, რომელიც პასუხობს წარმოდგენებს ადამიანის არსებაზე, მის გარდაუვალ უფლებებზე, რაც გამომდინარეობს ყველა ადამიანის თანასწორობის აღიარებიდან და სიკეთისა და ბოროტებისთვის, უფლებებისა და მოვალეობებისთვის, დამსახურებისა და მათი აღიარებებისთვის ქმედებებისა და ზემოქმედებებს შორის შესაბამისობის აუცილებლობიდან. ნებისმიერი იურისტის საქმიანობა დაკავშირებული უნდა იყოს სამართლიანობასთან. თვითონ ცნებაც ,,იუსტიცია" ლათინურიდან მომდინარეობს და სამართლიანობის შესატყვისია. თავად სამართლიანობა კი წამოადგენს მართლმსაჯულების სინონიმს. გარდა ეთიკურობისა, სამართლიანობა ასევე სამართლებრივი კატეგორიაცაა, რომლის გამოხატულებაა ადამიანის უფლებების საერთაშორისო დეკლარაციაც, მის მე-10 სტატიაში წერია, რომ ,,ნებისმიერ ადამიანს, მისი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისათვის და მის წინაშე წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების დასაბუთებისთვის, სრული თანასწორობის საფუძველზე, აქვს უფლება, რათა მისი საქმე განიხილოს საჯაროდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ". (ავტორთა ჯგუფი, 2016) უსამართლობა კი სამართლიანობის საწინააღმდეგო კატეგორიაა, რაც მოიაზრებს ადამიანებს შორის უთანასწორობას, უფლებებისა და ღირსებების დაუცველობას და სადაც კეთილდღეობა, სიკეთისა და ბოროტების ზღვარი არაპროპორციულადაა განაწილებული.

უდიდეს პასუხისმგებლობას და პროფესიონალიზმს მოითხოვს იურიდიული პროფესია, რომელიც კანონის უზენაესობის დაცვის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. იურისტებმა მნიშვნელოვანი და აქტიური როლი შეასრულეს კანონების შემუშავებასა და ადმინისტრირებაში. ამიტომ, როგორც ,,მეოთხე", ასევე მესამე ხელისუფლების წარმომადგენლებიც აუცილებელია, კარგად ერკვეოდნენ საკანონმდებლო რეგულაციებსა და იმ

პროფესიულ პასუხისმგებლობაში, რომელიც მათ აკისრიათ საკუთარი პროფესიისა და, ზოგადად, საზოგადოების წინაშე.

მოსამართლეს მართლმსაჯულების განხორციელების მოვალეობა დაკისრებული აქვს საქართველოს კონსტიტუციით, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით, ასევე საპროცესო კანონმდებლობით. სამოსამართლო ეთიკის ნორმები საქართველოს მოსამართლეთა კორპუსს უდგენს სამოსამართლო ქცევის ნებაყოფლობით რეგულირების ფარგლებს. მოსამართლეს კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული სამოსამართლო ეთიკის მნიშვნელობა და მის ყოველდღიურ ვალდებულებას უნდა წარმოადგენდეს მორალური და ზნეობრივი ნორმების შესრულება. მოსამართლეთა საქმიანობა უდიდეს პასუხისმგებლობასა და შრომას მოითხოვს. გარდა ამისა, საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მიხედვით დადგენილია მართლმსაჯულების მორალური და ეთიკური სტანდარტები და მათი შესრულების უზრუნველყოფის მეთოდები. ამ წესების შესაბამისი მუხლებით კი განსაზღვრულია თუ როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე, რათა შეძლოს მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებლობის შენარჩუნება, კანონის მოთხოვნათა დაცვა, მიუკერძოებელი და მაღალზნეობრივი მოსამართლის ავტორიტეტის შენარჩუნება. ეს წესები ასევე შეიქმნა იმიტომ, რომ შენარჩუნებული იქნეს სამოსამართლო სტანდარტები, რადგან თვითონ არიან დამოუკიდებელნი, მიუკერძოებელნი და მიზნად აქვთ მოსამართლეთა ქცევის მარეგულირებელი კანონის მოქმედი ნორმებისა და ქცევის წესების გაფართოება და არა დაკნინება, რაც, ზოგჯერ, მიზანმიმართულად ხორციელდება.

ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფისა და, მთლიანობაში, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში შეუფასებელია სასამართლო ხელისუფლების როლი. სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლების გარეშე.

მართლმსაჯულების განხორციელებისას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლის ქცევას. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების პრაქტიკული რეალიზაციის საქმეში ასევე მნიშვნელოვანი როლი აკისრია თვითრეგულირების იმ სისტემის არსებობას, რასაც ადგენს სამოსამართლო ეთიკის წესებით განსაზღვრული მოსამართლეთა ქცევა არა მარტო საქმის განხილვისას და გადაწყვეტისას, არამედ მოსამართლის ქცევას პირად ცხოვრებაში და ისეთ ურთიერთობებში, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული მართლმსაჯულების განხორციელებასთან.

სამართლებრივ სახელმწიფოში მართლმსაჯულების უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ადამიანთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. აქ მოიაზრება მოსამართლეების მიერ ობიექტურად და მიუკერძოებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. ამისათვის კი აუცილებელია მოსამართლის დამოუკიდებლობის ისეთი გარანტიების არსებობა, როგორიცაა სამოსამართლო საქმიანობისთვის მხოლოდ სამართლისა და კანონის სავალდებულოობის განსაზღვრა, რაც ფუნდამენტია მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიის შესაქმნელად.

სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობა სამართლებრივი სახელმწიფოს და თითოეული პირის უფლებების დაცვის საფუძველია. ამის დასტურია მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, (ბანგალორის პრინციპები, 2001) რომლის მიხედვით პირველ ღირებულებად აღიარებულია სწორედ დამოუკიდებლობა და სასამართლოს დამოუკიდებლობა, როგორც კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის წინაპირობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ,,მოსამართლე წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ სახელმწიფო თანამდებობის პირს, რომლის მიერ საკუთარი ფუნქციების მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და მაღალი პროფესიონალიზმით განხორცილებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნებისმიერ

სახელმწიფოში კანონის უზენაესობის, სამართლებრივი სახელმწიფოს და, ზოგადად, დემოკრატიის არსებობა და მათი სრულყოფილი რეალიზაცია. ის, თუ რამდენად მიიღებს და მხარს დაუჭერს საზოგადოება სასამართლო გადაწყვეტილებებს, დამოკიდებულია საზოგადოების რწმენაზე მოსამართლეთა პატიოსნებისა და დამოუკიდებლობისადმი. ეს, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იცავს მოსამართლე სასამართლოში ქცევისა და პროფესიული ეთიკის მაღალ სტანდარტებს". (ავტორთა ჯგუფი, 2021)

აღსანიშნავია, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სამოსამართლო ეთიკის კოდექსები განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც განპირობებულია ქვეყნის სამართლებრივი ტრადიციებითა და იმ გამოწვევებით, რაც მოსამართლეთა წინაშე არსებობს კონკრეტულ ქვეყანაში. სწორედ ამიტომაა, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კოდექსი სხვადასხვა ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას და, ასევე, მოსამართლეთა ვალდებულებებიც შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. მაგალითად, ხორვატიის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზანია: ხორვატიის რესპუბლიკაში კონსტიტუციონალური მართლწესრიგის მაღალი ხარისხის მიღწევა, კანონის უზენაესობის, კონსტიტუციონალურობისა და მართლზომიერების, ჰუმანურობისა და ეთიკის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, გამოცდილების, თანასწორობისა და ღირსების დაცვის უზრუნველყოფა. დანიის მოსამართლეთა ასოციაციის მიზანია: სასამართლოსადმი მოსახლეობის მაქსიმალური ნდობის ხელშეწყობა, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ინგლისისა და უელსის მოსამართლეთა ქცევის სახელმძღვანელო პრინციპები მიზნად ისახავს მოსამართლეებისთვის დახმარების გაწევას და არა დეტალური პრინციპების შეთავაზებას. მოსამართლეებს ამ სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, შეუძლიათ

გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და, იმავდროულად, ასეთი გზით, დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

სამოსამართლო ეთიკის წესები არ ეყრდნობა მხოლოდ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებსა და ამ სფეროში საქართველოში არსებულ გამოცდილებას. იგი დაფუძნებულია ასევე სამოსამართლო ეთიკის სფეროში მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ ღირებულებებზე, მათ შორის: გაეროს მიერ 1985 წელს მიღებულ ,,სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ძირითად პრინციპებზე", მოსამართლეთა სტატუსის ევროპულ ქარტიაზე, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციებზე, მოსამართლეთა პროფესიული ქცევის პრინციპებისა და წესების, კერძოდ, ეთიკის, შეუფერებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის თაობაზე, მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებზე. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა აღიარებული და გარანტირებულია არა მხოლოდ ზემოაღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი და სხვა საერთაშორისო აქტებით (რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია), არამედ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებითაც, კერძოდ: საქართველოს კონსტიტუციით (მუხლები: 5, 82, 84); ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით (მუხლები: 1, 7, 8), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (მუხლი 8), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (მუხლი 6), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით (მუხლი 1) და სხვა.

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ერთ-ერთ გარანტად მიჩნეულია მოსამართლეთა თვითმმართველობის სისტემის არსებობა. ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს წარმოადგენს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია, რომელიც იცავს და განამტკიცებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, ხელს უწყობს სასამართლოსადმი

ხალხის ნდობისა და რწმენის განმტკიცებას, მოსამართლეთა ავტორიტეტის ამაღლებას (მუხლი 77). საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, იღებს სამოსამართლო ეთიკის კოდექსს (მუხლი 79) ანუ სამოსამართლო ეთიკის წესების მიღება მოსამართლეთა კორპუსის კანონისმიერი ვალდებულებაა.

სამოსამართლო ეთიკის კოდექსი პრეამბულისა და 28 მუხლისაგან შედგება და ეყრდნობა: საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს, ასევე სამოსამართლო ეთიკის სფეროში მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ ღირებულებებს, მათ შორის, მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებს და ევროპის მოსამართლეთა საკონსულთაციო საბჭოს N3 მოსაზრებას მოსამართლეთა პროფესიული ქცევის პრინციპებისა და წესების, კერძოდ, ეთიკისა და მიუკერძოებლობის თაობაზე.

გამომდინარე აქედან, მოსამართლე თავად უნდა იყოს მოსამართლეთა ქცევის მაღალი სტანდარტის, როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფაქტორის გამტარებელი და დამცველი. სასამართლო სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვება, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. ამიტომაც, ნებისმიერ მოსამართლეს ღრმად უნდა ჰქონდეს გააზრებული ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მას მართლმსაჯულების განხორციელების დროს ეკისრება. მოსამართლე, რა თქმა უნდა, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს. ამ მიმართებით, სამოსამართლო ეთიკის წესები გარკვეულ შეზღუდვებს ითვალისწინებს. თუმცა სამოსამართლო ეთიკით შეზღუდულია არა აზრის თავისუფლება, არამედ მისი გამოხატვის ფორმა და ფარგლები, კერძოდ, ,,შეზღუდვა იმაში მდგომარეობს, რომ გამოხატულმა აზრმა არ უნდა შელახოს მართლმსაჯულების ღირსება, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა. ამდენად, მოსამართლის მიერ აზრის გამოხატვის

თავისუფლების შეზღუდვის გზით დასაცავი სიკეთე მართლმსაჯულების ღირსება, მიუკერძოებლობა და ავტორიტეტია“. (ავტორთა ჯგუფი, 2021)

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნული შეზღუდვის დასაბუთება იმაში მდგომარეობს, რომ მოსამართლის ქცევასა და მოსამართლის მიერ გამოხატულ აზრს განზოგადების დიდი ეფექტი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხშირ შემთხვევაში, მოსამართლის ქცევა სასამართლოს სახედ, ხოლო გამოხატული აზრი ზოგადად სასამართლოს შეხედულებად აღიქმება. შესაბამისად, მოსამართლის ქცევასა თუ მის მიერ გამოხატულ პოზიციას სასამართლო ავტორიტეტის დადებითად და უაროფითად შეიძლება ჰქონდეს ძლიერი გავლენა. ამიტომაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მოსამართლის მასმედიასთან ურთიერთობა და უკვე, თანამედროვეობიდან გამომდინარე, მისი ქცევა სოციალურ ქსელებშიც.

1.3. მორალური კრიტერიუმები და პროფესიული ეთიკა

ფართო საზოგადოებისათვის ადამიანის ქმედებების შეფასება ხდება იმის მიხედვით, თუ რა ითვლება საკუთრივ მორალურ პრინციპად. მორალურ მოთხოვნებს სხვადასხვა მოდიფიკაციაც გააჩნია - სხვადასხვა აზრი, რაც განსაკუთრებული საზომია. არსებული ნორმების ცოდნა ყველა პროფესიის ადამიანისათვის აუცილებელია, ისევე, როგორც მორალური ნორმების შესრულების შინაგანი მოთხოვნების განსაზღვრა. ეს ნორმები დამყარებულია მოვალეობის გრძნობაზე, რომელიც სასურველია, უდრიდეს შინაგან კმაყოფილებას, თუმცა, ზოგჯერ, გვხვდება ურთიერთგამომ-რიცხველი ნორმებიც, რაც უკმაყოფილების გამომწვევიცაა.

ტერმინებს ,,ეთიკა“ და ,,მორალი“ ბერძნულიდან ,,etos“ და ლათინურიდან ,,mozis(mos)“ ორივეს ერთნაირი მნიშვნელობა აქვს და აღნიშნავს ,,ზნეობას“. განმარტებით, ეთიკა ფილოსოფიური მეცნიერებაა, რომლის შესწავლის ობიექტია - მორალი. ყველა პროფესიას გააჩნია საკუთარი ინდივიდუალური მორალი. პროფესიული მორალის

მოთხოვნების დაცვა მთავარი გარანტიაა და აუცილებელი მოთხოვნაა პროფესიონალებისათვის. მე-18 საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსი და მორალისტი იმანუელ კანტი ამბობდა, რომ ადამიანს ბუნებრივად ჰქონდა მინიჭებული ზნეობრივი წესრიგი, რაც კონკრეტულ სიტუაციაში მისი ქცევის წესს განაპირობებდა. კაცობრიობის ზრდასთან ერთად, იცვლებოდა ეთიკური ნორმებიც და შესაბამისი კრიტერიუმებიც. ეთიკა გარკვეულწილად აყალიბებს მორალის, ზნეობრივი ცნობიერების გარკვეულ თეორიულ კანონებს საზოგადოებაში. ,,როგორც ამერიკელი მეცნიერი ედვარდ ჯეი ვეტმორი წერდა: ეთიკას მრავალი მნიშვნელობა აქვს და მისი შესწავლა ნიშნავს იმის დადგენას, თუ რა არის სწორი და რა არის მცდარი". (კაჭარავა, 2009)

ადამიანთა ზნეობრივი მოქმედების საფუძველს წარმოადგენს მორალი. ზნეობრივი მოქმედება ესაა ეთიკური ცნება, რომელსაც სუბიექტები იყენებენ აზრის გამოსავლენად, შედგება ქცევებისაგან და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. როდესაც ადამიანი რამის გაკეთებას გეგმავს, იქ ყოველთვის მოიაზრება მორალური მოტივაციაც, თუ რისთვის სრულდება იგი. საგნობრივ მოქმედებაში ზუსტად ვლინდება ადამიანური მიდგომაც: მისაღები (ზნეობრივი) თუ მიუღებელი (უზნეო) მიზანი. პროფესიული მორალის უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს სამართლიანობის პრინციპი. ეთიკის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორია - სამართლიანობის პრინციპი, როგორც მორალური რეგულაციის საშუალება, განაპირობებს მოქმედებასა და მის შედეგს შორის კანონზომიერ ცვლას ინდივიდთა მოქმედების ყველა ასპექტის გათვალისწინებით. აქ განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება პროფესიულ კომპეტენტურობას. ყველაზე თვალსაჩინოდ ის ჩანს სამართლებრივ სისტემაში, სადაც სწორედ სამართლიანობა და კანონიერება არეგულირებს ყველაზე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ხოლო პრაქტიკაში სამართლიანობის პრინციპის სამართლებრივი ასპექტი მდგომარეობს ყველა მოქალაქის კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობაში.

მორალისა და სამართლის ურთიერთმიმართებაზე პირველად ისაუბრა ფრანგმა განმანათლებელმა კ. ა. ჰელვეციუსმა: ,,ეთიკასა და კანონმდებლობას მე განვიხილავ როგორც ერთსა და იმავე მეცნიერებას“.
(ავტორთა ჯგუფი, 2016)

მორალი და სამართალი ერთმანეთთან ურთიერთმიმართებისას, შინაარსით, ერთმანეთს ემთხვევა. მთელი რიგი იურიდიული ნორმებიც აზრობრივად დაკავშირებულია რელიგიურ-ზნეობრივ ნორმებთან (მაგ.: არა კაც კლა, არ იცრუო, არ იქურდო და ა.შ.). შედეგად, რასაც ებრძვის და კრძალავს სამართალი, როგორც წესი, განსჯის ასევე მორალიც. სამართალი მოითხოვს კანონის დაცვას, ამასვე აწესებს მორალიც. ეს ურთიერთმიმართება კიდევ უფრო კარგად ჩანს მართლმსაჯულების აღსრულების დროს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას. თუმცა არსებობს მათ შორის პრინციპული განსხვავებებიც.

ასევე გასათვალისწინებელია მორალური ცნობიერების ერთობლიობის საკითხი, რომელიც აერთიანებს შეხედულებების, იდეების იმ საჭირო ქცევის შესახებ წარმოდგენების ერთობლიობას, რომელიც შესაბამისობაშია სოციალურ ინტერესებთან. მორალური ცნობიერება კაცობრიობის ზნეობრივი გამოცდილების გამაერთიანებელია, ახდენს მის სისტემატიზაციას და, ამასთანავე, უნივერსალურია.

როდესაც ამ მნიშვნელოვან საკითხზე ვსაუბრობთ, აქ აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს ის, რაც დაშვებული და დაუშვებელია იურიდიული და მორალური კანონებით. იურიდიულ კანონებზე საუბარი შედარებით მარტივია, ხოლო, როცა საქმე მორალს ეხება, საკითხი ძალიან რთულდება, რადგან მათი დაცვა მხოლოდ სინდისის კარნახითაა შესაძლებელი. სწორედ ამიტომ, განხილვის საგნად უნდა ვაქციოთ, დღეს ჟურნალისტების წინაშე მდგარი უმთავრესი ეთიკური პრობლემა, რაც სასამართლო სისტემის თემის გაშუქებათან არის დაკავშირებული.

დღევანდელობიდან გამომდინარე ყველა ჟურნალისტს, მათ შორის, ახალგაზრდა დამწყებ ჟურნალისტსაც კი აქვს აზრი ჩამოყალიბებული ისე,

თითქოს ,,მათ ხელშია ძალაუფლება“ და ,,როგორც უნდა და რასაც უნდა იმას იტყვის და გააშუქებს“. სინამდვილეში კი, ვერ აცნობიერებს, თუ რამდენად დიდია პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ჯერ საკუთარი თავის, შემდგომ პროფესიული გაერთიანების და, პარალელურად, საზოგადოების წინაშე. დღეს ყველაზე თვალშისაცემია ისიც, რომ უმეტესი ნაწილი ცდილობს, მოგვევლინოს მოსამართლის როლში, ნაადრევად გააკეთოს დასკვნები ამა თუ იმ მოვლენისა თუ პროცესის შესახებ, რაც ერთგვარ პროფესიულ ფუნქციათა დისბალანსს იწვევს. ზოგს ავიწყდება კიდეც ,,საკუთარი როლი“ და ინდივიდუალური პროფესიული პასუხისმგებლობა. ამიტომ აუცილებელია, რომ თანამედროვე ჟურნალისტები ჩაუღრმავდნენ ეთიკურ პრობლემებს, დაფიქრდნენ თითოეულ სიტყვასა და ქმედებაზე, მოსალოდნელ გამოწვეულ შედეგზე, ასევე, მათ გააზრებულად და გამიზნულად უნდა იფიქრონ მათი უმაღლესი მოწოდების შესახებ, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებაში მათ მიმართ ნდობის ამაღლებას და პატივისცემის დამკვიდრებას. თუ მედიას სურს, ისაუბროს სხვების სახელით, მაშინ მან უნდა დაამტკიცოს, რომ მას ამის უფლება აქვს. სწორედ ამიტომაც წერდა ამერიკელი მედია მკვლევარი დეილ ჯექუიტი: ,,ჟურნალისტებს აქვთ განსაკუთრებული მორალური უფლებები და, შესაბამისად, აქვთ განსაკუთრებული მორალური ვალდებულებები... ამ პროფესიის წარმომადგენელთა მორალური ვალდებულება და მათი საქმიანობის მიზანი, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სიმართლის თქმა უნდა იყოს“. (Jacquette, 2007)

დაბოლოს, სასურველი შედეგის მიღწევა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც ისინი საბოლოოდ გააცნობიერებენ, რომ აკადემიური ჟურნალისტიკა მორალური და ეთიკური პრინციპების პატივისცემას და დაცვას ნიშნავს.

თავი II. საქართველოს სასამართლო სისტემა და სპიკერ-მოსამართლის უფლებამოსილება საზოგადოებასთან ურთიერთობაში

2.1. საქართველოს სასამართლო სისტემის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოში ხელისუფლების სამი შტოა - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. პირველ შტოს წარმოადგენს პარლამენტი, რომელიც პასუხისმგებელია კანონების მიღებაზე. მეორე შტოს მიეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლება - მთავრობა და პრეზიდენტი, რომელიც პასუხისმგებელია პარლამენტის მიერ მიღებული კანონების აღსრულებაზე, ხოლო მესამე შტოს წარმოადგენენ საერთო სასამართლოები და საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც ზედამხედველობას უწევს ამ ორი შტოს საქმიანობას, რათა არ დაირღვეს კანონები და უზრუნველყოფილი იყოს ქვეყანაში მათი შესაბამისი გამოყენება.

საქართველო, როგორც ევროპის უმეტესი ქვეყნები, წარმოადგენს კონტინენტური საკანონმდებლო სისტემის ნაწილს. ეს ნიშნავს იმას, რომ აქ იწერება კოდექსები სხვადასხვა სამართლებრივი სფეროებისათვის. სასამართლო ხელისუფლების მოწყობა და სტრუქტურა განისაზღვრება პარლამენტის მიერ 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული ქვეყნის კონსტიტუციით. მისი მეექვსე თავი მთლიანად მიძღვნილია სასამართლო ხელისუფლებისადმი, სადაც განსაზღვრულია ყველა სასამართლო ორგანო, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ჩვენს ქვეყანაში. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები. ,,სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით“ - აღნიშნულია კონსტიტუციის 62-ე მუხლში. სასამართლო ხელისუფლება მართლმსაჯულებას ახორციელებს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის კატეგორიის საქმეებზე. სასამართლოს გარდა, არავის აქვს უფლება, განახორციელოს მართლმსაჯულება. სხვა სახელმწიფო ორგანო არ არის უფლებამოსილი

განახორციელოს სასამართლოს ფუნქციები. სასამართლოს აქტები სავალდებულოა როგორც სახელმწიფო ორგანოსათვის, ასევე ნებისმიერი მოქალაქისათვის. საქართველოს კონსტიტუციითა და ორგანული კანონით, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" ასევე უზრუნველყოფილია მოსამართლის დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ მოთხოვნებს, ასევე ფლობს სახელმწიფო ენას და ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა. ,,მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში, გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია და ისჯება კანონით. არავის აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას". (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 63) სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, კანონით განსაზღვრული წესით. საქართველოში სასამართლო პროცესზე მანტიით მხოლოდ მოსამართლეები წარდგებიან. უცხოეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით, პროცესის მონაწილე მხარეებისათვის სპეციალური ფორმა საქართველოში არ არსებობს.

2.2. სპიკერ-მოსამართლის ფუნქცია, პროფესიული და ეთიკური სტანდარტები

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო ხელისუფლების საქმიანობისადმი საზოგადოების ინტერესი, ბოლო წლების მანძილზე, მეტად გაიზარდა. მედიასა და მართლმსაჯულებას შორის ნაყოფიერი თანამშრომლობა, გარკვეულწილად, საზოგადოების სამართლებრივი განათლების დონეზეც დადებითად აისახება. თუმცა საგულისხმოა ისიც, რომ ინფორმაციის

არასწორი ან ნაჩქარევი გავრცელებით, შესაძლოა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას დიდი ზიანი მიადგეს.

დაახლოებით 2007-2008 წლებში მედიის წარმომადგენლებისათვის, კომპეტენტური და ოპერატიული ინფორმაციის მიღების მიზნით, სასამართლოებში შემოღებულ იქნა სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტი. მანამდე არსებული პრაქტიკის მიხედვით, სასამართლო პირდაპირ კონტაქტზე საზოგადოებასთან არ გამოდიოდა და მას ურთიერთობა მხოლოდ საზოგადოების კონკრეტულ წევრთან, კერძოდ, იმ მხარესთან ჰქონდა, რომელიც პროცესის მონაწილე სუბიექტს ან სასამართლოში განცხადების წარმდგენ მხარეს წარმოადგენდა. საზოგადოების დიდი ინტერესი ცხადყოფს, რომ მედიას სჭირდება ინფორმაციის მოპოვება მართლმსაჯულებაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, ხოლო, თავის მხრივ, სასამართლო სისტემისთვისაც აუცილებელია საზოგადოების სწორად ინფორმირება მედიის ჩართულობით, რაც ხელს უწყობს ამ სისტემის ცნობადობის გაზრდასა და ინსტიტუციის გაძლიერებას. სასამართლოში ჟურნალისტებისათვის ინფორმაციის მიწოდების უფლება გააჩნია სასამართლოს თავმჯდომარეს, სპიკერ-მოსამართლეს და პრესსამსახურს.

მართლმსაჯულების საბჭოების ევროპული ქსელის (ENCJ) ერთ-ერთ მოხსენებაში მითითებულია, რომ ,,სპიკერს უნდა ჰქონდეს კომუნიკაციის საკითხებში გარკვეული გამოცდილება და არ არის აუცილებელი, იმავდროულად, იყოს მოსამართლე“. (ENCJ, 2011- 2012) ,,სპიკერის არსებობას სასამართლო სისტემაში გააჩნია ის უპირატესობა, რომ იგი ათავისუფლებს სხვა მოსამართლეებს მედიასთან კომუნიკაციისაგან და აძლევს შესაძლებლობას, სრულად დაუთმონ მათ საკუთარი დრო სასამართლო ვალდებულებების შესრულებას. სპიკერ-მოსამართლეს აქვს ასევე ის უპირატესობა, რომ მან ზედმიწევნით კარგად იცის სასამართლო სისტემის ფუნქციონირების სპეციფიკური ტერმინოლოგია და საკითხები“. (CEPEJ, 2018) სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტის არსებობა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოსა (CCJE) და მართლმსაჯულების

საბჭოების ევროპული ქსელის (ENCJ) ერთ-ერთი უმთავრესი და პირდაპირი რეკომენდაციაა. ზოგადად, სპიკერი პასუხისმგებელია საკუთარი სასამართლო ორგანოს ყველა კომუნიკაციაზე, შესაბამისად, ის მუდმივად უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რომ შეძლოს სასამართლოსთან დაკავშირებული საკითხების სრულყოფილად შესრულება. სპიკერი ინფორმაციას გასცემს კომუნიკაციის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, კანონისა და შესაბამისი სიტუაციის გათვალისწინებით. (CEPEJ, 2018)

საქართველოს შემთხვევაში, სპიკერ-მოსამართლე არის მოქმედი მოსამართლე, რომელიც სპეციალიზაციის განხრით ინიშნება შესაბამის სასამართლოში. ამიტომ ერთ კონკრეტულ სასამართლოში შესაძლებელია, იყოს სამი სპიკერ-მოსამართლე, როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული მიმართულებითაც. მათი საქმიანობის დასარეგულირებლად არსებობს დებულება, რომლითაც სპიკერ-მოსამართლეები მედიასთან ურთიერთობისას ხელმძღვანელობენ. წესისამებრ, მათი დაცვა ყველა მათგანისათვის სავალდებულოა, თუმცა გამონაკლის შემთხვევაში, დასაშვებია ნორმიდან გადახვევა მხოლოდ გარემოებების დასაბუთების მითითებით. სპიკერ-მოსამართლეებთან და მედიასთან ურთიერთობაში დამაკავშირებელი რგოლია პრესსამსახური, რომელმაც კოორდინირებულად უნდა გაავრცელოს ჟურნალისტებისათვის და საზოგადოებისათვის მიწოდებული ინფორმაცია. სპიკერ-მოსამართლე ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ პასუხისმგებელ პირს სასამართლოში, რომელიც უფლებამოსილია, გასცეს ინფორმაცია მედიის წარმომადგენლების მოთხოვნის შემთხვევაში. სპიკერ-მოსამართლე, ერთი მხრივ, უნდა ფლობდეს ინფორმაციას, თუ რა გადაწყვეტილებებს იღებს სასამართლო და, მეორე მხრივ, უნდა იცოდეს, რამ შეიძლება დაინტერესოს მედია.

გარდა ამისა, სპიკერ-მოსამართლე პატივისცემით და ყურადღებით უნდა მიუდგეს მედიის წარმომადგენელთა ინტერესს. ის უნდა ეცადოს, რომ, რაც შეიძლება, სწრაფად შეძლოს ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებულ

პირთათვის, რადგან ინფორმაცია მაშინაა ღირებული, თუ ის ოპერატიულად არის მიწოდებული. სპიკერ-მოსამართლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა იმ ჟურნალისტისათვის, რომლისთვისაც გავრცელებულ ინფორმაციას შესაბამისი დაინტერსება აქვს და ეს უნდა მოხდეს მარტივ ენაზე არსებით გარემოებებზე აქცენტის გაკეთებით. გასაგები უნდა იყოს იმ პირთათვისაც, რომელთაც არ აქვთ სპეციალური იურიდიული განათლება. ,,მედიისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდება აკმაყოფილებს საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესს და უზრუნველყოფს სასამართლოსა და მედიას შორის ბალანსირებულ ურთიერთობას“. (ავტორთა ჯგუფი, 2021) ხოლო, თავის მხრივ, მედიამ სასამართლოს საქმიანობის ან კონკრეტული საქმის შესახებ მიწოდებული ინფორმაციის გავრცელება უნდა უზრუნველყოს მაღალი პროფესიული სტანდარტების დაცვით.

სპიკერ-მოსამართლეს შეუძლია, ინფორმაცია მოგაწოდოთ სასამართლოს საქმიანობაზე, ასევე მიუკერძოებელი და ობიექტური განმარტება მოგცეთ რომელიმე კონკრეტულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაზე. სპიკერ-მოსამართლეს ეკრძალება და არ აქვს უფლება, საკუთარი მოსაზრება გამოთქვას ამ თუ იმ საკითხზე, გააკრიტიკოს კოლეგები ან კომენტარი გააკეთოს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე. სპიკერ-მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს სათანადო წესების ზომიერად დაცვა ინფორმაციის თავისუფლების, კონფიდენციალურობის და უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპებს შორის, რაც გულისხმობს, საერთაშორისო აქტებითა და ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებული პიროვნული უფლებების დარღვევის გარეშე მოახდინოს საზოგადოების ლეგიტიმური, საჯარო ინტერესების დაკმაყოფილება. არსებული დებულებით, ის ვალდებულია, დაიცვას უდანაშაულობის პრეზუმფცია და პირის კონფიდენციალურობა. პროცესის მონაწილეთა თაობაზე მონაცემების გაცემა მხოლოდ მხარეთა თანხმობის საფუძველზეა შესაძლებელი. გარდა ამისა, სპიკერ-მოსამართლეს უნდა ახსოვდეს, რომ სასამართლოს

გადაწყვეტილების განმარტების დროს მოქალაქეებისათვის ნათელი უნდა გახდეს ის, თუ რატომ მივიდა სასამართლო დამდგარ შედეგამდე, თუ რატომ მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება და რა მნიშვნელობა აქვს მიღებულ კონკრეტულ შედეგს სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. იმ შემთხვევაში, თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან მოხდება არაზუსტი და მცდარი ინფორმაციის გავრცელება სასამართლო პროცესის ან გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ, სპიკერ-მოსამართლემ შესაძლებელია, გაავრცელოს პრესრელიზი, რათა მოხდეს საქმის ნამდვილი ვითარების წარმოჩენა.

მედიისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს სპიკერ-მოსამართლე უნდა იყოს, უპირველესად, მიუკერძოებელი, არ უნდა გამოამჟღავნოს რომელიმე პოპულარული მხარის, მასმედიისა თუ ხელისუფლების ორგანოს მიმართ სუბიექტური ინტერესები. ,,მისი ყოველი განცხადება უნდა იყოს დაბალანსებული, კორექტული და განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, შეუვალობის, სამართლიანობის და მიუკერძოებლობისადმი“. (ავტორთა ჯგუფი, 2021)

უნდა აღინიშნოს, რომ სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტი სპეციალურად შეიქმნა სასამართლოებში. ამგვარი პრაქტიკა უკვე დამკვიდრებულია დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. ჩვენს ქვეყანაში კი სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტის შემოღებამ, დასაწყისიდანვე, ხელი შეუწყო მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების ცნობიერებისა და ნდობის ამაღლებას.

2.3. პრესსამსახურისა და სპიკერ-მოსამართლის ურთიერთობა

პრესსამსახურის წარმომადგენელი არის სპეციალისტი, რომელიც გეგმავს და ახორციელებს გარკვეულ აქტივობებს, რომლის კვალიფიციური მუშაობის შედეგად შესაძლებელია, საზოგადოებაში შეიქმნას კეთილგანწყობა და ნდობა ამა თუ იმ ორგანიზაციის მიმართ. ეს არის

ორმხრივი კომუნიკაცია. გარდა ამისა, კომუნიკაციის ეფექტურ მართვაზეა დაფუძნებული პრესსამსახურის წარმომადგენელთა და სპიკერ-მოსამართლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და ობიექტურობა, რაც პირდაპირ კავშირშია სასამართლო სისტემის რეპუტაციის შექმნასთან და ნდობის ამაღლებასთან.

როდესაც საუბარი დემოკრატიული მმართველობის შესახებ იწყება, პირველ რიგში, საზოგადოებისათვის ინფორმაციის ჯეროვნად მიწოდება იგულისხმება, რომელსაც მოჰყვება სურვილის გაჩენა ნდობაზე დამყარებულ ურთიერთთანამშრომლობაზე, ინფორმაციის საჯაროობაზე, გამჭვირვალობაზე, ანგარიშვალდებულებებზე და სწორედ აქ არის უდიდესი როლი პრესსამსახურის წარმომადგენელისა, რომელიც ერთგვარი დამაკავშირებელი ,,სინდისია“ ჟურნალისტებსა და საზოგადოებას შორის. უნდა ითქვას ისიც, რომ დღეს საქართველოში, გარკვეულწილად, ნეგატიური დამოკიდებულაც შეინიშნება პრესსამსახურის წარმომადგენლების მუშაობის მიმართ. შესაძლოა, საზოგადოებამ ვერ მიიღო მათი საქმიანობიდან სასარგებლო შედეგები, ვერ გაიგო მისი ინტერესებისათვის სასარგებლოდ გადაწყვეტისა და კეთილდღეობის მიზანშეწონილობა, მას აქვს მწირი ინფორმაცია საჯარო სამსახურების ეფექტიანად მუშაობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სფერო საქართველოში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ქართული საზოგადოება ბევრად უკეთ ერკვევა ამ ინსტიტუტის არსსა და მნიშვნელობაში. თუმცა საზოგადოებასთან დამაკავშირებელ სპეციალისტთა მომზადების დონე, კვალიფიკაცია, გამოცდილება კიდევ უფრო მეტ დახვეწას, პროფესიულ განათლებასა და სპეციალურ პროფესიულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს. სასურველია, ჟურნალისტებთან თანამშრომლობა და არა მათთან ბრძოლა და დაპირისპირება.

ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის ხელისუფლებისათვის მნიშვნელოვან ვალდებულებას უნდა წარმოადგენდეს მასთან შემხებლობაში მყოფი საზოგადოების ნაწილისაგან აზრის გაგება მათივე საქმიანობის

შესახებ, გათვლილი უნდა ჰქონდეს მათი მოლოდინები, სასურველია, საზოგადოებრივ ინტერესებთან თანხვედრაში მოდიოდეს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება. ეს ყველაფერი კი, საბოლოოდ, ხელს შეუწყობს მართებულად ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი აზრი ინსტიტუციის მიმართ. ამასთანავე, ხელს შეუწყობს მნიშვნელოვან საკითხებზე დისკუსიების წარმართვასა და ჯანსაღი პროცესების განვითარებას საზოგადოებრივი აზრის სწორად ჩამოყალიბების პროცესში. შესაბამისად, საზოგადოების მიერ დემოკრატიულ ცვლილებებში სახელმწიფო ინსტიტუტების როლის გაცნობიერება დამოკიდებულია სახელმწიფო მოხელეების ურთიერთობაზე მედიასთან და საზოგადოებასთან.

პრესსამსახურს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საკუთარი ორგანიზაციის იმიჯის ჩამოყალიბებაში. ასევე უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობაში. გარდა ამისა, მისი მხრიდან, დაკვირვებასა და ყურადღებას მოითხოვს, თუ როგორ უნდა მოიპოვოს ნდობა მედიის წარმომადგენლებთან პროფესიული უნარების სწორად გამოყენებით და როგორ უნდა ამაღლდეს საზოგადოების ნდობა და საკუთარი სამსახურის იმიჯი მის მიერ მიწოდებული სწორი კომუნიკაციის საფუძველზე, ვინაიდან მედიის წარმომადგენლებთან ურთიერთობა ორგანიზაციაში მმართველი რგოლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მასზეა დამოკიდებული თავად ამ ორგანიზაციის იმიჯისა და რეპუტაციის შენარჩუნება. პრესსამსახურის უმთავრესი ფუნქციაა მედიასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია. სასამართლოს პრესსამსახურს კი უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება მედიასთან ურთიერთობისას, რადგან არ მოხდეს სასამართლო ტერმინოლოგიის აღრევა და ინფორმაცია გასაგები გახდეს ყველა დაინტერესებული პირისათვის. ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-10 მუხლის შესაბამისად, ამავე კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული პრინციპის დაცვით და, ასევე, საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის ინფორმაციის თავისუფლების პრინციპების

მიხედვით, პრესსამსახურის ვალდებულებაა ინფორმაციის დაუყონებლივი მიწოდება. მას შეუძლია, მედიაში გასულ ინფორმაციაზე რეაგირება მოახდინოს როგორც პრესრელიზით, ასევე სპეციალური ბრიფინგით ან საპასუხო ინფორმაციის გავრცელებით. პრესსამსახურის თანამშრომელი სასურველია, ხშირ შემთხვევაში, თავადაც იყოს ინიციატორი მედიისთვის საინტერესო ინფორმაციის მიწოდებით. სხვა უწყებების პრესსამსახურებისაგან განსხვავებით, სასამართლოს პრესსამსახურისათვის ძირითადი ინფორმაცია სასამართლო პროცესებს უკავშირდება, ამიტომ მას უნდა ჰქონდეს დაწვრილებითი ინფორმაცია. მან უნდა შეძლოს დაინტერესებული ჟურნალისტის ოპერატიულად დახმარება და საკითხის მოწესრიგება კანონის სრული წესების დაცვით. პრესსამსახურის წარმომადგენელი ასევე მაქსიმალურად უნდა შეეცადოს, რომ ჟურნალისტისათვის ინფორმაციის მიწოდება მოხდეს ისეთი დამუშავებული ფორმით, რომ მას არ გაუჭირდეს მისი სწორად აღქმა, თუკი რაიმე პრობლემა მაინც წარმოიქმნება, პრესსამსახურის დახმარებით უნდა გადამოწმდეს ფაქტობრივი მონაცემების სიზუსტე და უტყუარობა. პრესსამსახური ასევე ვალდებულია, დაუყონებლივ მოახდინოს რეაგირება მედიაში გავრცელებულ ნეგატიურ და არაზუსტ ინფორმაციაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მედიაში, კიდევ ერთხელ, გაშუქდება უწყებისათვის დამაზიანებელი და არასასურველი ინფორმაცია. პრესსამსახურის გამართულად მუშაობისათვის ასევე აუცილებელია შიდაუწყებრივი გამართული კომუნიკაცია.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია სპიკერ-მოსამართლის როლი ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისითაც. საზოგადოებისათვის მარტივი და გასაგები ენით ინფორმაციის მიწოდება პროცესების, გადაწყვეტილებების და, ზოგადად, სასამართლოს თაობაზე, ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია სამართალწარმოების საჯაროობის პრინციპის დაცვის კუთხით.

პრესსამსახურის მოვალეობაა სწორი კომუნიკაციის დამყარება და ურთიერთობა საზოგადოებასთან. ფრაზა ,,საზოგადოებასთან

ურთიერთობა“ თავისი მნიშვნელობით ნიშნავს საზოგადოებასთან კონტაქტის დამყარებას და შენარჩუნებას. საზოგადოებასთან ურთიერთობა ხანგრძლივვადიანი და ჭეშმარიტი კომუნიკაციაა როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე ორგანიზაციის გარეთ. ავტორთა ჯგუფის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში ,,ჟურნალისტიკა“ ნათქვამია, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახლდათ რექს ჰარლოუ. მან ტერმინის განსხვავებული განმარტება შეისწავლა და განსაკუთრებულად გამოყო საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც ,,ორგანიზაციასა და დაინტერესებულ საზოგადოებას/ჯგუფს შორის ორმხრივ ურთიერთობას ეფუძნება, რაც გულისხმობს კომუნიკაციას, ურთიერთგაგებას და აღიარებას, თანამშრომლობას, საერთო ინტერესების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას“. (ავტორთა ჯგუფი, 2017) საზოგადოებასთან ურთიერთობის ცნობილი სპეციალისტი რობერტ ლ. დილენშნაიდერი საზოგადოებასთან ურთიერთობას უწოდებს ,,გავლენის ხელოვნებას“, რომელიც გულისხმობს სამოქმედო პროგრამის განსაზღვრას, გაცნობიერებას და თანმიმდევრულ განვითარებას“. (ავტორთა ჯგუფი, 2017) ტომ გლოვერი, გაერთიანებული სამეფოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტიტუტის ჟურნალში დარწმუნებით წერდა, რომ ,,გამჭვირვალე და თანმიმდევრული კომუნიკაცია ეხმარება ორგანიზაციას, მიაღწიოს დასახულ მიზნებს, ეხმარება დაქირავებულებს, იმუშაონ თავიანთი პოტენციალის შესაბამისად, ეხმარება მომხმარებლებს, გააკეთონ გაცნობიერებული არჩევანი, ხოლო საზოგადოებას - საკითხები“. (უილკოქსი, დ.ლ., კამერონი, გ.ტ.,, 2011) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგიდო ენციკლოპედიაში ვკითხულობთ, რომ ვებსტერის ლექსიკონში საზოგადოებასთან ურთიერთობას განმარტავენ, როგორც ,,გაგებისა და კეთილგანწყობის დამკვიდრების ორგანიზაციას, ხალხის ჯგუფებსა და საზოგადოებას შორის საინფორმაციო მასალების გავრცელების, ორმხრივი ურთიერთობების დამყარებისა და საზოგადოების რეაქციის შესწავლის გზით“. (მარღია, ე.,

2006) საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთ-ერთი თვალსაჩინო სპეციალისტი სემ ბლეკი მოკლე და საკმაოდ არსობრივ განმარტებას გვთავაზობს: ,,საზოგადოებასთან ურთიერთობა - ეს ჰარმონიის მიღწევის ხელოვნება და მეცნიერებაა ურთიერთგაგების საშუალებით, რომელიც სიმართლესა და მაქსიმალურ ინფორმირებულობას ემყარება". (მარღია, ე., 2006) უცხოელი სპეციალისტები ფინ ფრანდსენი და ვინი იოჰანსენი მიიჩნევენ, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა დაფუძნებულია სწორ თეორიულ ჩარჩოზე, რომელიც საშუალებას გვაძლევს, აღვწეროთ და ავხსნათ ის, რაც ხდება რეალურად, როდესაც სტრატეგიული კომუნიკაცია ,,გაჟღენთილია ღირებულებით" და ეს ნათლად ჩანს კიდეც კონკრეტულ ორგანიზაციულ სფეროებში. ისინი აღნიშნავენ, რომ ასეთ შემთხვევებში, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორი კომუნიკაციის ფორმებსაც. მათი აზრით, ამ დარგის ზოგიერთი პრაქტიკოსისათვის თეორია არის „საქმე", რომელიც ხელს უშლის საზოგადოებასთან ურთიერთობას. თუმცა თეორია შემუშავებულია პრაქტიკიდან გამომდინარე და გვეხმარება შედეგების პროგნოზირებაში. ასე რომ, თეორია და ჯანსაღი შეფასების პრაქტიკა ერთმანეთის თანმიმდევრული უნდა იყოს.

საზოგადოებასთან ურთიერთობა შედარებით ახალი პროფესიული საქმიანობაა, რომელიც, ჯერ კიდევ განვითარების პროცესში, პრაქტიკულად, ამდიდრებს თავის ცოდნას და თეორიულ მიდგომებს. ამჟამად, თეორიის როლი საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკაში შეზღუდულია. როგორც პრაქტიკა ფართოვდება მთელ მსოფლიოში, მოსალოდნელია, რომ მოდელებსა და თეორიებში განსახიერებული კონცეფციების უფრო დიდი შეთანხმების მოთხოვნაც გაიზარდოს, თუნდაც ერთი ერიდან მეორეში კომუნიკაციის სიცხადის გამო. საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი პრაქტიკოსია საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე. საზოგადოებასთან ურთიერთობა ყველაზე საჭირო და აუცილებელი პროფესიაა 21-ე საუკუნეში. საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციური არსი მეტად მნიშვნელოვანია და კონკრეტული გადაწყვეტილებების შესახებ

საზოგადოების ინფორმირებულობას გულისხმობს. დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი პრინციპიც სწორედ ესაა - მოქალაქეებთან ურთიერთობა და მათი აზრის გათვალისწინება. ნებისმიერ სფეროში, თუკი გსურს მიაღწიო წარმატებას, უნდა მოიპოვო კეთილგანწყობა. აუცილებელია, საზოგადოებამ დაინახოს შენი მიდგომა და ერთგულება საქმისადმი, პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა. ასეთ შემთხვევაში, თქვენს ნებისმიერ გადაწყვეტილებას მედია და მოსახლეობაც შესაბამისი დამოკიდებულებით მოეკიდება.

საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის სამსახურები ყველაზე დიდ ყურადღებას სწორედ მედიის წარმომადგენლებს უთმობენ. ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის მთელ სისტემაში მედია იმ მთავარ ინსტრუმენტად მოიაზრება, რომლითაც სამივე სახელისუფლებო შტო, ასევე არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები საზოგადოების წინაშე წარდგებიან. საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ფაქტორი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების გასაცნობიერებლად განუზომლად დიდია“. (ავტორთა ჯგუფი, 2017)

პრესსამსახურის წარმომადგენლები, ძირითადად, ორი ტიპის მედიას იყენებენ. ერთია მედია, რომელიც თავად ინტერესდება სასამართლო თემატიკით და აწვდის საზოგადოებას ინფორმაციას დაინტერესებიდან გამომდინარე, ხოლო მეორე შემთხვევაა, როდესაც სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელი საჭიროებიდან გამომდინარე თავად აწვდის მედიას ინფორმაციას საზოგადოებაში გასავრცელებლად. ორივესთან ურთიერთობა განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს. ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა საზოგადოებრივ აზრზე მაინც სატელევიზიო მედიას შეუძლია.

მედიასთან ურთიერთობა და მედიაგაშუქება ერთგვარ სინონიმურ ტერმინებად მოიაზრება და ფართოდაა გავრცელებული საქართველოში. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებასთან წამატებული ურთიერთობა

უშუალოდ ასოცირდება მედიაში პოზიტიური კუთხით გამოჩენის საკითხთან. აქედან გამომდინარე, პრესსამსახურის წარმომადგენლისათვის მნიშვნელოვანია, იცოდეს მედიის სპეციფიკა, მასთან ურთიერთობის წესები და ძირითადი ფორმები. მედიასთან, როგორც ინფორმაციის მთავარ გამტართან, ნებისმიერმა ორგანიზაციამ უნდა ჩამოაყალიბოს მჭიდრო ურთიერთობა, რაც უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს: გამჭვირვალობას, თანამშრომლობას, პროაქტიულობასა და ობიექტურობას.

,,საზოგადოებასთან ურთიერთობა აერთიანებს ყველა იმ საშუალებას, რომელიც ორგანიზაციასა და საზოგადოებას შორის ჰარმონიული ურთიერთობის ჩამოყალიბებას, გაუგებრობის აღმოფხვრასა და კომუნიკაციის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. იგი ადამიანებთან ურთიერთობას, კრიზისული სიტუაციების პროფილაქტიკას, პრევენციული საქმიანობის წარმართვასა და გაუთვალისწინებელი სიტუაციების მინიმუმამდე დაყვანას ემსახურება“. (კობალავა, 2018)

რაც შეეხება ჟურნალისტების ურთიერთობას სასამართლო ხელისუფლებასთან, სხვა უწყებებისაგან განსხვავებით, აქ მხოლოდ პრესსამსახურის საშუალებითაა კონტაქტი შესაძლებელი. კანონი და სამოსამართლო ეთიკის კოდექსი მოსამართლეს უკრძალავს, გასცეს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია, გააკეთოს კომენტარი მისი ან სხვა მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმესთან თუ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

უნდა ითქვას, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობა დასახვეწია და შედეგები ბოლომდე დამაკმაყოფილებელი არ არის. აუცილებელია, სათანადო ყურადღებით იქნეს გააზრებული საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი თანამედროვე საქართველოს განვითარების პერსპექტივაში. ასევე აუცილებელია სწორად დადგინდეს და კიდევ უფრო კარგად გაიწეროს, თუნდაც სამართლებრივი ნორმების სახით, საზოგადოებასთან ურთიერთობის, საქმიანობის მმართველობითი ფუნქცია და როლი.

საზოგადოებისათვის ინფორმაციის სწორად და მისთვის მართლმსაჯულების საქმიანობის შესაბამისად მიწოდება, სწორედ მედიის საშუალებით ხდება, ეს ნიშნავს იმას, რომ მათ შორის უნდა იყოს კონსტრუქციული, ეფექტიანი და ურთიერთპატივისცემაზე აგებული ურთიერთობები. ამის გარდაუვალ საჭიროებაზე და აუცილებლობაზე აკეთებენ აქცენტებს ევროპის წამყვანი ქვეყნების მართლმსაჯულების წარმომადგენლებიც. მაგალითად, გერმანელი მოსამართლე, ბრემენის მიწის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე და მოსამართლეთა გაერთიანების თავმჯდომარე ვოლფგანგ არენჰოფელი გერმანული სამართლის პოლიტიკის ჟურნალში დაბეჭდილ ერთ-ერთ სტატიაში, რომლის სახელწოდებაა ,,სასამართლო გადაწყვეტილებების, მოსამართლეებისა და პროკურორების მიმართ უსაგნო და დამამცირებელი კრიტიკა სულ უფრო მატულობს“ ამბობს: ,,რომ მუდმივი, კარგი თანამშრომლობა ჟურნალისტებთან სასამართლოს ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს“. იგი ასევე თვლის, რომ მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ ,,მოქალაქეებს უნდა ავუხსნათ, რატომ ვიღებთ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას გარკვეულ საკითხებზე, და რა მნიშვნელობა აქვს ამ გადაწყვეტილებებს სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“. (ჭანტურია, 2023) ყველაზე ეფექტურ მოდელად მიღებულია ჰოლანდიაში არსებული მოდელი, სადაც ყოველ სასამართლოს ჰყავს თავისი პრესსპიკერი, რომელიც თავადაა მოსამართლეც და მასთან ერთად მუშაობს პროფესიონალური განათლების მქონე კომუნიკაციის სპეციალისტი. მათი მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით ხდება კომუნიკაცია როგორც საზოგადოებასთან, ისე მედიასთან, რაც განაპირობებს დასაბუთებული და ჩამოყალიბებული ინფორმაციის გასაჯაროებას მნიშვნელოვანი სასამართლო საქმეების და, ზოგადად, სასამართლო სისტემის შესახებ. როგორც ირკვევა, ევროპის განვითარებულ ქვეყნებშიც რთული და პრობლემურია ეს საკითხი.

პრესსამსახურსა და მედიას, პარალელურად საზოგადოებას შორის ორმხრივი ურთიერთქმედების ჩამოყალიბებისათვის სწორად უნდა იქნეს

გააზრებული საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობის, როგორც სახელმწიფო სტრუქტურის მართვის აუცილებელი ფუნქციის არსი. ასევე აუცილებელია, სწორად შეფასდეს პრესსამსახურის როლი დემოკრატიულ სახელმწიფოში და ეფექტურად იქნეს გამოყენებული მისი შესაძლებლობები მართვის პროცესში, რაშიც უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ სწორედ პრესსამსახურის წარმომადგენლებს. სასურველია, რომ პრესსამსახურის სიტყვა და საქმე თანხვედრაში მოდიოდეს, რაც წარმოშობს ნდობას როგორც ჟურნალისტების, ასევე საზოგადოების მხრიდან. ნდობა კი საზოგადოებრივი ერთიანობის ჩამოყალიბების საწინდარია და საზოგადოების განვითარების სტაბილურობის გარანტიას წარმოშობს. ნებისმიერ პოზიტიურ და ნამდვილ ქმედებას მოჰყვება შესაბამისი და ადეკვატური შედეგი, რომლის დანახვის უნარი ყველაზე მეტად შესწევს საზოგადოებას. კვალიფიციური პრესსამსახურის კადრები კი, საბოლოო ჯამში, ქმნიან დადებით რეპუტაციას საზოგადოებრივად საინტერესო საქმიანობის პოპულარიზაციით, თავიანთი იდეებით, დამოკიდებულებებით, შეხედულებებით, აზროვნებითა და შეფასების უნარით. შექმნილი რეპუტაცია კი ეყრდნობა პრინციპს, რომ საუკეთესო პრესსამსახური – ეს არის საზოგადოებრივი მოვალეობის გაცნობიერება.

მოგეხსენებათ, სასამართლოდან ერთი მხარე ყოველთვის მიდის უკმაყოფილო და, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდია მართლმსაჯულების ორგანოზე განაწყენებულთა რაოდენობა. ბუნებრივია და გასაგები, მაგრამ ხშირად საზოგადოებაში ნეგატიური აზრის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს მასმედიის მხრიდან საკითხის არაობიექტური გაშუქება კონკრეტული პირების ინტერესების სასარგებლოდ, რომლებიც შეურაცხყოფენ სასამართლოს და, სამწუხაროდ, ამას დიდი ხალისით იტაცებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. სწორედ ასეთ მნიშვნელოვან ეტაპზე სპიკერ-მოსამართლეს აქვს დაკისრებული უდიდესი პასუხისმგებლობა, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია სამართლებრივი ნორმებისა და კანონის დაცვით. თავის მხრივ, ჟურნალისტის საქმიანობა, სამართლის

უზენაესობით მართულ სახელმწიფოში, სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების, ინფორმაციის მიღების, როგორც ადამიანისათვის განსაკუთრებული ფასეულობების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გავრცელების უფლება, იქნება ეს სიტყვიერად, წერილობით თუ პრესისა და გამოხატვის სხვა საშუალებებით, გულისხმობს განსაკუთრებულ მოვალეობას და პასუხისმგებლობას, მოიცავს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, მისი პიროვნებისა და ღირსების, პირადი ცხოვრებისა თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის პატივისცემას, ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობას, ჰუმანურ დამოკიდებულებას, შეფასებას და კრიტიკის დროს ემსახურება საზოგადოების ინტერესს.

2.4. მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების ფარგლები და მოსამართლის მიერ სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე აზრის საჯაროდ გამოხატვა

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, აზრისა და მისი თავისუფლად გამოხატვის უფლება დაცულია. (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17) ასევე დადგენილია უფლების შეზღუდვის წინა პირობებიც: „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.

მოსამართლეს ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ენიჭება მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში. მას ნებისმიერ მომენტში, იქნება ეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება თუ სხვა საქმიანობის განხორციელება, უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია. მოსამართლე, მის

პროფესიულ თუ პიროვნულ თვისებებთან ერთად, წარმოადგენს საზოგადოების სასამართლოსადმი ნდობის და სასამართლო ავტორიტეტის განმტკიცების მნიშვნელოვან საფუძველს. ამიტომაცაა, რომ მისი ნებისმიერი ქცევა და ქმედება, საჯაროდ გამოთქმული აზრი თუ განცხადება პირდაპირ ახდენს გავლენას მართლმსაჯულების იმიჯსა და რეპუტაციაზე, ვინაიდან საზოგადოებაც ერთ კონკრეტულ მოსამართლეზე დაკვირვებით მიღებულ შთაბეჭდილებას მთლიანად სისტემაზე განაზოგადებს. სწორედ ამ აზრის გათვალისწინებით მოხდა მოსამართლეთა ეთიკის წესებისა და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ მიღებული სტანდარტის დამდგენი უამრავი დოკუმენტის შექმნა, რომლებიც მოსამართლეთა სტატუსს და მათ ქცევას ეხება. შესაბამისად, საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენელი მოსამართლისაგან მოითხოვს ქცევის მაღალ სტანდარტს.

მოსამართლისათვის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მოქალაქისათვის, გარანტირებულია გამოხატვის თავისუფლება, თუმცა ამ უფლების გამოხატვის დროს მოსამართლე ვალდებულია, გაითვალისწინოს და დაიცვას მოსამართლის თანამდებობის მაღალი სტატუსი. ამ უფლებით არასათანადო სარგებლობის ერთმა შემთხვევამაც კი შეიძლება, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს სასამართლოს ავტორიტეტს. „მართლმსაჯულების სისტემა ზოგადად, და, მათ შორის, თითოეული მოსამართლე, თავისი ყოველდღიური საქმიანობით, უნდა განამტკიცებდეს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას და ზრუნავდეს, რომ საზოგადოების მხრიდანაც ადეკვატურად იქნეს აღნიშნული აღქმული“. (ავტორთა ჯგუფი, 2021) სწორედ ამიტომ, მოსამართლეები თავიანთ საქმიანობაში შეზღუდული არიან პროფესიული ეთიკის წესებით და ამიტომაც აუცილებელია, იყოს დადგენილი შესაბამისი სამართლიანი ბალანსი სამოსამართლო ეთიკასა და მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებას შორის.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, ,,სასამართლო ხელისუფლება“ სამ კომპონენტს მოიცავს, იგი ,,გულისხმობს სასამართლოს,

როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ განშტოებას, საკუთრივ მოსამართლეებს თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას და, რაც მთავარია, თვით მართლმსაჯულების განხორციელების მექანიზმს“. (გოცირიძე ე., 2007) მოსამართლეებს, პოლიტიკოსებისაგან და სხვა სახელმწიფო მოხელეებისაგან განსხვავებით, ეკისრებათ ,,თავშეკავებულობის ვალდებულება“, როგორც საზოგადოდ, ასევე უშუალოდ მათ წინააღმდეგ გამოთქმულ კრიტიკაზე პასუხის გაცემასთან მიმართებითაც. ისინი ვალდებული არიან, იყვნენ თავშეკავებულები გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას, რადგან მათმა გამონათქვამებმა ზიანი არ მიაყენოს სასამართლოს ავტორიტეტს და ჩრდილი არ მიადგეს საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულებისადმი. ამგვარად, მათ, ერთგვარად, ,,შეპასუხების უფლება“ საკმაოდ შეზღუდული აქვთ. მოსამართლე მედიასთან ურთიერთობისას უნდა მოერიდოს საკუთარი აზრის დაფიქსირებას განხილვის პროცესში არსებულ თუ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით. მოსამართლე ვალდებულია, თავისი საქმიანობა განახორციელოს დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად. ,,კონკრეტულ საქმეზე ანგარიშის ჩაბარება, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის ანგარიშის მიმღები სუბიექტი, არათუ სამოსამართლო ანგარიშვალდებულების კომპონენტად განიხილება, არამედ აკრძალულია და სამოსამართლო ავტონომიის ხელყოფად ითვლება“. (ავტორთა ჯგუფი, 2021) მოსამართლემ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის დროს არ უნდა გამოიყენოს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სიტყვები და გამოთქმები ან დისკრიმინაციული ტერმინოლოგია. აღნიშნული შეზღუდვა მოქმედებს, მიუხედავად იმისა, თუ სად აკეთებს მოსამართლე განცხადებას ან რა რაოდენობის აუდიტორია უსმენს მას. განცხადების გაკეთების ადგილსა და საშუალებას მნიშვნელობა აქვს არა სამოსამართლო ეთიკის დარღვევის თვალსაზრისით, არამედ დარღვევის მასშტაბის შეფასების მიზნით. ამდენად, მოსამართლემ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას, ნებისმიერი შეხედულებისა

თუ განცხადების საჯაროდ გავრცელების დროს, უნდა გამოიჩინოს კორექტულობა და ყურადღება უნდა მიაქციოს განცხადების გაკეთების ფორმას, საშუალებასა და ადგილს. ამასთან, აღნიშვნის ღირსია, რომ გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე მოსამართლე საკუთარ მოსაზრებას ეთიკურად უნდა გამოხატავდეს, მიუხედავად იმისა, თუ რა რანგში გამოხატავს იგი თავის პოზიციას, როგორც კერძო პირი, მართლმსაჯულების ადმინისტრირების ფუნქციით აღჭურვილი სუბიექტი, ამა თუ იმ ასოციაციის, გაერთიანებისა თუ საბჭოს წევრი, პროფესორი, ლექტორი, მეცნიერი თუ, უბრალოდ, ქვეყნის მოქალაქე. მანტიის ღირსება ავალდებულებს მოსამართლეს, რომ იგი მანტიითა თუ მანტიის გარეშე შესაბამისი ღირსებით იქცეოდეს და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას აუცილებელია, ზრუნავდეს სასამართლოს ავტორიტეტზე. მეორე მხრივ, მოსამართლის გამოხატვა მოითხოვს განსაკუთრებულ დაცვას, როდესაც იგი სასამართლოს ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, მოსამართლის ინდივიდუალური როლის გაძლიერებას, დამოუკიდებლობის სისტემურ გამოწვევებს ეხება. ასე რომ, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად შესაძლოა, შეიზღუდოს როგორც ნებისმიერი პირის გამოხატვის თავისუფლება მოსამართლის კრიტიკისათვის, ასევე თავად მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებაც.

გამოხატვის თავისუფლების კონცეპტუალური მიდგომა მდგომარეობს შემდეგში: ,,ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამოხატვის თავისუფლებას სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებს დემოკრატიულ სახელმწიფოში და განიხილავს მას, როგორც დემოკრატიის საყრდენს, მისი პროგრესისა და თითოეული ადამიანის განვითარების წინა პირობას“. (გოცირიძე ე., 2007)

გამოხატვის თავისუფლებას ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. ისეთი საზოგადოებისათვის, რომელმაც ტოტალიტარიზმის ეპოქა გაიარა, დღეს უფრო ცდილობს მთელი თავისი

განსაკუთრებულობით შეიგრძნოს ეს თავისუფალი მონაპოვარი. ამ მხრივ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია გამოხატვის თავისუფლება სასამართლოს და მოსამართლის ავტორიტეტთან მიმართებაში. არსებული პირობითობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ გამოხატვის თავისუფლება დაცულია იმ ფარგლებში, რომლის იქით მისი შეზღუდვა შესაბამის გარემოებებში ვეღარ მიიჩნევა გაუმართლებლად. ,ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალი, რომელიც საერთო ევროპულ სტანდარტს განასახიერებს, სასამართლოს კრიტიკას კი არ კრძალავს, არამედ ზომიერების დაცვას მოითხოვს, რათა კონკრეტულ შემთხვევებში, ზღვარგადასულმა, უსაფუძვლო კრიტიკამ ანდა კრიტიკის შეუფერებელმა ტონალობამ უფრო მეტი ზიანი არ მოიტანოს, ვიდრე სიკეთე". (გოცირიძე, 2019) მეორე ფაქტორს წარმოადგენს თავისუფლებით სარგებლობის კულტურის ნაკლებობის საკითხი. ყველაზე მეტად ეს სწორედ გამოხატვის თავისუფლების სარგებლობის კულტურასთან იკვეთება. საზოგადოების უმეტეს ნაწილს ეს გაიგივებული აქვს თავისუფლების აბსოლუტურად დაცულ თავისუფლებასთან, რაც არასწორი მიდგომაა და არანაირად არ გულისხმობს ცილისწამების, შეურაცხმყოფელი ტერმინების, უხამსობისა და უზრდელობის ან სიძულვილის ენის უკიდეგანოდ თავისუფლად გამოყენების ანდა გამოვლენის შესაძლებლობას. იმავე საზაოგადოებას ძალიან უჭირს სწორი ფარგლების გათვალისწინება და ზღვრის დაწესება, სხვისი აზრის გამოხატვის თავისუფლების პატივისცემა. ეს გამოწვეულია იმით, რომ უმეტესი ნაწილი ზერელედ ეკიდება თავისუფლებისაგან განუყოფელ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს. ამის გარეშე კი, შედეგად, ვხედავთ ძალადობის ფაქტებს, მოსამართლეთა უფლებების შემლახველ განცხადებებსა და მათი ინტერესების დაკნინების მაგალითებს. არაერთი მეცნიერი თუ პრაქტიკოსი იურისტი საუბრობს იმაზე, ,,რომ გამოხატვის თავისუფლებას გააჩნია სხვის ინტერესებში ენერგიული შეჭრის დიდი პოტენცია. სწორედ ამ უნარის გამო აღნიშნავენ იმასაც, რომ მასმედიას

ძალუძს სხვა ინტერესების ყველაზე უფრო აღმაშფოთებელი დარღვევა“. (გოცირიძე, 2019)

ამ მხრივ, საყურადღებოა და პრობლემატური სასამართლო ხელისუფლების კრიტიკის თემა, რომელიც შესაძლოა, საფრთხეს უქმნიდეს ინსტიტუციის ავტორიტეტის დაცვის ლეგიტიმურ ინტერესს და, ამასთანავე, გარკვეულ რისკებს შეიცავს სამართლებრივი თემატიკის გაშუქების თემაც მედიაში მიუკერძოებლობის კუთხით. თავის მხრივ, მედია ვალდებულია, დაიცვას ობიექტურობის და მიუკერძოებლობის პრინციპი, რათა მოხდეს ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება სასამართლო ხელისუფლების მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ ,,სასამართლოს ავტორიტეტში იგულისხმება და მისგან განუყოფელია კონკრეტული მოსამართლეების ავტორიტეტიც, ვინაიდან ერთი კონკრეტული მოსამართლის ავტორიტეტის შელახვა დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად, განუზომელ ზიანს აყენებს მთელ სასამართლო სისტემას“. (გოცირიძე ე., 2007) ამ მხრივ, გამოკვეთილია სტრასბურგის სასამართლოს მიდგომაც. მოსამართლეები ყველგან და ყოველთვის სარგებლობენ ავტორიტეტისა და პრესტიჟის ყველაზე უფრო ძლიერი დაცვით. სასურველია, ეს მიდგომა ჩვენს ქვეყანაშიც დამკვიდრდეს და საზოგადოებამ ისწავლოს ზღვარი ჯანსაღ კრიტიკასა და შეურაცხყოფას შორის.

რაც შეეხება მოსამართლის მიერ სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე აზრის საჯაროდ გამოხატვას, გამოხატვის თავისუფლებისაგან განსხვავებით, აქ სრულიად განსხვავებული მოცემულობა გვაქვს. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის მესამე თავის (მოსამართლის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა) მე-16 მუხლის მიხედვით: „მოსამართლე, მასმედიასთან ურთიერთობის დროს უნდა მოერიდოს საკუთარი აზრის გამოთქმას განსახილველ, განხილვის პროცესში არსებულ ან უკვე განხილული საქმის თაობაზე, თუ ეს არ ეხება საქმის წარმოების ორგანიზაციულ ან ტექნიკურ მხარეს“.

უნდა ითქვას, რომ, როდესაც საქმე ეხება კონკრეტულ სასამართლო დავას, სადაც მოსამართლეს, თავისი დამოუკიდებლობის ფარგლებში, აქვს პრაქტიკულად შეუზღუდავი გამოხატვის უფლება, იგი გადაწყვეტილებას იღებს ან გადაწყვეტილების დასაბუთებას წერს. შესაბამისად, პროცესის ფარგლებში, მოსამართლის მიერ გამოთქმული შინაარსის გამო, მისგან პასუხის მოთხოვნა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ მხრივ, საინტერესო გამონაკლისად შესაძლებელია განვიხილოთ de Carvalho Basso-ს საქმე პორტუგალიის წინააღმდეგ, როდესაც სასამართლომ ყურადღება მიაქცია სასამართლო პროცესის კონკრეტულ გარემოებებს და ხაზი გაუსვა მოსამართლის დისკრეციის საზღვრების არსებობას, როდესაც საქმე დავის მონაწილის პირადი ინფორმაციის გასაჯაროებას ეხებოდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსამართლის გამონათქვამები, რომელთაც ის აკეთებს სამოსამართლეო ფუნქციების განხორციელებისას, საბოლოოდ, ცალკეული მოსამართლის გამონათქვამი კი არ არის, არამედ მართლმსაჯულების აზრს წარმოადგენს. ამიტომაცაა ძალიან მნიშვნელოვანი, რომ მოსამართლეებმა მართლმსაჯულების განხორციელებისას შეინარჩუნონ მიუკერძოებლობის პრინციპი და მაქსიმალურად პატივი სცენ მხარეთა ინტერესებს, რომლებიც შესაძლოა, შეილახოს სასამართლო პროცესზე გაჟღერებული ინფორმაციების შედეგად.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ,,საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების“ მე-10 და მე-11 მუხლებში გადანაწილდა მოსამართლის მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის დამცველი ღირებულებების აღწერა, თუმცა ეთიკის წესების პროექტის მე-11 მუხლი დაუშვებლად მიიჩნევს მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოხატვას სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე მაშინ, როდესაც მოქმედი ეთიკის წესების მე-16 მუხლის მიხედვით, მოსამართლე მასმედიასთან ურთიერთობის დროს უნდა მოერიდოს საკუთარი აზრის გამოთქმას განსახილველ, განხილვის პროცესში არსებულ ან უკვე განხილული საქმის თაობაზე, თუკი ეს არ ეხება საქმის წარმოების ორგანიზაციულ ან ტექნიკურ მხარეს.

სასამართლო საქმეებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება არის ის წერილობითი დოკუმენტი, სახელმწიფოს სახელით მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ასახავს სასამართლოს მსჯელობასა და მოსაზრებებს, სამართლებრივ დასკვნებს სადავო ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც დგინდება მხარეთა კანონის წინაშე თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საწყისებზე, მათ მიერ წარდგენილი მტკიცებისა და მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე. ამიტომ დამატებითი კომენტარები, როდესაც ეს არ ეხება სასამართლო დავის ორგანიზაციულ ან ტექნიკურ მხარეს, მიზანშეწონილი არ არის და არ უწყობს ხელს ნდობის ჩამოყალიბებას კონკრეტული მოსამართლის საქმიანობისა თუ, ზოგადად, მართლმსაჯულებისადმი.

თავი III. მიუკერძოებლობა, როგორც ეთიკური ვალდებულება ჟურნალისტისა და მოსამართლის პროფესიაში

3.1. მედიის სამართლებრივი ბაზა

კანონის უზენაესობა დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ მედიასამართალთან დაკავშირებული კანონმდებლობა ერთი კონკრეტული ნორმით არ გადმოიცემა და, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობაში ცალკეული სამართლებრივი აქტებითაა მოწესრიგებული. მედიასამართალი უშუალოდ დაკავშირებულია მედიის პროფესიულ საქმიანობასთან, რომელიც, პირველ რიგში, რეგულირდება კონსტიტუციით. იმისათვის, რომ სწორად განისაზღვროს მედიასამართლის არსი, აუცილებელია დიფერენციაცია გაკეთდეს მედიის დეფინიციასა და მის საქმიანობას შორის. ერთი მიმართულებაა თავად მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, ხოლო მეორე მიმართულება, პირობითად, ალტერნატიულ მეთოდად მოვიაზროთ, რომლის განხორციელება სხვა პროფესიის ადამიანებსაც შეუძლიათ (ინტერნეტბლოგერები, სოციალური მედიის მომხმარებლები). შესაბამისად, მედიასამართლის ცნება შემდეგნაირად განისაზღვრება: ,,სამართლის დარგი, რომელიც აწესრიგებს მედიის მონაწილეობით დამყარებულ სამართლებრივ ურთიერთობებს“. (ჯორბენაძე, 2014)

მედიასამართლის როლი თანამედროვე განვითარების ყველა ეტაპზე იმდენად დიდია, რომ ადამიანები, ზოგჯერ, ვერც კი აცნობიერებენ, თუ რა დიდი ინტენსივობით და მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის დროს. თითოეულ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, დაცული იყოს მონაწილე მხარეების სამართლებრივი ასპექტები. მედიის მხრიდან, სავალდებულოა სიზუსტის, ობიექტურობისა და ინფორმაციის გასაგებ ენაზე მიწოდების ფორმები. დაუშვებელია, რომ

მედიამ მსმენელსა თუ მკითხველს არ მისცეს საკუთარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა და ინფორმაცია ისე მიაწოდოს, როგორც ამბის გადმოცემის სუბიექტურმა მხარემ. მედიასამართლის ძირითადი პრინციპებია:

1. მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება, ინფორმაციის საჯაროობა; 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება, ცენზურის დაუშვებლობა; 3. კანონის უზენაესობა, კანონიერების დაცვა; 4. მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე; 5. მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; 5. პასუხისმგებლობა სამართალდარღვევისათვის. თითოეული პრინციპის დაცვა მედიის წარმომადგენლებისათვის უნდა აისახოს ობიექტურ საქმიანობაში, რაც დამოუკიდებლობის ხარისხის მთავარი განმსაზღვრელი კრიტერიუმია.

,,ტერმინი ,,სამართლის წყარო" მომდინარეობს რომაული იურისპრუდენციიდან. იგი აღნიშნავს იმ ძალას, იმ ფაქტორს, რომელიც ქმნის სამართალს". (ალფაიძე, 2008) არსებობს მედიასამართლის ორი ძირითადი წყარო - ქვეყნის შიდა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები. პირველში შედის საქართველოს კონსტიტუცია, ,,მაუწყებლობის შესახებ" კანონი და ყველა ის ძირითადი სამართლებრივი აქტი, რაც მედიის საქმიანობას უკავშირდება. რაც შეეხება საერთაშორისო კანონმდებლობას, ჩვენს ქვეყანაში არ ვრცელდება ევროპული საკანონმდებლო ბაზის რეგულაციები, ის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. ,,საერთაშორისო ნორმებზე საუბრისას საქართველოში მედიასამართლის წყაროებად შეიძლება განისაზღვროს საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთაც საქართველომ მოაწერა ხელი. ასე მაგალითად, საქართველოსა და უკრაინას შორის 1996 წელს დადებული ხელშეკრულება, რომელიც ტელე და რადიოპროგრამებისა და საინფორმაციო მასალების გაცვლას ითვალისწინებს. ამასთან, აღსანიშნავია საერთაშორისო შეთანხმებაც, რომელსაც საქართველოც შეუერთდა და რომლის მიხედვითაც, 2015 წლის 17 ივლისიდან საქართველოში არსებული სამაუწყებლო კომპანიები

გადავიდნენ ციფრულ მაუწყებლობაზე (სწორედ საერთაშორისო შეთანხმებაში არსებული მოთხოვნის შესაბამისად)“. (ჯორბენაძე, 2014)

მედიასამართლის წყაროდ შესაძლოა, მოვიაზროთ ასევე ის ეთიკური ნორმები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, მიღებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. მაგალითად, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, რომელიც „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ არის მიღებული. ერთი მხრივ, მართალია, ეთიკის ნორმები სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა, მეორეს მხრივ, მისი დარღვევის შემთხვევაში, შესაძლებელია, მაუწყებელს დაეკისროს შესაბამისი სახის პასუხისმგებლობა.

სასამართლო პრაქტიკა, როგორც მედიასამართლის წყარო – ისევე, როგორც საკანონმდებლო ნორმები, განხილულ უნდა იქნეს ქვეყნის შიდა და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. ქვეყნის შიდა პრაქტიკის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საქართველოს საერთო სასამართლოების, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრაქტიკა, ხოლო საერთაშორისო პრაქტიკის ასპექტში მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც მედიის საქმიანობასა და მასთან დაკავშირებულ გამოხატვისა თუ ინფორმაციის თავისუფლებას ეხება.

მასობრივი ინფორმაციის სფეროში სამართლებრივი რეგულირება, ერთი მხრივ, უნდა იყოს მიმართული მედიის, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის სწორად ფუნქციონირებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვისაკენ. ჟურნალისტიკის სამართლებრივი საფუძვლები მჭიდრო კავშირშია მასმედიის შესახებ არსებულ კანონმდებლობასთან. ჯერ კიდევ XX საუკუნეში მოქმედებდა პრესაში საზოგადოებრივი მოვლენების განმსაზღვრელი წესები. 1990-იან წლებში მიღებულ იქნა ,,ამერიკული

საგაზეთო გილდიის ეთიკური წესები“, ხოლო 1935 წელს - ფრანგული ,,სინდისის კანონი“.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო წესით დაცვა, პირველად, ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელდა 1776 წლის ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში, 1789 წლის ამერიკის კონსტიტუციაში და 1791 წლის უფლებათა ბილში, რომელიც კონსტიტუციის პირველ შესწორებას წარმოადგენდა. მედიის საქმიანობასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთაგან, უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ ისეთ ნორმებს, რომლებიც ინფორმაციის თავისუფლებას ეხება. ეს ფუძემდებლური პრინციპი განმტკიცებულია შემდეგი სამართლებრივი აქტებით: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948წ.), ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ (1966წ.), მე-4 ევროპული კონვენციის ჩარჩოებში მიღებული რეზოლუცია ,,ჟურნალისტური თავისუფლება და ადამიანის უფლებები“ (1994წ.), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 748-ე რეზოლუცია ,,ეროვნული მაუწყებლის როლისა და მისი მართვის შესახებ“ (1975წ.), ლონდონის ინფორმაციული ფორუმის (1989წ.) რეკომენდაციები, ევროპის საბჭოს 1982 წლის 22 აპრილის დეკლარაცია, რომელსაც ,,ინფორმაციის საშუალებების ევროპულ ქარტიას“ უწოდებენ.

სიტყვის თავისუფლების სამართლებრივ ნორმებზე საუბრისას აღსანიშნავია საყოველთაოდ აღიარებული ის საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც ადამიანის უფლებების, კერძოდ - გამოხატვის თავისუფლების დაცვას შეეხება და ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტებია. ამ მხრივ კი, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ,,ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაცია”, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო. საქართველოში ის ძალაში შევიდა უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით.

გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საუბარია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 თავში, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1950 წლის 4 ნოემბერს და ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს. კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ უშლის ხელს სახელმწიფოებს, მოითხოვონ რადიოსამაუწყებლო, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ წარმოებათა ლიცენზირება". (გამოხატვის თავისუფლება ევროპაში, 2003) მაგრამ ის, ამავდროულად, შეიცავს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც ამ უფლების მსგავსად უნდა იქნეს აღიარებული, ვინაიდან გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და უპირობო. სწორედ ამიტომ ამავე დეკლარაციის მე-10 თავში ასევე ნათქვამია, რომ ,,ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც იგი აკისრებს მას ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს და სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისთვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვისათვის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვისათვის, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის". (გამოხატვის თავისუფლება ევროპაში, 2003)

ახალი ,,კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" მიღებულ იქნა 2004 წლის ივნისში და მასში ნათქვამია, რომ ,,კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული

კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად“. (მუხლი 2)

მედიასამართლის სფეროში, საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის გასაცნობად, მნიშვნელოვანია ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ეგიდით მომზადებული ნაშრომი, ეუთოს რეგიონის ქვეყნებში ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ. საქართველოზე მასალა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ არის მომზადებული, რომელსაც კითხვა-პასუხის ფორმა აქვს და დაინტერესებულ პირებს, განსაკუთრებით კი, ჟურნალისტებს, ნათელ წარმოდგენას შეუქმნის საქართველოში მოქმედ სიტყვის თავისუფლების სამართლებრივ ნორმებზე. (OSCE, 2007)

ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია ,,არტიკლ 19“-ის სამხრეთ კავკასიაში ინფორმაციის თავისუფლების შეფასებით, დოკუმენტში წერია, რომ 2004 წელს მიღებული ,,კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ერთ-ერთი ყველაზე პროგრესულია მსოფლიოში, რომელშიც გათვალისწინებულია მსოფლიო პრაქტიკის საუკეთესო მაგალითები. ის იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, ინფორმაციის მოძიების, მიღების, შენახვისა და გავრცელების უფლებას, კრძალავს ცენზურას, აძლევს ჟურნალისტებს საშუალებას, რომ დაიცვან ინფორმაციის წყაროს კონფიდენციალურობა და ასევე ის, ვინც ეს ინფორმაცია გაამჟღავნა. (OSCE, 2007)

სიტყვის თავისუფლებაზე ახალი კანონის შექმნის აუცილებლობაზე საუბარი წლების მანძილზე მიმდინარეობდა. მაგალითად, გაზეთი ,,გულანი“ 1997 წელს წერდა: ,,წამყვანმა ქვეყნებმა ცივილიზებული ცხოვრების წესი საუკუნეების წინ ჩამოყალიბებული კანონებით დაიმკვიდრეს. სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ დღეს ვდგამთ პირველ ნაბიჯებს. დემოკრატია იქ უკვე ტრადიციაა, ჩვენთან კი საომარი ასპარეზი, რომელიც ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობს. ყველაზე

ნათლად ეს სიტყვის თავისუფლებასა და სასამართლო სისტემასთან მიმართებაში ჩანს“. (სალია, გ., ქრისტესელი, ა., 1997)

საქართველოს კანონმდებლობა მედიის შესახებ, ეყრდნობა 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის ძირითად კანონს, რომლის მე-19 და 24-ე მუხლები სიტყვის თავისუფლების არსებითი მნიშვნელობის პირველი გარანტიებია. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლში ნათქვამია, რომ ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა მათ გამო, აგრეთვე მიუღებელია მისი იძულება, რომ აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის შესახებ თავისი შეხუდულება გამოთქვას. კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. კონსტიტუციაში ნათლად არის მითითებული, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია, ხოლო ცენზურა დაუშვებელია: ,,სახელმწიფოს და ცალკეულ პირებს არ აქვთ მასობრივი ინფორმაციის და ან მისი გავრცელების საშუალებების მონოპოლიზაციის უფლება“. (მუხლი 24) კონსტიტუციაში განმტკიცებულია ძირითადი პრინციპები, როგორებიცაა: სიტყვის, აზრის, სინდისის, ინფორმაციის თავისუფლება და ხელმისაწვდომობა. სახელმწიფოს ძირითადი მიზანია, დააკანონოს და დაადგინოს შესაბამისი წესები მედიასამართლის სფეროში, უზრუნველყოს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფო ინტერესების, ასევე სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, ზნეობისა და ეთიკური ნორმების დაცვა. ასევე უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტებია - კონსტიტუციის საფუძველზე მიღებული კანონი ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ (ამ კანონმა გააუქმა კანონი ,,პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“), საქართველოს კანონი ,,მაუწყებლობის შესახებ“, საქართველოს კანონი ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“.

საქართველოს კონსტიტუციის შემდეგ, ძირითადი საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებს მოქალაქეთა უფლებას, დაესწრონ საჯარო დაწესებულებების სხდომებს, თავისუფლად მიუწვდებოდეთ ხელი ოფიციალურ დოკუმენტებზე, აგრეთვე, საკუთარი თავის შესახებ ხელისუფლების ხელთ არსებულ ინფორმაციაზე, არის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ (1999) მესამე თავი - ინფორმაციის თავისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის გამჭვირვალობის სფეროში სხვა კანონებიც მოქმედებს, აღნიშნული კოდექსის თავი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, ყველაზე მნიშვნელოვან და ეფექტიან კანონად უნდა ჩაითვალოს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცილისწამება სისხლის სამართლის დანაშაული უკვე არ არის, ამასვე ადასტურებს ,,საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“. 2004 წლის 24 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, კოდექსმა ცვლილებები განიცადა, რის შედეგადაც, დეფამაციის დეკრიმინალიზაცია მოხდა. გაუქმდა 148-ე მუხლი, სადაც მითითებული იყო, რომ ,,ცილისწამება დანაშაულის ბრალდებით ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით ასიდან ორას საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაო ვადით ერთ წლამდე“.

მედიის სამართლებრივი ნორმები წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობებს. ამ ურთიერთობებისას ყველა მხარეს გააჩნია საკუთარი უფლება-მოვალეობები. აქ მნიშვნელოვან სუბიექტს წარმოადგენს თავად სახელმწიფო, რომელიც ძირითადი ინფორმაციული რესურსის ავტორია და ქმნის ინფორმაციულ სივრცეს. ,,მედიასამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს წარმოადგენს სამართლის სუბიექტების გარკვეული ქცევა. ობიექტი შეიძლება იყოს გარკვეული მოქმედებისაგან თავის შეკავებაც. ამას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა მედია სამართლებრივი ნორმა, რომელიც არეგულირებს მედიასამართლებრივ ურთიერთობას, კრძალავს ამა თუ იმ მოქმედებას, რომელიც ზიანს აყენებს სხვებს“. (ალფაიძე, 2008)

ჯერ კიდევ 2003 წლის მაისში, ევროკავშირის ეგიდით, ჩატარდა სემინარი თემაზე ,,მედიის თვითრეგულირების მექანიზმის ჩამოყალიბება საქართველოში“, სადაც მასმედიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს სახელწოდებით, ,,მედიის პროფესიული სტანდარტი“. ეს იყო პირველი მცდელობა ჩვენს ქვეყანაში, დაწყებულიყო მუშაობა პროფესიული ეთიკის ნორმების ჩამოყალიბებაზე. ეს არ იყო სავალდებულო ძალის დოკუმენტი და სრულად არ მოიცავდა ჟურნალისტურ საქმიანობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს, არ იყო მითითებული, რომ ჟურნალისტი ვალდებულია, საზოგადოების წინაშე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისას, დაიცვას პროფესიული სტანდარტით დადგენილი წესები. ერთადერთი დოკუმენტი, რითაც ჟურნალისტური საქმიანობა ,,კონტროლდება“, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ მიღებული 11 პრინციპია.

2004 წელს მიღებული კანონი ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ქვეყანაში ზოგადი ფუნდამენტური, სამართლებრივი ღირებულებების გამოხატულებაა და საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარეობს. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-10 მუხლშია სწორედ მითითებული გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ: ,,ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების მიერ ჩარევის გარეშე და საზღვრის მიუხედავად.“

საქართველოს კანონი ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, პრაქტიკულად, ამ ევროპული კონვენციის პოსტულატებს იმეორებს და მას კიდევ უფრო კონკრეტული ნიუანსებით ავსებს, სადაც

საუბარია ცენზურის დაუშვებლობაზე, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმზე, ჟურნალისტის მხრიდან ინფორმაციის წყაროს საიდუმლოების დაცვაზე. არსებულ კანონზე მსჯელობისას მედიასაზოგადოებისათვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ერთ მუხლს, რომელსაც ამ კანონის მთავარ ,,ღირსებად" მიიჩნევენ. საუბარია მტკიცების ტვირთზე, რომელიც ამ კანონის თანახმად, ვთქვათ, სტატიის ავტორს აღარ ეკისრება ანუ ჟურნალისტი, რომელიც რომელიმე საჯარო მოხელის წინააღმდეგ რაიმე ფაქტს გაამჟღავნებს, ეს თანამდებობის პირი სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში, თავად იქნება ვალდებული, დაამტკიცოს, რომ გამოქვეყნებული ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამება. ამ კანონის დადებით მხარეზე მიუთითებს ისიც, რომ იგი ვრცელდება როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ მედიაზეც. განსაკუთრებულ ნოვაციად შეიძლება ჩაითვალოს, ,,კანონი მაუწყებლობის შესახებ", რომელიც ევროსაბჭოს წინაშე საქართველოს მიერ შესასრულებელ ერთ-ერთ ვალდებულებად ითვლება. ყველა საერთაშორისო ვალდებულება თუ რეკომენდაცია მედიასამართლის დარგში მოწოდებულია იმ ზოგადი სტანდარტების შექმნისკენ, რომელიც ასე საჭირო და აუცილებელია ქართული მედიისათვის. მეორეცაა, როგორი სიზუსტითა და რა ხარისხით შესრულდება ჩვენი ჟურნალისტების მხრიდან დაწერილი კანონმდებლობა.

რეალობაა, როდესაც გახმაურებული პროცესები ხდება, მის გაშუქებას, ბუნებრივია, მედიას ვერავინ აუკრძალავს. ჟურნალისტის სტატიისადმი ან სატელევიზიო სიუჟეტისადმი ინტერესი კი საგრძნობლად მცირდება, როდესაც ოპერატიულობა ქვეითდება ან ფერხდება რეზონანსული შეთხვევის შესახებ. ასეთ დროს, მედიას ყველაზე მნიშვნელოვანი როლი აკისრია საზოგადოებრივი აზრის სწორად ფორმირებაში. ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური. მას გააჩნია უფლებები და პასუხისმგებლობები. ამ შემთხვევაში, ტერმინი ,,უფლებები" განიმარტება, როგორც ჟურნალისტის პრეროგატივა, განახორციელოს საკუთარი პროფესიული მოვალეობები და

გააშუქოს საზოგადოებისათვის საინტერესო მოვლენები და საკითხები, ხოლო ტერმინი, ,,პასუხისმგებლობები“ ნიშნავს მის მოქმედებას, კეთილსინდისიერად მიაწოდოს ზუსტი და სანდო ინფორმაცია საზოგადოებას ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად.

სასურველია, მიღებულ იქნეს ჟურნალისტის სტატუსის საკანონმდებლო რეგლამენტაცია, რაც წინააღმდეგობას არ გაუწევს ,,პროფესიულ სტანდარტებსა“ და ეთიკის კოდექსის დებულებებს. პირიქით, ის ხელს შეუწყობს იმ არსებული პრობლემების აღმოფხვრას, რაც დღეს არსებობს მასმედიასა და საზოგადოებას შორის.

3.2. მედიაეთიკისა და მედიასამართლის დილემები

მედიის ეთიკური კოდექსი თვითრეგულირების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს. ის, ზოგადად, ხელს უწყობს პროფესიული მორალის, ზნეობრივი ნორმების, უმაღლესი სტანდარტების დაცვას ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელების პერიოდში და, თეორიული სამეცნიერო ცოდნის გარდა, მოიცავს პრაქტიკულ რეკომენდაციებსაც. ეთიკური ჟურნალისტიკა აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს ზნეობრივი ღირებულებების დაცვას. ამიტომ თითოეულ ჟურნალისტს კარგად უნდა ჰქონდეს გათვითცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობები, რომელთა შესრულებას კოდექსი ავალდებულებს. ეთიკური კოდექსის დანიშნულებაა გავლენა მოახდინოს მედიის წარმომადგენელთა საკომუნიკაციო საშუალებებზე და ქცევაზე, მაქსიმალურად დახვეწოს და დანერგოს პროფესიული სტანდარტები. კოდექსის ფუნქციაა ასევე პროფესიული სოლიდარობისა და ღირსების მაღალი სტანდარტების დანერგვა. უნდა ითქვას ისიც, რომ ეთიკურ კოდექსს იურიდიული უფლებამოსილება არ გააჩნია და ნაკლებად ითვალისწინებს სანქციებსა და რაიმე სადამსჯელო ზომების გატარებას იმ ჟურნალისტთა მიმართ, რომლებიც არღვევენ კოდექსის დებულებებს. თითქმის ყველა ქვეყანაში

ეთიკური კოდექსი განსაზღვრავს ჟურნალისტური მისიის არსს და იმას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს. ის, ერთგვარად, ეხმარება ჟურნლისტს სწორად გამოიმუშაოს ზნეობრივი რეფლექსები. მეორე მხრივ, კოდექსი წარმოადგენს კრიტერიუმების ნაკრებს იმისათვის, რომელთა მიხედვით, უნდა მოხდეს ჟურნალისტის საქმიანობა.

მკვლევართა შორის დღემდე მიმდინარეობს აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, თუ როდის გაჩნდა პირველი ეთიკური კოდექსი. ვარაუდობენ, რომ ეს მოხდა აშშ-ში 1890 წელს. ფინელი ლარს ბრუუნი კი ამტკიცებს, რომ 1900 წელს ეს შვეციაში მოხდა. არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის მიხედვით, 1918 წელს საფრანგეთში ჟურნალისტთა ნაციონალური სინდიკატის მიერ მიღებულ ,,ჟურნალისტთა ქცევის ქარტიას“ თვლიან პირველ ეთიკურ კოდექსად. 1923 წელს კი გაზეთების გამომცემლობის ამერიკულ ასოციაციაში მიიღეს ,,ჟურნალისტიკის კანონი“, ხოლო თვითრეგულაციების შექმნის იდეები ვლინდებოდა მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე ევროპასა და აშშ-ში. თვითრეგულაციასთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ჰათჩინსის კომისია, რომელიც აშშ-ში 1940-იან წლებში მუშაობდა. რობერტ ჰათჩინსი იყო ჩიკაგოს უნივერსიტეტის პრეზიდენტი, რომელსაც მედიამაგნატმა ჰენრი ლიუსმა შეუკვეთა ამ კომისიის შექმნა და რომელსაც დაევალა იმ პერიოდისათვის არსებული პრესის თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ხარისხის გამოკვლევა. გამოკვლევის შედეგები კი 1947 წლის 26 მარტს იქნა გამოქვეყნებული.

სხვადასხვა ქვეყნების ეთიკური კოდექსები, დიდწილად, შეიცავენ ერთსა და იმავე დებულებებს ჟურნალისტთა ქცევის შესახებ, თუმცა სხვაობაც არსებობს. ზოგიერთში მითითებულია დეტალური რეკომენდაციებიც, გარდა საქმიანობის ძირითადი პუნქტებისა, ზოგან სანქციებიც კი ფიქსირდება, რომელიც შესაძლოა, გატარდეს კოდექსის დებულებების დამრღვევთა მიმართ. მკვლევარებმა გამოყვეს ის 6 ძირითადი პრინციპი, რომელიც ამა თუ იმ სახით, ყველა არსებულ კოდექსში გვხვდება:

1. სიზუსტე, სიცხადე და ობიექტურობა; 2. ინფორმაციის ღიად, პატიოსნად მოპოვება; 3. აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება, პლურალიზმი; 4. ყოველგვარი დისკრიმინაციის გამორიცხვა რასობრივი, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიური შეხედულების, სოციალური მდგომარეობის, ფიზიკური ან გონებრივი არასრულფასოვნების გამო; 5. საავტორო უფლების დაცვა, პატივისცემა ინფორმაციის წყაროს და ციტირებული ტექსტის მიმართ; 6. დამოუკიდებლობა.

თუმცა უნივერსალური არც ერთი კოდექსი არაა. მთავარ კრიტერიუმებად ყოველთვის მოიაზრება და რჩება ჯანსაღი აზროვნება, ლოგიკური მსჯელობა, პროფესიული პატიოსნება და პასუხისმგებლობა ნებისმიერ რეალურ სიტუაციაში.

ჟურნალისტურმა ორგანიზაციებმა და კავშირებმა ევროპის, სულ მცირე, 29 ქვეყანაში მიიღეს ეთიკური კოდექსები. თითოეულ მათგანში ყურადღება გამახვილებულია ფაქტების გადამოწმების აუცილებლობაზე, მათ სიზუსტესა და ობიექტურობაზე, ჟურნალისტის პასუხისმგებლობასა და პატიოსნებაზე, უდანაშაულობის პრეზუმფციასა და პიროვნების ხელშეუხებლობაზე, საინფორმაციო წყაროს კონფიდენციალურობასა და პროფესიული საიდუმლოს დაცვაზე. ამის მაგალითია ასევე ჟურნალისტთა მოვალეობების ქარტია, რომელიც რომში იტალიური პრესის ეროვნული ფედერაციის მიერ 1993 წლის 8 ივლისს იქნა მიღებული.

„ასოშიეიტიდ პრესის“ ეთიკური კოდექსის თანახმად, ბეჭდური პრესა და ადამიანები, რომლებიც მას ქმნიან, თავადაც უნდა აკმაყოფილებდნენ ყველაზე მაღალ ეთიკურ და პროფესიულ სტანდარტებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინფორმაციის წყაროსთან ურთიერთობას, საჭიროების შემთხვევაში, კონფიდენციალურობის დაცვის მიზეზების ახსნის აუცილებლობას, პრესისა და სიტყვის თავისუფლების დაცვას, ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ობიექტურობა და მიუკერძოებლობა ნებისმიერი ეთიკური კოდექსის მთავარი მოთხოვნაა. ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციის და კომენტარების დაფიქსირებისას

უნდა მოხერხდეს ნეიტრალურობის შენარჩუნება. მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ფაქტი და კომენტარი, რომელიც უნდა გაშუქდეს პირადი ინტერესების გათვალისწინების გარეშე.

ევროპის ქვეყნების ეთიკურ კოდექსებში სხვა ფაქტორებზეც გვხდება საუბარი. მაგ.: მიუნხენის ჟურნალების საერთოეროვნული ქარტია პრესას უპირველეს მოთხოვნად უყენებს ჭეშმარიტების სამსახურს და ერთგულებას შედეგის გაუთვალისწინებლად. ასევე მიიჩნევს, რომ ჟურნალისტს არ აქვს უფლება, ინფორმაციის შესაგროვებლად, დოკუმენტების, ფოტო, აუდიო და ვიდეო-მასალების მოსაპოვებლად, უკანონოდ იმოქმედოს და არაეთიკური საშუალებები გამოიყენოს. საფრანგეთში იყო მცდელობა, შექმნილიყო ე.წ. „პროფესიული პოლიცია“, ერთგვარი სპეციფიკური კონტროლის ორგანო, რომელიც ეთიკის კოდექსზე დაყრდნობით გამოიტანდა თავის ვერდიქტს არაკორექტული, ზნეობრივი ნორმების დამრღვევი ჟურნალისტების მიმართ. მედიის წარმომადგენელთა ნაწილი ამ გადაწყვეტილებას მხარს უჭერდა, თუმცა პროფკავშირმა გააპროტესტა, რადგან მიიჩნია, რომ ჟურნალისტებმა კი არ უნდა გაასამართლონ ერთმანეთი, არამედ პირიქით, უნდა დაიცვან და გამოავლინონ პროფესიული სოლიდარობა და ერთიანობა ერთმანეთის მიმართ.

დევიდ რენდალმა, რომელიც იყო კემბრიჯის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და ლონდონში გამომავალი პოპულარული ბრიტანული გაზეთის „ობსერვერის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, ,,ჟურნალისტებს შესთავაზა 14 უნივერსალური რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, ჟურნალისტი უნდა ემსახუროს მხოლოდ თავის გაზეთს და თავის მკითხველებს; ინფორმაცია ღიად, პატიოსანი გზით უნდა მოიძიოს, არ დაამახინჯოს ფაქტები, გადამოწმებული და სარწმუნო ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას; არ უნდა დაემორჩილოს უკანონო მოთხოვნებს; სტატიის შინაარსზე არ უნდა იმოქმედოს ვინმეს პირდაპირმა ან ირიბმა გავლენამ, თავს არ უნდა მოახვიოს ზემდგომი ორგანოების დირექტივები; ჟურნალისტმა არ უნდა გამოიყენოს საკუთარი თანამდებობა ვინმეს

დასაშანტაჟებლად ან ამბიციების დასაკმაყოფილებლად და პრივილეგირებული მდგომარეობის ხაზგასასმელად. არაეთიკურია ადამიანებს მოტყუებით ან მუქარით გამოსძალო ინფორმაცია. არასდროს იმოქმედოთ გამორჩენის მიზნით, მიცემული პირობა აუცილებლად შეასრულეთ, ყოველთვის გაასწორეთ თქვენი შეცდომები და საჯაროდ ახსენით ამ შეცდომების გამომწვევი მიზეზები - ასეთია დევიდ რენდალის რჩევები“. („განათლება", 2019) თანამედროვე ტენდენციებიდან გამომდინარე, დღეს კიდევ უფრო მკვეთრად გამოიკვეთა, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა აკისრია მედიის წარმომადგენლებს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს. მათ აუცილებლად მეტად უნდა გააცნობიერონ, რომ მორალისა და ეთიკის საკითხები უპირველესი საწყისებია და მათ გარეშე საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში ჟურნალისტიკის ზემოქმედებითი ძალა დაკნინდება და გაუფასურდება. როდესაც ეთიკის საკითხს ვეხებით, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, თუ ვის წინაშეა ჟურნალისტი პასუხისმგებელი: სარედაქციო კოლეგიის, ცალკეული ჯგუფის/პირების თუ ცალკეული პიროვნების?

ამერიკელი კოლეგები და პრესის იდეოლოგები გამოყოფენ ვალდებულებების 5 კატეგორიას: მოვალეობას ერთმანეთის წინაშე; მოვალეობას ხელმომწერთა წინაშე; მოვალეობას ორგანიზაციის წინაშე; მოვალეობას კოლეგების წინაშე და მოვალეობას საზოგადოების წინაშე. ჟურნალისტების მხრიდან ასევე აუცილებელია, სწორად იქნეს გააზრებული ტერმინიც ,,საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა“. სამწუხაროდ, დღევანდელ რეალობაში ჟურნალისტები ხშირად ამახინჯებენ ფაქტებს და საზოგადოებას აწვდიან გადაუმოწმებელ ინფორმაციას. პროფესიული ქცევის ნორმებისა თუ ზნეობრივი პრინციპების დარღვევა ისახება კიდეც საზოგადოებაზე. იკარგება ნდობაც. ,,შრომის დანაწილებისა და თითოეული პროფესიის თავისებურების გამო, საერთო მორალურ-ეთიკურ საფუძველზე წარმოიშობა პროფესიული ეთიკა, რომელიც შეიცავს განაწესს იმ ურთიერთობათა სფეროში, რომელშიც ადამიანი მოღვაწეობს როგორც

პროფესიონალი. მისი არსია ის, რომ ადამიანებმა უზრუნველყონ თავიანთი როლის მაქსიმალურად უკეთ შესრულება მოცემულ პროფესიასთან დაკავშირებით“. (გაგოშიძე, 1996)

ჟურნალისტის პირველი გამაკონტროლებელი და შემფასებელი საკუთარი სინდისი უნდა იყოს და სხვა განზომილებაში უნდა ხედავდეს ღირსების კოდექსს. მისი კანონიერი უფლებაა, მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ესა თუ ის ინფორმაცია. თუმცა უნდა გაითვალისწინოს, რომ ნებისმიერ სიტუაციაში, უნდა ეცადოს, მოიქცეს ზომიერად, თავშეკავებულად, ტაქტიანად, დაკვირვებულად, ,,ოსტატურად“ და მიუკერძოებლად. მისი საქციელით არ უნდა შეილახოს პროფესიული კოლეგიალობა. პროფესიონალიზმი კი საკუთარი სინდისის და სამსახურებრივი მოვალეობის უღალატოდ შესრულებაშია.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის მიერ შემუშავებული ,,ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის კოდექსი“ კი მიუთითებს, რომ პიროვნების ღირსებისა და პატივის საწინააღმდეგოდ ითვლება, თუ ჟურნალისტი სასამართლოს განაჩენის ძალაში შესვლამდე, თავის მასალაში წინასწარ წყვეტს განსასჯელის დამნაშავეობის საკითხს ან სხვაგვარად არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპებს. 2004 წლამდე მოქმედ კანონში ,,პრესისა და მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ” ნათქვამი იყო, რომ ,,ჟურნალისტის მიერ ჩადენილი ისეთი ქმედებისთვის, რომელიც არ ატარებს კრიმინალურ ხასიათს, მაგრამ მიუღებელია ეთიკური თვალსაზრისით და რასაც მოჰყვა თვით ჟურნალისტის და მასობრივი ინფორმაციის საშუალების დისკრედიტირება, იქმნება ღირსების სასამართლო“. (მუხლი 29) ღირსების სასამართლოს ქმნის ჟურნალისტთა კავშირი ან ნებისმიერი მასობრივი ინფორმაციის საშუალების კოლექტივი. მას შეუძლია, დააყენოს პროფესიონალი ჟურნალისტის დასჯის საკითხი (გაკიცხვა, ფულადი ჯარიმა, კავშირის წევრობის დროებით შეჩერება ან გარიცხვა). დღევანდელი კანონმდებლობა მსგავს რეგულაციებს აღარ ითვალისწინებს.

,,საქართველოს ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის კოდექსს" საფუძვლად უდევს ,,საქართველოს კონსტიტუცია" და ,,ჟურნალისტის ეთიკის საერთაშორისო კოდექსი".

ჟურნალისტურ პროფესიულ სტანდარტებზე საუბრისას სხვადასხვა მედიამკვლევარი განსხვავებულ პრობლემურ საკითხებზე აკეთებს აქცენტებს. ,,ამ შემთხვევაში, მაგალითად მოვიყვანთ ორი მედიამკვლევარის რაფაელ ქოჰენ-ალმაგორისა და ჯეკი ჰარისონის მოსაზრებებს. რაფაელ ქოჰენ-ალმაგორი წერს: ,,მაშინ, როდესაც ვსაუბრობ ახალი ამბების გადაცემის დროს ჟურნალისტთა სიზუსტესა და კეთილსინდისიერებაზე, მე ასევე უარვყოფ მათ მორალურ ნეიტრალიტეტს, დემოკრატიის დაცვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სოციალური საკითხების მიმართ, რომელთა წყალობითაც, მედია ფუნქციონირებს და ყვავის". (Almagor, 2005) ჯეკი ჰარისონის აზრით კი, ,,სამაუწყებლო სექტორში მომუშავე ჟურნალისტები მუდამ ვალდებულნი არიან, რომ მათ მიერ გადაცემული ახალი ამბები ობიექტური და მიუკერძოებელი იყოს, ვინაიდან ახალი ამბების ჟურნალისტიკა მოითხოვს შეფასებას, ანალიზს და, ობიექტურობიდან გამომდინარე, ორივე მხარის არგუმენტირებულად და დაბალანსებულად წარმოჩენას". (Harrison, 2006) უნდა ითქვას, რომ სამაუწყებლო კომპანიების მიმართ გამოთქმული ეს მოსაზრებები ეხება მედიის ყველა საშუალებას, რადგან ყველას თანაბრად უნდა მოეთხოვებოდეს ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, არგუმენტირებული ანალიზი და კომპეტენტური შეფასება.

საქართველოში, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გამოდიოდა ,,დილის გაზეთი", 1998 წელს გაზეთის სარედაქციო კოლეგიამ მიიღო საკუთარი ეთიკის კოდექსი. გაზეთის ბოლო გვერდზე მითითებულ სარედაქციო განცხადებაში იკითხებოდა, რომ ,,გაზეთში გამოქვეყნებული მასალების ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათ მიერ მოხმობილი ფაქტების, ციტატების, საკუთარი სახელების, ეკონომიკურ-სტატისტიკური და სხვა მონაცემების სიზუსტისთვის, აგრეთვე იმისთვის, რომ მასალაში არ იყოს

მონაცემები, რომელთა გამოქვეყნება მიზანშეუწონელია... რედაქციამ განხილვის მიზნით, შესაძლოა, გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებს“. (სარედაქციო განცხადება, 2000) ამ განცხადებაშივე ნათლად ჩანს, რომ რედაქცია პროფესიულ ტვირთს ჟურნალისტს აკისრებდა, რითაც იზრდებოდა პროფესიული პასუხისმგებლობა.

ჟურნალისტურ პრაქტიკაში არსებობს ე.წ. „ნაცრისფერი ზონები“, ეთიკური დილემები, რომლებიც ჟურნალისტისგან მოითხოვს მორალურ არჩევანს: ,,1. მიზანი ამართლებს თუ არა საშუალებას, ეთიკურია თუ არა, დაარღვიო ეთიკური ნორმები, მედიამომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე. 2. პირად კეთილდღეობასა და პროფესიულ მოვალეობას შორის არჩევანი რომელზე უნდა შეაჩერო. 3. როგორ უნდა მოიქცეს ჟურნალისტი, თუკი მის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება. 4. უნდა წეროს თუ არა ჟურნალისტმა ხელმძღვანელობის საამებლად თავისი ადგილის შესანარჩუნებლად. 5. რამდენად სწორია, მცირედ ანაზღაურებად ჟურნალისტს, რომელიც გაჭირვებით ახერხებს ოჯახის რჩენას და საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მოვთხოვოთ ეთიკური ნორმების სრულად გათვალისწინება“. („განათლება", 2019) კანონები, რომლებიც არეგულირებს მასმედიის სფეროს, ითვალისწინებს აგრეთვე მედიასაშუალებათა საქმიანობასთან დაკავშირებულ ეთიკურ ნორმებს.

გერმანიისა და აშშ-ის კონსტიტუციებით უზრუნველყოფილია მოქალაქის ღირსებისა და პატივის დაცვის საკონსტიტუციო ნორმები. აშშ-ში მასმედიის საქმიანობის განმსაზღვრელი ძირითადი კანონები, რომლებიც ეხება პირად ცხოვრებაში ჩარევასა და ცილისწამებას, მიიღება ფედერალურ დონეზე. ავსტრიაში ფედერალური ხელისუფლების ხელშია ყველა სახის უფლებამოსილება მასმედიის საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. გერმანიაშიც მასმედიის ეთიკის საკითხები რეგულირდება ფედერალური კანონით, ხოლო მედიის სხვა ნორმები წყდება მიწების კანონმდებლობის

დონეზე. ავსტრიის „პრესისა და ბეჭდვითი მედიის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონის მე-6 პარაგრაფის მიხედვით, თუ პირი ბეჭდვით მედიასივრცეში გახდება ცილისწამების, ლანძღვა-გინების, შეურაცხყოფის ან/და დაცინვის მსხვერპლი და მოხდება მისი კომპრომეტირება საზოგადოების თვალში პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევით, მას შეუძლია, პრეტენზია განუცხადოს მედიამფლობელს და მოითხოვოს მისგან ანაზღაურება მიყენებული მორალური ზარალის კომპენსაციის მიზნით. დასჯადია ის დიფამაცია, რომელიც შესაძლოა, მიმართული იყოს ქვეყნის პრეზიდენტის, სახელმწიფო ორგანოების (სასამართლოების), სამთავრობო უწყებების და მათი თანამდებობის პირების (მინისტრი, დეპუტატი, მოსამართლე) მიმართ. ესტონეთში მიღებული აქვთ კანონი ,,მედიასამსახურის შესახებ“, რომლის მიხედვით, დაუშვებელია სიძულვილის ენის გამოყენება და შეურაცხმყოფელი ქმედებები. ეროვნული მაუწყებლობის პროფესიული საქმიანობის ჟურნალისტური ეთიკის დადგენილ წესებთან შესაბამისობის მონიტორინგზე პასუხისმგებელია ე.წ. ეთიკის მრჩეველი, რომელიც პარალელურად ამზადებს ეროვნული მაუწყებლობის პროგრამების შემცველობასთან დაკავშირებული პრობლემების, შემოსული წინადადებების მიმოხილვასა და პროგრამული მომსახურების ბალანსის მონიტორინგს. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, პრესის მიერ ცრუ ინფორმაციის გავრცელებისთვის და პირად ცხოვრებაში ჩარევისთვის, ესტონეთში მოქმედებს საჩივრების აღძვრის სისტემა და სამართალდარღვევის შემთხვევაში, საქმე შესაძლოა სასამართლომდეც მივიდეს. დიფამაციის გარდა, ასევე პასუხისმგებლობის ნორმებს მორალური კრიტერიუმების დარღვევაზე ადგენს იტალიის კანონიც „პრესის შესახებ“.

მედიასაშუალებათა ეთიკური ნორმების საკანონმდებლო რეგულირების მხრივ, უცხოური ქვეყნების პრაქტიკიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ აშშ-ისა და ევროპის ქვეყნების კონსტიტუციებით უზრუნველყოფილია და დაცულია მოქალაქის ღირსებისა და პატივის დაცვის ნორმები. მასმედიის საქმიანობის განმსაზღვრელი კანონები დასჯად

ქმედებად განიხილავს ცილისწამებას, პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევას, დიფამაციას და ადამიანის სხვა ძირითადი უფლებების შელახვასა და დაკნინებას. აშშ-ისა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში არაკანონიერად ითვლება მოთხოვნები რედაქციებისა და გამომცემლობის მიმართ, წინასწარ შეათანხმონ გამოსაქვეყნებელი მასალები. გარდა ამისა, ამავე დროს, მაგალითად, პოლონეთის კანონმდებლობა ავალდებულებს ჟურნალისტს, აუცილებლად მიიღოს თანხმობა პირადი ცხოვრების შესახებ, ცნობების გამოქვეყნების შემთხვევაში.

ცალკე გამოსაყოფია სამოსამართლო სამართლის საინტერესო საკითხები. მართლმსაჯულება ხელმძღვანელობს კონსტიტუციითა და კანონით. სამართლის განვითარების საქმეში დიდი როლი უჭირავს მოსამართლეების მიერ კონკრეტულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, ევროპაში აღიარებულია, რომ სასამართლო ხელისუფლებას არ შეუძლია, განახორციელოს კანონშემოქმედებითი საქმიანობა. ანგლოსაქსონურ სამართლებრივ ქვეყნებში კი სხვა შეხედულებაა მიღებული და პირიქით, ,,სამართალი არის ის, რასაც ასეთად მიიჩნევს მოსამართლე - Law is what the judges say it is“. (,,მართლმსაჯულება და კანონი", 2005) შესაბამისად, სამოსამართლო სამართალი სამართლის შეფარდების და არა სამართალშემოქმედების გამოვლინებაა. ის თუ არ ,,შეიმეცნე“ და გაიაზრე, გაგიჭირდება შესაბამისი სწორი დასკვნების გამოტანა. მოსამართლის მიერ ნორმის ერთგვაროვანი შეფარდება სამართლებრივი უსაფრთხოების ერთ-ერთი მოთხოვნის გამოვლინებაა, რაც ხელს უწყობს დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცების პრინციპს. სამოსამართლო სამართალი ქვეყანაში მართლწესრიგის ერთიანობის მიღწევის საუკეთესო საშუალებაა და ალტერნატივა არ გააჩნია. ,,სამართალში არსებობს არა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, არამედ ერთდროულად რამდენიმე სწორი გადაწყვეტილება. მათგან ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) სწორი გადაწყვეტილების მიღების პროცესში უმთავრესია იურიდიული

არგუმენტაცია, რომლის დროსაც, სამოსამართლო სამართალი ასრულებს სამართლის შემეცნების წყაროს (მაგრამ, არა სამართლის წყაროს) ფუნქციას“. (,,მართლმსაჯულება და კანონი", 2005)

ჟურნალისტებმა უნდა იცოდნენ, რომ სადავო საკითხს, თავდაპირველად, იხილავს და წყვეტს პირველი ინსტანციის სასამართლო. გასაჩივრების უფლება როგორც სააპელაციო, ასევე უზენაეს სასამართლოში მხარეთა უფლებაა და არა ვალდებულება, ხოლო სასამართლო არის ორგანო, რომელიც ნორმის საბოლოო განმარტებას აკეთებს და იგი სავალდებულოა სამართლებრივი ურთიერთობის ყველა მონაწილეთათვის.

,,სამოსამართლო, სამართალი უნდა განიმარტოს ორი მიმართულებით: სამართლის ნორმის შეფარდების, განმარტების, შემეცნების (ანუ ფართო) გაგებით (მნიშვნელობით) სამოსამართლო სამართალი ყველა სასამართლო გადაწყვეტილების ერთობლიობას წარმოადგენს, ხოლო სამართლის ნორმის დადგენის (ანუ, ვიწრო) გაგებით (მნიშვნელობით), სამოსამართლო სამართალი პოზიტიური სამართლის ნორმით ან სასამართლო პრეცედენტით დაურეგულირებელი ურთიერთობების გადაწყვეტის შესახებ, სასამართლო გადაწყვეტილებათა ერთობლიობაა ანუ არსებობს სამოსამართლო სამართალი ,,სამართალშემეცნების“ - პოზიტიური სამართლის ნორმის ან სასამართლო პრეცედენტის განმარტების, შემეცნების, შეფარდების მნიშვნელობით და ,,სამართალშემოქმედების“ - პოზიტიური სამართლის ნორმითა და სასამართლო პრეცედენტით დაურეგულირებელი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების შესახებ, სამართლის ახალი ნორმის დადგენის მნიშვნელობით“. (,,მართლმსაჯულება და კანონი“, 2007) ნებისმიერ მოქალაქეს კარგად უნდა ესმოდეს და ჟურნალისტების მხრიდანაც უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია, რომ მხარეები შესაძლოა, არ ეთანხმებოდნენ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი ვალდებული არიან, შეასრულონ იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გამოიწვევს კიდევ ერთ (ახალ) სამართალდარღვევას - სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობას.

იმ შემთხვევაში, თუკი მედია არ იქნება დამოუკიდებელი და არ დაიცავს ეთიკურ ნორმებს ჯეროვნად, შეიძლება ითქვას, რომ ამით საფრთხე შეექმნება ქვეყანაში დემოკრატიულობის ხარისხს. თავის მხრივ, მედიის დამოუკიდებლობის გარანტიაა მოქმედი კანონმდებლობა, რომლის საფუძველზე, უნდა დადგინდეს მედიის სამართლებრივი ფარგლები.

იმისათვის, რომ ეთიკურ საკითხებზე მსჯელობა პროფესიულ დონეზე მიმდინარეობდეს და მისდამი ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდეს, აუცილებელია ,,ეთიკური თვითშეგნების“ ამაღლება, რასაც ამერიკელები ,,ethical awareness“ უწოდებენ. დღეს ჩვენი ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ, ვერ ვიტყვით, რომ თვითრეგულირების მექანიზმის ჩამოყალიბების პროცესი დასრულებულია და სახეზე გვაქვს მედიის სრულფასოვანი ეთიკის კოდექსი. ამიტომაცაა, რომ ჟურნალისტური ეთიკის პრობლემატიკის საკითხი აქტუალობას არ კარგავს. როდესაც სამართლებრივი რეგულირების ალტერნატივა - თვითრეგულირება იქნება ქმედითი მექანიზმი, მაშინ შეიძლება ვისაუბროთ უმაღლეს პროფესიულ სტანდარტებსა და პრაქტიკულ შედეგებზე.

თავი IV. ინტერესთა კონფლიქტის პრობლემა ჟურნალისტისა და მოსამართლის პროფესიაში - კვლევის შედეგები

,,Justice should not only be done, but should manifestly and undoubtedly be seen to be done“ - ანუ ,,მართლმსაჯულება არა მხოლოდ კანონიერად და ობიექტურად უნდა ხორციელდებოდეს, არამედ ასეთადაც უნდა აღიქმებოდეს საზოგადოების მხრიდან“. (შატბერაშვილი, 2023) ეს სიტყვები, დიდი ხნის წინათ, ცნობილმა ინგლისელმა მოსამართლემ ჰიუარტმა (Lord Chief Justice Hewart) კონკრეტული სასამართლო საქმის განხილვისას წარმოთქვა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ის თავისუფლად მიესადაგება დღევანდელობასაც. ეს გვაფიქრებინებს იმასაც, რომ სასამართლოსადმი დამოკიდებულების საკითხი კვლავ პრობლემატურია და გადაჭრას მოითხოვს. პრობლემა შეეხება ერთი მხრივ, ურთიერთობას სასამართლოსა და მედიას, მეორე მხრივ, სასამართლოსა და საზოგადოებას შორის. რა განსაზღვრავს საზოგადოებაში მართლმსაჯულების მიმართ ნდობის არსებობა-არარსებობას? რისი თქმა შეუძლია მოსამართლეს საჯარო სივრცეში? შეუძლია თუ არა მოსამართლეს, დაიცვას თავი სასამართლოს გზით, მისი აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლების შეზღუდვის გამო? რა განაპირობებს სასამართლოსა და მედიებს შორის გარკვეული დაძაბულობის არსებობას? როგორ ზემოქმედებს საზოგადოებრივი აზრი სასამართლო პროცესების მიმდინარეობასა და მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე? ამ პრობლემების შესახებ კონკრეტული რეალური მაგალითების სრულფასოვანი ანალიზის საფუძველზე წარმოგიდგენთ დღევანდელ თანამედროვე რეალობას.

მოსამართლის პროფესიის მიმართ ქვეყანაში მაღალი სტანდარტები და მოთხოვნებია ჩამოყალიბებული. ეს არცაა გასაკვირი, რადგან სამართლის განხორციელება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, სამართლიანობას, ადამიანის უფლებებისა და კანონიერების დაცვასა და თავად სამართლებრივი სახელმწიფოს შენებასთან ასოცირდება. მოსამართლე თავისი პროფესიით ამყარებს თავად სახელმწიფოს არსებობას.

სტრასბურგის სასამართლოც მუდმივად ხაზს უსვამს მართლმსაჯულების განსაკუთრებულობაზე და მოსამართლის როლზე სახელმწიფოში.

მედიის განვითარების დინამიკური პროცესიც სულ უფრო მზარდია. მასმედიის ეფექტურობა და ,,ზემოქმედება" შესამჩნევია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. ,,იმ განსაკუთრებული როლის გამო, რომელიც მასმედიას აქვს სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში, მეცნიერ-მკვლევართა ერთი ნაწილი (უ.როსტოუ, დ.ბელი, გ.ბეგერსტამი) მიიჩნევს, რომ მასმედია არის ,,მეოთხე ხელისუფლება", რომელიც გავლენას ახდენს ხელისუფლების ყველა შტოზე". (ალფაიძე, 2008) ტერმინი ,,ხელისუფლება" მრავალაზრობრივი დატვირთის მატარებელია. ფართო გაგებით, ხელისუფლება გულისხმობს მოვლენათა განვითარებაზე ზემოქმედების უნარს და საშუალებას. ეს ზემოქმედება შეიძლება იყოს პოზიტიური ან ნეგატიური. როგორც რთული, მრავალმხრივი მოვლენა ,,ხელისუფლება" განსხვავებულ ორგანიზაციულ ფორმებსა და მეთოდებში, ურთიერთობათა სისტემასა და მიზნებში ვლინდება. ამიტომ პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში არ არის ამ ტერმინის ერთგვაროვანი გაგება. საზოგადოებაში არსებობს პირადი და სოციალური ხელისუფლების სხვადასხვა სახე. ,,სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ზოგადი დახასიათებაც კი ნათელყოფს მის სამართლებრივ ბუნებას და არსს. ხელისუფლების დანაწილების მეცნიერულად დასაბუთებულ და პრაქტიკით განმტკიცებულ დოქტრინაში ერთგვარი დისონანსი შეიტანა ,,მეოთხე" ხელისუფლების კონცეფციამ, რომელმაც უგულებელყო ხელისუფლების დანაწილების კლასიკური მოდელი. აღნიშნული კონცეფცია ცდილობს, დაასაბუთოს, რომ საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ წარმოიშვა და დამკვიდრდა ,,მეოთხე ხელისუფლება", რომელსაც ხელისუფლების სამ განშტოებასთან ერთად აქვს არსებობის რეალური საფუძველი. ეს არის ბეჭდვითი და ელექტრონული მედია. მედიის მიჩნევა ,,მეოთხე ხელისუფლებად" გულისხმობს მის გათანაბრებას სახელმწიფო ხელისუფლების სამ განშტოებასთან". (ალფაიძე, 2008) ვფიქრობ, ამ

,,ტიტულის მინიჭებამ“ მედიის წარმომადგენლები უფრო გაათამამა და ასეთ კონცეფციას არ აქვს არც თეორიული და არც პრაქტიკული საფუძველი. სახელმწიფო ხელისუფლების მედიის ,,მეოთხე“ ხელისუფლებად მოხსენიება ერთგვარ შეცდომას წარმოადგენს. მედიის მიერ მოპოვებული და გავრცელებული ინფორმაცია, ჟურნალისტური პუბლიკაციები თუ ტელეგადაცემები უპირატესად პროპაგანდისტული ხასიათისაა, სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობა კი იმპერატიული და სავალდებულოა. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების ყველა გადაწყვეტილება სავალდებულო ძალისაა, რომელთა განხორციელებისათვის სახელმწიფოს გააჩნია სამართლებრივ საშუალებათა ფართო არეალი. მედია მასალას, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი გადმოცემული, არცერთ შემთხვევაში არ ჰქონია და ვერც ექნება ფიზიკური თუ იურიდიული პირებისათვის სავალდებულო მნიშვნელობის დოკუმენტის ძალა.

მასმედია აქტიურად ერევა სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში. ჟურნალისტების მიერ სასამართლო საქმეების გაცნობა, სასამართლო პროცესის გაშუქება სპეციფიკურია იმ თვალსაზრისით, რომ არ უნდა დაირღვეს ისეთი კონსტიტუციური პრინციპები, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, სამართლის უზენაესობა და კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, სამართალწარმოების დემოკრატიულობა და საჯაროობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. მართლმსაჯულების ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს ის, რომ არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს მართლმსაჯულების განხორციელებაში და ზეგავლენა მოახდინოს მოსამართლეზე. ეს არა მარტო ფუნდამენტური, არამედ კანონის იმპერატიული პრინციპიცაა, რომლის დარღვევა არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება.

თანამედროვეობამ მოიტანა და დღეს კიდევ უფრო გააქტიურა ჟურნალისტების როლი მედიაში, რომლებიც თავად იძიებენ, ააშკარავებენ

ისეთ ქმედებებს, რომლებიც მანამდე უცნობი იყო საზოგადოებისათვის. თუმცა აქ ერთი მნიშვნელოვანი დეტალია, ასეთებს ავიწყდებათ, რომ, რაც არ უნდა ,,ორიგინალურები“ იყვნენ, მათი საქმიანობა არ შეიძლება ჩაითვალოს კვალიფიციურ გამოძიებად, ვინაიდან მათ კანონით ეს უფლება მინიჭებული არ აქვთ. მას შეიძლება ვუწოდოთ ჟურნალისტური გამოკვლევა. ჟურნალისტმა უნდა იცოდეს, რომ ის ვერ გაუთანაბრდება იურისტს, რომლის საქმიანობა მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში ეფექტური და შედეგიანია, თუმცა მათი პროფესიული კომპეტენციის უგულვებელყოფა და ერთმანეთში აღრევა, არამართლზომიერია. როცა ჟურნალისტი ტელეეკრანიდან ან პრესის ფურცლებზე წინასწარ, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე აცხადებს პირს დამნაშავედ, ირღვევა კონსტიტუციური ნორმა უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ და, შესაბამისად, ირღვევა ადამიანის უფლებებიც. ჟურნალისტებს ბევრჯერ ფასდაუდებელი სამსახურიც გაუწევიათ მართლმსაჯულებისათვის, თუმცა მომხდარა პირიქითაც: სიტყვის თავისუფლების პრინციპის უპასუხისმგებლოდ გამოყენებას მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანია როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე საზოგადოებისათვისაც.

თანამედროვე ჟურნალისტები ,,გვიმტკიცებენ“, რომ ისინი ხალხის სახელით საუბრობენ და მხოლოდ მათ სამსახურში არიან. მედიაკრიტიკოსთა შორის არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, საზოგადოებრივი აზრის ჯეროვნად ჩამოყალიბების ნაცვლად, მედიამ ინდივიდუალური თვითგამოხატვის შედეგად შესაძლოა არეულობა და არასტაბილურობა გამოიწვიოს, რომელთა არაპროფესიული მიდგომები, დემაგოგიური გამოვლინებები, ფსევდორეალობა მარტივად შესაძლებელია, გადაიქცეს ხალხით მანიპულირების საშუალებად. ცხადია, აღნიშნულ მოსაზრებასაც აქვს არსებობის უფლება, თუმცა, პლურალისტური მიდგომა და ალტერნატიული მედიასაშუალებების სიმრავლე, საჯაროდ აზროვნება, მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვა დღეს იძლევა იმის საშუალებას, რომ საზოგადოებას თვითგამორკვევის უფრო მეტი შანსი მიეცეს. კომუნიკაციის

სიახლეები კი, ერთგვარად, ცვლის ჟურნალისტიკის პრინციპებს და ასეთ დროს აუდიტორია უკვე თავად წყვეტს ვის უფრო მეტად უნდა ენდოს - ტრადიციული მედიის ,,მქადაგებლის როლიდან“ მოწოდებულ ინფორმაციას, თუ კოლექტიურად განსჯილ ამბავს.

იმის ნაცვლად, რომ მედიამ სასამართლო ინსიტიტუტისადმი პატივისცემა კიდევ უფრო გაზარდოს საზოგადოებაში, სამწუხაროდ, გვხვდება საპირისპირო ფაქტები. კონკრეტული მოსამართლეების მისამართით მზადდება დამაკნინებელი სიუჟეტები, რაც საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა.

2012 წლის ხელისუფლების ცვლილების შემდგომ, კიდევ უფრო გაძლიერდა კრიტიკა სასამართლოს მიმართ. ამას ადასტურებს იმ პერიოდისათვის არსებული სატელევიზიო სივრცე, სადაც არ ერიდებოდნენ პირდაპირ ეთერებშიც კი, არა მხოლოდ ინსტიტუტის, არამედ კონკრეტული მოსამართლეების ეპითეტებით ,,შემკობას“. ამის უამრავი მაგალითი არსებობს, რასაც ადასტურებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადებაც, სადაც მოსამართლეებმა პირველად, საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს ამ ფორმით. საუბარია 2017 წელს იუსიტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ერთობლივ განცხადებაზე, სადაც საბჭოს წევრებმა გამოხატეს სხვა მოსამართლეთა აზრი და ისაუბრეს გამოხატვის თავისუფლების ფარგლების სავარაუდო დარღვევებზე. მედიის მიერ მომზადებულ სიუჟეტებში ადგილი ჰქონდა სასამართლოსადმი, როგორც ინსტიტუტისადმი უპატივცემულობას და ინდივიდუალური რეპუტაციის უფლების არაერთგზის უხეშ შელახვას. მათი აზრით, გადაილახა ,,დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები და გამოვლინდა გამოხატვის თავისუფლებისაგან ,,განუყოფელი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევა სასამართლოს კრიტიკასთან მიმართებაში. მსგავსი ფაქტების წარმოჩენით, იუსიტიციის უმაღლესმა საბჭომ საგანგებოდ მიმართა ,,საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას, რომ დაედგინა ქარტიის პრინციპებთან მათი შესაბამისობა როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლივად (კუმულაციურად) და ერთობლიობაში“ შეფასება მიეცათ,

ცალკეული ჟურნალისტების მხრიდან, პროფესიული ეთიკის პრინციპების სავარაუდო დარღვევის ფაქტებს. საბჭოს წევრებს ჰქონდათ მოლოდინი, რომ ,,სადავო განცხადებები განხილული იქნებოდა როგორც ქარტიისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის, ისე „ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაციის“ მიერ აღიარებული „ჟურნალისტების ქცევის პრინციპების დეკლარაციის“ საფუძველზე, რომელსაც, ქარტიის პრეამბულის მიხედვით, ქარტიის პრინციპები ემყარება. ,,თქვენს ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ქარტიის პრინციპები, სამწუხაროდ არ ასახავს ყველა იმ დებულებას, რომლებიც „ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის“ მიერ მიღებული დოკუმენტითაა გათვალისწინებული. კერძოდ, „ჟურნალისტთა ქცევის პრინციპების დეკლარაციისაგან“ განსხვავებით, ქარტია არ ადგენს ჟურნალისტის უფლებასა და მოვალეობას „კეთილსინდისიერი კომენტარისა და კრიტიკის“ თაობაზე (the right of fair comment and criticism); გარდა ამისა, ქარტია არათუ მხოლოდ „მძიმე პროფესიულ დარღვევად“, არამედ საერთოდ, ჟურნალისტური ეთიკის დარღვევად არ ასახელებს „წინასწარ განზრახულ, ბოროტ, ღვარძლიან, ცილისმწამებლურ ბრალდებებს, უსაფუძვლო თავდასხმებს, ფაქტების დამახინჯებასა და ჭორების გავრცელებას“ (malicious misrepresentation, calumny, slander, libel, unfounded accusations) საერთაშორისო სტანდარტებისაგან განსხვავებით.

ასევე ველით, რომ საკითხები განხილული იქნება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-10 მუხლის (რომელსაც ასევე ემყარება ქარტია და მაუწყებელთა ქცევის კოდექსი) და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის პრიზმაში; გათვალისწინებული იქნება გამოხატვის თავისუფლების თაობაზე ევროპული კონვენციის ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპი - რომ გამოხატვის თავისუფლებისათვის თანაარსია „შესაბამისი მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ და რომ იგი შეიძლება, შეიზღუდოს როგორც ინდივიდუალური რეპუტაციის, ისე სასამართლოს ავტორიტეტის და მიუკერძოებლობის დასაცავად. (ასეთივეა

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მოთხოვნა). (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება, 2017)

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადებაში ჩამოთვლილია მათ მიმართ ჟურნალისტების მხრიდან გამოყენებული ფრაზები: „ზონდერ-მოსამართლე“, „დაქირავებული ზონდერი“, „მანქურთი“, „მანტიაში გახვეული მანქურთი“, „მოღალატე“, „კრიმინალი“, „სამარცხვინო“, „გაყიდული მონა“, „ჯიბის მოსამართლე“, „დავალების შემსრულებელი“, „ქვეყნისათვის თავისმომჭრელი“.

ამავე განცხადებაში ჩამოთვლილია მოსამართლეებისადმი წაყენებული შემდეგი ფრაზები:

- ✓ „თქვენ (იგულისხმება მოსამართლე თ. ურთმელიძე) ვის რა უნდა ასწავლოთ, ბათუმში ჩააბარე გამოცდა, სრულიად გასაგებია როგორც ჩააბარეთ და არაფერი თქვენ არ იცით“ .
- ✓ „17 გვერდიანი გადაწყვეტილება თამაზ ურთმელიძეს ერთ დღეში კი არა, ერთ კვირაში არ დაუწერია თავის სიცოცხლეში და ამერიკის უზენაესი სასამართლოს არსებობა ყურმოკვრით იცის საერთოდ, და იქ ციტირებები აქვს ამერიკის უზენაესი სასამართლოდან გაკეთებული იმ საქმეებზე, რომლებზეც წარმოდგენა არ აქვს... პროცესის მიმდინარეობის დროს, მაშინაც სხვისი დაწერილი განჩინება წაიკითხა“.
- ✓ „შთაბეჭდილება მრჩება, რომ ფსიქოტროპული პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ არის, უვიცი, უწიგნური ურთმელიძე“;
- ✓ „მოსამართლე შორენა ყაველაშვილი... არის პირადად სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, ვალერი ცერცვაძის ზონდერ მოსამართლე“;
- ✓ „ნატა ნაზღაიძე მონაა ჩვეულებრივი ბიძინა ივანიშვილის მორიგი...“.
- ✓ „საქმე გვაქვს ზონდერ მოსამართლესთან (იგულისხმება მოსამართლე შორენა ყაველაშვილი) რომელიც სპეციალურად არის განწესებული ამ

კოლეგიაში იმისთვის, რომ ისე მართოს ყველაფერი, როგორც დაჭირდება ეს, ამ შემთხვევაში, ვალერი ცერცვაძეს“.

- ✓ „ის (მოსამართლე შორენა ყაველაშვილი) არის მოსამართლის ზონდერი და მას ჰყავს თავისი ქვემდგომი ზონდერები, რომელიც მოგვივლინა ამ პროცესზე“.
- ✓ „ჩვენ გვაქვს დიდი ეჭვი, რომ შორენა ყაველაშვილი არის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ვალერი ცერცვაძის ზონდერ-მოსამართლე".
- ✓ ,,ის (მოსამართლე შორენა ყაველაშვილი) არის ზონდერი და დავალების შემსრულებელი“.
- ✓ ,,ბატონო ზურაბ (იგულისხმება უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ზურაბ ძლიერიშვილი), მე მრცხვენია, რომ ჩემს ქალიშვილს სამართალს ასწავლით“.
- ✓ ,,სასამართლო ჩვენთვის ყრუა, სასამართლო ჩვენთვის ბრმაა“...
- ✓ ,,ეს გადაწყვეტილება უღრანი ტყის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ურთმელიძემ შექმნა ფსევდომართლმსაჯულებით“;
- ✓ ,,რასაც ურთმელიძე და სასამართლო სისტემა აკეთებს, სრული სამართლებრივი დომხალია“;
- ✓ „ეს არ არის მართლმსაჯულება და უკვე მართლმსაჯულების იმიტაციაა, ეს არის ჩვეულებრივი ძალადობა, რაც ახლა სასამართლო დარბაზში ხდება, ეს სასამართლო დარბაზიც აღარ არის, ამ შენობამ სასამართლოს სტატუსიც დაკარგა...“
- ✓ ,,ეს ხომ არ არის მართლმსაჯულება... დავალების გამცემის თავში რა მომწიფდა და რა დავალება გასცა ამ ვითომ მოსამართლე, სამარცხვინო ქალბატონებზე, მე ნამდვილად არ ვიცი“;
- ✓ „(მონები) ბევრნი არიან ... სასამართლო სისტემაში, მომრავლდნენ სამწუხაროდ, რა დავალებაც აქვს, იმ დავალებას ასრულებს“;
- ✓ „...განუკითხაობაა საერთოდ სასამართლო სისტემაში... საქართველოში სასამართლო სისტემა არ არსებობს როგორც ასეთი.

ერთი ადამიანი არის გადაწყვეტილებების მიმღები, ერთ ადამიანს უჭირავს ის ჩაქუჩი, რომლითაც მიიღება გადაწყვეტილებები სასამართლო სისტემაში და არიან უბრალო ხელმომწერი მოსამართლეები, რომელთაც რასაც დაუდებენ იმას აწერენ ხელს, ეს არის ჩვენი დღევანდელი სასამართლო სისტემა... ასეთია სასამართლო სისტემა ... წინასწარ დადებენ გადაწყვეტილებას და უბრალოდ მოაწერენ ხელს".

- ✓ ,,უზენაესი სასამართლო არის ერთი ძალიან დიდი ნაგვის ურნა, რომელშიც მიიღება არა გადაწყვეტილებები, არამედ სამართლებრივი ნაგავი"...
- ✓ „საუბარია სრულ ფაბრიკაციაზე, ეს არ არის მართლმსაჯულება და სასამართლო".
- ✓ ,,ისინი ისტორიაში შევიდნენ იმ 9 მოსამართლით, რომლებმაც, როგორც ბრბომ ერთხმად მისცა ხმა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მათთვის დაწერა ამ ხელისუფლებამ".
- ✓ „9 უსირცხვილო და კრიმინალმა მოსამართლემ ერთხმად მოაწერა ხელი გადაწყვეტილებას";
- ✓ „აქ ჩვეულებრივი ზონდერული მუშაობა მიდის მოსამართლეებთან, განსაკუთრებით, ნატა ნაზღაიძეა ამაში შემჩნეული და აკვირვებს ხოლმე თავის კოლეგებს".
- ✓ „ჩვენ გვასამართლებენ ზონდერ მოსამართლეები".
- ✓ „ისინი მოსამართლეები არ არიან, ისინი არიან მანქურთები მანტიაში."
- ✓ „ისინი ისტორიაში შევიდნენ ურთმელიძის დედის ნაჯახით, ისინი ისტორიაში შევიდნენ გუჯაბიძის დედისთვის, ჩვენივე ფულით მიქირავებული ბინით, ისინი ისტორიაში შევიდნენ იმ 9 მოსამართლით, რომლებმაც, როგორც ბრბომ ერთხმად მისცა ხმა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მათთვის დაწერა ამ ხელისუფლებამ".

განცხადებაში აღნიშნულია ისიც, რომ მედიამ ხელი შეუწყო მოსამართლეების მიმართ სიძულვილის გაღვივებას და მათ გაიგივებას ,,ბნელ ძალებთან“:

- ✓ „ურთმელიძე გახდა ზედსართავი სახელი, ის აღნიშნავს უსამართლობას, დედის უარყოფას, ის აღნიშნავს ყველაფერ ცუდს რაც არსებობს ქვეყანაზე. ასეთი მიმართვები არის საზოგადოებაში - ურთმელიძე ხომ არ ხარ?“
- ✓ „ნუ გაყვებით ბარაბას გზას ...ნუ გაყვებით ურთმელიძეს, ნუ გაყვებით ნაზღაიძეს... გაყევით ქრისტეს გზას!“
- ✓ „სასამართლო კოლეგიაში ზის სამი შაჰიდი ქალი“..., რომელიც ანგრევს ქართულ სახელმწიფოს.
- ✓ „(ნ. გუჯაბიძე) როგორც აღმოჩნდა თაღლითია, „თაღლითობაში შემჩნეული და სახელმწიფო სახსრების მითვისებაში, ეს მინიმუმ ასეა... ასეთი თაღლითი მოსამართლე ჩვენ ჩვენს საქმეში არ გვჭირდება!“
- ✓ „ნათია გუჯაბიძე საერთოდაც თაღლითი აღმოჩნდა, ფულს ითვისებდა სახელმწიფოსგან.“
- ✓ „ნატა ნაზღაიძის გმირობა დაუფასებელი არ დარჩა და გაწეული სამსახურისთვის ქართულმა ოცნებამ ის სოლიდურად დაასაჩუქრა... რამდენიმე თვეში ... მისმა ძმამ სახელმწიფოსგან რამდენიმე მილიონი ლარი მიიღო ... საინტერესოა, როგორია ოფიციალური ვერსია, რით დაიმსახურა ნატა ნაზღაიძის ოჯახმა ასეთი გულუხვი საჩუქარი.“
- ✓ „ეს არის კორუფციის ფაქტი, კატასტროფულად მძიმე ფაქტი..., აღმოჩნდა, რომ მან (ნ. ნაზღაიძემ), დაახლოებით, მილიონამდე ქრთამი აიღო. „ეს არის ღიად გაცხადებული კორუფცია... ქრთამის ამღები არის მოსამართლე. ეს არის სახელმწიფოს მხრიდან ქრთამის გადახდა მოსამართლისთვის!.. სახელმწიფოს მხრიდან, სახელმწიფოს სახსრებით! ბიძინა ივანიშვილმა... სახელმწიფოს სახსრებით

გადაუხადა მას ქრთამი, იმისათვის, რომ რუსთავი 2-ის საქმე ესე გადაწყვეტილიყო“.

განცხადებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ მოსამართლეების მიმართ არსებობდა დაშინების, სამსახურის დაკარგვისა და დასჯის მუქარების შემცველი ტექსტებიც, მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პარალელურად:

- ✓ „თქვენ გაძევდებით სასამართლო შენობიდან კი არა სისტემიდან, თან ძალიან ცუდად, რომ იცოდეთ!“.
- ✓ ,,ჩვენს საქმეს დაქირავებული ზონდერი იხილავს, რომელიც აუცილებლად და უტყუარად წარსდგება სასამართლოს წინაშე და პასუხს აგებს ყველა თავისი ქმედებისთვის“…
- ✓ ,,გარანტიას ვაძლევთ ქ-ნ ნაზღაიძეს, აი როგორც ურთმელიძემ დაამთავრა - ეხლა ხომ აღარ არის მოსამართლე და ვეღარც იქნება ვერასდროს, ისე აღარ იქნება ძალიან მალე თვითონაც და ვეღარც გახდება ვერასდროს. თუ ამითი შემოიფარგლა მისი პასუხისმგებლობა, ჩათვალოს რომ ძალიან ბედნიერი უნდა იყოს... ერთნაირად დაამთავრებენ, ნატა ნაზღაიძე და თამაზ ურთმელიძეც“.
- ✓ ,,ყველაფერს გავაკეთებ, რომ (ნაზღაიძე) ფორმალურადაც არ იყოს მოსამართლე... ამ ქალბატონს მანტიას აუცილებლად გავხდით... ის... დაამთავრებს ცუდად! ამას მას ვპირდები, ამის გარანტიას ვაძლევ ამისას 100 %-იანს.“
- ✓ „მე გარანტიას ვაძლევ ყველა იმ მოსამართლეს, რომელიც ამაში ჩაბმულია, ისინი აგებენ პასუხს კანონის წინაშე, კანონის მთელი სიმკაცრით!“
- ✓ ,,დაისჯებიან ეს მოსამართლეები კანონის მთელი სიმკაცრით.“
- ✓ „ეს ადამიანები დიდხანს თავისუფლებაზე ვერ იქნებიან, იმის გამო, რასაც აკეთებენ... ეს ქალები არიან ჩვეულებრივი დავალების შემსრულებელი მანქურთები, 9 ზონდერი და ყველა ზონდერი ადრე თუ გვიან ამთავრებს ციხეში, არსებობს ქალთა კოლონიაც!“

- ✓ „თუ მოსამართლეები მიიღებენ უკანონო გადაწყვეტილებას და ნებისმიერი გადაწყვეტილება ქიბარ ხალვაშის სასარგებლოდ იქნება უკანონო, ყოველი მათგანი ხელს მოაწერს საკუთარ პროფესიულ და კარიერულ თვითლიკვიდაციას, ეს იქნება პროფესიული და კარიერული სუიციდი, ეს ადამიანები ვერასდროს ვერ გააგრძელებენ პროფესიულ და კარიერულ წინსვლას ამ ქვეყანაში.“
- ✓ „არასდროს არ იდგებით მეორეჯერ ესეთი მარტივი არჩევანის წინაშე, ჩაწეროთ თქვენი თავი ისტორიაში ოქროს ასოებით, ან ჩაწეროთ შავი ასოებით, სამარცხვინო სვეტზე გააკრათ თქვენი თავები, თქვენი ოჯახები და მთელი თქვენი შთამომავლობა. გარანტიას გაძლევთ, ყველა იმ მოსამართლეს რომელიც უკანონობას მოაწერს ხელს, მის ფეხქვეშ მიწა დაიწვება აუცილებლად“.
- ✓ „ამ მოსამართლეების სურათებმა მთელი საქართველო უნდა მოიაროს. ნინო გვენეტაძე კი უმკაცრესად უნდა დაისაჯოს.“
- ✓ „ნინო გვენეტაძე, ამ ქვეყანაში ცხოვრება აღარ გინდა? მართლა მიწა დაიწვება შენს ფეხქვეშ.“

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ადგილი ჰქონდა მცდარი ინფორმაციის, დაუზუსტებელი ფაქტების გავრცელებას და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას:

- ✓ „სტრასბურგის სასამართლომ დაადასტურა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების უკანონობა“. (განცხადება გაკეთებულია გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ სტრასბურგის სასამართლოს მიერ შუალედური ღონისძიების გამოყენების შემდეგ, მაშინ როდესაც მას საქმე არსებითად ჯერ არ განუხილავს)“.
- ✓ ,,(სასამართლოს და მოსამართლეებს) ევროპის სასამართლომ უთხრა, რომ დიახ - თქვენ არა ხართ სასამართლო! თქვენ არა ხართ ეროვნული ინტერესების გამტარებლები, თქვენ ხართ ჯიბის მოსამართლეები, თქვენ არ ახორციელებთ მართლმსაჯულებას!“ (განცხადება

გაკეთებულია გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ სტრასბურგის სასამართლოს მიერ შუალედური ღონისძიების გამოყენების შემდეგ, მაშინ როდესაც, მას საქმე არსებითად ჯერ არ განუხილავს)“.

- ✓ „რუსთავი 2-ის საქმეზე გადაწყვეტილება თეა წულუკიანის კაბინეტში დაიწერა ეკა ბესელიასთან კონსულტაციების შემდეგ“.
- ✓ „გადაწყვეტილება დაწერილია გუშინ, დაიწერა იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის კაბინეტში, ეკა ბესელიას მონაწილეობით“.
- ✓ „გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და დაწერილია თეა წულუკიანის კაბინეტში წუხელ. ნინო გვენეტაძემ მიიტანა ეს გადაწყვეტილება“...

განცხადებაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ ქალაქის ცენტრში გამართულ მიტინგზე პირველად გაჟღერდა შეურაცხმყოფელი ეპითეტები კონკრეტული მოსამართლეების მიმართ და მოუწოდეს სტუდენტებს, ბოიკოტი გამოუცხადონ და არ დაესწრონ მათ მიერ ჩატარებულ ლექციებს. ფაქტი გაშუქდა მედიითაც:

„ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ ეტყვის მადლობას ქართველ მოსამართლეებს, სამარცხვინო, ქვეყნის თავისმომჭრელ - გაყიდულ მონებს! ამიტომ ჩვენ დღეს აქ მოვითხოვთ და ყველას, ვისაც გავლენა აქვს საზოგადოებაზე, მოუწოდოს იგივე. ჩვენ ვითხოვთ, აქ ჩამოთვლილი სამარცხვინო გამყიდველების გადადგომას, ესენი არიან: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე, მოსამართლეები: ეკატერინე გასიტაშვილი, პაატა ქათამაძე, ბესარიონ ალავიძე, მზია თოდუა, ზურაბ ძლიერიშვილი, ვასილ როინიშვილი, მაია ვაჩაძე, გიორგი შავლიაშვილი, ნატალია ნაზღაიძე, ნათია გუჯაბიძე და შორენა ყაველაშვილი. ჩვენ ვითხოვთ, რომ ეს ხალხი წავიდეს სასამართლოდან, ისინი არ ასრულებენ კონსტიტუციურ ფუნქციას, ისინი არიან გაყიდული მონები და მათი ადგილი არ არის სასამართლოში“.

- ✓ „მოსახლეობა ითხოვს გადადექით და დაეხსენით მართლმსაჯულებას, თქვენ მართლმსაჯულებას ვერ განახორციელებთ! და კიდევ ერთი, არც ერთი ეს ადამიანი არ შეიძლება შედიოდეს სტუდენტებთან და წამლავდეს მათ თავისი ტყუილებით, არ შეიძლება სტუდენტებს და შემდეგ თაობებს უკითხავდნენ ლექციებს ადამიანები, რომლებიც სრულიად სამარცხვინოდ მონურ მდგომარეობაში იმყოფებიან დღეს. მოვუწოდებ ყველა სტუდენტს არ შევიდეს, პროტესტი და ბოიკოტი გამოუცხადოს ყველა ამ ადამიანს, უარი უთხრას მათ ლექციებს, უარი უთხრას ამ უწესო ადამიანებს და მონებს, რომლებმაც გაყიდეს ქართული მართლმსაჯულება და რომლებსაც ევროპის სასამართლომ უთხრა რომ დიახ - თქვენ არა ხართ სასამართლო! თქვენ არა ხართ ეროვნული ინტერესების გამტარებლები, თქვენ ხართ ჯიბის მოსამართლეები, თქვენ არ ახორციელებთ მართლმსაჯულებას! კიდევ ერთხელ ყველა პოლიტიკურ ძალას, ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას, ყველას, ყველა ქართველს ღიად და საჯაროდ დააფიქსიროს პროტესტი ამ ადამიანების მიმართ და მათი გადადგომა აქტიურად“.

  განცხადებაში აღნიშნულია, რომ მედიიდან ისმოდა საჯარო განცხადებები სასამართლოს გადაწყვეტილებებისადმი სრული დაუმორჩილებლობისა და მისი აღსრულებისადმი წინააღმდეგობის თაობაზე:

- ✓ „მოსამართლე ურთმელიძის მიერ გამოწერილი სააღსრულებო ფურცელი, რომელსაც ჩვენ არავითარ შემთხვევაში, ხაზგასმით ვამბობ, არავითარ შემთხვევაში არ დავემორჩილებით, იმდენად რამდენადაც მოსამართლე ურთმელიძის არც ერთ გადაწყვეტილებას „აპრიორი“ ვიხილავთ, როგორც უკანონოს, როგორც კონსტიტუციის წინააღმდეგს... ჩვენ მივიღებთ ყველა ჩვენს ხელთ არსებულ შესაძლებლობას, გამოვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა

შესაძლებლობას და ამ კომპანიაში არ შემოვუშვებთ იმ პირებს, ვინც კომპანიას დაასრულებს და ეთერში დატოვებს იმას, რაც ხელისუფლებას უნდა“.

ჩემს მიერ ჩატარებული მედიაპროდუქციის ემპირიული კვლევა ადასტურებს ზემოთგანხილული განცხადების რელევანტურობას.

რამდენად მნიშვნელოვანია მედიაში ინფორმაციის სწორად გაშუქება ამაზე ბევრგან დაწერილა ევროპასა და ამერიკაშიც. ამის არაერთი მაგალითი არსებობს. მაგალითად, გერმანიის პრეზიდენტები: ჰორსტ კიოლერი (2004-2010) და კრისტიან ვულფი (2010-2012) პრესის მიერ წარმოებული არასწორი და გადამეტებული კამპანიის მსხვერპლად იქცნენ (კიოლერს ერთი ფრაზის გამო ,,დაესხნენ თავს“, სადაც მან საგარეო პოლიტიკაში ქვეყნის ინტერესებიც მოიაზრა, ხოლო ვულფს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებად მანქანის იაფი განვადება ,,ჩაუთვალეს“).

ქართული სასამართლოს ისტორიაში არაერთი შემთხვევა გვაქვს იმისა, რა გავლენას ახდენს მედია მოსამართლის რეპუტაციაზე. ამის დასტურია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი მდივნისა და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ლევან მურუსიძის ისტორია. მისი ფოტო, ერთ-ერთ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების გამო, დამარცხებულმა მხარემ გადაიტანა პრეზერვატივზე; ფაქტი მედიამ ,,აიტაცა“ და საინფორმაციო ველი ამ ნიუსით გადაფარა, რაც თავისთავად ეთიკის სტანდარტების დარღვევის კლასიკური მაგალითია.

თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა არასათანადო რეკლამირების გამო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი შეადგინა და „აიისას“ წარმომადგენელს ი/მ ანი გაჩეჩილაძის წინააღმდეგ სასამართლოს სარჩელით მიმართა. „აიისა“ აწარმოებს პრეზერვატივებს, რომელთა შეფუთვაზე კომიქსების სტილში თამარ მეფის, ,,ქართლის დედის“ გამოსახულებებია, ასევე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“

დატანილია ციტატები, რელიგიური შინაარსის წარწერები და ა.შ. 2018 წლის 4 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ „აიისა“ 500 ლარით დააჯარიმა, რაც მეორე ინსტანციაში, სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ლევან მურუსიძემ 2018 წლის 15 ივნისს ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება და გარდა ჯარიმისა, „აიისას“ დაავალა პროდუქციის ქსელიდან ამოღება, ასევე ოთხი დიზაინის პრეზერვატივის რეალიზება და აუკრძალა რეკლამაც. „აიისამ“ მოსამართლის გადაწყვეტილება თემიდას პრეზერვატივზე გამოსახვით გააპროტესტა. სასამართლოს დადგენილებაში წერია: ,,მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ არაეთიკურობის საზომად სასამართლო ხელმძღვანელობს საზოგადოებაში საქმის განხილვის დროისათვის არსებული წარმოდგენებით, ეთიკური ღირებულებებით და ნორმებით. შესაძლებელია, მომავალში აღნიშნული ღირებულებითი წარმოდგენები დაექვემდებარონ გადახედვას და განიცადონ რადიკალური ცვლილებაც კი, თუმცა სასამართლოს შეფასების მასშტაბს, კონკრეტული საქმის განხილვისას, წარმოადგენს იმჟამინდელი საზოგადოების დამოკიდებულება და ღირებულებითი წარმოდგენები მორალსა და ზნეობაზე. შესაბამისად, სასამართლოს შეფასების მასშტაბი ვერ იქნება კრიტერიუმი - ,,უნდა ჰქონდეს თუ არა კონკრეტულ ქმედებას შეურაცხმყოფელი დატვირთვა“ ან ,,გამართლებული და მისასალმებელია თუ არა, ასეთი შეხედულების არსებობა“. სასამართლო უფლებამოსილია, იხელმძღვანელოს მხოლოდ საზომით - საშუალო სტატისტიკური გონიერი ადამიანის გადმოსახედიდან, აქვს თუ არა კონკრეტულ ქმედებას შეურაცხმყოფელი დატვირთვა საქმის განხილვის დროისათვის“.

(სააპელაციო სასამართლოს დადგენილება., 2018)

საინტერესოა, რომ თემა გაშუქდა მხოლოდ ტელეკომპანიების - ,,იმედისა“ და ,,რუსთავი 2“-ის მიერ.

ტელეკომპანია ,,იმედი“

2018 წლის 21 ივნისის ,,ქრონიკის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვების ვრცელ სიუჟეტში „კომპანია „აიისა“ VS ლევან მურუსიძე“, მოსამართლის გადაწყვეტილება რესპონდენტების მიერ, უმეტესად, უარყოფითად წარმოჩნდა. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის, იურისტისა და კომპანია „აიისას“ მხრიდან მოსამართლის გადაწყვეტილება შეფასდა როგორც არაკონსტიტუციური, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას ზღუდავს. მაგალითად, გიორგი მშვენიერაძე ,,საქართველოს დემოკრატიული ინიციატივას“ (GDI) ხელმძღანელი ამბობს: ,,ეს არის კონსტიტუციის სრული იგნორირება. იმიტომ, რომ ჩვენი კონსტიტუცია ამბობს, რომ არ შეიძლება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ისეთი კატეგორიით, როგორიც არის მორალი". (ქრონიკა, 21.06.2018, სიუჟეტი N9, კომპანია „აიისა“ VS ლევან მურუსიძე) ამ აზრს ავითარებს იურისტი გიორგი ბერაია: „ეს გადაწყვეტილება არის საშიში პრეცედენტი იმ კუთხით, რომ ამკვიდრებს სტანდარტს, რომლის მიხედვითაც, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს რაღაც სუბიექტური გრძნობების დასაცავად. ეს ცხადია, ეწინააღმდეგება ევროპულ სტანდარტს ადამიანის უფლებების და მათ შორის, გამოხატვის თავისუფლების“. (ქრონიკა, 21.06.2018, სიუჟეტი N9, კომპანია „აიისა“ VS ლევან მურუსიძე)

ჟურნალისტი აქცენტს თავად მოსამართლე ლევან მურუსიძის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილზე აკეთებს, სადაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მორალის კატეგორიის დასაბუთებასთან ასოცირდება: ,,დადგენილების დასაბუთებულ ნაწილში მურუსიძე წერს, რომ არაეთიკურობის საზომად სასამართლო ხელმძღვანელობს საზოგადოებაში საქმის განხილვის დროისათვის არსებული წარმოდგენებით, ეთიკური ღირებულებებით და ნორმებით“. (ქრონიკა, 2018)

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ,,ქრონიკასთან“ სატელეფონო კომენტარს აკეთებს და ყურადღებას ამახვილებს ღირებულებებსა და მორალზე და იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი,

კანონიერი იყო მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება: „სკოლაში სუყველა დროს ვსწავლობდით, იყო ესეთი, გრიგოლ ორბელიანის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში.“ გიორგი მშვენიერაძე და არასამთავრობოები პრეზერვატივზე ახატავენ“. (ქრონიკა, 2018)

უნდა ითქვას მარტივი ჭეშმარიტებაც, მსგავსი ფაქტები, საბოლოოდ, დიდ უარყოფით ზეგავლენას ახდენს სასამართლო სისტემის იმიჯის ფორმირებაზე რამდენიმე მიზეზის გამო. ერთია ის, რომ მოსამართლის გადაწყვეტილებით დაკისრებული 500-ლარიანი ჯარიმის გადასახდელად კომპანია პრეზერვატივების შეფუთვაზე თემიდას და მოსამართლის გამოსახულებას ბეჭდავს და მეორე ის, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება იურისტების მხრიდან, არაკონსტიტუციურად და თავისუფლების შეზღუდვის პრეცედენტადაა შეფასებული. ვფიქრობ, უნდა არსებობდეს, ნებისმიერი მხრიდან, ხელშეუხებელი თემებისადმი და ფუნდამენტური ტრადიციებისადმი პატივისცემა და დაფასება, რაზედაც ჩვენი მომავალი თაობები უნდა გაიზარდონ.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“

,,კურიერის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა სიუჟეტის დასაწყისშივე გააჟღერა სასამართლო იმიჯის დამაზიანებელი ფრაზა - „მოსამართლის პორტრეტი პრეზერვატივზე“. (კურიერი, 2018) იგრძნობოდა თავად ჟურნალისტის უარყოფითი ტონი და დამოკიდებულება საქმის განმხილველი მოსამართლის მიმართ, ხოლო გამოტანილი გადაწყვეტილება არასამთავრობო ორგანიზაციების, იურისტების მხრიდან ცალსახად უარყოფითად წარმოჩნდა. ისინი გადაწყვეტილების არაობიექტურობაზე, არაკონსტიტუციურობასა და ცენზურაზე საუბრობდნენ. მაგალითად, გიორგი მელაძე (კონსტიტუციონალისტი): „კანონებია არეული ამ ქვეყანაში და რაღაცნაირი სასამართლოს სამართლებრივ ასტიგმატიზმთან გვაქვს საქმე. აქ უკვე გადავედით მეორე

ხარისხის პრობლემაში, რასაც პირდაპირ ცენზურა ჰქვია და ცენზურა რას ნიშნავს? ერთი, სახელმწიფომ უკეთ იცის, როგორც უნდა იფიქრო და მეორე, თუ სხვანაირად ფიქრობ, სახელმწიფო ამ ფიქრს აგიკრძალავს“. (კურიერი, 2018) მოსამართლის გადაწყვეტილებას არაკონსტიტუციურად და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვად აფასებს ,,საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ თავმჯდომარეც: ,,მურუსიძის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიგვაჩნია, რომ ცალსახად არის ძალიან საშიში პრეცედენტი გამოხატვის თავისუფლების კუთხით ქვეყანაში“. (კურიერი, 21.06.2018, სიუჟეტი N9, „პრეზერვატივების საქმე“) გარდა ამისა, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ (GYLA) თავმჯდომარე მოსამართლის გადაწყვეტილებას არაობიექტურად და საშიშ პრეცედენტადაც თვლის: „ეს შეიძლება გახდეს ტენდენტიციური, ეს შეიძლება გახდეს პრეცედენტული, მათ შორის, რომ მომავალში სასამართლომ იხელმძღვანელოს სწორედ იმ სტანდარტით, რომელიც რეალურად არ ეფუძნება არანაირ ობიექტურ გარემოებებს. ეს შეიძლება იყოს ერთი მხრივ სასაცილო, მეორე მხრივ, ძალიან ტრაგიკული გამოხატვის თავისუფლების თვალსაზრისით". (კურიერი, 21.06.2018, სიუჟეტი N9, „პრეზერვატივების საქმე“)

,,კურიერშიც“ მოსამართლე ლევან მურუსიძე კომენტარის დროს აქცენტს ისევ მორალზე ამახვილებს: „სკოლაშიც ... გვასწავლიდნენ, ვთქვათ, გრიგოლ ორბელიანის ლექსი იყო „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში. ეხლა არის გიორგი მშვენიერაძე, რომლსაც პრეზერვატივზე თუ არ დაახატა თამარ მეფის სახე, გამოხატვის თავისუფლება იზღუდება“. (კურიერი, 21.06.2018, სიუჟეტი N9, „პრეზერვატივების საქმე“) ,,იმედზე“ გასული სიუჟეტისგან განსხვავებით, ,,კურიერში“ მოსამართლის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილზე საუბარი არ ყოფილა. ამ სიუჟეტშიც სასამართლო სისტემის იმიჯი მკვეთრად უარყოფითად იქნა წარმოჩენილი, რადგან მოსამართლის გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვად და ცენზურის დაწესების მცდელობად იქნა შეფასებული...

***

კიდევ ერთი უპრეცედენტო ფაქტის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა გაზეთმა ,,ალიამ“, სადაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს მერაბ გაბინაშვილს ნარკორეალიზატორის მფარველობაში დასდეს ბრალი. კერძოდ: ,,სუსის ფაილებიდან ირკვევა, რომ თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსის, მიქაელ გაბრიჭიძის მეგობარი, დეკანოზი ნ. ქ. უმძიმესი დანაშაულისთვის – განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს. თუმცა მიქაელ გაბრიჭიძემ, სუსის ფაილების მიხედვით, დახმარება სთხოვა იუსტიციის სამინისტროს მაშინდელ წარმომადგენელს. მერაბ გაბინაშვილი კი მას ნარკორეალიზატორობის ბრალდებით დაკავებული ნ. ქ-ს საპროცესო გარიგების საკითხის მოგვარებას დაჰპირდა. ეს არის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოჟონილი ინფორმაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ სუსი არა მხოლოდ მოსამართლეებს უსმენს, არამედ, ზოგჯერ, თვალს ხუჭავს მაღალჩინოსნების მიერ ჩადენილ დანაშაულზე, რაც გაბინაშვილის შემთხვევაში, თანამდებობის უკანონოდ გამოყენებაში გამოიხატა“. (ალია, 2021)

ინფორმაციის დასასრულს ჟურნალისტი ასკვნის, რომ: ,,როგორც ჩანს, სწორედ აქედან იღებს სათავეს მისი და თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსის მეგობრობა, რომელიც გაბინაშვილის ნაწილში, სუსის ფაილების მიხედვით, ნარკორეალიზატორის მფარველობასა და სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში გადაიზარდა“. (ალია, 2021)

***

2021 წელს არასამთავრობო ორგანიზაციამ ,,უფლებები საქართველო“ ჩაატარა კვლევა მოსამართლეთა ქონებრივი დეკლარაციების შესახებ; სხვა მოსამართლეებთან ერთად, ისაუბრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეზე თემურ გოგოხიაზე. კვლევის თანახმად, მოსამართლემ განზრახ დამალა საბურთალოს ქუჩაზე მდებარე მის საკუთრებაში

არსებული უძრავი ქონება 11 კვადრატული მიწის ნაკვეთი, რაც არ იყო მის მიერ ასახული დეკლარაციაში. ფაქტი, როგორც გაირკვა, მედიის მიერ გადაუმოწმებლად იყო მიწოდებული. გაირკვა, რომ რეალურად საუბარი იყო საბურთალოს სასაფლაოს ტერიტორიაზე, სადაც დაკრძალულია მოსამართლის მამა. (ფორმულა, 2021)

არაერთი შემთხვევა გვხვდება ქართული სასამართლოს ისტორიაში, როცა ჟურნალისტები მოსამართლეებს მიკროფონებით ხვდებოდნენ საცხოვრებელ სახლებთან და ,,ანგარიშს სთხოვდნენ" მიმდინარე საქმეების შესახებ. ამ მოსამართლეთა შორის აღმოჩნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი, რომელსაც ჟურნალისტმა მოსთხოვა პასუხი მის წარმოებაში არსებულ განსახილველ საქმეზე.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტის მხრიდან არ მოხდა რესპონდენტის გაფრთხილება და შეთანხმება ინტერვიუსთან დაკავშირებით; ნებართვის გარეშე საცხოვრებელ სახლთან დახვედრა კი უდავოდ კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევაა (იმ პერიოდში მოსამართლე ფეხმძიმედ იყო), შესაბამისად, დაირღვა პროფესიული ეთიკის სტანდარტი. ასევე, ის გარემოებაც, რომ მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე და, რომ არავის არა აქვს უფლება, მოსამართლეს მოსთხოვოს ანგარიში ან მიუთითოს, როგორი გადაწყვეტილება მიიღოს კონკრეტულ საქმეზე, ეს ჟურნალისტისთვის საერთოდ უარყოფილია.

სანამ საუბარს მედიასა და სასამართლოს შორის ურთიერთობებზე განვაგრძობდეთ, მანამდე უნდა შევეხოთ საზოგადოებასა და სასამართლოს შორის სამართლებრივი ურთიერთობის ,,დალაგებას", რომელიც, ჯერ კიდევ, მე-19 საუკუნიდან დაიწყო სასამართლო პროცესების საჯაროობის მოთხოვნასთან ერთად. ,,მეორე მიზანი ემყარებოდა მე-19 საუკუნეში

გავრცელებულ ეგრეთ წოდებული ,,გენერალური პრევენციის“ თეორიას, რომლის მიხედვით, სასამართლო პროცესებზე დასწრება, განსაკუთრებით, სისხლის სამართლის საქმეებზე, უნდა ყოფილიყო მოქალაქეთა მიერ დანაშაულის ჩადენის და მოსალოდნელი სასჯელის გაცნობიერების ფაქტორი და უნდა დაერწმუნებინა ისინი, რომ დანაშაულის ჩადენის გამო დაწესებული სასჯელი უფრო ,,ძვირად დაუჯდებათ“, ვიდრე დანაშაულის შედეგად მიღებული სარგებელი და შედეგად ისინი თავს შეიკავებენ დანაშაულის ჩადენისგან (ნეგატიური პრევენცია)“. (შატბერაშვილი, 2023)

ბოლო წლებში სასამართლოში ჩატარებული რეფორმების მიმართ დიდი დაინტერესება და კრიტიკაც იყო მძიმე, რაც ბუნებრივია, რადგან სისტემაში მთელი რიგი ცვლილებები განხორციელდა.

,,საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ 2018 წლის აპრილისთვის არსებული მდგომარეობით, ჩაატარა კვლევა, რომელშიც საერთო სასამართლოების სისტემაში კორუფციის რისკები შეაფასა. კვლევამ აჩვენა, რომ „სასამართლო სისტემაში კორუფციის სავარაუდო შემთხვევების ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორებია: (ა) მართლმსაჯულების ადმინისტრირებაზე არასათანადო გავლენა მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის მიერ და (ბ) სასამართლო ხელისუფლების სისტემური პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია ხარვეზიანი კანონმდებლობით და რომელთა გამოსწორებაც არ მოხერხდა სასამართლო სისტემაში მის გარეთ არსებული წინააღმდეგობის გამო“.

ტელეკომპანია „საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი“

კვლევის პრეზენტაცია 2018 წლის 5 ივლისს გაიმართა და საზოგადოებრივ მაუწყებელზე აღნიშნულ თემას ორი სიუჟეტი დაეთმო. პრეზენტაციის დღეს ვრცელი სიუჟეტი არ მომზადებულა და მხოლოდ წამყვანმა გაახმოვანა სხვადასხვა მხარის პოზიციები, სადაც სასამართლო სისტემა, ძირითადად, უარყოფით კონტექსტში იქნა წარმოჩენილი - როგორც

,,კლანური მმართველობის ორგანო“. საკუთრივ წამყვანმაც ფაქტისადმი საკუთარი პოზიცია ტექსტის დასაწყისშივე დააფიქსირა: „არსებული კანონმდებლობა, მათ შორის ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფების ინტერესებს და მათ კიდევ უფრო გაძლიერებას ემსახურება. ასეთ დასკვნამდე მივიდა ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, რომელმაც კვლევა საერთო სასამართლოების სისტემაში კორუფციის რისკების შესაფასებლად ჩაატარა. კვლევაში აღნიშნულია, რომ სასამართლოში არსებობენ გავლენიანი მოსამართლეები, რომლებიც ძირითადად საბჭოში ერთიანდებიან და აქვთ მოსამართლეებზე ზეგავლენის მოხდენის ბერკეტები. ბრალდებებს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უპასუხა. საბჭოს მდივანმა აღნიშნა, რომ კვლევა ცრუ ინფორმაციაზე დაყრდნობით მომზადდა, არასწორი ფაქტები კი სასამართლოს დისკრედიტაციას ემსახურება. საბჭოს არამოსამართლე წევრები კი არასამთავრობო ორგანიზაციის პოზიციას იზიარებენ“. (მოამბე, 2018) მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი არ ეთანხმება კვლევის შედეგებს და სასამართლოს დისკრედიტაციაზე მიუთითებს, სასამართლოს ამ ფორმით გაშუქება ვერანაირად ჩაითვლება ნეიტრალურ ტონად, რადგან საკმარისი არგუმენტები ამის შესახებ გადმოცემულ ინფორმაციაში არ იკვეთება.

2018 წლის 9 ივლისს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრმა დიმიტრი გვრიტიშვილმა ,,მოამბესთან“ აღნიშნული კვლევის შესახებ კომენტარი გააკეთა, სადაც მნიშვნელოვან საკითხებზე მინიშნებებით კვლევის სანდოობა ეჭვქვეშ დააყენა: „ყოველგვარი კვლევის სანდოობა, მოგეხსენებათ, განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობს კვლევის ავტორი. მოცემულ შემთხვევაში, ნათელია, რომ კვლევაში ასახული დასკვნები, შეფასებები, რეკომენდაციები ეფუძნება რამდენიმე ანონიმურად გამოკითხულ ადამიანს, რომელთა იდენტიფიცირება შეუძლებელია“. (მოამბე, 09.07.2018, სიუჟეტი N9, „პასუხი

საერთაშორისო გამჭვირვალობას") სიუჟეტის ბოლოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის ნაზი ჯანეზაშვილის კომენტარია, რომელიც, კიდევ ერთხელ, უსვამს ხაზს, მისი აზრით, სასამართლოში არსებულ კლანურ მმართველობას: ,,ფაქტი არის ერთი, რომ ნამდვილად არის ერთი ჯგუფის ხელში მოქცეული ძალიან სერიოზული და გადაჭარბებული ძალაუფლება."

უნდა ითქვას, რომ „კორუფციიის რისკები სასამართლო სისტემაში" ,,საზოგადოებრივ მაუწყებელზე" გაშუქდა დაბალანსებულად, თუმცა მაინც უარყოფით კონტექსტში, რადგან სასამართლო სისტემაში კორუფციის რისკებსა და კლანურ მმართველობაზეა საუბარი.

ტელეკომპანია ,,იმედი"

2018 წლის 5 ივლისის ,,იმედის" მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გასული სიუჟეტი - „კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში" მხარეთა პოზიციებით შედარებით დაბალანსებულია. თუმცა სიუჟეტის დასაწყისშივე, სასამართლო სისტემა წარმოჩენილია უარყოფით კონტექსტში. „საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველოს" წარმომადგენლის ოლიკო შერმადინის პირველივე კომენტარით, ეს აზრი უფრო ვითარდება: ,,მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფი აერთიანებს, ძირითადად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედ და ყოფილ წევრებს ისევე, როგორც სასამართლოების თავმჯდომარეებს უპყრიათ არაერთი ბერკეტი მოსამართლეებზე ზემოქმედების, მათ შორის, მოსამართლეთა დანიშვნის ნაწილში დისციპლინების ნაწილში". (ქრონიკა, 05.07.2018, სიუჟეტი N6, „კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში") ,,საზოგადოებრივი მაუწყებლისგან" განსხვავებით, ,,ქრონიკაში" გასული სიუჟეტი უფრო ვრცელი და ინფორმაციულია. სიუჟეტშიც რესპონდენტების მრავალფეროვნებაა. ვხვდებით, როგორც არასამთავრობო სექტორის, ასევე მთავრობის, ოპოზიციისა და თავად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების

კომენტარებს. სიუჟეტში პირდაპირ არის მტკიცება, რომ სასამართლო სისტემაში კრიზისული სიტუაციაა: ,,იმ ხალხს, ვისაც ჩვენ მოვიხსენიებთ გავლენიანი ჯგუფების წევრებად, თავად მოსამართლეები ,,ბოსებს“ უწოდებენ. ,,ბოსები“ ჩართული არიან კორუფციულ გარიგებებში და სახელმწიფო დაკვეთის შესრულებაში, ხოლო ის მოსამართლეები, რომლებიც მათი გავლენის ქვეშ არიან, ასრულებენ დავალებას. გავლენის ქვეშ მოქცევაში იგულისხმება ის, რომ მოსამართლე ვალშია ,,ბოსებთან“, რადგან ის თანამდებობაზე მათ დანიშნეს და ის ფაქტი, რომ იღებს ხელფასს, არის საკმარისი იმისთვის, რომ დამატებითი ანაზღაურების გარეშე შეასრულოს მათი მითითება“. (ქრონიკა, 05.07.2018, სიუჟეტი N6, „კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში“)

სიუჟეტში დაფიქსირებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მაშინდელი მოსამართლე წევრების პოზიციები. ისინი ყოველგვარ კორუფციულ გარიგებას და კლანურ მმართველობას გამორიცხავენ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი მდივნის, გიორგი მიქაუტაძის განცხადებით: ,,ეს არ არის კრიტიკა, ეს არის ცრუ ინფორმაციაზე დაყრდნობით მცდელობა იმისა, რომ, რაღაც ჩირქი მოეცხოს სასამართლო სისტემას. თეორიულადაც კი ვერავინ დამისახელებს იმის შესაძლებლობას, რომ ელექტრონული განაწილების პროგრამაში შესაძლებელია, ჩაერიოს ან თავმჯდომარე ან ნებისმიერი სხვა მოსამართლე. ბრალდებები მუდმივად ისმის და მუდმივად არის კითხვა, რომ წარმოდგენილი იყოს ერთი ფაქტი მაინც, ერთი მტკიცებულება მაინც, რომელიც დაადასტურებს მოსამართლის მონაწილეობას თუნდაც მცირე კორუფციულ გარიგებაში“... ,,ჩვენ მოვისმინეთ ძალიან ბევრი ცრუ ფაქტი და არგუმენტი, ცრუ მოსაზრება არგუმენტების და მტკიცებულებების გარეშე“. (ქრონიკა, 05.07.2018, სიუჟეტი N6, „კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში“) ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ ერთადერთი, ვისთვისაც ეს დოკუმენტი მისაღები აღმოჩნდა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნაზი ჯანეზაშვილი იყო. (09.07.2018, სიუჟეტი 8:25:00 PM, „ხმაური იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე“)

,,საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ გასული სიუჟეტებისაგან განსხვავებით, უფრო მეტად ინფორმაციულია და წყაროებით დაბალანსებული ,,ქრონიკის“ სიუჟეტები.

ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“

,,კურიერში“ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ კვლევა ვრცლად გაშუქდა სხვადასხვა მხარის პოზიციების ჩვენებით, თუმცა საბოლოოდ, სასამართლო სისტემა და მოსამართლეები, ძირითადად, უარყოფით კონტექსტში წარმოჩნდა. რესპონდენტთა უმრავლესობა კორუფციაზე, კონკრეტული ჯგუფის გავლენებზე, პოლიტიკურ გარიგებებსა და პოსტსაბჭოთა ტიპის სასამართლოზე საუბრობს. სიუჟეტის დაწყებამდე უარყოფითი ტონი შეინიშნება წამყვანის მხრიდანაც: „სასამართლოს ბოსები, სწორედ ასე უწოდებენ ყოფილი მოსამართლეები და მოქმედი ადვოკატები სასამართლო სისტემის იმ ელიტური ჯგუფის წევრებს, რომლებიც მთლიანად მართავენ მართლმსაჯულებას. სისტემის მართვის სქემა კი კორუფციაზეა დამყარებული. გარიგებები რიგით მოსამართლეებთან და ვაჭრობა პოლიტიკურ ელიტასთან კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით“. (კურიერი, 05.07.2018, სიუჟეტი N6, კორუფცია სასამართლოში) წამყვანი ხაზგასმით ამბობს, რომ კვლევა გავლენიანმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ჩაატარა, რაც საზოგადოებაში კვლევის მიმართ ნდობას უფრო მეტად იწვევს. სიუჟეტში იმ პირთა ინტერვიუებიდანაა ამონარიდი, რომლებმაც კვლევაში მონაწილეობა მიიღეს და სწორედ ამ დოკუმენტიდან იკვეთება, თუ როგორი კრიზისია სასამართლო სისტემაში. კვლევის მიხედვით, სასამართლო სისტემაში დამოუკიდებელი, სამართლიანი მოსამართლე არ არსებობს. ისინი ხელისუფლების კონტოროლის ქვეშ იმყოფებიან. მაგალითისთვის ჟურნალისტს მოჰყავს ამონარიდი დოკუმენტიდან: „ანონიმური რესპონდენტების განცხადებით, დღეს საქმეების 100% ხელისუფლების მიერ აღარ კონტროლდება, თუმცა თავისუფალი სასამართლო დღეს მხოლოდ

ილუზიაა. ყოფილი მოსამართლეების განცხადებით, პოლიტიკური ელიტისთვის, ნებისმიერ საქმეზე, სასურველი შედეგის მიღწევა მარტივად შესაძლებელია“. (კურიერი, 05.07.2018, სიუჟეტი N6, კორუფცია სასამართლოში)

,,კურიერში“ გასული სიუჟეტი მთლიანად გაჯერებულია სასამართლო სისტემის მიმართ უარყოფითი შეფასებებით. ძალიან მცირედით და ისიც სიუჟეტის ბოლოს, მხოლოდ რამდენიმე წამით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მაშინდელი მდივნის გიორგი მიქაუტაძისა და და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მაშინდელი მოსამართლე წევრის დიმიტრი გვრიტიშვილის პოზიციები, რომლებიც კვლევის სანდოობას ეჭვქვეშ აყენებენ და კვლევაში მონაწილე პირებს მოუწოდებენ, რომ საგამოძიებო უწყებებს მიმართონ. აღნიშნული შემთხვევის გაშუქება სრულდება იმით, რომ სასამართლო სისტემა საქართველოში არის „პოსტსაბჭოთა“ ტიპის და არა კანონზე დაფუძნებული ევროპული მოდელის სასამართლო. ამასვე ადასტურებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მაშინდელი არამოსამართლე წევრი ანა დოლიძე: „ჩვენმა პარლამენტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. უნდა კანონზე დაფუძნებული ევროპული სასამართლო თუ უნდა პოსტსაბჭოთა მესამე მსოფლიო ომის სასამართლო, სადაც ბატონობს პირადი კავშირები, პირადი გავლენები და აღებ-მიცემობა“. (კურიერი, 05.07.2018, სიუჟეტი N6, კორუფცია სასამართლოში)

2018 წლის 9 ივლისს ,,კურიერის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კრება გაშუქდა, სადაც იუსტიციის მოსამართლე და არამოსამართლე წევრები „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ კვლევის შედეგებს განიხილავდნენ. საბჭოს მოსამართლე წევრებმა კვლევის სანდოობა ეჭვქვეშ დააყენეს და ყურადღება გაამახვილეს სასამართლოს მიმართ დაწყებულ მიზანმიმართულ პროვოკაციაზე ცრუ ფაქტების გამოყენებითა და ყალბი ინფორმაციების გავრცელებით. სხდომაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მაშინდელმა მოსამართლე წევრმა სერგო მეთოფიშვილმა ჩატარებული კვლევის შესახებ

განაცხადა: ,,ძაან კარგად იცის რო ტყუილებია აქ... ეს ლაფი, არა, ტყუილები ადგა და შეასხა ასე სასამართლოს და ჩვენ. ალბათ უნდა დონორებს, ვინც აფინანსებს ამ ორგანიზაციებს და ამათთან საუბარი უკვე ზედმეტია და აზრს კარგავს. და უნდა ვუთხრათ, ამაში უხდი ფულს? ამ ტყუილებში და ამ ჭორების, ბინძური ჭორების შეგროვებაში?" (კურიერი, 09.07.2018, 31:33 წუთზე, „სადავო კვლევა“) ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მაშინდელი მდივანი, გიორგი მიქაუტაძე აღნიშნავს: ,,ცოტა არასერიოზულად გამოიყურება „ჩემი აზრით“ და არსებობს ავტორიტეტული კვლევითი ორგანიზაციები, დავეკონტაქტოთ, ვიკითხოთ მეთოდოლოგია, როგორ ტარდება. შეიძლება ნახევარი მილიონი საქმის განმხილველი ორგანიზაცია ექვსმა კაცმა შეაფასოს და აქედან დაიდოს კვლევა, რომ ეს ყველაფერი ობიექტური არის?“ (კურიერი, 09.07.2018, 31:33 წუთზე, „სადავო კვლევა“)

სიუჟეტის დასაწყისშივე ჟურნალისტის მიერ გაკეთებულმა კომენტარმა სრულად გააბათილა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მტკიცე ნება სასამართლო სისტემის იმიჯის დასაცავად. ჟურნალისტმა სწორედ იმ გარემოებას გაუსვა ხაზი, რითაც მოსამართლეების და სასამართლოს იმიჯს ზიანი მიადგა და დასაწყისშივე მოახდინა საკუთარი პოზიციის დაფიქსირება: ,,მოსამართლეები თავის მართლებას იწყებენ. სასამართლოს ბოსებზე და სისტემაში არსებულ კორუფციაზე მომზადებულმა დასკვნამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რამდენიმე წევრი უკიდურესობამდე გააღიზიანა, მაგრამ სამოსამართლო მანტიის ღირსების დაცვის სურვილით, იუსტიციის საბჭოს მოსამართლეებმა მხოლოდ ის მოახერხეს, რომ საპასუხო ბრალდებებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ და მისი ხელმძღვანელი არაკეთილსინდისიერებაში დაადანაშაულეს. ამ ზოგადი ბრალდებების ფონზე დღეს არავის უცდია კვლევაში კლანური მმართველობისა და კორუფციის კონკრეტული ფაქტების მტკიცებულებებით უარყოფა". (კურიერი, 09.07.2018, 31:33 წუთზე, „სადავო კვლევა“)

,,კურიერში“ გასული სიუჟეტი ამ თემასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ, დასტურია იმისა, თუ როგორ დამაკნინებლად წარმოჩნდა სასამართლო სისტემა, მოსამართლეები და, თუ როგორ მოახდინეს წამყვანებმა და ჟურნალისტებმა ,,არგუმენტირებულად“ საზოგადოებრივი ნეგატიური აზრის შექმნა.

***

2018 წლის თებერვალში ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე კვლევითი ცენტრის The Heritage Foundation-ის გამოკვლევით, საქართველოს სასამართლო სისტემა ეფექტიანობის კრიტერიუმით ევროპის საუკეთესო ოცეულში მე-18 ადგილზე იყო, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში, ცენტრალურ და სამხრეთ აზიაში - ლიდერობდა. აღსანიშნია, რომ საკუთარი მაჩვენებლით, საქართველო წინ უსწრებდა ევროკავშირის წევრ 14 სახელმწიფოს . (იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 2018)

2019 წლის იანვარში მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) რეკომენდაციებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ,,საერთო სასამართლოების მომხმარებელთა კვლევა“, სადაც 21-25 იანვრის პერიოდში გამოიკითხა 2794 მომხმარებელი. აქედან 69,5 % ენდობოდა სასამართლოს, 63,2% ამბობდა, რომ სასამართლო იყო მიუკერძოებელი, 62,7% აზრით, სასამართლო იყო სრულიად დამოუკიდებელი, 61,2 % ამბობდა, რომ სასამართლო იღებდა კანონიერ გადაწყვეტილებებს, ხოლო 71,4 მიიჩნევდა, რომ მოსამართლეები იყვნენ კომპეტენტურები და კვალიფიციურები. საბოლოო ჯამში, მომხარებელთა 70,4 % კმაყოფილებას გამოთქვამდა სასამართლოს მიერ გაწეული მომსახურებით. (იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 2019)

2019 წელს კი იუსტიციის სამინისტროს დაკვეთით, კონსორციუმებმა „IPSOS France“-მ, „Amicus Curiae“-მ, პროფესორმა იან ვან დაიკმა და საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და ბიზნესის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა, „გორბმა“ ჩაატარეს კვლევა, სადაც საქართველოს

მასშტაბით, 2018 წლის 10 სექტემბრიდან 25 ოქტომბრის ჩათვლით, პირისპირ ინტერვიუს მეთოდით, 2013 რესპონდენტი გამოიკითხა. ამ კვლევის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 51% სასამართლოს დამოუკიდებლობა დადებითად შეაფასა. (იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 2019)

უნდა აღინიშნოს, ბოლო სამი, მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციით, მედია არ დაინტერესებულა და ინფორმაცია დაინტერესებულ პირთათვის გასაცნობად მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზეა განთავსებული.

***

მედიის მხრიდან, დაინტერესება მოჰყვა კონკრეტული მოსამართლეების ქონებას. ისინი მოხსენიებული იყვნენ სახელისუფლებო შტოს სხვა წარმომადგენლებთან ერთად, როგორც ,,კორუფციაში მხილებული“ პირები. ამის ნათელი დასტურია მოსამართლე მამია ფხაკაძეზე ,,შეთხზული“ ამბავი, რომელსაც მოსამართლის მხრიდან, მოჰყვა შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება და, საბოლოოდ, ქარტიამ აღიარა ჟურნალისტების მხრიდან მოსამართლის მიმართ განხორციელებული დაუსაბუთებელი დარღვევის ფაქტები.

2019 წლის 16 თებერვალს, ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“-ის ,,შაბათის კურიერში“ გავიდა ჟურნალისტის მიერ მომზადებული სიუჟეტი, სადაც სხვა მოსამართლეების ქონებებთან ერთად, საუბარი იყო რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მამია ფხაკაძის ქონებებზეც. (კურიერი, 16.02.2019, რა ქონებას ფლობენ მოსამართლეები - ,,შაბათის კურიერის" კამერამ ფეშენებელური სახლები გადაიღო) სიუჟეტში მისი ქონება შემდეგნაირად იყო გადმოცემული: ,,დიღომში ქართველი მილიონერების უბანში ცხოვრობს რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, მამია ფხაკაძე. თეთრად შეღებილი წითელსახურავიანი საცხოვრებლის ფასადი

ხით არის მოპირკეთებული. ფანჯრებს კი მეტალის გისოსები იცავს. გისოსები მოსამართლემ მშენებლობის დასრულების შემდეგ, სავარაუდოდ, მეტი უსაფრთხოებისთვის დაამონტაჟა და ამისთვის, მერიიდან სპეციალური ნებართვა აიღო. სოფელ დიღომში მათ 400 კვადრატული 2011 წელს 12 ათას დოლარად იყიდეს. სახლი კი ერთი წლის შემდეგ ააშენეს, რომელიც 87 ათასი ლარი დაუჯდათ. მოსამართლე მამია ფხაკაძის ოჯახის საკუთრებაა თბილისში, საბურთალოზე მდებარე ორი საცხოვრებელი ბინაც - 116 და 58 კვადრატული მეტრის ფართობით, ასევე, 3 წლის წინ ბაკურიანში 30 ათას დოლარად ნაყიდი საცხოვრებელი“.

მოსამართლემ მიიჩნია, რომ ,,რუსთავი 2-მა“ არაზუსტი ფაქტები გაავრცელა მის შესახებ საუბრისას, რითაც დაირღვა ქარტიის პირველი პრინციპი, რომლის თანახმადაც, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს საზოგადოების უფლებას, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. ამასთან, მამია ფხაკაძის განცხადებით, დარღვეულია ქარტიის მესამე პრინციპიც (ფაქტების მიჩქმალვა), ვინაიდან სადავო მასალაში ჟურნალისტებმა აუდიტორიას არ მიაწოდეს სრულყოფილად ინფორმაცია და მიჩქმალეს მნიშვნელოვანი დეტალები. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილებით, მოსამართლე მამია ფხაკაძის შესახებ მომზადებულ მასალაში ,,რუსთავი 2-ის" ჟურნალისტებმა მოსამართლის მიერ მოთხოვნილი ქარტიის სწორედ ეს ორი პრინციპი - პირველი (სიზუსტე) და მესამე (მიჩქმალვა) დაარღვიეს. აღსანიშნავია კიდევ ერთი დეტალი, სანამ სიუჟეტი ეთერში გავიდოდა, მას წინ უძღოდა ,,შაბათის კურიერის“ ანონსი. (რუსთავი, 2, 2019)

- ✓ ,,ეს უცხოელი ოლიგარქების სასახლეები არ გეგონოთ, ეს ქართველი მოსამართლეების ფეშენებელური სახლებია. დღეს 9-ზე გაიცანით მოსამართლეები მილიონერების დასახლებიდან“.

- ,,ნახეთ მოსამართლეების ბინები თბილისის შუაგულში, სასამართლოს კლანის ბოსებს ხიბლავთ ვერა და ვაკე, დუპლექსები, პენტჰაუზები ყველაზე ძვირიან კორპუსებში“.
- ,,კურიერის“ აეროგადაღების კამერამ მოსამართლეების სახლებს გადაუფრინა, ერთ საათში ნახეთ რა ქონებას ფლობენ მოსამართლეები, რომლებსაც საქართველოს სახელით, ათასობით ადამიანისათვის განაჩენი გამოაქვთ“.
- ,,როდესაც ამ კადრებს ნახავთ დარწმუნდებით, რომ მოსამართლეებს კონკურსი აქვთ გამოცხადებული, ვის უფრო მდიდრული და ფეშენებელური სახლი ექნება“.
- ,,ჩვენ დავსვამთ კითხვას, შეუძლია თუ არა მოსამართლეს, რომლის თვიური შემოსავალი, დაახლოებით, 4 ათასი ლარია, ჰქონდეს ასობით ათასი ლარის ქონება, თუ ის პატიოსანი ცხოვრებით ცხოვრობს“.

აქედან ნათელია, რომ ანონსიც, მაყურებელს წინასწარ უყალიბებს მოსაზრებას, რომ სიუჟეტში ნახავდა მოსამართლეების მდიდრული, ფეშენებელური უძრავი ქონების შესახებ ინფორმაციას და იქვე, ბუნებრივია, გაჩნდებოდა ეჭვიც, ასეთი ქონების ლეგალური და დეკლარირებული გზით შეძენის შეუძლებლობის შესახებ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლით, მაყურებელს, მოსამართლე მამია ფხაკაძის შემთხვევაშიც, გაუჩნდებოდა მოსაზრება მისი ქონების ,,მდიდრულობისა“ და ქონების საეჭვო შემოსავლებით დაგროვების შესახებ.

ქარტიის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, ,,განხილვისას მოპასუხე ნოდარ მელაძემ საბჭოს განუმარტა, რომ გაშუქებისას გამოყენებული ფრაზები: ,,მილიონერების უბანი“, ,,მთა ჩამოიტანა ბარში“ - მოსამართლე ფხაკაძის სახლს ეხებოდა. თუმცა ნოდარ მელაძემ ვერ შეძლო საბჭოს დარწმუნება, თუ რატომ მოიხსენია სოფელ დიღომში (ზურგოვანი) არსებული ადგილი, სადაც ერთი კვ.მ. მიწა მოსამართლეს 30$-ად ჰქონდა შეძენილი, ქართველი მილიონერების უბნად. ნოდარ მელაძემ საბჭოს ასევე ვერ მიუთითა ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი წყარო, რაც

დაადასტურებდა, რომ ფხაკაძის სახლი, მართლაც, მილიონერების უბანში მდებარეობდა. ამ ფაქტს საეჭვოს ხდიდა სახლის ზუსტი მდებარეობა, სოფელი დიღომი, ზურგოვანი, რაც ფხაკაძეს ქონებრივ დეკლარაციებში ჰქონდა მითითებული და მისი განთავსების ადგილი ჟურნალისტებისთვისაც ცნობილი იყო. საბჭოს მიერ მოკვლეული ინფორმაციით, ფხაკაძის საცხოვრებელი ადგილი არსად არაა მოხსენიებული ქართველი მილიონერების უბნად და ვერც ჟურნალისტებმა წარმოგვიდგინეს ამის დამადასტურებელი წყაროები. საბჭო მიიჩნევს, მართლაც რომ ,,მილიონერების“ უბანში ყოფილიყო ფხაკაძის სახლი, ეს მის სიმდიდრეზე არ მიუთითებდა, რადგანაც დოკუმენტაციით დასტურდება, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი 1 კვ.მ. 30 დოლარად ჰქონდა შეძენილი და სახლის ასაშენებლად 87 ათასი ლარი ჰქონდა დახარჯული“. (ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2019)

ჟურნალისტების მიერ ეს კონკრეტული სიუჟეტი საკუთარი ფეისბუკის გვერდზე გააზიარეს მაშინდელმა ოპოზიციურად განწყობილმა საბჭოს ყოფილმა წევრებმა – ნაზი ჯანეზაშვილმა და ანა დოლიძემ. ეს ფაქტი იმდენად უპრეცედენტო იყო, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ამ საკითხთან დაკავშირებით, სხდომა ჩაინიშნა და მსჯელობა გაიმართა. სწორედ ამ სხდომაზე საბჭოს ყოფილმა წევრმა, მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილმა ყველას გასაგონად, მათ შორის დამსწრე ჟურნალისტების მისამართითაც ხაზგასმით აღნიშნა: ,,გუშინწინ ,,რუსთავი 2“-მა მოამზადა სიუჟეტი მოსამართლეთა ქონებების შესახებ, რომელიც უხვად იყო დატვირთული პროვოკაციული, მოსამართლეთა მიმართ ხალხში სიძულვილის განმაპირობებელი, და დამთესი შეფასებებით, ტყუილებით. ამ სიუჟეტის საფუძველზე, გუშინ საზოგადოებამ და ჩვენც ვიხილეთ საბჭოს წევრთა აბსოლუტურად უპასუხისმგებლო შეფასებები. ერთი მათგანი ახსენებს, რომ სასამართლო ხელისუფლება გახრწნის პირასაა და სასწრაფოდ უნდა დაიწყოს გამოძიება, მოსამართლეთა ქონება უკანონო გზებით ხომ არ არის შეძენელი. მეორე წევრი აცხადებს, რომ პარლამენტში უნდა შეიქმნას

საგამოძიებო კომისია იგივე საკითხის გამოსაძიებლად. იმ რეაქციებიდან გამომდინარე, რაც ამ თანმდევმა შეფასებებმა გამოიწვია, სრულიად ლეგიტიმური ინტერესი მაქვს მე და მოსამართლეთა კორპუსს, ჩემს კოლეგებს, რომ მოვისმინო საბჭოს სხდომაზე განმარტებები, საჯარო მოხელეებისთვის დაწესებული ეთიკური ვალდებულებები ვრცელდება თუ არა საბჭოს წევრებზე". (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა, 2019) არამოსამართლე ყოფილი წევრებისაგან არგუმენტირებული პასუხები ვერც მედიამ და ვერც მაშინდელმა საბჭოს წევრებმა ვერ მოისმინეს.

აბსოლუტურად გაუმართლებელია მსგავსი კონსტრუქციული კრიტიკა მედიის მხრიდან სულ უფრო დაუსაბუთებელ, აგრესიულ და, რაც მთავარია, სასამართლოს ავტორიტეტის დამაზიანებელ პოზიციაში გადაზრდა, რაც, საბოლოო ჯამში, გამოიხატება საერთოდ სასამართლო სისტემის უარყოფასა და, პრაქტიკულად, ნებისმიერი გადაწყვეტილების ზღვარგადასულ კრიტიკაში. მართლმსაჯულების მიზანია რთული საქმეების შესწავლა და გადაწყვეტილების კანონიერად დასაბუთება, ამისთვის მას არ სჭირდება ზედმეტი ემოციები, პირიქით, სასამართლო, მშვიდ გარემოში, მოთმინებით ახდენს ფაქტების ზედმიწევნით შესწავლასა და დადგენას. მედიის მიზანი კი ,,დრამები და სკანდალებია", რაც მათი აზრით, ზრდის საზოგადოების მგრძნობელობას და ემოციებს, ჩემი აზრით კი, მანიპულირებს ამგვარი მიდგომებით.

***

ჩვენი შესწავლის ობიექტში მოხვდა 2023 წლის 25 მარტს ,,TV პირველის" ეთერში ,,ნოდარ მელაძის შაბათში" გასული სიუჟეტი, სადაც პირდაპირ აღნიშნეს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს (უკვე ყოფილი) მოსამართლე მაკა გველესიანი ,,ქვეყნიდან ამერიკაში გაიქცა სასამართლოში არსებული გაუსაძლისი პირობების გამო". ჟურნალისტის მიერ მტკიცებითი ფორმით გავრცელებული ამბავი სრული სიცრუე აღმოჩნდა. ამის დასტურია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ყოფილი

მოსამართლის მაკა გველესიანის მიერ გავრცელებული განცხადება, სადაც ვკითხულობთ: ,,მსურს გამოვეხმაურო „TV პირველის“ ეთერით, „ნოდარ მელაძის შაბათში“ გასულ სიუჟეტს, რომელიც არის სიცრუე, ვინაიდან ჟურნალისტების მიერ გაშუქებულმა არასწორმა ინფორმაციამ არაჯანსაღი გამოხმაურება გამოიწვია. აღნიშნულ ინფორმაციას მე ვაწვდი საზოგადოებას და არა იმ ჟურნალისტებს, რომლებმაც ისედაც იცოდნენ სრული სიმართლე ჩემს შესახებ და ერთი თვის განმავლობაში, რაც სიუჟეტს ამზადებდნენ, მხოლოდ ამის მოფიქრება შეძლეს. 2021 წლის თებერვალში, ჩემს ერთ-ერთ შვილს დაუდგინდა აუტოიმუნური დაავადება, რომელიც მუდმივ სამედიცინო მეთვალყურეობას და მედიკამენტების მიღებას საჭიროებს. მალევე 2021 წლის მაისში, მოვიგეთ აშშ-ის „მწვანე ბარათი“. ვინაიდან აღნიშნული დიაგნოზის პაციენტების სრულყოფილი გამოკვლევა არც მაშინ და არც ამჟამად ვერ ხერხდება საქართველოში, გადავწყვიტეთ გავმგზავრებულიყავით აშშ-ში ვიზის მიღების შემდეგ.

2022 წლის 1 ივლისს უკვე მიღებული გვქონდა ვიზები, მაგრამ ჩემი დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე, ოქტომბრის ბოლომდე ვერ შევძელით წასვლა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, ჩემი ყოფილი კოლეგები ინფორმირებული იყვნენ ჩემი ოჯახური მდგომარეობის შესახებ, რისი გათვალისწინებითაც ჩემი განცხადება არაანაზღაურებადი შვებულების შესახებ დაკმაყოფილდა, რისთვისაც მათ, კიდევ ერთხელ, მადლობას ვუხდი. მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე (რომლებიც შვებულებაში გასვლამდე 2-3 დღით ადრეც ჩვეულებრივ რეჟიმში მეწერებოდა და ფიზიკურად ვერ შევძელი განხილვა) ჩემი თანაშემწის მიერ, მხარეები გაფრთხილებული იქნენ ჩემი შვებულებაში ყოფნის და საქმეების განხილვის გადადების თაობაზე, რასაც ადასტურებს შესაბამის სისხლის სამართლის საქმეებში არსებული მხარეებთან გასაუბრების სატელეფონო აქტები.

შვებულების პერიოდში ვერ შევძელით ჩემი შვილისთვის სრულყოფილი სამედიცინო შემოწმების ჩატარება, ვინაიდან დაზღვევის

საბუთების მოწესრიგებას და პედიატრთან კვლევას დრო დასჭირდა. პედიატრის მიმართვის საფუძველზე კი, მხოლოდ 2023 წლის 3 იანვარს მოხერხდა ვიზიტის ჩანიშვნა ბავშვთა ენდოკრინოლოგთან. ექიმთან ვიმყოფებოდით 20 იანვარსაც, ხოლო შემდეგი ვიზიტი გვაქვს 21 აპრილს. რადგან აღნიშნული დაავადება მუდმივ სამედიცინო კონტროლსა და მკურნალობას საჭიროებს, რისი გათვალისწინებითაც ჩემი ერთჯერადი ჩამოსვლა აშშ-ში არ არის საკმარისი. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოსვლიდან დღემდე არ მოიხმარდა აუცილებელ მედიკამენტებს, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო გაუმჯობესებული, რასაც ექიმის კვლევაც ადასტურებს. ზ/აღნიშნულის გათვალისწინებით, მივიღე გადაწყვეტილება, დამეტოვებინა მოსამართლის თანამდებობა. ჩემს განცხადებაშიც დეტალურად მაქვს განმარტებული აღნიშნული საფუძველი.

ამასთან, მინდა განვუცხადო „TV პირველის“ ჟურნალისტებს, მიუხედავად მათი დიდი სურვილისა, ჩემი მხრიდან ადგილი არ ჰქონდა არც ქვეყნიდან გაქცევას და არც უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების მიმართ. 2022 წლის 1 ივლისიდან უკვე გვქონდა ვიზები (2015 წლიდან მე და ჩემს მეუღლეს გვქონდა აშშ-ის 10-წლიანი ვიზები), შვებულებაში გასვლამდე ვიხილავდი სისხლის სამართლის საქმეებს ჩვეულებრივ რეჟიმში და რამდენიმე მათგანი მხოლოდ ობიექტური მიზეზების გამო ვერ დასრულდა. ასევე, სიცრუეა სიუჟეტში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს მოსამართლეებს არ აქვთ შესაბამისი სამუშაო პირობები. პირადად ჩემი წასვლა ქვეყნიდან არ არის დაკავშირებული ჩემს სამსახურთან და პირიქით, მადლობა სასამართლოს მენეჯმენტს იმ მშვიდი და ორგანიზებული გარემოსთვის, რომელიც იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოში. რაც შეეხება ე.წ. ,,გახმაურებულ საქმეებს“ ჩემთვის ასეთი საქმე არ არსებობდა, ვინაიდან ყველა საქმე და ყველა პირის უფლება იყო თანაბარმნიშვნელოვანი, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ 16 წლის მოღვაწეობის მანძილზე, ჩემს მიერ განხილულ არც ერთ სისხლის

სამართლის საქმეზე, ,,ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს“ არ დაუდგენია სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა.

ჩემი მოსაზრებით, ჟურნალისტებს ეტყობოდათ, რომ სრულად იყვნენ ინფორმირებული ვიზების, ჩემი გამგზავრების მიზეზებისა და ჩემი შვილის ავადმყოფობის შესახებ (რაც მათ მიერ შესწავლილი ჩემი დეკლარაციითაც დასტურდებოდა) და მიუხედავად აღნიშნულისა, ცდილობდნენ ტყუილებზე აქცენტების გადატანით, მათთვის სასურველი რეალობის შექმნას. მათ არ უცდიათ ჩემთან დაკავშირება. მათ ე.წ. ,,ინფორმატორს“ ის ინფორმაციაც ექნებოდა, რომ ჩემს მეგობრებთან და ყოფილ კოლეგებთან ურთიერთობა კვლავ მქონდა და მათი მეშვეობით შეძლებდა ჩემთან დაკავშირებას, რაც არ გააკეთეს.

ჩემთვის მუდმივი დედობის სტატუსია, მოსამართლეობა კი დროებითი თანამდებობა (რაც არ უნდა მას კანონი უვადოს უწოდებდეს), ამიტომ მე როგორც მშობელმა, ჩემი შვილის ჯანმრთელობიდან გამომდინარე, მივიღე ეს გადაწყვეტილება, რომელსაც ჩემი მოსაზრებით, ყველა მშობელი მიიღებდა. სიუჟეტის ავტორებს, ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება სხვა პრიორიტეტები ჰქონდეთ, ეს მათი უფლებაა, მაგრამ ეს არ აძლევს არავის უფლებას, ჩაერიოს ჩემი და ჩემი ოჯახის უფლებებში. 27.03.2023 ნიუ-იორკი“. ყოფილი მოსამართლის ეს ვრცელი განცხადება სრული ფორმით იმიტომ შემოგთავაზეთ, რომ რეალური სურათი წარმოგვეჩინა იმ მძიმე სიუჟეტისა, რასაც ეს თემა არსებითად ასახავდა. ეს არის ნათელი დასტური იმისა, თუ როგორი არ უნდა იყოს ჟურნალისტი და როგორ არ უნდა დაარღვიო უხეშად სხვათა უფლებები, მათ შორის, ბავშვთა უფლებები.

მეორე მოსამართლე, რომლის შესახებაც ინფორმაცია ჟურნალისტებმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრის, ნაზი ჯანეზაშვილის 2021 წლის 6 აპრილის განცხადების საფუძველზე გააკეთეს, გახლდათ თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე მაია სვიანაძე. ნაზი ჯანეზაშვილმა საკუთარ ,,ფეისბუქზე“ დაწერა სტატუსი:

,,ერთ-ერთმა მოქმედმა მოსამართლემ (მაია სვიანაძემ) შვებულება აიღო, შვილთან წავიდა აშშ-ში და დარჩა. იქიდან გამოუგზავნა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განცხადება და მოითხოვა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება. ძალიან სწორი გადაწყვეტილება მიუღია და ფორმაც სრულიად შესაფერისი ამ სისტემაში". ეს ინფორმაცია იმავე დღესვე გააჟღერეს ჟურნალისტებმა, რასაც მოჰყვა არასწორი ინტერპრეტაციები. ამის საპასუხოდ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, სადაც მითითებული იყო ყოფილი მოსამართლის მიერ გადმოცემული რეალობა. განცხადებაში ვკითხულობთ: ,,2021 წლის 5 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე მაია სვიანაძე პირადი განცხადების საფუძველზე მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლდა. მოსამართლემ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წერილით 2021 წლის 26 მარტს მომართა. 2021 წლის 5 აპრილს გამართულ სხდომაზე საბჭოს წევრებმა განკარგულებას მხარი დაუჭირეს და მაია სვიანაძე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა. მაია სვიანაძე უფლებამოსილების შეწყვეტამდე შვებულებაში იმყოფებოდა. ის ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში შვილთან ერთად ცხოვრობს. მისი შვილი წლებია შტატების მოქალაქეა და ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტში მუშაობს. მაია სვიანაძის გადაწყვეტილების შესახებ, მოსამართლის თანამდებობის დატოვების თაობაზე, წინასწარ იყო ცნობილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის". (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება, 2021)

***

სასამართლო სისტემის კიდევ უფრო მეტი გამჭვირვალობისთვის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ბოლო პერიოდში მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი სრულიად საჯარო გახდა.

,,სასამართლოს (მოსამართლის) დამოუკიდებლობის, მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის,

მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზების, სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების შემუშავებისა და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულების მიზნით, იქმნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო“. (კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლი 47) სწორედ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ,,თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს (გარდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და წევრებისა)“. (იქვე, მუხლი 49)

2017 წლის 21 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არჩეულ იქნა ოთხი ახალი წევრი, რომელთაგან ერთი - ნაზიბროლა ჯანეზაშვილი განსაკუთრებულად გამოირჩეოდა თავისი აქტიურობითა და ,,ხმაურიანი“ განცხადებებით სასამართლოს წინააღმდეგ. პარლამენტის მაშინდელმა ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა უკვე მოგვიანებით აღიარა, რომ იგი პირადად მისი რეკომენდაციით იყო ამ პოსტზე. (,,ლიბერალი", 2019)

კიდევ უფრო მოგვიანებით კი ნაზი ჯანეზაშვილიც იძულებული გახდა დაედასტურებინა, რომ ის ნეპოტიზმის შედეგად დასაქმდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. (ინტერპრესნიუსი, 2020)

საბოლოოდ, ყოფილმა ვიცე-სპიკერმა ინანა კიდეც ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ნაზიბროლა ჯანეზაშვილის წარდგენა, მაგრამ უკვე გვიან იყო. „პირველ რიგში გეტყვით იმას, რომ მე ძალიან დიდი როლი მაქვს შესრულებული იმაში, რომ ნაზი ჯანეზაშვილი ყოფილიყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და ერთადერთი მიზეზი მქონდა, რის გამოც მას მხარს ვუჭერდი, მეგონა, რომ ის არ მოექცეოდა პოლიტიკური გავლენების ქვეშ. ახლა რომ ვუსმინე, განცდა გამიჩნდა, რომ შევცდი, თავის დროზე, მის შეფასებაში“. (,,ალია", 2020)

ნაზიბროლა ჯანეზაშვილმა, პრეზიდენტის მიერ კონკურსის გარეშე დანიშნულ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრთან, ანა დოლიძესთან ერთად, წამოიწყო ნეგატიური კამპანია საბჭოს ასევე არამოსამართლე წევრის ლევან გზირიშვილის წინააღმდეგ, ნეპოტიზმის ბრალდებით. პირველად მათ ე.წ. პერფომანსით სცადეს მედიის და საზოგადოების ყურადღების მიქცევა და 2019 წლის 27 ნოემბერს ლევან გზირიშვილის სამუშაო ოთახის კარზე გამოაკრეს წარწერა ,,მამამ შვილი მოაწყო". ნაზი ჯანეზაშვილის მტკიცებით: „2017 წელს ლევან გზირიშვილი ჩემთან და სხვა არამოსამართლე წევრებთან ერთად საქართველოს პარლამენტმა აირჩია არამოსამართლე წევრის თანამდებობაზე, 2018 წელს მისი შვილი ალექსანდრე გზირიშვილი იწყებს მუშაობას თბილისის საქალაქო სასამართლოში, ამ ადამიანს არასდროს არ უმუშავია სასამართლო სისტემაში და გუშინ გამართულ გასაუბრებაზე ისიც აღნიშნა, რომ ამის ინტერესი ადრე არ ჰქონია". (პირველი არხი, 2021)

გარდა ამისა, ,,მთავარ არხთან" გაკეთებულ კომენტარში ლევან გზირიშვილი მისივე კოლეგას არაკომპეტენტურობაში ადანაშაულებს და ამბობს, რომ მსგავსი განცხადებები მხოლოდ მის დისკრედიტაციას ემსახურება. ,,მე გავაკეთე აცილება, სხვა რა მექანიზმი მაქვს. მასთან არ მაქვს საქმე, როგორც ჩანს, არის ჩემი დისკრედიტაცია როგორც საბჭოს წევრის, რათა ჩემი გადაწყვეტილებები იყოს ე.წ. კლანთან რაღაც კავშირის გამოძებნა ... ადვილია, არსებობს კლანი, არსებობს გავლენიანი ჯგუფი, თუ ვინმე დაინიშნა მოსამართლედ, უაპელაციოდ ასეთი ბრალდებების სროლა ხელს არ უწყობს სასამართლო სისტემაში სასიკეთო ცვლილებებს". (მთავარი არხი, 2021)

უნდა აღინიშნოს, რომ ლევან გზირიშვილი მთლიანად ჩამოცილებული იყო ალექსანდრე გზირიშვილის იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელად ჩარიცხვის და შემდეგ უკვე მოსამართლედ დანიშვნის პროცესს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრმა დიმიტრი გვრიტიშვილმა განაცხადა: „როდესაც ქალბატონი ჯანეზაშვილი ცდილობს

ნეპოტიზმის ფაქტის დამტკიცებას გზირიშვილთან მიმართებაში, მან არამხოლოდ უნდა მიუთითოს უდავო ფაქტზე, რომ ალექსანდრე გზირიშვილი ლევან გზირიშვილის შვილია, არამედ, დამატებით, აუცილებლად უნდა დაამტკიცოს ისიც, რომ ალექსანდრე გზირიშვილი არის უღირსი, არასათანადო კვალიფიკაციის მქონე იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს კანონის მოთხოვნები". (რუსთავი2, 2021) ამ საკითხზე ჯანეზაშვილმა უპასუხა, რომ ,,ხო ეს გვრიტიშვილის აზრია, მაგრამ საერთაშორისო სტანდარტით, ჩვენი კანონმდებლობითაც, ფაქტობრივად, ეს არის კორუფციის ტოლფასი, იმიტომ, რომ ის იღებს სარგებელს, ძალიან დიდ სიკეთეს შვილის ხანგრძლივი, არ ვიცი, მუდმივი თანამდებობის სახით, ეს არის, არ ვიცი, ძალიან დიდი ბენეფიტი მისთვის და გზირიშვილი ამისთვის იყო საბჭოში", ხოლო თვით მისი თანამოაზრე ჟურნალისტისთვისაც კი ასეთი უარგუმენტო პასუხის შემდეგ, დამატებით შეკითხვაზე, „ხო მაგრამ რამდენად კვალიფიციური კადრია გასაუბრებაზე რა შეატყვეთ?" ჯანეზაშვილმა უპასუხა: „იცით რა არის, გულწრფელად რომ გითხრათ, ფორმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, რაც საჭიროა მოსამართლისთვის". (ამბები.ge დრო 10:16-9:38, 2021) ამდენად, ცხადია, რომ ჯანეზაშვილი ვერ ასაბუთებს, რატომ არ ჰქონდა უფლება ალექსანდრე გზირიშვილს, მონაწილეობა მიეღო მსმენლის ან სკოლის დამთავრების შემდგომ, მოსამართლის შესარჩევ კონკურსში, თუკი ის ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებდა და აღნიშნული არც თავად უარყო, როცა განაცხადა: „ალექსანდრე გზირიშვილის კომპეტენციასთან მიმართებით პრობლემა არ არის, რადგან უკვე ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა, ისწავლა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და აქვს შესაბამისი განათლება". (პირველი არხი, 2021)

საზოგადოებას სიმართლე რომ არ სცოდნოდა, ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ, მთელი დღის განმავლობაში, მაყურებელს (სხვადასხვა დროს) ჯერ ჯანეზაშვილის მხრიდან მიწოდებული ინფორმაცია მიაწოდა იმის შესახებ, თითქოს მამა ნიშნავდა შვილს და ნეპოტიზმის ფაქტი

აღმოაჩინა, ხოლო ლევან გზირიშვილის განმარტებას იმის შესახებ, რომ ის ამ პროცესს ჩამოცილებული იყო და არ მონაწილეობდა, გამოაქვეყნა მოკლე ტექსტური სახით, მხოლოდ ღამის 00:10 საათზე ანუ მაშინ, როცა მას მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, ბუნებრივია, ვერ ნახავდა. (მთავარი არხი, 2021)

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ნაზიბროლა ჯანეზაშვილი ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვაზე, რამდენი წლის არის ალექსანდრე გზირიშვილი? პასუხობს: „1988 წელს არის დაბადებული, ნიშნავს, რომ სადღაც 2053 წლამდე იქნება მოსამართლე, თუკი დაინიშნება“. (ამბები.ge დრო 9:07-8:59, , 2021)

იმ პირობებში, როდესაც გასაუბრება ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილება არ ჰქონდა მიღებული, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაშიც კი, მოსამართლედ განწესების შემთხვევაში, მოხდებოდა 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშვნა და შემდგომ - მოსამართლის უვადოდ გადანიშვნა შეფასების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით. ყველაზე მეტად კი, დასანანი იყო ის, რომ ამგვარი ფაქტების გაშუქებითა და ,,წახალისებით“, მომავალ თაობებს უკარგავენ სურვილს, თავად მოვიდნენ სასამართლო სისტემაში და ჩამოყალიბდნენ მაღალკვალიფიციურ კადრებად. 2021 წლის 18 მაისს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, მედიის თანდასწრებით გამართულ სხდომაზე, ნაზი ჯანეზაშვილის მხრიდან, ბულინგის მსხვერპლი აღმოჩნდა თავად მოსამართლეობის მაშინდელი კანდიდატი, კონკურსში მონაწილე ალექსანდრე გზირიშვილიც. მოგვიანებით, ამ ფაქტთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა დიმიტრი გვრიტიშვილმა განაცხადა, რომ ,,ჩვენ ვიხილეთ ბულინგის კლასიკური მაგალითი, როდესაც იუსტიციის საბჭოს წევრი ნაზი ჯანეზაშვილი ცდილობდა, მოსამართლეობის ახალგაზრდა კანდიდატის (ალექსანდრე გზირიშვილის) დამცირებას მისი ღირსებისა და მისი ოჯახის წევრების შეურაცხყოფით, რაც საბედნიეროდ, არ გამოუვიდა. ამ ადამიანმა

ეთიკურად და ადეკვატურად გაართვა თავი თავდასხმებს“. (ინტერპრესნიუსი, 2021)

***

2006 წელს გერმანიაში ჩაატარეს კვლევა, სადაც მოსამართლეები ადასტურებდნენ მედიის გავლენებს სასამართლოზე, განსაკუთრებით, სისხლის სამართლის საქმეებზე. ეს აზრი დაუდასტურეს გერმანელებს ინგლისელებმაც. ინგლისელთა მიერ ჩატარებული კვლევა სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და სწავლობდა გახმაურებული მკვლელობების საქმეებს. შედეგად, დადგინდა, რომ რაც უფრო ინტენსიურად ხდება მედიების მიერ პროცესის გაშუქება და რაც უფრო მეტია საზოგადოებრივი ინტერესი კონკრეტული საქმისადმი, მით უფრო მკაცრი განაჩენის მოლოდინია. (შატბერაშვილი, 2023)

როგორც გამოიკვეთა, ევროპული ქვეყნების გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ წლების განმავლობაში სულ უფრო მატულობს კრიტიკა მედიების მიმართ და წუხილი იმის თაობაზე, რომ ისინი მეტ ძალაუფლებას იძენენ საზოგადოებაში და ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ სასამართლო ხელისუფლებაზე. მოსამართლეებსაც, ასეთ ფონზე, მუდმივად უწევთ, ერთგვარი წნეხის ქვეშ შეინარჩუნონ თავიანთი შინაგანი დამოუკიდებლობა და მიიღონ სამართლიანი გადაწყვეტილებები, რაც მოსამართლეთა განსაკუთრებული შინაგანი სიძლიერის საპირწონე ხდება.

ჩატარებული კვლევის შედეგად, ჩაღრმავებული ინტერვიუ მომზადდა სხვადასხვა ინსტანციის 13 მოსამართლესთან. მსგავსი სახის პრეცედენტი აქამდე არ დაფიქსირებულა. თითოეულ მათგანს გააჩნია ჟურნალისტებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება. ამიტომ საკითხს სიღრმისეულად იცნობენ და დასმულ შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს. მოსამართლეებმა უპასუხეს 6 შეკითხვას: 1. რა სტანდარტებით ხელმძღვანელობთ ჟურნალისტებისთვის სასამართლოზე ობიექტური ინფორმაციის მიწოდებისას? 2. რამდენად მისაღებია სასამართლო

თემატიკაზე ჟურნალისტების მიერ მომზადებული საკითხები? 3. თუ გაიხსენებთ ჟურნალისტის მხრიდან ეთიკური სტანდარტების დარღვევის ფაქტს თქვენი პრაქტიკული საქმიანობის მანძილზე? 4. როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა დარეგულირდეს ან რა ბერკეტებით მოწესრიგდეს დღეს არსებული ეთიკური სტანდარტების დარღვევის ფაქტები? 5. რამდენად აზიანებს ჟურნალისტების მიერ მომზადებული მასალები სასამართლო ხელისუფლების იმიჯს? 6. რა რეკომენდაციების გაცემას ისურვებდით ეთიკური საკითხის დასარეგულირებლად?

კვლევა ჩატარდა ანონიმურობის სრული დაცვით ინფორმაციის განზოგადების მიზნით. ვინაიდან ავტორისათვის მნიშვნელოვანი იყო ზუსტი ინფორმაციის მიღება გულწრფელი პოზიციებით. შესაბამისად, დაპირებული კონფიდენციალობა ინტერვიუერებისა, ბოლომდე იქნება დაცული. კონფიდენციალურობის დაცვა ასევე ეხებათ იმ ინტერვიუერ ჟურნალისტებსაც, რომლებმაც, ასევე მიიღეს კვლევაში მონაწილეობა.

კვლევაში მონაწილე მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ ჟურნალისტებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ საზოგადოების წინაშე. მათ, პირველ რიგში, მოეთხოვებათ პროფესიული ეთიკა, ელემენტარული სამართლებრივი განათლება, განსხვავებული აზრის დაცვა და პატივისცემა. მოსახლეობის უმეტესობა სასამართლოს მომხმარებელი არ არის. ისინი არიან დამაკავშირებლები საზოგადოებასთან და მათ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას მეტი ყურადღებით და პროფესიონალიზმით უნდა მოეკიდონ. სწორედ მათ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას შეუძლია როგორც დააზიანოს, ასევე აამაღლოს სასამართლო ხელისუფლების იმიჯი. უნდა ითქვას, რომ ვერც ერთი მოსამართლე ვერ იხსენებს დადებით კონტექსტში მომზადებულ სიუჟეტს ამ მიმართულებით. ბევრია უზუსტობები, ეს არ არის გამოწვეული პროფესიიდან გამომდინარე ოპერატიულობით, ეს უფრო მიუთითებს მწირი გამოცდილებისა და სამართლებრივი თემატიკის არცოდნაზე.

ხშირად, ჩატარებული პროცესის გაშუქებისას, სხდომაზე გაჟღერებული ინფორმაციაც გაშუქებულა სრულიად საპირისპიროდ,

კონტექსტიდან ამოვარდნილად, რაც, მათი აზრით, ჟურნალისტებისათვის ან დაინტერესებული პირებისთვის საკითხის სუბიექტურობაზე მეტყველებს. პროცესების გაშუქებისას ყველაზე ხშირად ირღვევა პირის უდანაშაულობის პრეზუმფცია. ბრალდებული პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მის მიმართ დადგება გამამტყუნებელი განაჩენი, ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილებამდე იგი უდანაშაულოდ ითვლება. ამიტომ ჟურნალისტების მიერ სიუჟეტის გაშუქებისას ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორიცაა „მოიპარა“, „მოკლა“, „დააყაჩაღა“, ,,გააუპატიურა“ არღვევს აღნიშნულ პრინციპს და ქმნის საზოგადოებრივ აზრს და მცდარ წარმოდგენას კონკრეტულ პიროვნებაზე. საბოლოოდ კი, გაუმართლებელ ზიანს აყენებს ადამიანის რეპუტაციას. ამიტომ სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას, ჟურნალისტს ღრმად უნდა ჰქონდეს შესწავლილი გასაშუქებელი საკითხი.

ჟურნალისტური საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს პროფესიული სტანდარტების სიზუსტის, მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, პატიოსნების, დამოუკიდებლობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის მოთხოვნებს. ჟურნალისტის უპირველესი მოვალეობაა სიმართლის, ისევე როგორც საზოგადოების მიერ სიმართლის მიღების უფლების პატივისცემა. ჟურნალისტმა უნდა გამოიჩინოს კეთილსინდისიერება, პროფესიონალიზმი, სიზუსტით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მაყურებელს, მსმენელსა თუ მკითხველს, რადგან საზოგადოებას აქვს უფლება, მიიღოს სანდო, გადამოწმებული ინფორმაცია. მათ შეგნებულად არ უნდა დაამახინჯონ ფაქტები, არ უნდა იყვნენ ტენდენციურები და უნდა მოერიდონ სუბიექტურ ინტერპრეტაციებს. არასწორი ინფორმაციის მიწოდებით, ეთიკური სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში, ილახება სასამართლო ხელისუფლების იმიჯი, ვინაიდან რეალურ ინფორმაციას ვერ ღებულობს საზოგადოება.

სრულიად მიუღებელი და პროფესიული ეთიკის დარღვევის სანიმუშო მაგალითებია, პირდაპირ საჯარო სივრცეში დადებული სიუჟეტების მომზადებისას, მოსამართლეთა სახლებთან, ოჯახის წევრებთან ,,მივარდნები“ და არასრულწლოვან შვილებთან ,,არასასურველი კომუნიკაციის მცდელობები“. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ერთ-ერთი მოსამართლის შვილებს ,,მიმართა“, თითქოს ისინი იყვენენ ,,მკვლელის შვილები“. ასევე ერთ-ერთ მოსამართლეს დახვდა ჟურნალისტი სახლის კართან და კონკრეტული საქმის შესახებ კითხვის დასმისას კადრში აჩვენა მის საკუთრებაში არსებული მანქანა სარეგისტრაციო ნომრებით, რაც კანონდარღვევაა.

ევროსასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მართლმსაჯულება არამხოლოდ უნდა განხორციელდეს, არამედ უნდა ჩანდეს, რომ განხორციელდა. სასამართლო მიისწრაფვის იმ მიზნისკენ, რომ საზოგადოება დაარწმუნოს მის სანდოობაში და ჩამოუყალიბდეს ობიექტური აზრი. ორივე ამ მიზნისთვის აუცილებელია, სასამართლოს იმიჯზე პერმანენტული ზრუნვა.

სასამართლოს მიმართ ეთიკური ნორმების დარღვევით მომზადებული ჟურნალისტური მასალები აზიანებს საზოგადოების თვალში სასამართლოს ავტორიტეტს, რაც შემდგომ ასახვას ჰპოვებს კონკრეტულ საქმეებში. კერძოდ, შესაძლოა იმედდაკარგულმა მხარემ მისი უფლების დარღვევის მიუხედავად, არ მიმართოს სასამართლოს ამ უფლებაში აღდგენის მიზნით, დავის მონაწილემ ყველა კუთხეში მის წინააღმდეგ მომზადებული „შეთქმულების თეორია“ დაინახოს, არასწორი წარმოდგენა შეექმნას სასამართლოში საქმის განხილვის შესახებ და სხვ. საბოლოო ჯამში, ზიანდება როგორც მართლმსაჯულების იმიჯი, ასევე კონკრეტულ საქმეთა ხარისხიანი განხილვისა და სამართლიანი სასამართლოს მიმართ ნდობის ინტერესები.

მოსამართლეებისათვის მისაღებია მწვავე კრიტიკაც, თუკი ის მართლაც მოემსახურება, პირველ რიგში, საზოგადოებისადმი

ანგარიშვალდებულებას, სასამართლო სისტემის გაჯანსაღების ინტერესს და არა ზღვარგადასულ და დაუსაბუთებელ ,,ლანძღვა-გინებას". ეთიკურ სტანდარტს სცდება საკითხები, რაც საზოგადოებისთვის არასწორი, მცდარი ფაქტების გადაცემაში მდგომარეობს და მიზნად ისახავს, კონკრეტული მოსამართლის და, ზოგადად, ინსტიტუციისადმი საზოგადოებაში ნიჰილიზმის, უნდობლობისა და სიძულვილის ენის განმტკიცებას.

ერთ-ერთ ინტერვიუერ მოსამართლეს მიაჩნია, რომ საზოგადოებისთვის მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანია, თუმცა სასამართლოს თავისებურებიდან გამომდინარე, აუცილებელია, დაცული იყოს რამდენიმე პრინციპი/მიდგომა. პირველი, კომენტარი კონკრეტულ საქმეზე არ შეიძლება ატარებდეს მოსაზრებით ან/და შეფასებით ხასიათს. აღნიშნულში იგულისხმება ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე კომენტირება არ უნდა იქცეს სასამართლო გადაწყვეტილების შეფასების პროცესად. რატომ მიაჩნია, რომ ეს მნიშვნელოვანია. პირველ რიგში, არსებობს სასამართლო თათბირის საიდუმლოების პრინციპი ანუ არ შეიძლება გამჟღავნება იმისა, თუ რაზე იფიქრა/იფიქრეს მოსამართლემ/მოსამართლეებმა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დროს. მეორე რიგში, საქართველოს კონსტიტუციით აკრძალულია მოსამართლისთვის ანგარიშის მოთხოვნა მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე. შესაბამისად, იმ პირმა, რომელიც ინფორმაციას აწვდის ჟურნალისტებს სასამართლოს თაობაზე, უნდა გაითვალისწინოს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების კომენტირება არ უნდა იქცეს „თავის ქებად ან თავის მართლებად", პირადი აზრის გამოვლენად ან/და სავარაუდო ახსნის შეთავაზებად. ის, ვინც აწვდის ჟურნალისტს ინფორმაციას განხილული საქმის შესახებ, კარგად უნდა გაეცნოს სასამართლო გადაწყვეტილების ტექსტს, საქმის მასალებს, ტექნიკურ ინფორმაციას (რამდენი ხნის განმავლობაში იხილებოდა საქმე, რამდენი სხდომა ჩატარდა და ა.შ.) და კომენტირებისას მაქსიმალურად

უნდა შემოისაზღვროს თავი, უშუალოდ, სასამართლო გადაწყვეტილების ტექსტის, საქმის მასალებისა და კანონის მითითებით.

მოსამართლეები, ზოგადად, თვლიან, რომ ჟურნალისტთა ნაწილი არად დაგიდევთ მოსამართლის პირად ცხოვრებას და პირადი ცხოვრების მასალებს უაპელაციოდ იყენებს მოსამართლის საქმიანობის დისკრედიტაციისთვის. სასურველია, ამ თვალსაზრისით, აუცილებლად არსებობდეს გარკვეული ეთიკური სტანდარტები. კერძოდ, როდესაც ჟურნალისტი აშუქებს რაიმე საქმეს, იგი უნდა დაუკავშირდეს ამ დავის ორივე მხარეს და თანაბარი შესაძლებლობა მისცეს მათ, დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია. ამგვარი შესაძლებლობა სასამართლოსაც უნდა მიეცეს. ამასთან, მოსამართლის საქმიანობის შეფასება კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს ამ საქმის მასალებზე და განხილვაზე დაყრდნობით, და არა ზოგადი მოსაზრებებიდან გამომდინარე. ზოგადად, მოსაზრებებში გულისხმობენ ჟურნალისტის მიერ სრულიად დაუკავშირებელი ორი საკითხის დაკავშირების მცდელობას. მოსამართლის დისკრედიტაცია ზოგადი მოსაზრებებიდან გამომდინარე, ხელყოფს სასამართლოს ავტორიტეტს და არასწორ წარმოდგენას უქმნის საზოგადოებას იმის შესახებ, თუ როგორ საქმიანობს სასამართლო. მაგ., ჟურნალისტი, მარტივად და უბრალოდ, ხშირად იყენებს ტერმინს „სასამართლო კლანი“ და „სასამართლო კლანის წევრი“. რაც არ უნდა სწორად, დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად ჰქონდეს მოსამართლეს კონკრეტული საქმე განხილული, „მიაკრავენ“ მას „სასამართლო კლანის წევრის“ იარლიყს, რაც აპრიორი, ნეგატიური კონტექსტის მატარებელია.

ჟურნალისტების მიერ მომზადებული რეპორტაჟები დაინტერესების შემთხვევაში, დიდ დარტყმას აყენებს სასამართლოს იმიჯს, მათთვის არ არის საინტერესო რეალობა, მათ თავიდანვე შექმნილი აქვთ გარკვეული ცუდი წარმოდგენა და ამის დიდი დოზით მიწოდებას ახდენენ საზოგადოების ფართო მასებისთვის. მათთვის, ვინც არ არის გათვითცნობიერებული იურისპრუდენციაში ან კონკრეტული განსახილველი საქმის დეტალებში,

შეუძლებელია, დადებითი წარმოდგენა შეექმნათ სასამართლოზე, რადგან თავიდანვე ხდება სასამართლოს/მოსამართლის დისკრედიტაცია, გამოაცხადებენ „მონად“, „ჯალათად“, „ზონდერად“ და ა.შ. და ამ ტერმინების ხშირად გამეორებით, თავიდანვე ქმნიან უარყოფით მოლოდინებს. თუ საქმე მათთვის მისაღები შედეგით დასრულდა, თითქოს მათი ზეწოლით მოხდა ამ გადაწყვეტილების მიღება, არასოდეს ელოდებიან და აანალიზებენ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, არასოდეს ახსენებენ მასში მითითებულ არგუმენტებს (იშვიათი გამონაკლისის გარდა, იქაც - კონტექსტიდან ამოგლეჯილად).

დღეის მდგომარეობით, არ არსებობს ჟურნალისტის მიერ ეთიკური სტანდარტების დარღვევაზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმი, გარდა სასამართლოსი. არადა მოსამართლის მიერ ჟურნალისტის მხრიდან ეთიკური ნორმების დარღვევის გამო სასამართლოსთვის მიმართვა ქმნის გარკვეულ უხერხულობას და გარკვეული თვალსაზრისით შესაძლებელია, იყოს კონტრპროდუქტიული. კერძოდ, ასეთ პირობებში რომც მოიგოს საქმე მოსამართლემ, საზოგადოება აღიქვამს ისე, თითქოს სინამდვილეში სასამართლომ მოსამართლის მხარე დაიჭირა და არა ის, რომ ჟურნალისტს რეალურად დარღვეული ჰქონდა ეთიკის ნორმები. ნეიტრალურობის ობიექტური სტანდარტი ერთი შეხედვით ამ შემთხვევაში არ არის დაცული, რაც რიგითი დამკვირვებლის თვალში შესაბამის რეაქციას იწვევს. ამდენად, უნდა არსებობდეს ეთიკის ნორმების დარღვევაზე რეაგირების სხვა მეთოდებიც.

როგორც მოგეხსენებათ, არსებობს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები. ჩვენს რეალობაში ასეთი ალტერნატიული საშუალება უკვე არსებობს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის სახით. მიუხედავად ამისა, ეთიკის ქარტია არაეფექტიანი მექანიზმია. ეთიკის ქარტიას არ შეუძლია რაიმე ზემოქმედება მოახდინოს ჟურნალისტზე, გარდა იმისა, რომ დაადგინოს მის მიერ ეთიკის ნორმების დარღვევა. სამართალში ასეთ ნორმებს და მექანიზმებს legesimperfectae-ს

ანუ არასრულ სამართალს უწოდებენ. არასრულია სამართალი, თუ არის დარღვევა და დარღვევას არ მოყვება სანქცია და შესაბამისად, არც დარღვევის თავიდან აცილების ინტერესი არსებობს/წარმოიქმნება დამრღვევში. აუცილებელია მედიაორგანიზაციები გაერთიანდნენ მედიაეთიკის გარშემო და შეთანხმდნენ გარკვეულ ეფექტიან სანქციებზე, რომ ეთიკის ნორმების შესრულების მიმართ ჟურნალისტებს გააჩნდეთ კონკრეტული (სამსახურებრივი) ინტერესი.

აუცილებელია ჩამოყალიბდეს გარკვეული საკანონმდებლო ბაზა, ვინაიდან ჟურნალისტური საქმიანობა აბსოლუტური უფლება არ არის და მათი უფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი უფლება, რადგან ჟურნალისტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ყველაფრის უფლება აქვთ, მათ შორის, მოსამართლეთა ლანძღვა-გინების, რაც მათივე განმარტებით, ,,სრულად ჯდება" გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.

ასევე აუცილებელია კანონმდებლობით მოხდეს სასამართლო ხელისუფლების დაცვა უსაფუძვლო შეურაცხყოფებისაგან (ისევე როგორც ეს დარეგულირებულია სხდომის დარბაზში, გამოხატული დაჯარიმებით, გაძევებით. სსსკ-ის 85-ე მუხლი, ს.ს. 366-ე მუხლი).

იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეებს ზღუდავს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, ისევ და ისევ საქმის ინტერესები და პროფესიული თავმოყვარეობა არ აძლევს უფლებას, საკადრისად უპასუხონ ,,ყველა მომხვდურს". მათი აზრით, სასურველია, კანონი იმავე დოზით იცავდეს მოსამართლეს, რა დოზითაც გათქმისა თუ გახმაურების უფლება არ აქვთ მათ განსახილველ საქმეზე, მაგ., თუ მათ არ აქვთ ფაქტებზე საუბრის უფლება, წინასწარ მოსაზრებების გამოთქმის უფლება, ამის ან თუნდაც სხვა მიზეზით საცხოვრებელ სახლებში არ უნდა ,,უსაფრთდებოდნენ" ჟურნალისტები. მედიამ უნდა მიმართოს პრესსამსახურს, რომელთა მეშვეობით შედგება ჯანსაღი კომუნიკაცია წესების დაცვით.

სასურველია, ქარტიის ცნობადობა გაიზარდოს და მისი საქმიანობა უფრო ქმედითი გახდეს. მათი მხრიდან მოხდეს რეაგირება ჟურნალისტების

მხრიდან სავარაუდო ეთიკური ნორმების დარღვევის ფაქტებზე. ჟურნალისტების მიმართ, ასეთ შემთხვევებში, აუცილებელია შესაბამისი ზომების გატარება. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო და საზოგადოებისთვის სრულყოფილად ხელმისაწვდომი, რადგან ნებისმიერი მოქალაქის ლეგიტიმური უფლებაა, დაინტერესების შემთხვევაში, იცოდეს ფაქტები სამაუწყებლო კომპანიების ჟურნალისტების ეთიკურობის შესახებ. ეს ხელს შეუწყობს, მედიის წარმომადგენელთა მხრიდან სიუჟეტის მომზადებისას, უფრო მეტი პასუხისმგებლობის გამოვლინებას და ნებისმიერი სიუჟეტის ობიექტურად გაშუქებას.

მკაფიოდ უნდა გაიწეროს სასამართლოსთან ურთიერთობის წესი მედიისთვის. დარღვევის შემთხვევაში, რეაგირება უნდა იყოს ადეკვატური, ეთიკური სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში, რეაგირება უნდა მოხდეს ეფექტურად და შედეგიანად.

მოსამართლეები იმედოვნებენ, რომ ის ჟურნალისტები, რომლებიც მუშაობენ სასამართლოს საკითხებთან დაკავშირებით, უფრო სიღრმისეულად შეისწავლიან მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებსა და კანონმდებლობას, სრულყოფილად და არა ფრაგმენტულად, კონტექსტის დარღვევით გააშუქებენ საზოგადოებისათვის საინტერესო პროცესებს, დაიცავენ უდანაშაულობის პრეზუმფციას და აღარ მოახდენენ ღია სასამართლო სხდომებიდან პროცესის მონაწილეთა იდენტიფიცირებას, ვინაიდან მედიის საქმიანობა დაფუძნებული უნდა იყოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ძირითად პრინციპებზე, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-10 მუხლისა და „ჟურნალისტების ქცევის პრინციპების დეკლარაციაში“ ჩამოყალიბებულ პრინციპებს. თუკი ჟურნალისტები ამ პრინციპებს პროფესიული ქცევის სტანდარტად დაამკვიდრებენ და მათი დაცვით მოიპოვებენ, გადასცემენ და გაავრცელებენ ინფორმაციას, ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და სასამართლოს საქმიანობის დაუმახინჯებლად და მიუკერძოებლად წარმოჩენას.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ მიღებული უნდა იყოს ყველა ზომა, რათა გაუმართლებელი ზიანი არ მიადგეს არც ცალკეული მოქალაქეების და არც სასამართლო ხელისუფლების იმიჯსა და ინტერესებს. ჟურნალისტების მიერ უნდა მოხდეს ქარტიის მიერ დაწერილი პრინციპების (სადაც ძალიან ნათლად და კარგად არის გაწერილი, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ჟურნალისტი) რეალურად შესრულება და ეთიკური საკითხის დარღვევის გამოვლენის შემდგომ კი, რეაგირების მექანიზმი აუცილებლად უნდა დაიხვეწოს.

მოსამართლეების აზრით, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას უნდა ჰქონდეს ქმედითი როლი ეთიკური სტანდარტების დამკვიდრების მიმართულებით. 1. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა და მათი მოწვეული ავტორიტეტული ექსპერტების მიერ, ჟურნალისტებს უტარდებოდეთ შესაბამისი ტრენინგები ეთიკის საკითხებზე; 2. მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებზე, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლების ფარგლებისა და შეზღუდვის კრიტერიუმებზე. 3. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია აქტიურად უნდა უწყობდეს ხელს ჟურნალისტური ეთიკის ნორმების პოპულარიზაციას და მათ მიმართ პატივისცემის დამკვიდრებას; 4. უნდა დაიხვეწოს ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსი და ეთიკის დარღვევის ფაქტებზე რეაგირების მექანიზმები. ამასთან, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საქმიანობა უნდა იყოს გამჭვირვალე და ქმედითი, ხოლო ქარტიის საბჭოს თითოეული წევრი, რომელიც ჟურნალისტების წინააღმდეგ შესულ განცხადებებს განიხილავს, უნდა სარგებლობდეს საზოგადოების მაღალი ნდობით, როგორც ობიექტური შემფასებელი.

შედეგად, მივიღებთ იმას, რომ ყველა მიმართულების ჟურნალისტი იმოქმედებს მაღალი ეთიკური სტანდარტით და აღარ იქნებიან ორიენტირებულნი ვინმეს დაზიანება-განადგურებაზე. მედიამ უნდა გაითვალისწინოს და გააცნობიეროს, რომ ამის გარეშეც შესაძლებელია,

გაკეთდეს საქმე პროფესიონალიზმის სრული დაცვით. ამგვარი სტანდარტების დაცვით, შედეგად, მოხდება ის, რომ საზოგადოების ნებისმიერი წევრი უკვე ისწავლის, რომ თითოეული მათგანის პასუხისმგებლობაა და ვალდებულება სასამართლოს ხელისუფლების იმიჯზე და ავტორიტეტზე ზრუნვა. ამიტომ უნდა დაიხვეწოს და მოხდეს უფრო მეტი და სწორად დაგეგმილი კომუნიკაცია სასამართლოსა და ჟურნალისტებს შორის.

და ბოლოს, უდავოდ მნიშვნელოვანია შეიქმნას სახელდობრ, მართლმსაჯულების განხორციელების გაშუქების ეთიკური სტანდარტები, შესაბამის განვითარებულ ქვეყნებში არსებული პრაქტიკის გაცნობისა და იმპლემენტაციის მიზნით. რა თქმა უნდა, ეს უნდა განხორციელდეს მოსამართლეებისა და ჟურნალისტების ურთიერთთანამშრომლობის გზით. ასევე, კარგი იქნება თუ აღნიშნულ ეთიკურ ნორმებს ექნება დართული კომენტარებიც.

რაც შეეხება თავად ჟურნალისტებს, მედია დაიყო ორ კატეგორიად, ერთ ჯგუფს წარმოადგენდნენ პროდიუსერები და საინფორმაციო საშუალებების ხელმძღვანელები (9 მათგანი), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სატელევიზიო ეთერში მასალის გადაცემაზე, ხოლო მეორე ჯგუფში ინტერვიუერები იყვნენ თავად ჟურნალისტები (16 მათგანი), რომელთა მიერ ხდება მასალის მოძიება, მოპოვება და მიწოდება სატელევიზიო ეთერისთვის.

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელებმა უპასუხეს 5 შეკითხვას: 1. რა არის პრიორიტეტი სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესების გაშუქებისას? რის მიხედვით კეთდება არჩევანი ამგვარ პრიორიტეტზე? 2. არსებობს თუ არა სასამართლო თემატიკის გაშუქებისას პროფესიული სტანდარტი? 3. რამდენადაა დაცული ეთიკური სტანდარტები თანამედროვე მედიაში, როდესაც შუქდება მასალები სასამართლო თემატიკაზე? 4. რამდენად უწყობს ხელს მედიის მიერ გაშუქებული საკითხები საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლების ნდობის ამაღლებას? 5.

სასამართლო თემატიკაზე შექმნილმა სიუჟეტებმა რა გავლენა მოახდინა სასამართლო ხელისუფლების იმიჯის ფორმირებაზე?

უმეტესობა აღნიშნავს, რომ სასამართლო სისტემაში მიმდინარე მოვლენების გაშუქება პრიორიტეტულია ქართული მედიისთვის. ისინი მიიჩნევენ, რომ საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე, აქცენტი უფრო სისხლის და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით იკვეთება. მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ჰქონდეს თანმიმდევრული ინფორმაცია მოდავე მხარეთა თანაბარი მონაწილეობით, რათა სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე ობიექტური წარმოდგენა შეექმნას.

ასევე პრიორიტეტულია სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესი, პროცესის გამჭვირვალობა და თავად საბჭოს მუშაობის ღიაობა, მოსამართლეთა კონფერენციები და განათლების სტანდარტი ამ სისტემაში. მნიშვნელოვანია, იმ საკითხების გაშუქება, რომელსაც ევროკავშირის რეკომენდაცია ითვალისწინებს.

პროდიუსერები არჩევანს აკეთებენ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე. თუმცა, გამოთქმა „მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი“ პირობითია, რადგან უმეტეს შემთხვევაში, მედია იმაზე მეტ დროს უთმობს სასამართლო პროცესებს, ვიდრე შეიძლება მაყურებელს აინტერესებდეს. გარდა ამისა, სასამართლო არ არის მხოლოდ უშუალოდ სასამართლო პროცესი. ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით ევრორეკომენდაციების ფონზე, არანაკლებ საინტერესოა, ზოგადად, სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული თემები. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ უფრო მეტია ანგაჟირებული კომენტარები და ნაკლებად გვხვდება - პროფესიული.

მედიის ყურადღების ცენტრში ბევრი ისეთი სასამართლო პროცესი გვხვდება, რომელსაც განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიდგომა, რადგან სწორად აქ ვაწყდებით ადამიანის უფლებების დაცვისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის პრობლემას. თუმცა უმეტეს შემთხვევაში, ეს

გადადის უკანა პლანზე, რადგან პროცესები შუქდება აჟიტირებულად, შეუძლებელიც კია გაიგო, ვინ რაზე საუბრობს, ვის რა პოზიცია აქვს. ხშირად ირღვევა კონფიდენციალობაც და ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია, როცა საქმე არასრულწლოვნებს ეხებათ. ხშირ შემთხვევებში სკანდალი და პირველობის ინტერესი სძლევს ხოლმე ეთიკურ სტანდარტებს. მედიის უმეტესი საშუალებიდან ამ თემაზე ნეგატივი სჭარბობს.

ერთ-ერთი პროდიუსერი ფიქრობს, რომ 2012 წლამდე, გირგვლიანისა და სხვა გახმაურებულმა საქმეებმა და ამ საქმის მოსამართლეებმა გარდამტეხი როლი შეასრულეს სასამართლო ხელისუფლების იმიჯის ფორმირებაზე და ამ იმიჯის აღდგენას წლები სჭირდება, თუმცა ნდობა და იმიჯი ბოლო 3-4 წელიწადში საგრძნობლად არის გაუმჯობესებული. მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლების მიმართ ნდობის ამაღლებას, თავად სასამართლო უნდა უწყობდეს ხელს. მედია მხოლოდ სარკეა, რომელიც რეალობას აირეკლავს, მას საზოგადოებას აჩვენებს და მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სწორ ფაქტებზე დაყრდნობით ობიექტური, მიუკერძოებელი და უტყუარი. ყველა მათგანი აცხადებს, რომ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა უმნიშვნელოვანესია. სამწუხაროდ, ყველაზე ხშირად სტანდარტების დარღვევა ამ მიმართულებით გვხვდება, რადგან ყველაზე მეტად, სწორედ სამართლებრივი საკითხების გაშუქება მოითხოვს მედიასტანდარტების დაცვას. ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ უხეშადაც ირღვევა, რადგან არ ხდება საკითხების სიღრმისეულად გაშუქება, რაც ხელს უშლის ნდობის ამაღლებას. სიუჟეტები არის ცალხმრივი, ზედაპირული. შესაბამისად, საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლების იმიჯი და ნდობა შელახულია. რამდენიმე მაგალითი შეიძლება დავასახელოთ: არის შემთხვევები, როცა, მაგალითად, პროცესის მონაწილე რომელიმე მხარე (ადვოკატი, პროკურორი, დაზარალებული, ბრალდებული) საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მედიის წარმომადგენლებს აძლევს საქმის მასალებიდან იმ ნაწილს, რომლის გასაჯაროებაც მისი დაცვის ან ბრალდების

სტრატეგიის განხორციელებას შეუწყობს ხელს. ეს მედიისთვის ხშირად მაცდური შეთავაზებაა და მასალების გასაჯაროებაზეც თანახმაა იმ შემთხვევაშიც, თუკი მიწოდებული მასალის სხვა წყაროსთან გადამოწმების შესაძლებლობა არ ეძლევა. არის რისკი, ამგვარმა შემთხვევებმა შექმნას არასწორი საზოგადოებრივი აზრი და გავლენა იქონიოს მათ შორის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საქმეს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ). არასწორია, მოსამართლის გადაწყვეტილების შეფასება გააკეთოს მედიასაშუალებამ, როგორც მხარემ, განსაკუთრებით მაშინ, როცა არ არის ცნობილი განაჩენის დასაბუთებული ნაწილი და თავად საქმეც არ არის განხილული სასამართლოს ყველა ინსტანციის მიერ.

მედია პირდაპირ კონტაქტზეა საზოგადობასთან, ყველა სიახლეს და რეფორმას, რაც სასამართლო სისტემაში ხდება, მეტწილად, სწორედ მედიის საშუალებით იგებს საზოგადოება. შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლების ნდობის ამაღლებაც მედიის მიერ გაშუქებული საკითხების პირდაპირპროპორციულია. ვიდრე სასამართლო პროცესების, თუ სისტემაში მიმდინარე მოვლენების გაშუქებაში ჭარბად იქნება პოლიტიკური შეხედულებები და ნაკლებად საქმის არსი, ეს ვერ წაადგება ნდობის ამაღლებას.

ერთ-ერთმა პროდიუსერმა განსაკუთრებულად აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში შეტანილი იქნა ცვლილებები, მედიას მიეცა შესაძლებლობა, ამომწურავად გააშუქოს სასამართლო პროცესები, რამაც თავისუფლებასთან ერთად, ჟურნალისტების პასუხისმგებლობის გაზრდაც გამოიწვია. დღეს არსებული მდგომარეობით, მედიას ნამდვილად აქვს ბერკეტი სასამართლოს მიმართ აამაღლოს საზოგადოების ნდობა, თუმცა ხშირად პოლიტიკური მოტივით ხდება სასამართლო სისტემის დისკრედიტაცია, კონკრეტული მოსამართლეების შეურაცხყოფა და იმ გადაწყვეტილებების ეჭვქვეშ დაყენება, რომლის სასამართლო პროცესების წარმოების მართებულობა არც ადამიანის

უფლებათა ევროპულ სასამართლოს დაუყენებია ეჭვქვეშ. ასეთი შემთხვევები ხელს არ უწყობს საზოგადოების ნდობის ამაღლებას სასამართლოს მიმართ.

მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია გამამართლებელი გადაწყვეტილებების სტატისტიკების, ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებისა და სასამართლოს მიერ დაზარალებულებისა თუ ბრალდებულების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების შესახებ. მისივე თქმით, სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობა რომ გაზრდილია, ამას სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული დავების გადასაწყვეტად მოქალაქეთა გაზრდილი მიმართვიანობაც ცხადყოფს. რეფორმები აისახა სტატისტიკის გაუმჯობესებულ მაჩვენებლებშიც. თუმცა, ბუნებრივია, სასამართლო ხელისუფლების სანდოობას მეტად აზიანებს მადისკრედიტირებელი რეპორტაჟები, ვიდრე ობიექტურ რეალობაზე მომზადებული სიუჟეტი, რომელიც ამაღლებს მის მიმართ ნდობას. ამ საკითხის გაუმჯობესებისთვის სასურველია სისტემის მეტი ღიაობა მედიისა და საზოგადოებისთვის.

აქედან გამომდინარე, მედიას აუცილებლად სჭირდება გარკვეული სტანდარტები, რის მიხედვითაც იხელმძღვანელებს. მეტი დრო უნდა ეთმობოდეს მედიაში სასამართლო თემატიკას. საინფორმაციო გამოშვევებში ხდება მხოლოდ ფაქტების და მიმდინარე მოვლენების მოკლედ გაშუქება, რაც ხელს ვერ უწყობს საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლების ნდობის ამაღლებას, ამიტომ უნდა დაიგეგმოს სხვადასხვა შემეცნებითი გადაცემები.

კვლევაში მონაწილე ჟურნალისტებმა უპასუხეს 5 შეკითხვას: 1. იცნობთ თუ არა ეთიკურ სტანდარტებს, როდესაც აშუქებთ სასამართლო პროცესებს? თავად თუ იცავთ პროფესიულ სტანდარტებს და კონკრეტულად როგორ?; 2. არის თუ არა რაიმე კონკრეტული მიდგომა პროდიუსერების მხრიდან სასამართლო თემატიკის გაშუქებისას? რაზე ამახვილებთ ყურადღებას?; 3. რამდენად აწყდებით ბარიერს პროფესიული მოვალეობის

შესრულებისას სასამართლოსთან მიმართებაში?; 4. ხომ ვერ გაიხსენებდით კონკრეტულ შემთხვევას სასამართლო თემატიკის ეთიკური გაშუქების კუთხით?; 5. ხომ არ იქმნება რაიმე პრობლემა სასამართლო საკითხების გაშუქების დროს?

ჟურნალისტები აშუქებენ სასამართლოში მიმდინარე მოვლენებს და უშუალოდ ესწრებიან სხდომის დარბაზებში გამართულ პროცესებს. ყველა მათგანი აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიმართ ინტერესი გაიზარდა 2012 წლის შემდგომ, როდესაც კანონი შეიცვალა, უშუალოდ სხდომის დარბაზებში დაშვებულ იქნა ვიდეოგადაღება და შესაძლებელი გახდა ღია ვიზუალის ჩვენება საზოგადოებისათვის. ამ კუთხით მინიმუმადე იქნა შემცირებული ბარიერები ჟურნალისტებისათვის, რადგან ამით მათ მიეცათ შესაძლებლობა, თანაბრად მოუსმინონ პროცესის მონაწილე მხარეებს და ობიექტურად გააშუქონ მოვლენები. თუ ასეთ დროს ჟურნალისტს არ აქვს გამოცდილება (გნებავთ ალღო, ცოდნა, ინტუიცია და პროფესიული გამორჩეული თვისებები) მსგავსი ფაქტების გაშუქებისას, დიდია ცდუნება და ალბათობა იმისა, რომ დაარღვიოს გადაღების წესი. ვინაიდან თავად ჟურნალისტებიც აღიარებენ, რომ ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები მხოლოდ ფურცელზეა და აქტიურად არ გამოიყენება ჟურნალისტურ პრაქტიკაში. დღევანდელ რეალობაში ასევე აღნიშნავენ, რომ გართულებულია ბალანსის დაცვა საზოგადოებრივ ინტერესსა და ეთიკურ გაშუქებას შორის. ერთ-ერთმა მათგანმა კი გულწრფელად ,,აღიარა“ ინტერვიუში, რომ ნებართვის გარეშეც გაუკეთებია აუდიო-ჩანაწერი და გადაუღია ფოტო.

ჟურნალისტები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან არასრულწლოვანთა, ფემიციდის, ძალადობის საკითხების გაშუქების თემატიკას და აცხადებენ, რომ ყველაზე მეტად აქ იცავენ ნებისმიერი მონაწილის უფლებებსა და ღირსებას, ობიექტურობასა და ნეიტრალიტეტს. გამოყოფენ დასამახსოვრებელ და ე.წ. ,,გახმაურებულ“ საქმეებს (მაგდა პაპიძის, გიორგი შაქარაშვილის, ხორავას ქუჩის საქმეებს და ბასილაშვილ-

დოროყაშვილის სასამართლო დავას). ერთ-ერთი ჟურნალისტი აცხადებს, რომ, თუკი ჩართვის აპარატით სხდომაზე დასწრების უფლება აქვს პირდაპირ ეთერში სხდომას, მით უფრო, განაჩენს - ნებართვის გარეშე არ აშუქებს. უნებართვოდ არ აკეთებს აუდიოჩანაწერს და არ იღებს ფოტოს. თუკი შინაარსი, მაგ.: ბრალდებულის პოზიცია არის შეურაცხმყოფელი რომელიმე მხარის მიმართ, არ ხვდება ეთერში ან თუკი ხვდება - მაშინ ეს შეურაცხმყოფელი ფრაზები დაფარულია. თუკი საქმე ეხება არასრულწლოვანს და ზიანს მიაყენებს მის უფლებას რაიმე კადრი ან გაჟღერებული ფრაზა ნებისმიერი მხარის მხრიდან, ასევე არ ხვდება სიუჟეტში. იმავე მიდგომით იქცევა მაშინაც, როდესაც სხდომაზე საუბარია ბრალდებულის პირადი ცხოვრების, მათ შორის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მისი აზრით, ეს სტანდარტი უნდა დაიცვას ყველა კოლეგამ, რადგან ეს წესები ვრცელდება ნებიესმიერ პროცესზე, არის თუ არა ის კამერებისთვის ღია.

რამდენიმე ინტერვიუერი წარმოადგენდა ბეჭდურ და ონლაინ მედიას. მათი ინტერესი უფრო გამოიკვეთა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობისა და მოსამართლეთა დანიშვნის მიმართ. მათთვის ეს იმიტომაა პრიორიტეტი, რომ აქ კარგად ჩანს, თუ როგორ ნაწილდება სასამართლო სისტემაში ,,ძალთა ბალანსი“, რაც, საბოლოოდ, გავლენას ,,ახდენს სასამართლოს მუშობაზე“, ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებაზე.

ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ, ზოგადად, მედიის მცირე ნაწილი აშუქებს მოვლენებს ეთიკურად, უმეტესობა არღვევს ნორმებსა და სტანდარტებს და, ამ მხრივ, ბევრია სამუშაო. ეს მედიის პრობლემად რჩება და ნამდვილად გამოსასწორებელია. ერთი მათგანი ინტერვიუში ,,ამტკიცებდა“, რომ მიუხედავად იმისა, რომ მედია არაეთიკურად აშუქებს, ,,აუცილებლად მაინც უნდა გააშუქოს“, რადგან ეს ,,საზოგადოებისთვის არის მნიშვნელოვანი“.

გამოკითხული ინტერვიუერები მიუთითებენ სასამართლო სხდომის დარბაზებში არსებულ ტექნიკურ გაუმართაობასთან დაკავშირებით, როდესაც არ ისმის ხმა, რაც მათი ოპერატიული საქმიანობისთვის ხელისშემშლელ ბარიერს წარმოადგენს. ასევე, პირდაპირი ჩართვის დროს (პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად) მათ უწევთ სხდომის დარბაზიდან გასვლა, ხოლო უკან დაბრუნება პროცესის მიმდინარეობისას ეკრძალებათ, თუ სხდომაზე შესვენება არ გამოცხადდება. ისინი მიიჩნევენ, რომ ასეთ დროს არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ჟურნალისტმა საქმის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოტოვოს და ეს ინფორმაცია ვერ მივიდეს დაინტერესებული საზოგადოებისადმი. ამ მხრივ, ისინი ვერ იღებენ ინფორმაციას სასამართლოს პრესსამსახურისგანაც, რადგან მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს ჰყავს თანამშრომელი და სხვა სასამართლოებში ურთულდებათ ინფორმაციის მიღება, ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრესსამსახურთან დეტალების გადამოწმებას ძალიან დიდი დრო მიაქვს, რაც მათივე თქმით, ოპერატიულობას აფერხებს.

ჟურნალისტები ასევე მიუთითებენ ერთ ძალიან მნიშვნელოვან დეტალზე. ხშირად კოლეგები არასწორ აქცენტებს აკეთებენ. მათთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია სამართლებრივი მხარე. ხშირია შემთხვევები, როდესაც პროცესის დახურვის შემდეგ, მხოლოდ ადვოკატებისა და პროკურორების კომენტარებზე დაყრდნობით მომზადებულა სიუჟეტები. ეს თემის ზედაპირულობას წარმოაჩენს და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა, რომ არაფერი ვთქვათ, პროფესიული ეთიკის დარღვევაზე. გაშუქებისას, სენსაციურობის ნაცვლად, პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ ფაქტებზე ორიენტირებულ სამართლიან გაშუქებას, არ უნდა მოხდეს რომელიმე მხარის ინტერესების გათვალისწინება, არ უნდა მოხდეს ასევე ჭორების ან უსაფუძვლო, დაუბალანსებელი, ცალმხრივი, სუბიექტური ვარაუდების საზოგადოებისათვის გაჟღერება. თავად ჟურნალისტი არ უნდა წარმოადგენდეს ,,მხარეს“. მაქსიმალურად უარყოფით კონტექსტში გადაიცემა პროცესები სასამართლო თემატიკაზე და ამიტომაცაა იმიჯი

შელახული. ჟურნალისტის განმარტებით, ამიტომაცაა აუცილებელი მედიაში მეტი კეთილსინდისიერი პროფესიონალი, რომ საზოგადოებისათვის მოხდეს ინფორმაციის მაღალი სტანდარტებით მიწოდება.

ზოგიერთი მედია უფრო ტენდენციური გახდა და ,,საზოგადოებას სასამართლო სისტემაში კლანის არსებობას აჯერებს და მოსამართლეებს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში პირდაპირ ეთერში ადანაშაულებენ ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე", რაც ინტერვიუერი ჟურნალისტისათვის მიუღებელია. ასევე ნათელია, რომ მედიის მიერ გაშუქებული საკითხები ხელს არ უწყობს საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლების ნდობის ამაღლებას.

სასურველია და აუცილებელი, რომ თავად სასამართლოს წარმომადგენლებმა განახორციელონ აქტივობები მედიასთან მუშაობის მიმართულებით. ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, მედიის დიდი სურვილია, სასამართლოს მხრიდან, აქტიურად მოხდეს სასამართლო სისტემაში დაგეგმილი ახალი წესებისა და უფლებების მათთვის გაცნობა, ჩატარდეს ტრენინგ-სემინარები, სადაც ორივე მხარეს ექნება შესაძლებლობა, განიხილონ მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები და შედგეს პირდაპირი კომუნიკაცია. რაც მთავარია, მათი უდიდესი სურვილია, გააქტიურდეს სპიკერ-მოსამართლის როლი სასამართლო ხელისუფლებაში, რომელიც ახსნის და სამართლებრივად სწორად მიაწოდებს ინფორმაციას დაინტერესებულ მხარეებს ამა თუ იმ გადაწყვეტილების თაობაზე.

გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე, პროფესორი ბერტრამ შმიტი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ მართლმსაჯულებას, უდავოდ, სჭირდება მედიები და ის თავად ცდილობს მასთან თანამშრომლობის დამყარებას. თუმცა მართლმსაჯულებას ესაჭიროება პროფესიული გაშუქება, რომელიც დამყარებულია პასუხისმგებლიან მიდგომაზე, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს საზოგადოებაში სამართლებრივი სისტემის აღიარებას და სამართლის

პატივისცემას. შესაბამისად, მართლმსაჯულების ავტორიტეტი და საზოგადოების ნდობის გაძლიერება თუ შესუსტება, მნიშვნელოვანწილად მედიების მიერ გავრცელებულ შეფასებებზე გადის“. (შატბერაშვილი, 2023)

ამიტომაცაა, რომ დღეს ტელევიზიებიდან წამოსულ დიდ ნეგატივს მართლმსაჯულება უპირისპირდება საკუთარი დამოუკიდებლობის შენარჩუნებით, საჯაროობის ძალით, არგუმენტირებული ინფორმაციის მიწოდებით კონკრეტულ სასამართლო საქმეებთან დაკავშირებით და პროფესიონალიზმით.

ჟურნალისტების მხრიდან განხორციელებული ერთგვარი ,,ინფორმაციული შტურმი“ სასამართლოსადმი გვაფიქრებს საზოგადო პრობლემის არსებობის თაობაზე, რაც დიდ ზიანს აყენებს არა მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების რეპუტაციას, არამედ ხალხის ნდობის შენარჩუნების საჯარო ინტერესს და, დიდწილად, საკუთრივ მართლმსაჯულების ინტერესებს აკნინებს, რაც მიზნად ისახავს სასამართლოზე ზეწოლას და შესაძლოა, ასევე შეამციროს მხარეთა შანსი, ისარგებლონ საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით. თუ სტრასბურგის სასამართლოსთან გავავლებთ პარალელს, იქ მსგავს მიდგომებს მკვეთრად ნეგატიურად აფასებენ და მას „ფსევდო-სასამართლო განხილვასა“ და „სასამართლოს როლის უზურპაციას“ უწოდებენ.

ჟურნალისტთა ამგვარი ქმედებები ხელს უწყობს სასამართლოსა და მოსამართლეების დისკრედიტაციას, ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციას, პიროვნების ღირსებისა და რეპუტაციის შელახვას, მათდამი სიძულვილის გაღვივებას, განხილვაში მყოფ საქმეზე წინასაწარი მიკერძოებული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობასა და სასამართლოს გადაწყვეტილების დაუმორჩილებლობისაკენ მოწოდებას.

რეალურად კი ჟურნალისტებმა თავიანთი საქმიანობით ფუნდამენტური ღირებულებების დამკვიდრებას უნდა შეუწყონ ხელი, მათ შორისაა სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა, საქმის სამართლიანი განხილვის უფლება და ადამიანის პატივისა და ღირსების

დაცვა, რომელსაც საქართველოს კონსტიტუცია, გამოხატვის თავისუფლებისაგან განსხვავებით, ადამიანის „ხელშეუვალ“ უფლებად აცხადებს. მედიის თავისუფლება, თავად უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული ღირებულებაა, რომელიც ამასთანავე სხვა ღირებულებების დაცვის საშუალებას წარმოადგენს. დაუშვებელია, რომ მედიის თავისუფლება, ზოგჯერ უნებლიედ, ხოლო ზოგჯერ შეგნებულად, ზოგიერთი ჟურნალისტის მიერ გამოყენებული იქნეს სხვა დემოკრატიული ღირებულებების ხელყოფის საშუალებად.

აუცილებელია, ყველასათვის სავალდებული იყოს ჟურნალისტთა საერთაშორისიო ფედერაციის მიერ დამტკიცებული ჟურნალისტთა ქცევის კოდექსის მე-2 პრინციპი, რომლის შესაბამისად, ,,ჟურნალისტმა ყოველთვის უნდა დაიცვას ახალი ამბების კეთილსინდისიერად მოპოვების, გამოქვეყნების, სამართლიანი კომენტარისა და კრიტიკის უფლება“.

ჟურნალისტების მხრიდან სავალდებულო უნდა იყოს კონსტიტუციის, კანონების, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის და, ცხადია, ჟურნალისტური ეთიკის ნორმების სრულად დაცვის ვალდებულება, რომელიც დაუმახინჯებელი და ობიექტური კომენტარის, ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაციის, სამართლიანი ბალანსის დაცვისა და, სხვა მრავალ ვალდებულებასთან ერთად, კიდევ იმასაც მოიცავს, რომ ჟურნალისტებმა თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას, უსაფუძვლო ზიანი არ მიაყენონ სხვა ლეგიტიმურ ინტერესებს - ადამიანის უფლებებსა და საჯარო ინტერესებს. ჟურნალისტებმა დაუშვებელია გამოიყენონ წინასწარ განზრახულად მომზადებული ცილისმწამებლური ბრალდებები მასალის მომზადებისა და გადაცემის დროს. ვფიქრობ, თვითშეზღუდვისა და თვითცენზურის უარყოფა კეთილსინდისიერების, სამართლის უზენაესობის, მორალისა და პასუხისმგებლობაზე უარის თქმასა და ჟურნალისტური ეთიკის პრინციპების უარყოფას ნიშნავს. და, არა მგონია, ეს საზოგადოების თვალშიც მისაღები იყოს. რეალურად, ყოველგვარი თავისუფლებით სარგებლობა თვითშეზღუდვას გულისხმობს და ვერც

თავისუფალი მედია იარსებებს ამ თვითშეზღუდვის გარეშე. მედიის თავისუფლება თავისთავად მოიაზრებს სხვისი ლეგიტიმური ინტერესების პატივისცემასაც და მისი დაცვა ყველა მათგანს მოეთხოვება. კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, „გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი უწესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“. სწორედ ამიტომ მიუთითებს კონვენციის მე-10 მუხლი, საგანგებოდ, „გამოხატვის თავისუფლებისაგან განუყოფელ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე“, რადგან უპასუხისმგებლო ჟურნალისტიკას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ამ ღირებულებებისა და მთელი საზოგადოებისათვის. სტრასბურგის სასამართლოც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სწორედ ტელეჟურნალისტების მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე, ვინაიდან ტელემედიას, გაზეთებთან შედარებით, გაცილებით დიდი აუდიტორია ჰყავს და, ამასთან, მაყურებელზე უშუალო ზემოქმედების მოხდენის დიდი პოტენციალი გააჩნია.

მედიის მხრიდან თვითშეზღუდვის არარსებობა და აბსოლუტური „თავისუფლება“ თვითნებობასა და განუკითხაობას უწყობს ხელს, ამიტომაც უმრავლესობა ჟურნალისტებისა ,,კანონზე მაღლა“ აყენებს საკუთარ თავს, რასაც არაფერი აქვს საერთო არც დემოკრატიასთან და არც დემოკრატიული ღირებულებების დაცვასთან (რასაც თავად მედიაც უნდა ემსახურებოდეს) და არც „თავისუფლების“ კლასიკურ და თანამედროვე გაგებასთან, საზოგადოდ.

აუცილებელია გაიმიჯნოს სასამართლოს კრიტიკა მოსამართლეთა ლანძღვის, შეურაცხყოფის, დამცირების, დაშინების, დაშანტაჟების, სასამართლოს გადაწყვეტილების დაუმორჩილებლობის წაქეზებისა და სხვა მსგავსი ქმედებებისაგან. თავად ჟურნალისტებმაც, პირველ რიგში, უნდა დაიცვან სასამართლოს „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები. ეს იმას ნიშნავს, რომ კრიტიკა დასაშვებია, მაგრამ დისკრედიტაცია - არა. დღევანდელი რეალობა კი „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლებს გარეთაა.

მედიასივრცეში დაუდასტურებელი, არასანდრო ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ლახავს პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესებს. პატივი და ღირსება ყველა ადამიანისთვის უპირველესი ფასეულობაა. როგორც ილია ჭავჭავაძე წერდა: ,,პატივი და ღირსება ადამიანის უძვირფასეს და ხელშეუხებელ კუთვნილებას წარმოადგენს და დაცულია ყველასა და თითოეულის ხელყოფისაგან“. (ჭავჭავაძე, 1951-1961) ღირსება ადამიანის თვითშეფასებაზეცაა დამოკიდებული და აერთიანებს ისეთ თვისებებს, როგორიცაა: სინდისიერება, თანაგრძნობა და პატივისცემა. თუ ამ სიტყვების არსი და ფასი არ იცი, ნებისმიერ სფეროში მომუშავე ადამიანს გაუჭირდება სიმართლის აღქმა ამ კომპონენტებიდან გამომდინარე. დაუშვებელია ჟურნალისტებისათვის ამ ორი ფუნდამენტური უფლებების უგულებელყოფა, რადგან ისინი არ უნდა იყვნენ გამოყენებული სხვათა უფლებების დასარღვევად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ,,თუ პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებით“. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ,,მოქალაქეს, რომლის შესახებაც მასმედიაში გამოქვეყნდა მისი უფლებების ან კანონიერი ინტერესების შემლახავი ცნობები, აქვს მასმედიის იმავე საშუალებებში საკუთარი პასუხის გამოქვეყნების უფლება“. მსგავსი პრეცედენტები საქართველოში, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება.

განურჩევლად ყველა ადამიანის ღირსება და რეპუტაცია უნდა იყოს სამართლებრივად დაცული. ჟურნალისტებმა უნდა იცოდნენ რომ მოსამართლეების მიმართ არსებობს განსხვავებული ფორმით დასაშვები კრიტიკის ფარგლები ანუ მათი კრიტიკა გარკვეულ, ზომიერ ფარგლებშია დასაშვები და ეს კრიტიკა არ უნდა იყოს შეურაცხყოფაში გადაზრდილი. შესაბამისად, მოსამართლის დაცულობის სტანდარტი არათუ არ აღემატება, არამედ ჩამორჩება კიდეც კერძო პირის რეპუტაციის დაცულობის სტანდარტს და ეს ასეც უნდა იყოს. ამგვარია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიდგომები და სასურველია ეს დაინერგოს ჩვენთანაც.

დასკვნა

კვლევის შედეგად წარმოჩინდა რამდენად მნიშვნელოვანია მედიისა და სასამართლოს პროფესიული სტანდარტების დაცვა და ევროინტეგრაციის გზაზე ამ ორი ინსტიტუტის დემოკრატიული ურთიერთობის ფორმებით განვითარება. ერთი მხრივ, მედია - როგორც ინფორმაციის გამტარი რგოლი და მეორე მხრივ, სასამართლო - როგორც სიმართლის დამდგენი ინსტიტუტი, ქვეყნისათვის ორ მნიშვნელოვან ,,ხელისუფლებას" წარმოადგენს და ახალ ნაბიჯებს დგამს ევროპეიზაციის გზაზე. კვლევამ დაადასტურა, რომ ამ გზაზე აუცილებელია მედიისა და სასამართლო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების ეთიკური და სამართლებრივი რეგულაციების შესწავლა და გაანალიზება.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოში მესამე და ,,მეოთხე" ხელისუფლებებს შორის კონსენსუსი ჯერ კიდევ არ არის მიღწეული, რაც ადასტურებს რომ საკვლევი პრობლემა უმნიშვნელოვანესია. ამასთანავე, გამოიკვეთა მედიისა და სასამართლოს პროფესიული საქმიანობის მორალური კრიტერიუმები და პროფესიული ეთიკის სტანდარტები, წარმოჩინდა სასამართლო საკითხების გაშუქების თავისებურებები და მედიის გავლენა საზოგადოებაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებთან დაკავშირებით.

შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ჟურნალისტისა და მოსამართლის პროფესიაში მედიეთიკისა და მედიასამართლის დილემები და ინტერესთა კონფლიქტები; რა როლი აქვს პროფესიული ეთიკური კანონების დაცვის გამოყენებას სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ამაღლებასა და განმტკიცებაში.

კვლევამ აჩვენა როგორ იყენებს მედია სამართლებრივ ბაზას პრაქტიკულ საქმიანობაში და პასუხი გაეცა საკვლევ კითხვებს. დადგინდა რა ეთიკური და სამართლებრივი რეგულაციები არსებობს საქართველოში, როგორია სასამართლო ხელისუფლების ურთიერთობის სტანდარტები

მედიასთან მიმართებაში, როგორ იცავს ეთიკურ სტანდარტებს, ერთი მხრივ, მედია და მეორე მხრივ, სასამართლო და რა გავლენას ახდენს მედია საზოგადოების ცნობიერებასა და ქცევაზე.

შედეგად, ნაშრომში არსებული ჰიპოთეზა დადასტურდა - ჟურნალისტები არცთუ იშვიათად არაეთიკურები არიან სასამართლო თემატიკაზე მომზადებულ სიუჟეტებთან მიმართებაში და სასამართლოსაც აქვს გარკვეული გადაცდომები, კანონიდან გამომდინარე, მედიასთან მიმართებაში.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ადგილობრივი და უცხოური თეორიული ნაშრომები და სიღრმისეულად გაანალიზდა პროფესიული საქმიანობის თეორიული საფუძვლები. ემპირიული კვლევების საფუძველზე დაიდო არაერთი პროფესიული დასკვნაც, რაშიც დაგვეხმარა თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენება ნაშრომში.

კვლევამ დაასაბუთა ნაშრომის მეცნიერული სიახლე - სასამართლო ხელისუფლებისა და მედიის წარმომადგენელთა ურთიერთობა და მათი პროფესიული სტანდარტები და სამართლებრივი რეგულაციები. პირველად შეიქმნა ნაშრომი, სადაც ასახულია ერთი მხრივ, რამდენად ობიექტური და ეთიკურია მედია სასამართლო ხელისუფლების მიმართ და მეორე მხრივ, რამდენად იცავს და ხომ არ ზღუდავს სასამართლო ხელისუფლება კანონის ფარგლებში მედიის უფლებებს.

კვლევამ გვაჩვენა, რომ ეთიკური ნორმების დაცვის პრობლემები გვხვდება როგორც მედიის, ასევე სასამართლო ხელისუფლების მხრიდანაც კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში, რასაც ადასტურებს ინტერვიუების შედეგები; ანუ სასამართლოსაც და მედიასაც აქვთ განსაკუთრებული მორალური ვალდებულებები და აუცილებელია, ერთი მხრივ, მედიამ საზოგადოებამდე მიიტანოს სიმართლე და მეორე მხრივ, სასამართლომ დაიცვას სიმართლე.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ პროცესში უდიდესი როლი აქვს სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტის არსებობას, რომელიც რამდენიმე

წლის წინ დაინერგა საქართველოში მედიისათვის კომპეტენტური და ოპერატიული ინფორმაციის მიღების მიზნით.

დამტკიცდა, რომ სასამართლო სისტემისთვის აუცილებელია საზოგადოების სწორად ინფორმირება მედიის ჩართულობით, რაც ხელს შეუწყობს როგორც სისტემის ცნობადობის გაზრდას, ასევე ინსტიტუციის გაძლიერებას და საზოგადოებაში ნდობის ამაღლებას.

კვლევამ დაადასტურა, რომ უმთავრესია როგორც სასამართლო, ასევე მედიაც იყოს მიუკერძოებელი, ვინაიდან ჟურნალისტი არის მთავარი დამაკავშირებელი რგოლი სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, მოსამართლე კი თავის პროფესიულ თუ პიროვნულ თვისებებთან ერთად წარმოადგენს საზოგადოებაში სასამართლოსადმი ნდობისა და სასამართლოს ავტორიტეტის განმტკიცების მნიშვნელოვან საყრდენს.

კვლევამ აჩვენა, რომ კანონის უზენაესობაა დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი პირობა ევროპეიზაციის გზაზე, რაც მიიღწევა მასობრივი ინფორმაციის თავისუფლებით, ინფორმაციის საჯაროობითა და მოქალაქეთა უფლებების დაცვით. ამ პროცესში მედიისა და სასამართლო ხელისუფლების ეთიკური კოდექსი წარმოადგენს თვითრეგულირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს მორალის, ზნეობრივი ნორმებისა და უმაღლესი სტანდარტების დაცვის პროცესს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მედია ზემოქმედებს სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაზე და ამით მეტად თუ ნაკლებად გავლენას ახდენს სასამართლოში მიმდინარე პროცესებზე.

ნაშრომში დასმული საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე ჩატარებულმა კვლევამ დაასაბუთა, რომ ყველა შეკითხვას გაეცა პასუხი. შედეგად გამოიკვეთა, რომ მიუხედავად ეთიკური რეგულაციების არსებობისა, ნაკლებად ხდება მისი პრაქტიკაში გამოყენება; აუცილებელია

და მნიშვნელოვანი ჯანსაღი კომუნიკაცია სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მედიას შორის.

ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ პროცესის დარეგულებისათვის დიდი როლი აქვს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიასაც, რომელმაც ეთიკის წესების დარღვევის დადგენის შემთხვევაში ფაქტები უნდა განაზოგადოს და უნდა მოახდინოს სხვა კოლეგების ინფორმირება. დასახვეწია ეთიკური რეაგირების მექანიზმებიც, რომლებიც შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან.

კვლევამ დაადასტურა ისიც, რომ ჟურნალისტებმა საჭიროა არამარტო ობიექტურად ასახონ ინფორმაცია სასამართლო ხელისუფლების შესახებ, არამედ პატივი უნდა სცენ დამოუკიდებელ ინსტიტუციას, როგორც ევროპეიზაციის გზაზე გამავალ უმთავრეს რგოლს და თავის მხრივ, სასამართლომ, კანონის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს მედიის ინფორმირება და ჟურნალისტთა უფლებების დაცვა, რაც მართლმსაჯულებას შესაძლებლობას მისცემს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გამოიყენოს ეროვნული სამართლისა და კანონის უზენაესობის პრინციპების აღქმისა და აღიარებისათვის.

ბიბლიოგრაფია

1. ავტორთა ჯგუფი. (2017). ,,ჟურნალისტიკა“. თსუ გამომცემლობა;
2. ავტორთა ჯგუფი. (2005). ,,გამოხატვის თავისუფლება“. ტ.1. ტ.2. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი;
3. ავტორთა ჯგუფი. (2016). ,,სამოსამართლო ეთიკა“. თბილისი. სამართლიანი საქართველო;
4. ავტორთა ჯგუფი. (2021). ,,იურიდიული ეთიკა“. თბილისი;
5. ალფაიძე, თ. (2008). ,,მედია სამართალი“. თბილისი;
6. აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობა საზოგადოებასთან. (2001). თბილისი. საქართველოს გაეროს ასოციაცია;
7. ბანძელაძე, გ. (1966). ,,ეთიკა“. თბილისი;
8. ბაძაღუა, მ. (2018). ,,პროფესიული ეთიკის საფუძვლები“. თბილისი;
9. ბერტრანი, კ.ჟ. (2004). ,,მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულებების სისტემები“. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი;
10. გაგოშიძე, შ. (1996). ,,ჟურნალისტიკის საფუძვლები“. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
11. გამოხატვის თავისუფლება ევროპაში. (2003). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი. თბილისი;
12. გამოხატვის თავისუფლება ევროპაში. (2004). ევროსაბჭოს დოკუმენტაციათა კრებული სერიიდან ,,მედია“. (ქართული გამოცემა);
13. გორდონი, დ., კიტროსი, ჯ.მ., მერილი, ჯ., ბაბკოკი, უ., დორშერი, მ. (2011). ,,წინააღმდეგობები მედია ეთიკაში“. Routledge;
14. გოცირიძე, ე. (2007). ,,გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში“. თბილისი;
15. გოცირიძე, ე. (2019). ,,გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად“. თბილისი. ჟურნალი ,,სამართალი და მსოფლიო“;

16. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული. N4. (2014). ,,ახალი მედიის გამოწვევები“. თბილისი;
17. დავითაშვილი, ვ., მეტრეველი, გ. (2015). ,,პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია“. თბილისი: გამომცემლობა ,,იურისტების სამყარო“;
18. დარჩია, მ. (2007). ,,საზოგადოებასთან ურთიერთობა სამთავრობო სტრუქტურებში“. თბილისი;
19. დევდარიანი, ზ., დარჩია, მ., ტლაშაძე, მ. (2001). ,,აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობა საზოგადოებასთან“. თბილისი: საქართველოს გაეროს ასოციაცია;
20. დენჰარტი, რ. ბ., დენჰარტი, ჯ. ვ. (2012). ,,საჯარო მართვა მოქმედების კურსი“. თბილისი;
21. დეფლორი, მ., დენისი, ე. (2009). ,,მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისთვის“.
22. ეთიკურად გაშუქების სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის. ნაწილი 1-ლი და მე-2, (2017-2018). საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია;
23. ეთიკურად გაშუქების სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის. ნაწილი I და II, (2017-2018). საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია;
24. ერიაშვილი, ნ.დ. (2016). ,,სასამართლო ეთიკა“. თბილისი;
25. ვეკუა, მ. (2008). ,,ჟურნალისტიკის პრინციპები“. თბილისი;
26. ზურაბიშვილი, თ. (2006). ,,თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი;
27. იბერი, ე., სურგულაძე, რ. (2003). ,,მასობრივი კომუნიკაცია“. თბილისი;
28. კატლიპი, ს., სენტერი,ა., გლენ, ბ. (2011). ,,შესავალი საზოგადოებასთან ურთიერთობაში“. თბილისი;

29. კაჭარავა, ხ. (2009). ,,სამეცნიერო შრომები“. თბილისი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
30. კვინტრაძე, ს. (2012). ,,ჟურნალისტი და პროფესიული ეთიკა“. თბილისი;
31. კინწურაშვილი, თ. (2004). ,,მედიის თვითრეგულირების ქრესთომატია“. თბილისი. თავისუფლების ინსტიტუტი;
32. კობალავა, მ. (2018). ,,საზოგადოებასთან ურთიერთობა“. თბილისი. უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია;
33. კოვაჩი, ბ., როზენსტილი, ტ. (2006). ,,ჟურნალისტიკის ელემენტები“. თბილისი;
34. კოჩიკიანი, ა., (2016). ,,სამოსამართლო ეთიკის შედარებითი ანალიზი და კომენტარები საქართველოს სამოსამართლო ეთიკის ნორმების თაობაზე;
35. ლუმანი, ნ. (2007). „საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია“. საქართველო. გამომცემლობა „არხე“;
36. მარღია, ე. (2006). ,,Public Relations საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგიდო ენციკლოპედია“. თბილისი. გამომცელობა ,,ცოტნე“;
37. მაღრაძე, კ. (2019). ,,პიარის გზამკვლევი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის“. თბილისი;
38. MDF . (2014). ,,მედიაეთიკა და პროფესიული სტანდარტები“. თბილისი: მედიის განვითარების ფონდი;
39. მედიაეთიკა და პროფესიული სტანდარტები. (2014). მედიის განვითარების ფონდი. თბილისი;
40. MDF. (2017). ,,მედიაწიგნიერების გზამკვლევი, როგორ ვებრძოლოთ მანიპულაციას და ყალბ ინფორმაციას“;
41. მუთჰორსტი, ო. (2019). ,,სამართალმცოდნეობის საფუძვლები“. თბილისი: გამომცემლობა ,,გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობა (GIZ)“;

42. პრესმედიატორი. (2002). ,,მედიასთან ურთიერთობის პრაქტიკა“. თბილისი: საზოგადოების სამართლებრივი განათლების ასოციაცია;
43. ჟურნალი ,,მართლმსაჯულება და კანონი“. N 2. (2006). სარედაქციო კოლეგია. თბილისი;
44. ჟურნალი ,,მართლმსაჯულება და კანონი“. N 2/3. (2007). სარედაქციო კოლეგია. თბილისი;
45. ჟურნალი ,,მართლმსაჯულება და კანონი“. N 5. (2005). სარედაქციო კოლეგია. თბილისი;
46. ,,ჟურნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები“. (2003). თბილისი. თავისუფლების ინსტიტუტი;
47. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. (2021). ,,მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების ფარგლები“, თბილისი;
48. სალია, გ., ქრისტესელი, ა. (1997). ,,ამერიკული დესანტი ქართულ პარლამენტში“. გაზეთი ,,გულანი“. N37;
49. სალივანი, მ. (2002). ,,მაღალპროფესიული პრესსამსახური“. თბილისი;
50. სარედაქციო განცხადება. ,,დილის გაზეთი“. N61/1181/. (2000). 21 მარტი. თბილისი;
51. სასამართლო ხელისუფლება (მიმოხილვა). (2002). თბილისი;
52. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება. (2017), (2021);
53. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. (2017). ,,სასამართლო პროცესის გაშუქება“. სახელმძღვანელო წესები;
54. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი ,,განათლება“. N2(25). (2019). თბილისი;
55. სიტყვის თავისუფლება. (2002). საია. თბილისი;
56. სურგულაძე, რ., იბერი, ე. (2003). ,,მასობრივი კომუნიკაცია“. თბილისი;
57. ტორაძე, მ., მაისაშვილი, ხ. (2019). ,,მედიისა და კომუნიკაციის მეთოდები“. თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა;

58. ტყეშელაშვილი ქ., (2005). ,,მედიისა და მართლმსაჯულების ურთიერთქმედების პროფესიულ-ეთიკური სტანდარტები“. ჟურნალი ,,მართლმსაჯულება და კანონი“. N 5. თბილისი;
59. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასება. (2021). საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI);
60. უილკოქსი, დ.ლ., კამერონი, გ.ტ. (2011). ,,საზოგადოებასთან ურთიერთობა, სტრატეგია და ტაქტიკა“. თბილისი: გამომცემლობა ,,დიოგენე“;
61. შელია, მ., ვასაძე, მ., კობიაშვილი, გ., ხომერიკი, გ. (2008). მომსახურების ხელოვნება. თბილისი;
62. ნაჩმიასი, ნ.ფ. ნაჩმიასი, დ. (2009). ,,კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“. თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
63. ცაცანაშვილი, მ. (1999). ,,ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება“. თბილისი;
64. ცაცანაშვილი, მ. (2004). ,,ინფორმაციული სამართალი“. თბილისი;
65. წულაძე, ლ. (2008). ,,რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“. თბილისი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი;
66. წულაძე, ლ. (2020). ,,სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები“. თბილისი. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;
67. ჭავჭავაძე, ი. (1951-1961). თხზულებათა სრული კრებული. ტ.9;
68. ჭანტურია, ლ. (2023). ,,საიუბილეო კრებული 60“. თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;
69. ხუბუა, გ. (2015). ,,სამართლის თეორია“. თბილისი: გამომცემლობა ,,მერიდიანი“;
70. ჯონსონი, ჯ.ბ., რეინოლდსი, ჰ.ტ., მაიკოფთან, ჯ.დ. (2013). ,,პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

71. ჯორბენაძე, ს., კნიპერი, რ., ჭანტურია, ლ. (1994). ,,სამართლის რეფორმა საქართველოში“. თბილისი;
72. ჯორბენაძე. ს. ბახტაძე. უ. მაჭარაძე. ზ. (2014). ,,მედიასამართალი“. თბილისი;
73. Авраамов. Д. С. ,,Профессиональная Этика Журналиста“. (2003). Издательство Московского университета;
74. Кобликов. А.С. ,,Юридическая этика“. (2002). Москва;
75. Лазумина. Г.В. ,,Профессиональная этика журналиста“. (2000). Москва;
76. Уэбстер, Д. (2000). ,,Создание свободных и независимых средств массовой информации“;
77. Barzun, C. L. (2018). "Three Forms of Legal Pragmatism", Washington University Law Review, Vol. 95, Issue 5;
78. Black, S. (1993). "The essentials of public relations". London;
79. Campbell, D. T. (1975). "Degrees of freedom and the case study", Comparative Political Studies, Vol. 8, pp. 178-193;
80. Almagor, R. C. (2005). "Speech, media and ethics. The limits of free expression". New York: Palgrave Macmillan;
81. Cook, T. D., Campbell, T. D. (1979). "Quasi-experimentation: Design and analysis issues for filed settings". Chicago: Rand McNally;
82. Crowe, S., Cresswell, K., Roverstson, A. (2011). "The case study approach", BMC Medical Research Methodology;
83. Cutlip, S.M., Center, A.N., Broom, G.M. (1994). "Effective Public Relations". New York;
84. Glynn, C., Ostman, R. (1988). "Public Opinion About Public Opinion." Journalism Quarterly 65;
85. Hage, J., Waltermann, A., Akkermans, B. (2017). "Introduction to Law";
86. Hart, H. L. A. (1958). "Positivism and the Separation of Law and Morals", The Harvard Law Review, Vol. 71, No. 4, p.p. 593-629;
87. Hunt, T., Gruning, J. (1994)."Public relations techniques". Orlando;

88. Jacquette, D. (2007). ''Journalistic ethics/moral responsibility in the media. Basic ethics in action''. Pearson Prentice Hall. Upper Saddle River. New Jersey: Pearson Education Inc;
89. Jensen, K. B. (2002). "A Handbook of Media and Communication Research, Qualitative and quantitative methodologies";
90. Kohler, D., Levine L., Andria, D., Cohen D., Papandrea, M-R. (2014). ”Media and the Law“, Second Edition, Carolina Academic Press;
91. Kunczik, M. (2002). ''Public Relations – Konzepte und Theorien''. Köln;
92. Lawrence, N.W. (2014). "Social Research Methods: Qualitative and Quantitative Approaches";
93. Marshall, G. (1992). "Press freedom and Free Speech Theory", I.N;
94. Platt, J. (1992). "Case study" in American methodological thought, Current Sociology, Vol. 40, pp. 17-48;
95. Ruckert, J. (2006). "Friedrich Carl von Savigny, the Legal Method, and the Modernity of Law";
96. Singh, M., Singh,P.O. (2013). ''A Study Of Media Impact On Judiciary:“ With Special Reference To The Judicial Officers Of Jaunpur District Paperback“, Scolar's Press;
97. Stake, R. E.(1995). "The art of case study research". London: SAGE;
98. Straubhaar, J., Larose, R.(2002). "Media Now. Communications Media in the Information Age", Third Edition, Wadsworth;
99. Surette, R. (2010). "Media, Crime and Criminal Justice: Images, Realities and Policies", 4th Edition, Chapter 5;
100. Teubner, G. (1983). "Substantive and Reflexive Elements in Modern Law", Law & Society Review, Vol. 17, No.p.p. 239-286;
101. Weiner, D. (2006). "Crisis Communications: Managing corporate reputation in the court of public opinion";
102. Wilcox, Dennis, et al. (2000). "Public Relations: Strategy and Tactics". New York: Longman;

103. Yin, R. K. (1981). "The case study as a serious research strategy", Knowledge: Creation, Diffusion, Utilization, Vol. 3, No. 1, pp. 97-114;
104. Yin, R. K. (1994). "Discovering the future of the case study method in evaluation research", Evaluation Practice, Vol. 15, No. 3, pp. 283-290;
105. Yin, R. K. (2003). "Case Study Research: Design and Methods" (Third Edition), Thousand Oaks: SAGE;
106. Yin, R. K. (2009). "Case Study Research: Design and Methods" (Fourth Edition), Thousand Oaks: SAGE;
107. Zedwitz, A. G., Graf, G. V. (1961). "Tu Gutes und rede dauber". Berlin;

ინტერნეტრესურსები:

108. ალია. (2020, 19 ივნისი). ,,რას ნანობს ჩუგოშვილი? –,,შევცდი თავის დროზე“. https://tinyurl.com/3ye8xsdz . (ბ.ნ. 15.03.2024);
109. ალია. (2021, 19 მაისი). ,,კლანის მხარდაჭერისთვის გზირიშვილის შვილს მოსამართლედ ნიშნავენ – ჯანეზაშვილი''. https://tinyurl.com/4tkxaj4e. (ბ.ნ. 18.03.2024);
110. ალია. (2021, 9 ნომემბერი). ,,მერაბ გაბინაშვილი ნარკორეალიზატორს მფარველობდა, რისთვისაც მან თანამდებობა უკანონოდ გამოიყენა – სუსის ფაილები“. https://tinyurl.com/bd33sxc9 . (ბ.ნ. 19.03.2024);
111. ამბები.ge. (2021, 19 მაისი). ,,მე და სხვა მოსამართლეები ბედნიერი ვიქნებით, რომ მალე ნაზიბროლა ჯანეზაშვილი საბჭოს წევრი აღარ იქნება“ - დიმიტრი გვრიტიშვილი''. https://tinyurl.com/e4m6jr3k . (ბ.ნ. 18.03.2024);
112. ამბები.ge. (2021, 19 მაისი. გადაცემა ,,რეზიუმე“-,,სავარაუდო ნეპოტიზმი სასამართლოში“. https://tinyurl.com/yc66x5rk . (ბ.ნ. 20.04.2024);
113. ანთაძე, ი.(2004). ,,ჟურნალისტების პროფესიული ეთიკა“. https://tinyurl.com/3udyc9se . (ბ.ნ. 21.04.2024);
114. ბათუმელები. (2021, 19 მაისი). ,,რას ამბობს იუსტიციის საბჭოს წევრი,

ვის შვილსაც მოსამართლეობა სურს''. https://tinyurl.com/3td7u6d2 . (ბ.ნ. 25.04.2024);

115. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE), დასკვნა N7, პარაგრაფი N9, 2005, https://tinyurl.com/4fyypk4c. (ბ.ნ. 26.04.2024);

116. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE), დასკვნა N7, პარაგრაფი N9, (2005), https://tinyurl.com/4fyypk4c . (ბ.ნ. 21.04.2024);

117. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. https://tinyurl.com/mr4d6upf. (ბ.ნ. 13.05.2024);

118. თაიმერი. (2016, 31 მაისი). ,,ელისო კილაძე: სასამართლო კოლეგიაში ზის სამი შაჰიდი ქალი". https://tinyurl.com/4cv9f7v6 . (ბ.ნ. 28.03.2024);

119. თაიმერი. (2016, 31 მაისი). ,,ნიკა გვარამია: ნატა ნაზღაიძე არის ურთმელიძე კაბაში". https://tinyurl.com/294szhs3 . (ბ.ნ. 11.04.2024);

120. თაიმერი. (2017, 2 მარტი). ,,ელისო კილაძე: გადაწყვეტილება დაწერილია". https://tinyurl.com/bdff4k5t . (ბ.ნ. 3.04.2024);

121. ინტერპრესნიუსი. (2020, 18 ივნისი). ,,ნაზი ჯანეზაშვილი - თამარ ჩუგოშვილისგან ძალიან ბევრჯერ იყო ჩემთან ზარი და უბრალოდ გაჩუმებას მოითხოვდა''. https://tinyurl.com/yy8f597u . (ბ.ნ. 02.05.2024);

122. ინტერპრესნიუსი. (2021, 19 მაისი). ,,დიმიტრი გვრიტიშვილი - მე და სხვა მოსამართლეები ბედნიერი ვიქნებით იმით, რომ სულ მალე ნაზიბროლა ჯანეზაშვილი საბჭოს წევრი აღარ იქნება". https://tinyurl.com/3phnchps . (ბ.ნ. 14.04.2024);

123. იურიდიული კომპანია ჯი ელ სი ჯგუფი-Law Firm GLC group აქვეყნებს სოციალურ ქსელში TV პირველის მომზადებულ სიუჟეტს. (2021, 20 თებერვალი). ,,მელიას მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი". https://tinyurl.com/j38myvmy . (ბ.ნ. 12.03.2024);

124. კაიტ, ჰ. ჰ. ,,სამართლიანი და დაბალანსებული არჩევნების ანგარიში". https://tinyurl.com/2s3zw88p . (ბ. ნ. 02.03. 2024);

125. კანონი მაუწყებლობის შესახებ. https://tinyurl.com/yc897dj6 . (ბ.ნ. 18.05.2024);

126. კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. https://tinyurl.com/m4yzbywx . (ბ. ნ. 27.03. 2024);

127. კინწურაშვილი, თ. (2003). თბილისი. https://tinyurl.com/yckane7v . (ბ. ნ. 02.05. 2024);

128. ლალიაშვილი. თ. (2021). ,,სასამართლოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობა და მისი უზრუნველყოფა". სამართალი და მსოფლიო. N16. გვ.58-74 https://lawandworld.ge/ . (ბ. ნ. 02.03. 2024);

129. ლიბერალი. (2019, 22 თებერვალი). ,,კარგად მესმის იუსტიციის საბჭოში ნაზი ჯანეზაშვილის ყოფნის მნიშვნელობა - ჩუგოშვილი საკუთარ ინიციატივას განმარტავს''. https://tinyurl.com/ykc99n9k . (ბ. ნ. 16.05. 2024);

130. მართლმსაჯულება და კანონი. (2002, N3(75). https://tinyurl.com/dxe4j536 . (ბ.ნ 15.01.2023);

131. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი. (2009). https://bit.ly/3i5CsXL. (ბ. ნ. 22.05. 2024);

132. მგელაძე, გ. (2012). ,,სამართლის თემის გაშუქება მედიაში". https://bit.ly/2ZgoTME. (ბ. ნ. 04.04. 2024);

133. მთავარი. (2020, 6 ივნისი). ,,თემიდას" მილიონერი მსახურები - მოსამართლეების ექსკლუზიური დასახლება". https://tinyurl.com/437d43dh. (ბ. ნ. 25.03. 2024);

134. მთავარი. (2021, 19 მაისი). ,,მეც და სხვებიც ბედნიერები ვიქნებით, მალე ჯანეზაშვილი საბჭოს წევრი აღარ იქნება-გვრიტიშვილი''. https://tinyurl.com/bdesxs6t. (ბ. ნ. 10.03. 2024);

135. მთავარი. (2021, 19 მაისი). ნაზი ჯანეზაშვილი დღის სტუმარი. https://tinyurl.com/mu3xfb35. (ბ. ნ. 11.05. 2024);

136. მთავარი. (2021, 20 თებერვალი). ,,ვინ არის ნინო ჩახნაშვილი - უვადო მოსამართლე სამწლიანი გამოცდილებით". https://tinyurl.com/3ydp4h6n. (ბ. ნ. 23.04. 2024);

137. მთავარი. (2021, 18 მაისი). ,,მამამ მოაწყო მოსამართლის

თანამდებობაზე" - ჯანეზაშვილი გასაუბრებიდან ინფორმაციას ავრცელებს''. https://tinyurl.com/3pr7b2xw . (ბ. ნ. 05.03. 2024);

138. მთავარი. (2021, 20 მაისი). ,,მე გავაკეთე აცილება, სხვა რა მექანიზმი მაქვს... მასთან არ მაქვს საქმე" - გზირიშვილის პასუხი ჯანეზაშვილს''. https://tinyurl.com/v3ww3tv6. (ბ. ნ. 05.05. 2024);

139. ნეტგაზეთი. (2017, 21 ივნისი). ,,პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 4 ახალი წევრი აირჩია“. https://tinyurl.com/mvzfyvtd. (ბ. ნ. 05.03. 2024);

140. ნეტგაზეთი. (2019, 18 თებერვალი). ,,მოსამართლეები რ2-ის სიუჟეტის საკითხზე ჯანეზაშვილი/დოლიძისგან განმარტებას ითხოვენ''. https://tinyurl.com/bdu8xa9h. (ბ.ნ 26.05.2024);

141. ნეტგაზეთი. (2021, 19 მაისი). ,,იუსტიციის საბჭოს წევრის შვილს მოსამართლეობა სურს — ნეპოტიზმი?''. https://tinyurl.com/mw8mrkv4. (ბ.ნ. 29.05.2024);

142. პირველი არხი. (2019, 19 თებერვალი). ,,ნაზი ჯანეზაშვილი - მოსამართლეების ქონებასთან დაკავშირებით კითხვებს პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს''. https://tinyurl.com/2pvwryn6. (ბ.ნ 10.05.2024);

143. პირველი არხი. (2021, 19 მაისი). ,,დიმიტრი გვრიტიშვილი - მე და სხვა მოსამართლეებიც ბედნიერი ვიქნებით იმით, რომ სულ მალე ნაზიბროლა ჯანეზაშვილი საბჭოს წევრი აღარ იქნება''. https://tinyurl.com/yxnvm5ty. (ბ.ნ. 08.04.2024);

144. პირველი არხი. (2021, 19 მაისი). ,,ნაზი ჯანეზაშვილი - არამოსამართლე წევრების დიდ ნაწილს ივნისში ვადა გვეწურება და ლევან გზირიშვილი ბენეფიტად იღებს სავარაუდოდ თავისი შვილის მოსამართლის თანამდებობას''. https://tinyurl.com/h5xpzn5z. (ბ.ნ. 17.04.2024);

145. პირველი არხი. (2021, 19 მაისი). ,,ნაზი ჯანეზაშვილის განცხადება''. https://tinyurl.com/2hskwuzz. (ბ.ნ. 19.04.2024);

146. რადიო თავისუფლება. (2020, 9 ივლისი). ,,ნათესაობა და მეგობრობა,

როგორც ,,კლანი“ საყრდენი?''. https://tinyurl.com/3xte3hf8. (ბ.ნ. 09.04.2024);

147. რუსთავი 2. (2019, 16 თებერვალი). ,,რა ქონებას ფლობენ მოსამართლეები -,,შაბათის კურიერის“ კამერამ ფეშენებელური სახლები გადაიღო''. https://tinyurl.com/5enfp8dn. (ბ.ნ 28.05.2024);

148. რუსთავი2. (2021, 19 მაისი). ,,იუსტიციის საბჭოს მოქმედი არამოსამართლე წევრის შვილი, შესაძლოა, მოსამართლედ დაინიშნოს - ნაზი ჯანეზაშვილი ნეპოტიზმზე საუბრობს''. https://tinyurl.com/y9trjcr9. (ბ.ნ. 24.05.2024);

149. რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავჯდომარის მამია ფხაკაძის განცხადება, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელ დირექტორს. https://tinyurl.com/4n4dk747. (ბ.ნ. 20.05.2024).

150. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. (2018, 5 ივლისი). ,,კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში“. https://tinyurl.com/y8p8xrkd. (ბ.ნ. 20.05.2024);

151. სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები. https://tinyurl.com/36csrtdy. (ბ.ნ. 20.05.2024);

152. სამოქალაქო სამართლის კოდექსი. https://tinyurl.com/4uentzxv. (ბ.ნ. 20.05.2024);

153. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. (2017, 2 მაისი), ,,საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას“. https://tinyurl.com/ytxfyrus. (ბ.ნ. 28.05.2024);

154. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. (2018, 9 თებერვალი). ,,The Heritage Foundation - საქართველოს სასამართლო სისტემა ეფექტიანობის კრიტერიუმით ევროპის საუკეთესო ოცეულშია''. https://tinyurl.com/5n6h6drm. (ბ.ნ. 28.05.2024);

155. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. (2019, 4 მარტი). ,,საქართველოს საერთო სასამართლოების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა''. https://tinyurl.com/4hb8pa6x. (ბ.ნ. 28.05.2024);

156. საქართველოს კონსტიტუცია. https://tinyurl.com/4uf4n34c. (ბ.ნ. 28.05.2024);

157. საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. https://tinyurl.com/yf7jm352. (ბ.ნ. 23.05.2024);

158. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. (2015). ,,კრიმინალის გაშუქება - სახელმძღვანელო წესები". https://bit.ly/3i9yNrS. (ბ.ნ. 23.05.2024);

159. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. (2019, 21 თებერვალი). ,,მოსამართლე მამია ფხაკაძემ ,,რუსთავი 2-ის" წინააღმდეგ ქარტიას მიმართა''. https://tinyurl.com/3sxzphbu. (ბ.ნ. 23.05.2024);

160. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ქცევის კოდექსი. https://tinyurl.com/eamvwewn. (ბ.ნ. 23.05.2024);

161. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები. https://tinyurl.com/2mk2at44. (ბ.ნ.12.05.2024);

162. სისხლის სამართლის კოდექსი. https://tinyurl.com/svwmzj5m. (ბ.ნ.12.05.2024);

163. სუბარი, ს., ქადაგიშვილი, თ., საყვარელიძე, ფ., კიკნაძე, ზ., ღაჭავა, ნ. (2003). ,,სიტყვის თავისუფლება და ჟურნალისტური მისია". თავისუფლების ინსტიტუტი. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა https://tinyurl.com/3ccsvrsh . (ბ.ნ.12.05.2024);

164. ფორმულა. (2020, 9 ივლისი). ,,ნეპოტიზმი სასამართლო სისტემაში - ჯანეზაშვილი კონკრეტულ გვარებს ასახელებს". https://tinyurl.com/2tt8fd8m. (ბ.ნ.12.05.2024);

165. ფორმულა. (2021, 12 აპრილი). ,,მაია სვიანაძე: სასამართლო სისტემიდან წასვლა კონკრეტულ საქმეს ან ზეწოლას არ უკავშირდება". https://tinyurl.com/mv9f4xj4. (ბ.ნ.12.05.2024);

166. ფორმულა. (2021, 19 მაისი). ,,ჯანეზაშვილი: იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრის შვილი, შესაძლოა, მოსამართლედ დაინიშნოს''. https://tinyurl.com/2w5j4kjc. (ბ.ნ. 04.03.2024);

167. ფორმულა. (2021, 23 აპრილი). ,,მილიონერი მოსამართლეები, არასრული დეკლარაციები - ,,უფლებები საქართველო" კვლევას აქვეყნებს''. https://tinyurl.com/27vpu2px. (ბ.ნ. 04.03.2024);

168. ფორმულა. (2021, 6 აპრილი). ,,მოსამართლე მაია სვიანაძემ, რომლემაც აშშ-ში დარჩენა გადაწყვიტა, იქ მუშაობაც დაიწყო“. https://tinyurl.com/bd2fntv7. (ბ.ნ. 04.03.2024);

169. ფორმულა. (2023, 6 მაისი). ,,შაბათის ფორმულამ ე.წ. კლანთან დაახლოებული მოსამართლეების დიდძალი ქონება შეისწავლა''. https://tinyurl.com/43y7mkdy. (ბ.ნ. 04.03.2024);

170. ჩაფიძე, ე. (2011). ,,სამართლებრივი საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში“. https://bit.ly/2Zjetvy. (ბ.ნ. 09.03.2024);

171. ცქიტიშვილი, ა., აჩბა, ს., ლათათია, შ., თოფურია, თ. (2011). ,,მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში“. https://bit.ly/3g1BXMy. (ბ.ნ. 09.03.2024);

172. MYVIDEO. (2015, 19 ოქტომბერი), ,,მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ ნიკა გვარამია სასამართლო დარბაზიდან გააძევა“. https://tinyurl.com/36t3enn6. (ბ.ნ. 09.03.2024);

173. MYVIDEO. (2015, 29 ოქტომბერი). ,,ნიკა გვარამია“. https://tinyurl.com/2rum2d2b. (ბ.ნ. 13.03.2024);

174. MYVIDEO. (2016, 1 ივნისი). ,,მოსამართლე ნათია გუჯაბიძე ჩვენი ინფორმაციით იდევნება თაღლითობისათვის“ - რუსთავი2-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია“. https://tinyurl.com/mryvewmj. (ბ.ნ. 13.03.2024);

175. MYVIDEO. (2016, 31 მაისი). ,,ნიკა გვარამია: კაბიანი ურთმელიძეები“. https://tinyurl.com/2rh4eebb. (ბ.ნ. 13.03.2024);

176. MYVIDEO. (2016, 8 ივნისი). ,,ნიკა გვარამია - სასამართლო პროცესზე“. https://tinyurl.com/322epdmh. (ბ.ნ.17.03.2024);

177. MYVIDEO. (2016, 8 სექტემბერი). ,,უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობს ძალიან მძიმე შავბნელი საქმეები" - ნიკა გვარამია''.

https://tinyurl.com/bde8s9md. (ბ.ნ.17.03.2024);

178. ON.ge. (2019, 22 თებერვალი). ,,მოსამართლე მამია ფხაკაძე მის ქონებაზე მომზადებული მასალის გამო რუსთავი2-ს ქარტიაში უჩივის''. https://tinyurl.com/kcxya633. (ბ.ნ.17.03.2024);

179. Palitranews. (2021, 4 მაისი). ,,აშშ-ში შვილთან გადავედი საცხოვრებლად, არალეგალურად არ დავრჩენილვარ - მოსამართლე მაია სვიანაძე“. https://tinyurl.com/5b7zsxkp. (ბ.ნ. 09.04.2024);

180. REGinfo. (2019. 3 მარტი). ,,მოსამართლეთა ძვირადღირებულ სახლებზე სიუჟეტში „რუსთავი 2“-ს დარღვევები დაუდგინდა''. https://tinyurl.com/2ysz82t9 ;

181. The Association of Danish Judges. (2014). ''Ethical principles for judges''. https://tinyurl.com/wfnwz8mu . (ბ.ნ. 09.04.2024);

182. TV პირველი. (2016, 3 ივნისი). ,,რუსთავი 2-ის საქმე და ბრალდებები მოსამართლეს - ნიკა გვარამიას ჩართვა დღის ამბებში''. https://tinyurl.com/33w978uj. (ბ.ნ. 09.04.2024);

183. TV პირველი. (2021, 19 მაისი). ,,ბენეფიტად მიიღო შვილის მოსამართლის თანამდებობა - ჯანეზაშვილი ნეპოტიზმის სავარაუდო შემთხვევაზე''. https://tinyurl.com/3tfr4smt. (ბ.ნ. 09.04.2024);

184. TV პირველი. (2021, 19 მაისი). ,,გზირიშვილმა სასამართლო კლანის ერთგულების ფასად მოითხოვა შვილის კარიერა - ანა დოლიძე''. https://tinyurl.com/468sx5ra. (ბ.ნ. 09.04.2024);

185. Affaya, M. N. (2024)''Media and Justice: What Role in Democracy?“. https://tinyurl.com/bd55ep89 . (ბ.ნ. 09.04.2024);

186. ARTICLE 19. (2006). *Comment on the draft of Georgian broadcasting code of conduct*. Retrieved from: https://tinyurl.com/s2phvw4m. (ბ.ნ. 09.04.2024);

187. ARTICLE 19. . (2005. April). Under lock and key: Freedom of information and the media in Armenia.Azerbaijan and Georgia. https://tinyurl.com/4d6n38pk. (ბ.ნ. 13.04.2024);

188. Blitsa, D. (2015, January). ''Judges&Social Media: Managing the Risks“.

ResearchGate . SSRN Elecronic Journal. https://tinyurl.com/msy6hnm4. (ბ.ნ. 13.04.2024);

189. Drechsel, R. E. (2012). ''Media Ethics and Media Law: The Transformation of Moral Obligation into Legal Principle". Notre Dame Journal of Law, Ethics & Public Police. https://tinyurl.com/3h5fbsnc. (ბ.ნ. 13.04.2024);

190. Gozon, A. M. (2009, August.). ''Legal and Judical Ethics, its Relevance Revisited". Arellano Law and Policy Review. Vol.10. N.1. https://arellanolaw.edu/alpr/v10n1a.pdf. (ბ.ნ. 13.04.2024);

191. Gray, C. (2018, July). ''Social media and Judicial Ethics". NCSC Center for Judicial Ethics. July. https://tinyurl.com/7u9fyupa. (ბ.ნ. 13.04.2024);

192. Guide on communication with the media and the public for courts and prosecution authorities. (2018). European commission for the efficiency of justice (CEPEJ). https://tinyurl.com/zay63nuu. (ბ.ნ. 13.04.2024);

193. Harrison, J. (2006). *News*. London and New York: Routledge Taylor and Francis Group.

194. Justice, Society and the Media. (2011-2012). European Network of councils for the Judiciary (ENCJ), https://tinyurl.com/bd8svfan . (ბ.ნ. 13.04.2024);

195. Kurita, M.S. (2017). ''Electronic Social Media: Friend or Foe for Judjes". El Paso Country Court at Law. No.6 10. https://tinyurl.com/3aeusfr7. (ბ.ნ. 13.04.2024);

196. Meyer, N. H. (2014). ''Social Media and the Courts:Innovation Tools of Dangerous Fad? A Practical Guide for Court Administrators". International Journal for Court Administracion. https://tinyurl.com/2tw3c26z. (ბ.ნ. 13.04.2024);

197. Organization for Security and Co-operation in Europe. (2007). (OSCE).The Office of the Representative on Freedom of the Media. https://tinyurl.com/z3ete69h. (ბ.ნ. 13.04.2024);

198. Schicha, Ch. (2003).''Medienethik und Medienqualität". Zeitschrift für Kommunikationsökologie. https://tinyurl.com/4snres9y. (ბ. ნ. 25.04.2024);

199. Society of Professional Journalists. (2014, 6 September). "SPJ Code of Ethics". https://tinyurl.com/4vp7e5w3. (ბ. ნ. 25.04.2024);
200. St.Mary's Journal on Legal Malpractice&Ethics. Vol.7.N.2.Article 3. https://tinyurl.com/2xh2wum4. (ბ. ნ. 25.04.2024);
201. UNODC. (2018). Global Judical Integrity Network. Discussion Guide: The Use of Social media by Judges. https://tinyurl.com/ytzht9kf. (ბ. ნ. 25.04.2024);

სასამართლო გადაწყვეტილებები

202. 2019 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება, საქმე N263. https://tinyurl.com/32dvmzy6. (ბ. ნ. 25.04.2024);
203. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება N1/14. https://tinyurl.com/4k5v35w4. (ბ. ნ. 28.04.2024);
204. თბილისის სააპელაციო სასამართლოს დადგენილება. საქმე N4ა/291-18. (ბ. ნ. 25.04.2024).